საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ლელა ზაქარეიშვილი

საქართველოს უზენაესი საბჭო

(1990-1992 წწ.)

სამეცნიერო ხელმძღვანელი ლევან ჯიქია,

ისტორიის დოქტორი

თბილისი

2021

სარჩევი

ანოტაცია (ქართულ ენაზე) 3

ანოტაცია (ინგლისურ ენაზე) 6

შესავალი 8

თავი I. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები 12

§ 1. პოლიტიკური პარტიები და მათი ბრძოლა ერთპარტიული
არჩევნების წინააღმდეგ 12

§ 2. საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“
პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა 20

§ 3. საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის პროგრამა 26

§ 4. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგები 38

**თავი II. 1991 წლის რეფერენდუმი საქართველოში და ეროვნული
სახელმწიფოებრიობის აღდგენა** 44

თავი III. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო პოლიტიკა 60

თავი IV. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საშინაო პოლიტიკა .....
80

§1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური პოლიტიკა 83

§2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფინანსური პოლიტიკა.....94

§3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აგრარული პოლიტიკა
..... 103

§ 4. სასამართლო რეფორმა 105

§ 5. ადმინისტრაციული მმართველობის და ადგილობრივი
თვითმმართველობის ორგანოების რეფორმა..... 108

§ 6. სოციალური საკითხები 115

§ 7. ბუნების დაცვა, განათლება და კულტურა 119

§8. სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის

ურთიერთობა 123

§ 9. ენერგეტიკული პრობლემები..... 125

თავი V. სამხედრო გადატრიალების მცდელობა კრემლში და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. სამხედრო გადატრიალებასაქართველოში 129

დასკვნა 167

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა..... 176

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია პერიოდი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს უახლეს ისტორიაში. საბჭოთა იმპერიის დასუსტებამ შესაძლებლობა მისცა ქართველ ეროვნულ მოღვაწეებს მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით ებრძოლათ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. შედეგად, საქართველოში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები. მიუხედავად რადიკალური ოპოზიციის ბოიკოტისა, არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვა ეროვნულმა ძალამ, საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“.

არჩევნებში ეროვნული ძალის გამარჯვებამ ქვეყანას მისცა პირველი, პატრიოტული ნიშნით დაკომპლექტებული პარლამენტი – ახალი უზენაესი საბჭო, რომლის უპირობო მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სრული სუვერენიტეტის აღდგენა.

მიუხედავად კრემლის რეაქციული ძალების წინააღმდეგობისა, საქართველოს რეს-პუბლიკის უზენაესმა საბჭომ მოახერხა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის დანიშვნა და ჩატარება.

რეფერენდუმმა ცხადყო ქართველი ხალხის მისწრაფება ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო შეუდგა იმ ძირეული საკანონმდებლო (და არა მარტო) ცვლილებების განხორციელებას, რაც ქვეყანას ესაჭიროებოდა სრული სუვერენიტეტის მოსაპოვებლად.

საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო მხარდაჭერა ესაჭიროებოდა, რის მოსაპოვებლადაც ქვეყანამ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადადგა – დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით, მრავალპარტიული არჩევნებისა და საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარებით. ჯერი ახლა დასავლეთზე მიდგა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო,

ზვიად გამსახურდიას თავმჯდომარეობით, ძალას არ იშურებდა, რომ ევროპისა და ამერიკის მოწინავე დემოკრატიის ქვეყნების მხარდაჭერა მოეპოვებინა.

დიდ მნიშვნელობას წარმოადგენდა საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა, საბჭოთა კავშირის რღვევამ ხომ მთელი იმპერიის მასშტაბით ეკონომიკურ-ფინანსური ხასიათის კოლაფსი გამოიწვია. რესპუბლიკებს შორის შეწყდა ეკონომიკური კავშირები, ვეღარ ხდებოდა საბანკო ანგარიშსწორება მიმწოდებელსა და მყიდველს შორის, სახელმწიფო საწარმოები გაჩერებისა და გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

საბჭოთა პერიოდიდან გადმოსული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მემკვიდრეობის გამოსასწორებლად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო შექმნისთანავე იძულებული გახდა, შესდგომოდა აუცილებელ ღონისძიებათა შემუშავებასა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებას.

დროის ასე მცირე მონაკვეთში შემუშავებული და მიღებული იქნა კანონები საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში, შემუშავდა და გატარდა ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის რეფორმა, კერძო წარმოების ასაღორძინებლად მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ, სასამართლო რეფორმა, შემოღებულ იქნა არბიტრაჟის ინსტიტუტი, შემუშავდა კანონი პოლიციის შესახებ,დაიწყო განათლების რეფორმა. სახელმწიფომ, უზენაესი საბჭოს ძალისხმევის შედეგად, რადიკალურად შეცვალა დამოკიდებულება ეკლესიასთან, ადამიანის უფლებების დაცვასთან, გაუქმდა პრესისა და მასმედიის საშუალებათა ცენზურა.

ამავე დროს, 1991 წლის აგვისტოში, მოსკოვში – საბჭოთა იმპერიის ცენტრში – მოხდა შეთქმულება, რომელიც ისტორიაში „ГКЧП“-ს (საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის - პუტჩის)სახელით არის ცნობილი. მის მომზადებასა და განხორციელებაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის პარტიული და ძალოვანი სტრუქტურების უმაღლესი თანამდებობის პირები. ისინი მიზნად ისახავდნენ ნებისმიერ ფასად საბჭოთა იმპერიის შენარჩუნებას. მათ მიერ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი შინაპატიმრობაში იქნა აყვანილი.

პუტჩისტებმა იმპერიის ყველა კუთხეში დაგზავნეს მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც „მოკავშირე“ რესპუბლიკებში არსებული ყოველგვარი ეროვნული

სამხედრო შენაერთები გამოაცხადეს უკანონოდ და ანგარიშსწორების მუქარით მოითხოვეს მათი დაშლა და იარაღის ჩაბარება.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ, უზენაესი საბჭოს მოწონებით და მხარდაჭერით, სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეროვნული გვარდიის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაყვანის შესახებ. ეს ფაქტი, შემდეგ, ოსტატურად იქნა გამოყენებული კრემლის სატელიტების მიერ საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ საინფორმაციო ომში.

მოსკოვის შეთქმულებაში მონაწილე რუსმა სამხედროებმა საკუთარმოქალაქეებს არ ესროლეს და იარაღი მათ დასაცავად შეაბრუნეს. ამიტომ პუტჩი სწრაფად დამარცხდა. საქართველოში კი პირიქით, ხელისუფლების იმიჯის შესალახად ოპოზიცია პროვოკაციულ ქმედებებს აწყობდა. შემდეგ კი რუსეთის დახმარებით იარაღით დაუპირისპირდა ქვეყნის ლეგიტიმურ ხელისუფლებას და მის მხარდამჭერებს. რაც საბოლოოდ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და უზენაესი საბჭოს დეპუტატთა კორპუსის უმეტესი ნაწილის ემიგრაციით დასრულდა.

Annotation

The paper discusses the most important period in the recent history of Georgia – the restoration of Georgia's state independence, internal political confrontations, military coup and the overthrow of the national government. The struggle of Georgian national figures to change the one-party electoral system in Georgia yielded results, and on October 28, 1990, multi-party elections were held in Georgia. The election bloc "Round Table – Free Georgia" won convincingly in the elections. The main goal of the Supreme Council of Georgia, elected on October 28, 1990, was to gain full sovereignty over Georgia. Despite strong opposition from the Kremlin, the Supreme Council of the Republic of Georgia managed to call and hold a referendum on March 31, 1991. The Georgian nation should be given a referendum on the restoration of Georgia's state independence. The vast majority of Georgian citizens supported the restoration of Georgia's state independence. Based on the results of the referendum, on April 9, 1991, the restoration of Georgia's state independence was declared. On May 26, 1991, the Georgian nation elected its first president. Georgia needed international support first and foremost to maintain its independence. The Supreme Council of Georgia has taken a number of steps in this direction. The current situation in the field of economy was a serious challenge for Georgia. All the allied republics in the Soviet Union were economically connected to each other. Economic ties between the former Soviet republics were stopped, bank payments between suppliers and buyers could no longer be made, and state-owned enterprises were threatened with shutdown and bankruptcy. Upon its establishment, the Council was forced to take the necessary measures and adopt the relevant legislative acts. Laws in the field of finance and budget were drafted and adopted in a short period of time, local government and self-government reforms were developed and implemented, the law on privatization of state

property was adopted to revive private production, judicial reform was introduced, the institution of arbitration was introduced, the law on police was prepared and education reform was adopted, too. The state, as a result of the efforts of the Supreme Council, radically changed its attitude towards the Georgian Orthodox Apostolic Church, abolished censorship of the press and mass media, and so on. In August 1991, a conspiracy known in history as the GKCHP took place in Moscow. Its preparation and implementation were attended by senior officials of the party and law enforcement agencies of the Soviet Union. They aimed to maintain the Soviet Empire at all costs. They detained Soviet President Mikhail Gorbachev. The conspirators sent demands to all parts of the empire that all national military units in the "allied" republics were outlawed and threatened to retaliate and surrender their weapons. The President of the Republic of Georgia decided to transfer the National Guard to the Ministry of Internal Affairs of Georgia. This fact was then skillfully used by Kremlin satellites against the legitimate government of the Republic of Georgia. The Kremlin could not get used to the restoration of Georgia's state independence. With the active support of the Kremlin, a coup d'etat began in Georgia in December 1991, culminating in the overthrow of Georgia's legitimate government.

შესავალი

1990-1992 წლებში „ბოროტების იმპერიის," საბჭოთა კავშირის, რღვევის ბოლო ეტაპი მიმდინარეობდა. საბჭოთა კავშირში მიმდინარე ღრმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა ე. წ. „სოციალისტური ბანაკისა" და საბჭოთა რესპუბლიკებში ეროვნული მოძრაობის აღმავლობა გამოიწვია. კრემლის მესვეურები იძულებული გახდნენ, საერთაშორისო არენაზე დაეთმოთ პოზიციები ცალკეული სტრატეგიული მიმართულებით. მალტის გარიგების საფუძველზე აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნების გარდა რუსული იმპერიული სივრციდან უნდა გასულიყო ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკა: ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი. ამ გარიგებით საბჭოთა ორბიტაზე უნდა დარჩენილიყო ყველა დანარჩენი ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკა, მათ შორის საქართველოც. აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე ეროვნულმა მოძრაობამ და გერმანიის გაერთიანებამ ახალი ბიძგი მისცა ეროვნული მოძრაობის აღმავლობას საბჭოთა რესპუბლიკებში. ამის საწინააღმდეგოდ კრემლმა კარგად ნაცადი მეთოდი აამუშავა, მათ შორის ე. წ. ეთნიკური კონფლიქტები (მთიანიყარაბაღი, დნესტრისპირეთი, სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი და ა. შ.). აქტიურად მუშაობდა იმპერიის მეხუთე კოლონა. საქართველომ თავის თავზე იწვნია რუსი ჯარისკაცების მიერ მშვიდობიანი დემონსტრანტების უმოწყალოდ ხოცვა-ჟლეტა, „სამოქალაქო ომად" მონათლული დაპირისპირება, რომელშიც კრემლი აშკარად იყო ჩართული და იარაღით ამარაგებდა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს. საბჭოთა კავშირის ალტერნატიულ გაერთიანებაში – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანებაზე უარყოფითი პოზიციის გამო, კრემლმა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ძალისმიერი მეთოდით დაამხო.

ნაშრომში თავმოყრილია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მოღვაწეობა 1990-1991 წლებში, გაანალიზებულია უზენაესი საბჭოს მიერ გადადგმული ნაბიჯები საქართველოში სტაბილური ვითარების შესაქმნელად. ასევე, საერთაშორისო არენაზე

წარმატების მისაღწევად და საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტად აღიარებისათვის.

სამწუხაროდ, საქართველო არაერთ წინააღმდეგობას წააწყდა მსოფლიოს მოწინავე საზოგადოების მხრიდან. აღსანიშნავია მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის გაცემული რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც საქართველო რუბლის ზონაში უნდა დარჩენილიყო. ყურადსაღებია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის (უფროსი) შეფასება საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის შესახებ („გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო“). ამ და კიდევ სხვა ფაქტორებმა განაპირობეს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ნაადრევი დასასრული.

სადისერტაციო ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1990 -1992 წწ. პერიოდს, როდესაც მსოფლიოში განვითარებული მოვლენები ელვისებური სისწრაფით ცვლიდნენ მსოფლიო პოლიტიკურ რუკას; დაემხო საბჭოეთის უზარმაზარი იმპერია, გადანაწილდა მისი გავლენის სფეროები, რითაც ისარგებლეს საქართველოს პატრიოტულად განწყობილმა ძალებმა და მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით შეეცადნენ ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენას.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს და აღწეროს, მრავალპარტიული არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს როლი ქვეყნის ძირეული გარდაქმნის პერიოდში; დაუკავშიროს საქართველოში მიმდინარე პროცესები მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკურ პროცესებს; აჩვენოს თუ როგორ გადაიზარდა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური დაპირისპირება სამხედრო გადატრიალებაში. რა რთულ პერიოდში უწევდა მუშაობა საქართველოს უზენაეს საბჭოს.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობა და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში ასახულია მოვლენები, რომლებიც დღესაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნის აწმყოზე. აღნიშნულ პერიოდში წარმოქმნილი პრობლემების შედეგად, საქართველომ დაკარგა ტერიტორის 20%, ქვეყანა წლების მანძილზე ჩაეფლო უძრაობისა და კორუფციის ჭაობში, თითქმის განადგურდა ეკონომიკა, სოციალური დონე მინიმალურ ნიშნულს ქვემოთ აღმოჩნდა, გაჩნდა ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „გაყინული ხელფასი“ და „გაყინული პენსია“, დაიწყო ენერგოკრიზისი, მხოლოდ 2012 წელს შეძლო

ქვეყანამ მშვიდობიანად, არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილება განეხორციელებინა. ისტორიის მაგალითების გასათვალისწინებლად საჭიროა აღნიშნული პერიოდის ფუნდამენტურად შესწავლა, რაც მნიშვნელოვნად გამოადგება როგორც ახლანდელ, ისე მომავალ თაობებს.

კვლევის მეთოდოლოგია. სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროები: კვლევისას გამოყენებული იქნა: საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები; მიღებული კანონები; ფონდებში დაცული უზენაესი საბჭოს, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები, დადგენილებები, ბრძანებულებები; საქართველოს პარლამენტის ეროვნულ და სამეცნიერო ბიბლიოთეკებში დაცული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამოცემები - უზენაესი საბჭოს უწყებები 1990 წლის ნოემბრიდან 1991 წლის დეკემბრის ჩათვლით; იმდროინდელ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ოფიციალური მასალები; სამეცნიერო ლიტერატურა; ინტერნეტრესურსები.

თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დიმიტრი შველიძის მონოგრაფიული ნაშრომი „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წ.წ.)," რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი აღნიშნული პერიოდის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება. განხილულია პოლიტიკური დაპირისპირების წარმოშობის მიზეზები, დაპირისპირების გამწვავების და ეროვნული ხელისუფლების დამხობის განმსაზღვრელი ფაქტორები. ასევე მნიშვნელოვანი ნაშრომია მზია ხოსიტაშვილის მიერ შედგენილი „საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები." აღნიშნულ თემას ეხება ოთარ ჯანელიძის, მანანა დარჩაშვილის, თეიმურაზ ქარელის, მალხაზ მაცაბერიძის, მერაბ ვაჩნაძის, მიხეილ სალუაშვილის და სხვათა ნაშრომები. გვინდა გამოვყოთ ნათელა ვაჩნაძისა და ნინო თომაძის ნაშრომი „დამარცხებული საქართველო (თბილისის 1991-

1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები),“ რომელშიც თავმოყრილია აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური მოვლენების მონაწილეთა ინტერვიუები.

თავი I

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები

§1. პოლიტიკური პარტიები და მათი ბრძოლა ერთპარტიული არჩევნების წინააღმდეგ

1990 წლის 25 მარტს დანიშნული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რომელიც საბჭოთა საარჩევნო კანონმდებლობით უნდა ჩატარებულიყო, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ დეპუტატობის ყველა კანდიდატი წარდგენილი იქნებოდა კომუნისტური პარტიიდან და, შესაბამისად, არჩეულნიც ამავე პარტიის წარმომადგენლები იქნებოდნენ. ამიტომ ამ კანონს „უპარტიო არჩევნების კანონს“ უწოდებდნენ. 1990 წლის არჩევნებზე საუბრისას, საჭიროა თვალი მივადევნოთ მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. ამ პერიოდში ქვეყანაში მკვეთრად გაფართოვდა ეროვნული მოძრაობა, ხალხმა აიტაცა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. მართალია, აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნებოდა, მაგრამ ოპოზიცია ჯერ კიდევ არ იყო მკვეთრად დაპირისპირებული ერთმანეთთან და ეროვნული მოძრაობის საქმისათვის გაერთიანების შანსს ინარჩუნებდა. საქართველოს ეროვნული მოძრაობის მიერ ორგანიზებულ იქნა უამრავი საპროტესტო მიტინგი და გამოსვლა, რომლებიც ხალხის ფართო მასების აქტიური მხარდაჭერით მიმდინარეობდა. აქციები ეწყობოდა 25 მარტის საბჭოთა ერთპარტიული არჩევნების ჩასაშლელად. ე. წ. „არაფორმალებმა“ გადაწყვიტეს გამოეყენებინათ მათ ხელთ არსებული ბერკეტები: მიტინგები, გაფიცვები, პიკეტირება. მაგალითად, ქ. სამტრედიაში, რომელიც რუსეთისაკენ მიმავალი მატარებლების საკვანძო-სალიანდაგო ცენტრს წარმოადგენდა, ოპოზიციამ გადაკეტა რკინიგზის მაგისტრალი, რის შედეგადაც შეჩერებულ იქნა როგორც სატვირთო, ასევე სამგზავრო მატარებლების მოძრაობა. აქციას ხელმძღვანელობდა ქ. სამტრედიის წმ. ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური. პარალელურად, თბილისში, რუსთაველის გამზირზე

მრავალათასიანი მიტინგიც შედგა. მსგავსი ძალისხმევის შედეგად მიღწეულ იქნა შედარებით დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღება. საქართველოს კომპარტია იძულებული გახდა, დათანხმებულიყო ქვეყანაში მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები, შეიცვალა მეექვსე მუხლი. თუ მანამდე რესპუბლიკის კონსტიტუციის ამ მუხლში კომუნისტური პარტიის ერთადერთობასა და მის განუმეორებელ ძალაზე იყო საუბარი, ცვლილების შემდეგ აღნიშნული მუხლი ასეთი რედაქციით გამოქვეყნდა: „საქართველოს კომუნისტური პარტია, სხვა პოლიტიკური პარტიები, აგრეთვე პროფკავშირული, ახალგაზრდული, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მასობრივი მოძრაობები სახალხო დეპუტატთა საბჭოებში არსებული თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით და სხვა ფორმებით, თანაბარ საფუძველზე მონაწილეობენ სახელმწიფოს პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში.“ [1] ორგანიზაცია „დასის“ წევრებმა“ (რეზო შავიშვილი, ვახტანგ ხმალაძე, ავთანდილ დემეტრაშვილი და სხვ.) მოახერხეს, დაერწმუნებინათ იმდროინდელი ხელისუფლება, შეეტანათ ცვლილებები საარჩევნო კანონში, ანუ ჩაეტარებინათ მრავალპარტიული არჩევნები. დეპუტატობის კანდიდატები უნდა აერჩიათ არა მარტო კომუნისტური პარტიის რიგებიდან, არამედ სხვადასხვა საწარმო-დაწესებულებებიდან, „შრომითი კოლექტივებიდან და საზოგადოებრივი გაერთიანებებიდან“. [2] ამრიგად, არსებული ხელისუფლება იძულებული გახდა, შეეცვალა საარჩევნო კანონმდებლობის ის უმნიშვნელოვანესი ასპექტები, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის მიერ დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობას ქართული ეროვნული ძალებისათვის მისაღებს გახდიდა.

ქართული ოპოზიციური სპექტრის მიდგომა უზენაესი საბჭოს არჩევნების მიმართ მკვეთრად განსხვავებული იყო. ზომიერი ოპოზიცია – „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“,

---

[1] **დიმიტრი შველიძე**, პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წ.წ.), თბილისი, 2008, გვ. 76-77.

[2]**იაგო ხვიჩიას** გადაცემა, საქართველოს დაბადება. **ვახტანგ ხმალაძის** ისტორია.

https://www.youtube.com/watch?v=6v9ebCJF94k&t=889s

„სახალხო ფრონტი“, „შოთა რუსთაველის საზოგადოება“, „საქართველოს მთიელთა პოლიტიკური კავშირი“, სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი“, „მწვანეთა პარტია“, „საქართველოს დემოკრატიული კავშირი“, „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი“ „ლიტვურ გზას“ არჩევდა და საქართველოსთვის დამოუკიდებლობის მოპოვებას ხელისუფლების მიერ დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობას, გამარჯვებას და, აქედან გამომდინარე, პარლამენტარიზმის გზით ამჯობინებდა.

რას ნიშნავს „ლიტვური გზა“? ლიტვამ (ლიეტუვა) გამოიყენა გორბაჩოვისეული „პე-რესტროიკის“ კურსი, ქვეყანაში ჩაატარა საბჭოთა არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა ქვეყნის მოწინავე (კომუნისტურმა) ინტელიგენციამ, რომლებიც ამავე დროს ლიტვის დამოუკიდებლობის მოსურნე და ეროვნული ოპოზიციური ორგანიზაციის „საიუდისის“ წევრები იყვნენ. ახლად არჩეულ უმაღლეს საბჭოში დეპუტატების უდიდეს უმრავლესობას უკვე ისინი შეადგენდნენ. შედეგად, მალევე, 1990 წლის 11 მარტს, ლიტვის უმაღლესმა საბჭომ ისარგებლა სსრ კავშირის კონსტიტუციის 72-ე მუხლით, რომლის საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკებს შეეძლოთ დაეტოვებინათ საბჭოთა კავშირის შემადგენლობა და დამოუკიდებლობის აქტი მიეღოთ.[3] საქართველოში რადიკალური შეხედულების ოპოზიციური პარტიები გაერთიანებული იყვნენ „ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში“, რომლებიც, თავისი ლიდერების ავტორიტეტის წყალობით, წამყვან პოზიციას იჭერდნენ ქართულ ოპოზიციურ სპექტრში. ისინი წინააღმდეგი იყვნენ აღნიშნულ არჩევნებში მონაწილეობისა და ე. წ. „ლიტვური გზისაც“. ეს პარტიებია: 1. „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“, 2. „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, 3. „მონარქისტული პარტია“, 4. „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“, 5. „საქართველოს დემოკრატიული პარტია“, 6. „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია“, 7. „საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაცია“, 8. „საქართველოს ღირსების კავშირი,“ 9. „ეროვნული სამართლიანობის პარტია“. მათი აზრით, სწორი იქნებოდა, თუ საქართველო წავიდოდა მაჰათმა განდის ეროვნული დაუმორჩილებლობის გზით. ამისათვის კი აუცილებელი იყო 25 მარტს დანიშნული არჩევნების ჩაშლა.

[3]**დიმიტრი შველიძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

რადიკალურმა ოპოზიციამ არჩევნებს ბიოკოტი გამოუცხადა და იგივე მოსთხოვა მოსახლეობასაც.

1990 წლის 13-15 მარტს ფილარმონიაში ჩატარდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია, რომელზეც მიწვეული იყო ქვეყანაში არსებული ყველა პოლიტიკური პარტია, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები როგორც დედაქალაქიდან, ასევე რაიონებიდან. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: წმ. ილია მართლის საზოგადოება, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, მერაბ კოსტავას საზოგადოება, თეთრი გიორგის კავშირი, მონარქისტული პარტია. კონფერენციას უძღვებოდნენ ზვიად გამსახურდია (თავმჯდომარე), ირაკლი წერეთელი და თენგიზ სიგუა. კონფერენციაზე მრავალი საკითხი განიხილეს, მოუსმინეს მრავალ გამომსვლელს, იკამათეს სტრატეგიულ თემებზე. საბოლოოდ კონფერენციამ მიიღო დადგენილება და რამდენიმე რეზოლუცია.[4] დადგენილებაში ვკითხულობთ:

1. „საქართველოს განესაზღვროს ოკუპირებული, ანექსირებული, სუვერენიტეტწართმეული, უცხო ქვეყნის შეიარაღებული აგრესიის ქვეშ მყოფი ქვეყნის სტატუსი.

2. საქართველოს ე. წ. სსრ იურიდიულად, როგორც მოკავშირე სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, მიჩნეულ იქნას ფიქციად...

3. ... მოხდეს ადგილობრივი კომპარტიის თვითლიკვიდაცია.

4. არამც და არამც არ იქნას მიჩნეული საქართველოს ე. წ. სსრ უზენაესი საბჭო ქართველი ერის... ნების გამომხატველ იურიდიულ ორგანოდ. 1990 წლის 25 მარტის საქართველოს ე. წ. სსრ უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებს გამოეცხადოს სრული ბოიკოტი.

5. ... არჩეულ იქნას ... კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლება, რომელიც ... საერთაშორისო სამართლის წინაშე მთელი სიმწვავით, რეალურ დონეზე დასვამს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს.

---

[4] საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, N 30, 1990, 17 მარტი, გვ. 1.

6. პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნას ეროვნული ფორუმი.“ საგანგებო კონფერენციამ 15 მარტს მიიღო ექვსი რეზოლუცია.

I რეზოლუცია ეხება საქართველოდან საბჭოთა არმიის ნაწილების გაყვანას და ქართველი ახალგაზრდების საბჭოთა არმიის რიგებში არ გაწვევას.

II რეზოლუცია – არჩევნებზე მისულმა მოქალაქემ ბოიკოტი გამოუცხადოს არჩევნებს თავისი მონაცემების ამოშლით და რეგისტრაციაში დაფიქსირებით.

III რეზოლუცია შეეხება მოთხოვნას ემიგრანტების მიმართ, აქტიურად ჩაებან ეროვნულ მოძრაობაში.

IV რეზოლუცია ქართული ეროვნული სამხედრო (იუნკერთა) სასწავლებლის შექმნის შესახებ.

V რეზოლუცია ეხება დემოგრაფიულ ექსპანსიას – უკანონო მოსახლეობის მიერ ქართული მიწების უკანონოდ მიტაცების თუ სხვა უკანონობის მიმართ ზომების მიღებას.

VI რეზოლუცია ეხება მოთხოვნას კომკავშირული ორგანიზაციის გაუქმების შესახებ.[5]

სულ მალე, 1990 წლის აპრილის ბოლოს, ეროვნულ ფორუმს გამოეყო 4 პოლიტიკური პარტია: „ჰელსინკის კავშირი“, „მერაბ კოსტავას საზოგადოება“, „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“ და „მონარქისტული პარტია“ და ამავე წლის 7 მაისს შეიქმნა ახალი პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო.“ მასში შემავალმა პარტიებმა გადახედეს თავის პოზიციას და არჩევნებში მონაწილეობა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად სამართლებრივი საფუძვლების შექმნა არჩიეს.

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ძალების ზეწოლის შედეგად საქართველოს სსრუმაღლესმა საბჭომ ქვეყანა გამოაცხადა დაპყრობილად და ანექსირებულად, გააუქმა 1921 წლიდან დადებული ყველა საბჭოთა ხელშეკრულება, შეიტანა ცვლილებები კონსტიტუციაში, საარჩევნო კოდექსში, გადაიტანა არჩევნების თარიღი. ხელისუფლება არ არბევდა ქვეყანაში მომრავლებულ მიტინგებს და

[5] საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციაზე მიღებული დადგენილება და რეზოლუციები. 1990 წლის 15 მარტი. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, N 30, 1990, 17 მარტი, გვ. 2-3.

გამოსვლებს, ატარებდა შეხვედრებს არარეგისტრირებულ, არაფორმალურ გაერთიანებებთან, თითქოს ცოტაც და გამოაცხადებდა დამოუკიდებლობას...

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა, ერთი მხრივ, ასრულებდა ცენტრის მითითებებს და მეორე მხრივ, კარგად ხედავდა 9 აპრილის მოვლენების შედეგად გამოწვეულ საკუთარ პოლიტიკურ სისუსტეს – დაბალ საარჩევნო რეიტინგს. მდგომარეობის გამოსასწორებლად კი გარკვეული დრო ესაჭიროებოდა. ამასთანავე, ოპოზიციის რიგებში „რატომღაც“ ვერ ხერხდებოდა ყველასათვის მისაღები საერთო სტრატეგიის შემუშავება, მწვავდებოდა აზრთა სხვადასხვაობით გამოწვეული დაპირისპირება, რომელიც სულ უფრო და უფრო მკვეთრად დაძაბულ ხასიათს იღებდა.

ამ გარემოებების გამო კომპარტიისათვის მიზანშეწონილი იყო არჩევნების თარიღის გადაწევა. 9 აპრილმა შეცვალა ქართველი ერის ცნობიერება, გაიზარდა მოსახლეობის პოლიტიკური აქტივობა, ამიტომ ხელისუფლება მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით მდგომარეობას ვერ გამოასწორებდა და უზენაესი საბჭოს არჩევნების მარტიდან ოქტომბერში გადატანა მმართველი პარტიის ინტერესებშიც შედიოდა.

არჩევნების ჩატარება ოქტომბრის თვეში დაიგეგმა. პირველად კომუნისტური მმართველობის პერიოდში დაშვებულ იქნა მრავალპარტიული არჩევნები და საარჩევნო კომისიებიც შესაბამისად იქნა დაკომპლექტებული.

„მრგვალი მაგიდის“ მხრიდან კანონპროექტზე „უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მუშაობდნენ ვახტანგ ხმალაძე, რეზო შავიშვილი და სხვები, რომლებმაც ამგვარად ჩამოაყალიბეს კანონპროექტი: უზენაეს საბჭოში შევიდოდა მხოლოდ პროპორციული სისტემით არჩეული 200 დეპუტატი, კომუნისტური პარტიის პროექტის მიხედვით კი მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით 300 დეპუტატი უნდა შესულიყო. დავა გადაწყვიტა ზემოხსენებულმა ქ. სამტრედიის პიკეტირებამ. უმაღლესი საბჭოს სესიაზე შეთანხმდნენ, რომ უზენაეს საბჭოში შევიდოდა 125 პროპორციული და 125 მაჟორიტარული სისტემით არჩეული დეპუტატი. [6] ეროვნული ფორუმის შემადგენლობაში დარჩენილმა პარტიებმა გადაწყვიტეს გაერთიანებულიყვნენ „ეროვნული კონგრესის“ სახელით ისეთ კოალიციურ ოპოზიციურ ხელისუფლებად, რომელიც ფორუმის მეხუთე დადგენილებით იყო მიღებული. ეროვნული კონგრესის

[6] არჩევნების ისტორია: **ზვიად ძიძიგური**. რადიო „თავისუფლება“, ვიდეოინტერვიუ, 27 ოქტომბერი, 2020. https://www.radiotavisupleba.ge/a/არჩევნების-ისტორია-ინტერვიუ-ზვიად-ძიძიგური//30915803.html

არჩევნების ჩატარებას ხელმძღვანელობას გაუწევდა არჩევნების საკოორდინაციო ცენტრი, რომლის განცხადებით, კონგრესი იქნებოდა ერთადერთი სამართლიანი და უფლებამოსილი ორგანო, რომელიც იბრძოლებდა საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ საქართველოში და დამოუკიდებლობას მოუტანდა ქვეყანას. დასაწყისისთვის გადაწყდა, მოეწვიათ ყრილობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა ქვეყანაში არსებული ყველა პარტია და ორგანიზაცია, მათ შორის „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო და სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობის ქართული კორპუსი“.[7] ყრილობის მოსამზადებელ სხდომაში მონაწილეობდნენ შემდეგი პარტიები: 1. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; 2. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია; 3. საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი; 4. საქართველოს დემოკრატიული პარტია; 5. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება; 6. საქართველოს ეროვნულ-სოციალური პარტია; 7. საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინების პარტია; 8. მეოთხე დასი; 9. საქართველოს რესპუბლიკური პარტია; 10. საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტია; 11. საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია; 12. საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ლიგა; 13. საქართველოს ინვალიდთა ასოციაცია; 13. საქართველოს „მხედრიონი“; 14. საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული ახალგაზრდული ასოციაცია; 15. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია; 16. სადროშო „ლემი“; 17. თბილისის პოლიტიკური კლუბი; 18. საქართველოს თავისუფალ მეტალურგთა კავშირი;
19. ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება; 20. წმიდა დავით აღმაშენებლის ასოციაცია; 21. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია; 22. ასოციაცია „ჯავახეთი“; 23. თავისუფალი პროფკავშირები; 24. ოსური ასოციაცია „სიმართლე“; 25. დავით გარეჯელის საზოგადოება; 26. საქართველოს მხატვართა კავშირი.

ყრილობა გაიხსნა 1990 წლის 23 მაისს სპორტის სასახლეში, რომელიც სამი დღე მიმდინარეობდა. ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დალოცა მონაწილენი. ყრილობაზე გადაწყდა ეროვნული კონგრესის არჩევნების ჩატარება იმავე წლის 30 სექტემბერს.

---

[7] საქართველოს ეროვნული ფორუმისა და ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრის განცხადება საქართველოს ეროვნული ყრილობის შესახებ. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, N 54, 1990, 19 მაისი, გვ. 4.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საარჩევნო კანონი 1990 წლის 23 აგვისტოს დაიბეჭდა და გამოქვეყნდა ახალგაზრდულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“. კანონი „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ შედგება 10 თავისა და 61 მუხლისაგან.

„უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის ცვლილებით ახლად არჩეული უზენაესი საბჭო იწოდებოდა როგორც საქართველოს უზენაესი საბჭო და არა როგორც საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, რაც აღნიშნულ იქნა „მრგვალი მაგიდის“ წინასაარჩევნო პროგრამაში.[8] კანონის თანახმად, კომუნისტურ პარტიასთან ერთად, სხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც მიეცათ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენის უფლება. კანონი უზრუნველყოფდა დეპუტატთა არჩევის საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ, ფარულ საარჩევნო უფლებას. ეროვნული მოძრაობის მცდელობით, საარჩევნო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები, მაგალითად, სამხედროებისათვის (რომლებიც საქართველოს იურისდიქციის მიღმა იყვნენ) ხმის უფლების ჩამორთმევა.

საარჩევნო კანონით, არჩევნებში მონაწილე პარტიებს საარჩევნო ბლოკებად გაერთიანების უფლება მიეცათ. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო არჩევნებში მონაწილე დამოუკიდებელი კანდიდატების, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების საარჩევნო ხარჯების დაფინანსება. ამასთან ერთად, საარჩევნო სუბიექტებს მიეცათ დაფინანსების საკუთარი წყაროების მოძიებისა და საარჩევნო ფონდის შექმნის უფლება, რომლის მოცულობაც არ უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის ოთხმაგ ოდენობაზე მეტი. ამავე კანონის საფუძველზე შეიქმნა ახალი ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც იყო არა ერთპარტიულ-კომუნისტური, არამედ პარიტეტული, სხვადასხვა პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარი ორგანო, რომელიც უხელმძღვანელებდა საქართველოში არჩევნების ჩატარებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კანონი დეპუტატობის

---

[8] საარჩევნო ბლოკის **„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“** პოლიტიკური და ეკონომიკური პლატფორმა. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, N 42, 1990, 19 ოქტომბერი, გვ. 10.

კანდიდატთა ხელშეუხებლობის გარანტიას იძლეოდა: (თავი VII, მუხლი 47): „დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დააპატიმრონ ან დაადონ ადმინისტრაციული სახდელი სასამართლო წესით, თუ არ იქნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობა.“[9]

§ 2. საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა

გთავაზობთ საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ წინასაარჩევნოდ შემუშავებულ პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამას:

საქართველოს უზენაესი საბჭოს საარჩევნო კანონის მოდერნიზება თანამედროვე დემოკრატიული პრინციპების მიხედვით; დეკლარაციის მიღება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების უკანონოდ ცნობისა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სსრკ-ის და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მოქმედების შეწყვეტის შესახებ; დეკლარაცია საქართველოს სსრ სახელწოდების, სახელმწიფოს სიმბოლიკის შეცვლისა და გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის დროებით შეჩერებული კონსტიტუციის საფუძველზე გარდამავალი პერიოდის ძირითადი კანონის შემუშავების შესახებ დადგენილების მიღება;

1921 წლის 16 თებერვლის შემდეგ საქართველოს უკანონო ხელისუფლების მიერ დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულებების ბათილად ცნობის შესახებ დადგენილების მიღება;

„გარდამავალი პერიოდი დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელ საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციები ცნობენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, რის შედეგადაც დაინიშნება თავისუფალი საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული არჩევნები“.

---

[9] კანონი საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. გუმბარიძე.** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.** თბილისი. 1990 წლის 18 აგვისტო. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, N 90, 1990, 23 აგვისტო, გვ. 1-6.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მისი დაცვა: საქართველოს მიწის, საჰაერო სივრცის, წყლის რესურსების, კონტინენტური შელფისა და წიაღისეულის ეროვნულ საკუთრებად გამოცხადების შესახებ; სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრების შესახებ; საბაჟო სამსახურის შესახებ; სატრანზიტო ტვირთზიდვის შესახებ; ეროვნული საჯარისო ფორმირებების შესახებ; საქართველოში საბჭოთა არმიის ნაწილებისათვის უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალის სტატუსის მინიჭების შესახებ; ეროვნული უშიშროების სამსახურის შესახებ;

ადამიანის უფლებათა დაცვა და მოქალაქეობრივი შემწყნარებლობა: სახელმწიფო ენის შესახებ; მოქალაქეობის შესახებ; მოქალაქეთა უფლებრივი და პოლიტიკური გარანტიების შესახებ; ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკურ-სამართლებრივი გარანტიების შესახებ; იმიგრაციის შესახებ; სინდისის თავისუფლების შესახებ; რელიგიური ორგანიზაციების შესახებ; პოლიტიკური პარტიების შესახებ; მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ; ფართო მასშტაბის ამნისტიის გატარებისა და სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხი;

სამოკავშირეო ხელშეკრულება: საბჭოთა იმპერიული სახელმწიფო სტრუქტურების დემონტაჟი და ახალი დემოკრატიული სტრუქტურების შექმნა; საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს დეიდეოლოგიზაცია; დადგენილება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა სრული გამიჯვნის შესახებ; კანონი სასამართლო სისტემის რეფორმის შესახებ (ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება); კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ; კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმების შესახებ (მუნიციპალური არჩევნების გზით); დადგენილება აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების შექმნის შესახებ; დადგენილება ეროვნული პოლიციის შექმნის შესახებ; განათლების სისტემის რეფორმა; კანონი ბუნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ;

ეკონომიკური ნაწილი: საგარეო ეკონომიკური კავშირები; შრომის ანაზღაურება

და სოციალური გარანტიები; ფასების პოლიტიკა; ტრანსპორტი; სოციალური ინფრასტრუქტურა; ტურიზმი. საგადასახადო სისტემა; საბანკო სისტემა და ფულად-საკრედიტო მიმოქცევა; სოფლის მეურნეობა; მრეწველობის სტრუქტურული გარდაქმნა; ენერგეტიკა. როგორც ვხედავთ, პოლიტიკურ ბლოკს – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, საარჩევნოდ წარმოდგენილი ჰქონდა პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა, რომლის განხორციელებასაც აპირებდა არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში. პროგრამაში ვრცლად იყო წარმოდგენილი ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარების შესაძლებლობები: მრეწველობაში, ენერგეტიკის სფეროში, სოფლის მეურნეობაში, ტურიზმის სფეროში, ცვლილებები საფინანსო სისტემაში, საგადასახადო და საბანკო სფეროში და ა. შ.

ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპი მდგომარეობდა ქართული ეკონომიკის გათავისუფლებაში სოციალისტური სისტემის მარწუხებიდან და თავისუფალ, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ სამეურნეო ურთიერთობაზე მის გადაყვანაში, ოღონდ ზოგიერთ საწარმოებზე სახელმწიფო კონტროლის შენარჩუნებით. პროგრამაში ასევე ვკითხულობთ: საქართველომ უნდა მოითხოვოს საკუთარი წილის შესაბამისი კომპენსაცია საბჭოთა კავშირისაგან და თავის ტერიტორიაზე არსებული საკავშირო საწარმოები და დაწესებულებები ქვეყნის საკუთრებად გამოაცხადოს.

ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების საბჭოთა სოციალისტური სისტე-მიდან თავისუფალ დემოკრატიულ რელსებზე უმტკივნეულოდ და შეუფერხებლად გადასასვლელად, პროგრამის მიხედვით, აუცილებელი იყო გარდამავალი პერიოდი, რომლის დროსაც ქვეყანას უნდა მიეღო საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტების მიერ საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური სუვერენიტეტის „დე ფაქტო“ და „დე იურე“ აღიარება. ამასობაში კი დემოკრატიულ პრინციპებთან შესაბამისობაში უნდა მოეყვანა საკუთარი კონსტიტუცია და შეექმნა სახელმწიფო მართვის დემოკრატიული ინსტიტუტები, ერთმანეთისაგან გაემიჯნა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, მოეხდინა მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაცია. ეკონომიკური მიმართულებით უნდა შეექმნა საბანკო-საფინანსო სისტემა, მოეწესრიგებინა საბაჟო-საგადასახადო კანონმდებლობა, შეექმნა სავალუტო რეზერვები, შემოეღო ეროვნული ვალუტა. ამ და სხვა ამოცანების შესასრულებლად

ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ მიერ შემდეგი ამოცანები დაისახა:

1. საგარეო ეკონომიკური კავშირები (მოლაპარაკებები და კონსულტაციები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ფონდებთან, ბანკებთან. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. სსრ კავშირიდან გადმოცემული ძვირფასი ლითონებისა და უცხოური ვალუტის ნაწილის შეტანა უცხოურ ბანკებში, რათა დამოუკიდებელ საქართველოს ჰქონოდა მინიმალური მარაგი. გაიგზავნოს კადრები საზღვარგარეთ მარკეტინგისა და მენეჯმენტის შესასწავლად და ა. შ.).

2. შრომის ანაზღაურება და სოციალური გარანტიები (მოქალაქეთა დასაქმება, სიღატაკის დაძლევა, სოციალური პირობების გაუმჯობესება. პროგრამები, რომელთა საფუძველზე მოქალაქეებს შეეძლებათ ჯანდაცვის, განათლების და სხვა მომსახურებათა მინიმუმით უფასოდ სარგებლობა; საცხოვრებელი და ხელფასის მინიმუმის განსაზღვრის აუცილებლობა; შეიქმნას დასაქმების საბირჟო სამსახური, რომელიც დაეხმარება მოქალაქეებს სამუშაოს პოვნაში).

3. ფასების პოლიტიკა (სახელმწიფომ უნდა შექმნას მექანიზმი, რათა ყოველდღიური მოხმარების საქონელზე შეინარჩუნოს ფასები, რისთვისაც აუცილებელია დაიცვას და განავითაროს საშინაო ბაზარი; შემდგომში თავისუფალი ფასწარმოქმნა ხელს შეუწყობს კონკურენციის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, წარმოების ხარისხის გაუმჯობესებას გამოიწვევს).

4. საგადასახადო სისტემა (გადასახადი უნდა გადაიხადოს ყველა დასაქმებულმა მოქალაქემ (მხოლოდ მათი დეკლარაციის საფუძველზე) და მოქმედმა საწარმო-დაწესებულებებმა. არ დაიბეგრება ეკლესია და შემოსავლები საქველმოქმედო ღონისძიებებიდან, დაწესდება შეღავათები სტუდენტებზე, მრავალშვილიან და მცირეშემოსავლიან ოჯახებზე, გადასახადები სატრანსპორტო საშუალებებზე. საბაჟო, სატრანზიტო და საკურორტო გადასახადებით დაიბეგრებიან ფიზიკური და იურიდიული პირები ძრავის სიმძლავრის, ტვირთის გადაზიდვის თუ სხვა ნებისმიერი ქმედების მიხედვით კანონის შესაბამისად. საქართველოს ბიუჯეტში შემოსული ყველა გადასახადი, ადგილობრივი თუ რესპუბლიკის, უნდა განკარგოს უზენაესმა საბჭომ).

5. საბანკო სისტემა და ფულად-საკრედიტო მიმოქცევა (უნდა შეიქმნას და ქვეყნის უზენაეს საბჭოს დაექვემდებაროს ორიარუსიანი საბანკო სისტემა: ცენტრალური ეროვნული ბანკი, რომლის წესდებას და გამგეობის თავმჯდომარეს დანიშნავს უზენაესი საბჭო. ის შეასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში (ვალუტის კურსის განსაზღვრა, კომერციული ბანკების ზედამხედველობა, ფულადსაკრედიტო მიმოქცევის მართვა და სხვ.). ქვეყნის ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია ეროვნული ვალუტის გარეშე. ამიტომ, აუცილებელია ეროვნული ფულის ერთეულის შემოღება, რითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკური რეფორმის გატარება – განვითარდეს საბანკო სექტორი, ჩატარდეს პრივატიზაცია, დამკვიდრდეს თავისუფალი წარმოება და ა. შ.).

6. დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა.

7. მრეწველობის სტრუქტურული გარდაქმნა (თავდაპირველად ყურადღება მიექცეს მრეწველობის იმ დარგების განვითარებას, რომლებიც მუშაობენ ჩვენსავე ქვეყანაში არსებული ნედლეულით; ასევე, ის დარგები, რომლებსაც გააჩნიათ საერთაშორისო ბაზარზე მუშაობის გამოცდილება; მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ არსებული სათბობ-ენერგეტიკული ბაზა, დავნერგოთ მზის, ქარის და სხვა განახლებადი ენერგოობიექტები. აშენდეს მცირე ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მაღალმთიანი რეგიონების განვითარებას; ხელი უნდა შეეწყოს ისეთი დარგების განვითარებას, როგორებიცაა მანქანათმშენებლობა, საშუალო და მცირე ზომის საწარმოები, შავი და ფერადი მეტალურგია. საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებამ უნდა გამოიწვიოს მასშტაბური მშენებლობები; როგორც საზღვაო სახელწიფომ, უნდა განვავითაროთ თევზის მრეწველობა; მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს მსუბუქი მრეწველობის დარგების: მატყლის, აბრეშუმის პარკის, შალის, ტყავის წარმოების განვითარებას).

8. სოფლის მეურნეობა (სოფლის მეურნეობაში უნდა დაინერგოს კერძო მეწარმეობა, ქვეყნის ყველა კუთხეში კლიმატური პირობების გათვალისწინებით უნდა განვითარდეს შესაბამისი დარგები: მარცვლოვანი, თავთავიანი, პარკოსანი კულტურები; მეხილეობა, მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, მეცხოველეობა. უნდა აღდგეს მევენახეობის

ძირძველი ჯიშები, გაუთანაბრდეს საერთაშორისო სტანდარტებს, რომ იგი ქართველი ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების წყარო გახდეს.

9. ტრანსპორტი (ვინაიდან, საქართველო საზღვაო ქვეყანაა, მას უნდა გააჩნდეს საკუთარი საზღვაო ტრანსპორტი, ასევე მნიშვნელოვანია საჰაერო ტრანსპორტის განვითარება. ისინი ხელს შეუწყობენ საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების დამყარებას; სარკინიგზო ტრანსპორტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსთვის, ამიტომ რეკონსტრუქცია უნდა ჩაუტარდეს სამგზავრო და სატვირთო მატარებლებს, ლიანდაგებს, სადგურებს).

10. სოციალური ინფრასტრუქტურა (ხელი უნდა შეეწყოს ტურიზმის განვითარებას, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი მოქალაქეებისთვის, ასევე მსოფლიოსათვის – გაიცნონ უძველესი წარსულისა და ისტორიის ქვეყანა, რაც, თავის მხრივ, უცხოური ვალუტის მოზიდვასაც განაპირობებს; უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს განათლებას. შეიქმნას ეროვნული პროგრამა, რომელიც განავითარებს შემოქმედებითობას, კრეატიულობას და სხვა თვისებებს. გადამზადდეს კადრები. საგანმანათლებლო სისტემა და ჯანდაცვის სფერო აღიჭურვოს თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, გაიგზავნონ ახალგაზრდები სასწავლებლად საზღვარგარეთ; მოზარდი ახალგაზრდობის ფიზიკური ჯანმრთელობისთვის ყურადღება მიექცეს სპორტის განვითარებას; მოსახლეობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს საყოფაცხოვრებო მომსახურებითა და პროფილაქტიკური და სადაზღვევო მედიცინით).

11. კულტურა (სახელმწიფოს უდიდესი როლი აკისრია ერის სულიერ განვითარებაში, აქედან გამომდინარე, ხელისუფლება ხელს უნდა უწყობდეს თეატრისა და კინოს განვითარებას, ეკლესიის აღორძინებას და გაძლიერებას, მაგრამ ამავე დროს, უნდა შეინარჩუნოს აღმსარებლობის თავისუფლება).

წინასაარჩევნო პროგრამაში „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ გარდამავალ პერიოდში დაუშვებლად მიიჩნევდა რომელიმე სახელმწიფოსთან, მათ შორის საბჭოთა კავშირთან, სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებას, ვინაიდან თვლიდა, რომ მსგავსი ტიპის ხელშეკრულებები იდება მხოლოდ თანასწორუფლებიან მხარეებს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ მიერ წინასაარჩევნოდ გამოქვეყნებული პროგრამა, უზენაესი საბჭოს არსებობის დროის იმ მცირე მონაკვეთში და საგარეო თუ საშინაო მწვავე პრობლემების მიუხედავად, ყოველმხრივ შეზღუდულ პირობებში, არსებული მწირი შესაძლებლობების ეფექტური გამოყენებით, მაქსიმალურად იქნა შესრულებული.

§ 3. საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა

საინტერესოა წინასაარჩევნოდ, საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ მომზადებული ეროვნული განვითარების კონცეფცია:

1. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარება

1.1. ... საქართველოს კომუნისტური პარტია... რესპუბლიკის ეროვნული განვითარების კონცეფციას საფუძვლად უდებს თავისუფლებისაკენ მისწრაფებაში გამოხატულ ერის თვითშეგნებას და თავის უმაღლეს მიზნად და ამოცანად ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვითგამორკვევის უზრუნველყოფა მიაჩნია;

1.2. ... ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრების ხელშეუხებლობა... საქართველოს განუყოფელი ნაწილია მის ტერიტორიაზე შექმნილი ავტონომიური ფორმირებები... მოქმედი კონსტიტუციის ფარგლებში საქართველოს სსრ დამოუკიდებლად განაგებს თავის საშინაო საქმეებს. იგი არ დაუშვებს როგორც რესპუბლიკის სუვერენული უფლებების, ისე მასში შემავალი ავტონომიური ფორმირებების ინტერესების ხელყოფას, მათ საშინაო საქმეებში გარეშე ძალის ჩარევას.

1.3. ისტორიული სიმართლის აღდგენა – 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის, 1921 წ. 25 თებერვლის მოვლენების, 1918-21 წწ. საქართველოს ხელისუფლების მოღვაწეობის და ამავე პერიოდში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შეფასება. ეროვნული სიმბოლიკის საკითხების გადაწყვეტა.

1.4. კონცეფციის მთავარი მიზანია რესპუბლიკის სუვერენიტეტის მოპოვება ეტაპობრივად სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების მომწიფების კვალობაზე. საბჭოთა კავშირში რეალური ფედერალიზმიდან სახელმწიფოებრიობის უფრო მაღალ, სრულყოფილ ფორმებზე ეტაპობრივ გადასვლაში.

1.5. დასახული მიზნების შესაბამისად... რესპუბლიკებს შორის დაიდოს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება სსრ კავშირში მათი გაერთიანების შესახებ... საქართველოს სსრ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები თანასწორუფლებიანობის საფუძველზე დაამყარებენ ურთიერთობას სსრ კავშირის უმაღლეს ორგანოებთან თავდაცვითი და საგარეო-პოლიტიკური საკითხების, ექსტრემალური ვითარებისათვის მატერიალური, საფინანსო, სადაზღვევო და სხვა მარაგების საერთო-საკავშირო სისტემის შექმნისა და მთელი ქვეყნისთვის სხვა უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.

1.6. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მთელი ეროვნული სიმდიდრე, საკუთრების ნებისმიერი ფორმით, წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკის საკუთრებას.

1.7. ... ხორციელდება ღონისძიებები რესპუბლიკის სამართლებრივ სახელმწიფოდ გარდაქმნისათვის, მიღებულია დემოკრატიული საარჩევნო კანონები, შეიცვლება კონსტიტუცია... ერთმანეთისგან გაიმიჯნება საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, აგრეთვე პარტიული და საბჭოთა ორგანოების ფუნქციები.

1.8. თვისობრივად გაუმჯობესდება კონსტიტუციურ-საკანონმდებლო საქმიანობა... კონსტიტუციის შესაბამისი მუხლებით უკვე განისაზღვრა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლის სამართლებრივი პირობები... აგრეთვე სსრ კავშირის კანონების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედების წესი... სურვილის შემთხვევაში, წვევამდელთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა, ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნა; მიწათსარგებლობის კანონმდებლობის კარდინალური სრულყოფა.

1.9. ... კიდევ უფრო გაღრმავდება ხელისუფლების დეცენტრალიზაციისა და დემონოპოლიზაციის პროცესები... განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მართვისა და დაგეგმვის ორგანოების დემოკრატიზაციას, მათ მუშაობაზე საზოგადოებრიობის რეალური კონტროლის დაწესებას.

1.10. ... გადაწყდება... მოქალაქეობის სტატუსის განსაზღვრისა და რეალური განხორციელების საკითხი, რაც სრულად გაითვალისწინებს აგრეთვე რესპუბლიკაში ტრადიციულად მცხოვრები სხვა ხალხების წარმომადგენელთა ინტერესებს...

1.11. შესაბამისი ღონისძიებები განხორციელდება რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაფართოებისათვის, როგორც სახელმწიფოებრივი ურთიერთობების დონეზე, ისე სხვა ცალკეული დაწესებულებებისა და სასწავლებლების დონეზე... გადაიდგმება პრაქტიკული ნაბიჯები საქართველოსთან ისტორიულად მჭიდრო კავშირის მქონე ქვეყნებში საქართველოს სსრ წარმომადგენლობების გახსნასთან დაკავშირებით... სათანადო პირობების შექმნის კვალობაზე – გაეროს წევრად რესპუბლიკის მიღებისათვის.

2. ეკონომიკა. ეკონომიკური ურთიერთობა

2.1. ... ეკონომიკური დამოუკიდებლობა დაემყარება მთელი ეროვნული სიმდიდრის ეროვნულ საკუთრებად გამოცხადებას... რომ [საქართველო] დამოუკიდებლად იმუშავებდეს და ახორციელებდეს თავისი ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და დემოგრაფიული განვითარების პოლიტიკას...

2.2. ... თანასწორუფლებიანობის პირობებში განვითარდება საკუთრების ყველა ფორმა...

2.3. საქართველოს სსრ, საბჭოთა კავშირის სახალხო-სამეურნეო კომპლექსში, საკავშირო ორგანოებთან და მოკავშირე რესპუბლიკებთან დადებულ სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე მიიღებს მონაწილეობას. რესპუბლიკის ეკონომიკის წარმატებით ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პირობა იქნება ერთიან საკავშირო ბაზარში მონაწილეობა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან პირდაპირი კავშირების დამყარება ერთობლივი საწარმოების მშენებლობის, ვაჭრობისა და ტურიზმის, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის გაფართოების გზით.

2.4. რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მატერიალური წინამძღვარია... წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, წარმოების ეფექტიანობის არსებითი ზრდა...

ისეთი მაღალხარისხიანი პროდუქციის გამოშვება, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება საერთაშორისო ბაზარზე...

2.5. ... მატერიალური წარმოების სფეროს უმთავრესი დანიშნულება უნდა იყოს მოხმარების ფიზიოლოგიური და მეცნიერულად დასაბუთებული რაციონალური ნორმების დონეზე რესპუბლიკის მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებითა და არასასურსათო საქონლით უზრუნველყოფა...

2.6. ღრმად უნდა შევისწავლოთ რესპუბლიკის ბუნებრივი, საწარმოო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი. მატერიალური წარმოების შემდგომი გაფართოება იმ დარგების უპირატესი ზრდის საფუძველზე უნდა მოხდეს, რომელთა განვითარებისთვისაც რესპუბლიკაში არსებობს ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები. პრიორიტეტულად უნდა განვითარდეს აგრეთვე არაწარმოებითი სფერო, სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის დარგები.

2.7. უნდა აღიკვეთოს სამეურნეო-საწარმოო სფეროში სამინისტროებისა და უწყებების დიქტატი. საწარმოები და ორგანიზაციები დამოუკიდებლად, მეურნეობრიობის, ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან და სარგებლიანობიდან გამომდინარე, უნდა წარმართავდნენ თავიანთ საქმიანობას. თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირების ზოგიერთი უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგის თავიდან ასაცილებლად შემოღებულ იქნება კანონმდებლობით განმტკიცებული სათანადო გარანტიები.

შემუშავდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მართვის გენერალური სქემა, რომლითაც გაუქმდება დარგებისა და საწარმოების საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების პრაქტიკა, აგრეთვე სამეურნე მართვის შუალედური რგოლები. თავდაცვითი მრეწველობის საწარმოების მართვის უფლება, ხელშეკრულების საფუძველზე, სსრკ მთავრობის კომპეტენციაში დარჩება. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული ყველა საწარმო და დაწესებულება დაექვემდებარება საქართველოს იურისდიქციას.

2.8. სოფლად მთელი ეკონომიკური პოლიტიკა მაქსიმალურად დაეფუძნება იმ დებულებას, რომ მიწა მუდმივ სარგებლობაში, მემკვიდრეობის უფლებით რეალურად უნდა დაუბრუნდეს გლეხობას... დაინერგება მსოფლიო ტექნოლოგიის უახლესი მიღწევები, ფართოდ განვითარდება მსხვილი აგროსამრეწველო საწარმოები,

აგროფირმები და აგროკომბინატები. მთის ზონაში და მიტოვებულ სოფლებში დაჩქარებით შეიქმნება გლეხური მეურნეობები.... მეურნეობის გაძღოლის ყველაზე ეფექტიან ფორმებს თვითონ საწარმოები აირჩევენ... აუცილებელია, არსებითად დაიხვეწოს საქართველოს მიწის კანონმდებლობა.

2.9. სამეცნიერო-ტექნიკური... უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული საწარმოო ძალების ფორმირების უზრუნველსაყოფად, რესპუბლიკა განახორციელებს ერთიან სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკას, თვითონვე განსაზღვრავს სამეცნიერო კვლევის პერსპექტიულ და პრიორიტეტულ მიმართულებებს...

2.10. თანმიმდევრულად განხორციელდება ეკონომიკის სფეროში ეროვნული სტრუქტურული პოლიტიკა. ამან უნდა უზრუნველყოს რესპუბლიკის ეკონომიკაში ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად წარმოშობილი დეფორმაციებისა და დისპროპორციების აღმოფხვრა... შედეგად არსებითად გაიზრდება დაგროვების ეფექტიანობა.

2.11. შემუშავდება და გატარდება მოქნილი საინვესტიციო პოლიტიკა... რესპუბლიკის სრული კომპეტენცია გახდება მთელი სამშენებლო-საინვესტიციო საქმიანობის დაგეგმვა და გაძღოლა. ადგილზევე დამტკიცდება შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტაცია...

2.12. ... შეიქმნება საქართველოს სსრ დამოუკიდებელი, ერთიანი საბიუჯეტო, საგადასახადო, საბანკო-საკრედიტო გადასახდელები... რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ყველა შემოსავალი, რომელთა ნაწილი ამჟამად საკავშირო ბიუჯეტში შედის, რესპუბლიკურ, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება. ამასთან, სსრკ-ის თავდაცვის, საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის, რესპუბლიკათშორისი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების და სხვა საკავშირო საჭიროებათა დასაფინანსებლად რესპუბლიკა, ურთიერთშეთანხმებული ნორმატივის საფუძველზე, სათანადო სახსრებს შეიტანს საკავშირო ბიუჯეტში.

რესპუბლიკის კომპეტენცია იქნება, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ფულის ერთეულის შემოღების საკითხი.

2.13. საქართველოს სსრ მთავრობის უფლებამოსილებაში შევა ფასწარმოქმნის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

2.14. კონცეფციის შემადგენელი ნაწილია ეროვნული რეგიონალური პოლიტიკა... მეურნეობის განვითარების, მოსახლეობის სოციალური გარანტიების შეღავათიანი რეჟიმი დაწესდება რესპუბლიკის მთიანი, აგრეთვე დემოგრაფიულად და ეკოლოგიურად განსაკუთრებით დაზიანებული ზონებისათვის.

2.15. კონცეფცია... განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოსახლეობის შრომითი კულტურის, მათი კვალიფიკაციის, კომპეტენტურობისა და პროფესიონალიზმის არსებით ამაღლებას. ამ მოთხოვნებისაკენ მკვეთრად უნდა შემობრუნდეს მუშაკთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, მატერიალური და მორალური სტიმულირების მთელი სისტემა.

3. სოციალური სფერო. სოციალური ურთიერთობა

კონცეფცია მიზნად ისახავს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების ისეთი ურთიერთობის მიღწევას, რომელიც განურჩევლად ეროვნული კუთვნილებისა და მსოფლმხედველობრივი მრწამსისა, კონსტიტუციური და საკანონმდებლო აქტების შექმნით იძლევა თითოეული მოქალაქის ფაქტობრივი თანასწორობის, სოციალური დაცულობის, პიროვნების და მისი საკუთრების ხელშეუხებლობის, სხვა დემოკრატიული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის მტკიცე გარანტიებს. ფართო საზოგადოებრიობის მიერ წინასწარი განხილვის გარეშე არ იქნება მიღებული არც ერთი საკანონმდებლო აქტი, რომლებიც სოციალურ ურთიერთობას შეეხება. ამასთან, მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა თაობაზე გაერთიანებული ერების დეკლარაცია და ამ საკითხებზე მიღებული სხვა საერთაშორისო დოკუმენტები. სოციალური სამართლიანობის დაცვის თვალსაზრისით უარი უნდა ვთქვათ კადრების ნომენკლატურულ და არანომენკლატურულ მუშაკებად დაჯგუფების პრაქტიკაზე. მათი შერჩევისა და დაწინაურების ერთადერთ კრიტერიუმად უნდა ვაღიაროთ პროფესიული კომპეტენტურობა, პირადი, საქმიანი თვისებები, მოქალაქეობრივი პოზიცია, ზნეობრივი სიწმინდე.

სოციალურ ღონისძიებათა განხორციელებისთვის შეიქმნება ძლიერი საფინანსო ბაზა. დაფინანსების წყარო იქნება რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტები, აგრეთვე მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. ამავე მიზნით, აქტიურად მოიზიდება

წარმოება-დაწესებულებებისა და მოსახლეობის სახსრები. საწარმოების მიერ სოციალურ-კულტურული განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრები დაიბეგრება შეღავათიან საწყისებზე, ან საერთოდ განთავისუფლდება ანარიცხებისაგან.

4. დემოგრაფიული და ეკოლოგიური ვითარება

რესპუბლიკაში დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებამ ხელსაყრელი პირობები უნდა შექმნას ისეთი გადაუდებელი და საარსებოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, როგორებიცაა:

– შობადობის გაზრდა საერთოდ და უმთავრესად საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებულ ქალთა შორის, იმის გათვალისწინებით, რომ მკვიდრი ეროვნების ადამიანთა ოჯახები საშუალოდ სამშვილიანები გახდნენ. მატერიალური დახმარება მაქსიმალური ოდენობით კი მოსახლეობას მესამე და მეოთხე ბავშვის დაბადებისას გაეწიოს.

– ახალგაზრდა მცირეშემოსავლიანი ოჯახებისა და მარტოხელა დედებისათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარების დაწესება, ადგილობრივი საბჭოების, წარმოება-დაწესებულებების, ეროვნული დემოგრაფიული ფონდისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხარჯზე.

– აუცილებელი პირობების შექმნა იმისათვის, რათა დედობრივ და საოჯახო ფუნქციებთან რაციონალურად იყოს შეთანწყობილი საზოგადოებრივ წარმოებაში ქალთა დასაქმება.

– საყოფაცხოვრებო ქსელის მნიშვნელოვანი განვითარება და რაციონალიზაცია.

– სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის, გახანგრძლივებული სკოლებისა და ჯგუფების მნიშვნელოვანი გაფართოება.

– ახალგაზრდული ოჯახების განსამტკიცებლად შეღავათების დაწესება სახელმწიფო ბინების განაწილებისას. აგრეთვე, შეღავათიანი სახელმწიფო სესხების შემოღება მათთვის, კოოპერაციული და ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის.

– ქმედითი სამედიცინო-სანიტარული, პროფილაქტიკური და სხვა ხასიათის ღონისძიებათა სისტემის შემუშავება.

– მცირემიწიანობისა და ადგილობრივი შრომითი რესურსების საკმარისობის გამო, მუშახელზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით,

რესპუბლიკის გარედან სამუშაო ძალის შემოყვანის არსებითად შეზღუდვა და, ფაქტობრივად, შეწყვეტა.

– მიგრაციული პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით, მცირე და საშუალო ქალაქებში, მსხვილ სასოფლო დასახლებებში რენტაბელური, ეკოლოგიურად სუფთა სამრეწველო და სხვა სახის საწარმოების, მომსახურების ობიექტების შექმნა, რაც გარკვეულად შეანელებს მოსახლეობის ლტოლვას როგორც დიდი სამრეწველო ცენტრებისაკენ, ისე რესპუბლიკის გარეთ.

– ძველი ნასოფლარ-ნასახლარებისა და მცირე სოფლების აღდგენა-გამსხვილება და ახალი სოფლების შექმნა. ამ მიზნით განხორციელდება ჭარბად დასახლებული და მცირემიწიანი რაიონებიდან მოსახლეობის ორგანიზებული გადმოსახლების ღონისძიებანი.

5. სახალხო განათლება. მეცნიერება. კულტურა

განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იქნება ქართული ენა. ამასთან ერთად, როგორც მთელი რესპუბლიკა, ისე ავტონომიური ფორმირებები ყოველმხრივ იზრუნებენ აფხაზური და ოსური ენების განვითარებისა და მათი კონსტიტუციური უფლებების სრული რეალიზაციისათვის, ყველა პირობა შეიქმნება რესპუბლიკათშორისი ურთიერთობის – რუსული ენისა და რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა წარმომადგენელთა ენების თავისუფალი გამოყენებისათვის. სათანადო ღონისძიებები განხორციელდება იმისთვის, რომ საქართველოში მუდმივმა მცხოვრებმა არაქართველმა ადამიანებმა შეძლონ რესპუბლიკის სახელმწიფო ენის დაუფლება.

კონცეფცია მწვავედ აყენებს ეროვნული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო, პრო-ფესიულ-ტექნიკური და უმაღლესი სკოლის ჩამოყალიბების დაჩქარების ამოცანას. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების რაციონალურ განლაგებას, უფრო ზუსტად განისაზღვროს დიპლომირებულ სპეციალისტებზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება და მხოლოდ და მხოლოდ ამის მიხედვით მოხდეს სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის რეგულირება. გადაუდებელი ამოცანაა სპეციალისტთა მომზადების დონის არსებითი ამაღლება. ამ მიზნით, ფართოდ უნდა დაინერგოს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს შორის სხვადასხვა ვადით

გაცვლის, რესპუბლიკისათვის პრიორიტეტულ დარგებში მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების სსრკ-სა და მსოფლიოს წამყვან სასწავლო ცენტრებში მომზადების პრაქტიკა. უახლოეს პერიოდში შემუშავდება რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების განვითარების მიზნობრივი პროგრამა, უმაღლესი სასწავლებლებისათვის სრული ავტონომიის მინიჭება, მათი უფრო მიზანშეწონილი და გააზრებული განლაგება რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ფინანსური და მატერიალური ბაზის გაუმჯობესება.

6. ეროვნებათშორისი ურთიერთობა

საქართველოს სსრ მრავალეროვნული, მცირე ტერიტორიის მქონე სახელმწიფოა, რომლის შემადგენლობაში შედის აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. გარდა ამისა, რესპუბლიკაში მრავლად ცხოვრობენ სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძნები, ებრაელები, უკრაინელები, ქურთები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. კონცეფცია საარსებო მნიშვნელობის ამოცანად სახავს მკვიდრი ერებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების წარმომადგენელთა ტრადიციული, მეგობრული თანამშრომლობის განვითარებას... ეროვნული თანხმობისა და ეროვნული სამართლიანობის მტკიცე გარანტია რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის მიერ ქართველი ხალხის თვითგამორკვევის უფლების, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის, მისი ინტერესების, ენის, ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა. ამავე დროს მკვიდრი მოსახლეობა უნდა ცნობდეს და პატივისცემით ეკიდებოდეს საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანთა ინტერესებს, მათ ენას, კულტურასა და ტრადიციებს. კონცეფცია ყოველმხრივ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ, ეროვნებათშორისი ურთიერთობის პერსპექტივების გათვალისწინებით, უნდა გადაისინჯოს მოქმედი და შემუშავდეს ახალი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ურთიერთობის რეგულირებას. აუცილებელია გამკაცრდეს და დაკონკრეტდეს იმათი პასუხისმგებლობა, ვინც აღვივებს ეროვნებათშორის შუღლს, ნაციონალისტურ და სეპარატისტულ მიდრეკილებებს, აწყობს პროვოკაციებს, შეურაცხყოფს ადამიანთა ეროვნულ ღირსებას, ვისაც პირადი ამბიციები, ყოფითი

პრობლემები დანაშაულებრივად ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში გადააქვს.“[10]

1990 წლის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისთვის მომზადებული საქართველოს კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო კონცეფცია აღინიშნება იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებით და საქართველოს კომპარტიის ორაზროვანი მდგომარეობით, რომელშიც იგი აღმოჩნდა, როდესაც, ერთი მხრივ, იმყოფებოდა სსრკ-ის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიურ პლატფორმაზე და, მეორე მხრივ, იძულებული გახდა, გაეზიარებინა რესპუბლიკაში არსებული საზოგადოებრივი აზრი საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შესახებ.

კონცეფციის პირველი ნაწილი, მართალია, ითვალისწინებს გარკვეულ დემოკრატიულ შეღავათებს, როგორებიცაა „ერის თვითგამორკვევის უფლება, პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული თვითმყოფადობა, ხელისუფლების დეცენტრალიზაცია“ და ა. შ., მაგრამ თუ გადავხედავთ იმდროინდელ საბჭოთა პრესას, ძირეულ განსხვავებას ან რაიმე მნიშვნელოვან სიახლეს ვერ აღმოვაჩენთ გორბაჩოვისეულ „გარდაქმნის“ ეპოქაში. მასმედიის საშუალებებით, რომ არაფერი ვთქვათ ოპოზიციური ძალების მიერ მასობრივ შეკრებებსა თუ საპროტესტო მიტინგებზე გაკეთებულ განცხადებებზე, არსებული სისტემის მიმართ ბევრად უფრო მკვეთრი კრიტიკის შემცველი ინფორმაცია ვრცელდებოდა და ამიტომ სრულებითაც არაა გასაკვირი „ეროვნული კონცეფციის“ ავტორთა მიერ ისეთი საკითხების წინა პლანზე წამოწევა, როგორებიცაა აღმასრულებელი და პარტიული ხელისუფლების ფუნქციათა გამიჯვნა, ან წვევამდელთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის საქართველოს ტერიტორიაზე მოხდის საკითხი. აქ უფრო მთავარი და ნიშანდობლივი ისაა რომ, ერთი მხრივ, საქართველოს კომუნისტური პარტია რესპუბლიკის დამოუკიდებლობას მიესალმება და ამომრჩეველს მის მისაღწევად ხელშეწყობას ჰპირდება, მეორე მხრივ, მოსკოვთან საკავშირო ხელშეკრულების განახლებაზე

[10] საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფცია. მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1990 წლის 21 იანვარს. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, N 24, 1990, 27 თებერვალი, გვ. 1-6.

საუბრობს. ერთი მხრივ, აღიარებს საქართველოს ანექსიას და ისტორიის იმ პერიოდის „თეთრი ლაქების“ შევსებას მოითხოვს, მეორე მხრივ კი სუვერენიტეტის მოპოვებას თანდათანობით, არსებული „ფედერალიზმის“ გაუმჯობესების გზით გვთავაზობს. კონცეფციის ეკონომიკური ნაწილიც გამოირჩევა წინააღმდეგობებით: საინტერესოა 2.2.-ში აღნიშნული – „საკუთრების ყველა ფორმის განვითარება“ როგორ მოხდებოდა, თუკი დაწესებული ნორმების დონეზე მოსახლეობას პროდუქციით უზრუნველყოფდნენ (2.5.)? კერძო საწარმოებს გეგმა დაუწესდებოდათ? ასევე კითხვის ნიშანს ბადებს საწარმოებისათვის ეკონომიკური მართვის დამოუკიდებლობის დაპირება, თუ საწარმოს მიეცა უფლება თვითონ გადაწყვიტოს ფინანსურად უფრო მომგებიანი საქმიანობის განსაზღვრა, რესპუბლიკის სამთავრობო დონეზე დადებული საკავშირო ხელშეკრულებების შესრულება უკვე საეჭვო ხდებოდა.

ეკონომიკურ ნაწილში ასევე ნათლად ჩანდა რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის სწრაფვა, შეენარჩუნებინა სსრკ-თან საკავშირო და სამეურნეო ურთიერთობები, მონაწილეობა მიეღო საკავშირო საგარეო პოლიტიკის, თავდაცვის და სხვა სახის ბიუჯეტის ფორმირებაში, ცენტრის დაქვემდებარებაში დაეტოვებინა თავდაცვითი ხასიათის საწარმოები, თავს იკავებდა ეროვნული ვალუტის შემოღებისგან და ამით ცდილობდა, ქვეყანა დარჩენილიყო სსრკ-ის ფულად-საკრედიტო სისტემის ნაწილად, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეროვნული თვითგამორკვევა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა მხოლოდ თვალის ასახვევად იქნა კონცეფციაში შეტანილი და რეალურად კომპარტიის გეგმებში არ შედიოდა.

„თითოეული საარჩევნო ბლოკი თუ ცალკე რეგისტრირებული პარტია მონდომებით ჩაერთო წინა საარჩევნო მარათონში. ყველა მათგანს ერთნაირად შეეძლო ესარგებლა პრესითა და ტელევიზიით. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ჟორდანიას სიტყვით, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური გაერთიანებები ფინანსურადაც თანაბრად იყვნენ უზრუნველყოფილი“ – აღნიშნავს ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძე.[11] კომუნისტური პარტია, რომელშიც გაერთიანებული იყო საქართველოს 400.000 მოქალაქე, არ ეწეოდა არავითარ წინასაარჩევნო კამპანიას.

---

[11]**ოთარ ჯანელიძე**, 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნები. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1991 წლის 31 მარტი-9 აპრილი), თბილისი, 2008, გვ. 10.

მიაჩნდათ, რომ მათი და ახლობლების ხმებიც საკმარისი იყო გამარჯვებისთვის. მისგან განსხვავებით, „მრგვალი მაგიდა“ აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას ეწეოდა. თვით ზვიად გამსახურდია დღეში რამდენიმე შეხვედრას ატარებდა, დადიოდა რაიონებში, ხვდებოდა საწარმო-დაწესებულებების თანამშრომლებს... ზვიად ძიძიგური, სამტრედიის მაშინდელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ამბობს, რომ „მე 200 შეხვედრა ჩავატარე რაიონში... ვუყვებოდი ხალხს, რომ უნდა ვიყოთ დამოუკიდებლები... უნდა გვქონდეს ჩვენი ფული... ჩვენი საზღვრები... ჯარი... უნდა ვიყოთ გაეროს და ნატოს წევრები... დღეს ვფიქრობ, რომ თუ სწორი მიმართულებით მიდიხარ, თუ ხარ იმ იდეისთვის ანთებული, რომელი იდეისთვისაც იბრძვი, შეუძლებელი არაფერია...“[12]

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებმა უდიდესი რეზონანსი გამოიწვია. რესპუბლიკაში უამრავი დამკვირვებელი ჩამოვიდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან: აშშ-დან, ავსტრიიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ფინეთიდან, ესპანეთიდან და კიდევ მრავალი ქვეყნიდან. „პარლამენტის წევრები, სენატორები, კონგრესმენები, პოლიტოლოგები, სოციოლოგები, ექსპერტები, ჟურნალისტები. არჩევნების გასაშუქებლად საქართველოში აკრედიტებული იყო საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი გაზეთებისა და ტელევიზიების 70-მდე კორესპოდენტი“. [13] საქართველოში ჩამოსულები იყვნენ ჟურნალისტები როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ ევროპიდან. ინტერვიუს იწერდნენ ისეთი ცნობილი რადიოები, როგორებიცაა „სი-ენ-ენი“, „ბი-ბი-სი“, საბჭოთა რესპუბლიკებში აკრძალული გამომცემლობები. „...მახსოვს, რა დიდი ინტერესი იყო გარემომცველი სამყაროს მხრიდან... არავინ არ იცოდა არც გაყალბება, არც კარუსელი, არც მოქრთამვა. ეს იყო სუფთა, დემოკრატიული არჩევნები“.[14]

„მრგვალი მაგიდის“ წინასაარჩევნო პროგრამა მოწმობს, რომ მასში შემავალი პარტიები მომზადებულები იყვნენ რეფორმების გასატარებლად, ბევრი გააკეთეს და

---

[12] არჩევნების ისტორია: **ზვიად ძიძიგური.** რადიო „თავისუფლება“, ვიდეოინტერვიუ, 27 ოქტომბერი, 2020.

https://www.radiotavisupleba.ge/a/არჩევნების-ისტორია-ინტერვიუ-ზვიად-ძიძიგური//30915803.html

[13]**ოთარ ჯანელიძე,** დასახ. ნაშრ., გვ. 11.

[14] არჩევნების ისტორია: **ზვიად ძიძიგური.** რადიო „თავისუფლება“, ვიდეოინტერვიუ, 27 ოქტომბერი, 2020.

https://www.radiotavisupleba.ge/a/არჩევნების-ისტორია-ინტერვიუ-ზვიად-ძიძიგური//30915803.html

ბევრსაც გეგმავდნენ, მაგრამ ბოლომდე არ ჰქონდათ გაცნობიერებული ის საფრთხეები, რის წინაშეც აღმოჩნდებოდა დამოუკიდებლობისკენ მიმავალი ქვეყანა... ვერ წარმოედგინათ, თუ ასე დაუნდობლად იმოქმედებდნენ რუსეთის სპეცსამსახურები და მათთან დაკავშირებული ოპოზიცია...

§ 4. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგები

14 ნოემბერს, უზენაესი საბჭოს პირველ სხდომაზე, სიტყვით გამოვიდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჟორდანია, რომელიც მიესალმა დეპუტატებს, მიულოცა არჩევნებში გამარჯვება და წარმატებები უსურვა საქმიანობაში; ისაუბრა, აგრეთვე, არჩევნების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. მისი თქმით, საარჩევნო უბნებზე დაფიქსირდა მცირეოდენი ხარვეზები, მაგრამ ამას არჩევნების შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია.

არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტს, მათ შორის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებსაც, თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდათ, ესარგებლათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

არჩევნებში მონაწილეობის მსურველი აღმოჩნდა 38 პოლიტიკური გაერთიანება. საარჩევნო კანონის მიხედვით (თავი II, მუხლი 14), „პარტიას უარი ეთქმევა რეგისტრაციაში გატარებაზე, თუ წესდება, პროგრამა ან საქმიანობა ეწინააღმდეგება პოლიტიკური პარტიებისათვის ამ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს“.[15] ამიტომ არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეძლო ხუთმა საარჩევნო ბლოკმა და ექვსმა პოლიტიკურმა პარტიამ. ესენია: ბლოკები: 1. ბლოკი „დემოკრატიული საქართველო“; 2. ბლოკი „თავისუფლება“; 3. ბლოკი „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება“; 4. ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“; 5. ბლოკი „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“. პარტიები: 1. საქართველოს სახალხო ფრონტი; 2. სოციალ-დემოკრატიული პარტია; 3. სახალხო პარტია; 4. სრულიად საქართველოს რუსთაველის

[15] კანონი საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, N 90, 1990, 23 აგვისტო, გვ. 1.

საზოგადოება; 5. კომუნისტური პარტია; 6. სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი.

„საქართველოს ტერიტორია დაიყო 125 საარჩევნო ოლქად, შეიქმნა 3.000-მდე საარჩევნო უბანი... არჩევნებში მონაწილე თითოეული პარტიის და ბლოკის სიებში დაახლოებით 140-დან 250-მდე კანდიდატი იყო... სხვადასხვა დარღვევების გამო 400-ზე მეტი კანდიდატი გამოეთიშა საარჩევნო კამპანიას... საბოლოო განხილვის შემდეგ პარტიული სიების მიხედვით კენჭს იყრიდა 1939 კანდიდატი, მათ შორის პერსონალურად წარდგენილი იყო 949. გარდა ამისა, საარჩევნო ოლქებში დასახელებული იყო 119 დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატი...

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 3.444.002. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.406.742-მა ამომრჩეველმა. 4%-იანი ბარიერის გადალახვა შეძლო კომუნისტურმა პარტიამ (ხმების 29,58%) და ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ (ხმების 54%), რამაც ჯამში შეადგინა 246 დეპუტატი. დარჩენილი 4 მანდატი უნდა გამოვლენილიყო მას შემდეგ, რაც ჩატარდებოდა არჩევნები N103 ტყვარჩელის, N106 გუდაუთის, N121 ცხინვალის და N123 ჯავის საარჩევნო ოლქებში. საბოლოოდ ხმები შემდეგნაირად განაწილდა: „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ – 155 დეპუტატი; კომუნისტური პარტია – 64 დეპუტატი; სახალხო ფრონტი – 12 დეპუტატი; დამოუკიდებელი კანდიდატი – 9 დეპუტატი; დემოკრატიული საქართველო – 4 დეპუტატი; რუსთაველის საზოგადოება – 1 დეპუტატი; განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება – 1 დეპუტატი. არჩეულ დეპუტატთაგან 16 ქალი იყო.“[16]

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ზვიად გამსახურდია,[17] პირველ მოადგილედ - აკაკი ასათიანი,[18] მოადგილედ კი - ნემო ბურჭულაძე.[19] სხდომა აკურთხა

---

[16]1990 წლის 14 ნოემბერი. **ირაკლი ჟორდანიას** გამოსვლა უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე. https://www.youtube.com/watch?v=R8tEvvDWzLQ

[17] უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ“. **ზ. გამსახურდია.** თბილისი. 1990 წლის 14 ნოემბერი. იხ. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1990 წლის ნოემბერი 1991 წლის აპრილი). ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები. ნაწილი II, ტ. IV, თბილისი, 2015, გვ. 19.

[18]იქვე.

[19]იქვე, გვ. 21.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, დალოცა და საჩუქრად „გადასცა „ბიბლია“ და იერუსალიმიდან ჩამოტანილი, უფლის საფლავზე ნაკურთხი ამაღლების ჯვარი.“[20]

1990 წლის 28 ოქტომბერს გამართული საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგად დეპუტატები გახდნენ: აბაკელია ვაჟა, აბაშიძე ასლან, აბესაძე ბეჟან, აბზიანიძე შალვა, ადამია ვაჟა, ალექსიძე ლევან, ანდღულაძე ლია, არაბული ალექსი, არევაძე დავით, ასათიანი ლევან, აფაქიძე ანდრია, აფრასიძე ბიმურზა, ახვლედიანი ალექსანდრე, ახმეტელი ლევან (ლერი), ბეჟაშვილი თენგიზ, ბერძენიშვილი დავით, ბიბინეიშვილი ბესარიონ, ბობოხიძე აკაკი, ბოკუჩავა ზვიად, ბურკაძე იური, ბურჭულაძე ნემო, გაბაშვილი მანანა, გამსახურდია ზვიად, გამყრელიძე თამაზ, ბალარჯიშვილი მერაბ, ბარათაშვილი იოსებ, ბარათაშვილი პაატა, ბარამიძე თენგიზ, ბდოიანი მელსი, გასანოვი აკიფ, გაფრინდაშვილი შოთა, გაჩეჩილაძე გივი, გელანტია ტარიელ, გვანცელაძე თეიმურაზ, გველესიანი თამაზ, გვერდწითელი თამაზ, გიგოლაშვილი ზურაბ, გიორგობიანი ბიძინა, გოგაძე დავით, გოგუაძე ემზარ, გოლეთიანი ჯემალ, გონაშვილი ბეჟან, გოცირიძე რომან, გუგავა ბერდია, გუგუშვილი ეთერ, გუგუშვილი თამაზ, გულბანი გიორგი, გულუა ბაკურ, გუმბარიძე გივი, გურგენიძე ვაჟა, გუჩუა ზურაბ, გუჯაბიძე გურამ, დანგაძე ბიძინა, დევნოზაშვილი ზაქარია, დეკანოსიძე თამარ, დვალიშვილი დემურ, დვალიშვილი მალხაზ, დიაკონიძე ფირუზ, დიასამიძე თამარ, დიხამინჯია თენგიზ, დოგუზოვი პავლე, დომუხოვსკი ვიქტორ, ელოშვილი ომარ, ვარძელაშვილი ალექსანდრე, ზვიადაძე სალომე, თალაკვაძე გივი, თაქთაქიშვილი გივი, თოიძე პაატა, თომაძე მაია, თუშმალიშვილი მედეა, იმერლიშვილი გივი, იმნაძე ავთანდილ, იმნაძე ნოდარ, ინასარიძე ხვედრი, ინგოროყვა ანტონ, იონათამიშვილი ჯემალ, იოსელიანი რამაზ, ისაკაძე გრიგოლ (გურამ), კავსაძე ალექსანდრე, კალაძე ამირან, კანდელაკი ზურაბ, კანკავა გურამ, კაპანაძე კონსტანტინე, კასრაძე იოსებ, კაცაძე ლია, კახიანი ზაალ, კემულარია რევაზ, კეშელავა ვარლამ, კვანჭილაშვილი მალხაზ, კვაჭაძე ნუგზარ, კვეტენაძე ავთანდილ, კვიციანი კანდიდ, კიკნაძე მერაბ, კილასონია ნიკოლოზ, კიტოვანი თენგიზ, კობაძე აკაკი, კობერიძე გელა, კონცელიძე რესან, კორძაძე გაიოზ, კოსტავა ზაურ, კოღუაშვილი პაატა, კუბლაშვილი თენგიზ, კუდბა ანზორ, კუპრეიშვილი დავით, ლეკიშვილი ნიკოლოზ, ლობჟანიძე გივი,

[20]ისტორიული მნიშვნელობის. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი,“ N 126, 1990, 15 ნოემბერი, გვ. 1.

ლორთქიფანიძე თემურ, ლორთქიფანიძე როსტომ, მათიაშვილი აკაკი, მამალაძე ნუგზარ, მამულაძე ნოშრევან, მამფორია თენგიზ, მარგიანი ავთანდილ, მარგიანი გრიგოლ, მარკოზია არკადი, მარჯანიშვილი გიორგი, მასხარაშვილი გიორგი, მაქაცარია გურამ, მაყაშვილი მიხეილ, მაჭავარიანი არჩილ, მაჭავარიანი მაია, მაჭავარიანი მუხრან, მგალობლიშვილი ნუგზარ, მდინარაძე თემურ, მელაშვილი ირაკლი, მელაძე ალბერტ, მემარნიშვილი როდენ, მეუნარგია ვახტანგ, მინდიაშვილი არჩილ, მირიანაშვილი მირიან, მირცხულავა ვლადიმერ, მოლოდინაშვილი ნუგზარ, მჟავია თეიმურაზ, ნადარეიშვილი ზვიად, ნადარეიშვილი თამაზ, ნათაძე მაია, ნათაძე ნოდარ, მეტრეველი როინ, ნარმანია იგორ, ნინიძე თევდორე, ნონიაშვილი ნოდარ, ობგაძე თამაზ, ოდიშარია არჩილ, ოჩიაური გიორგი, პაატაშვილი თედო, პავშენცევი ალექსანდრე, პაპუნიძე გურამ, პეტრიაშვილი გურამ, პეტრიაშვილი რობერტ, პოპიაშვილი ავთანდილ, ჟორჟოლიანი თამაზ, ჟღენტი ალექსანდრე, რიგვავა სერგო, რცხილაძე ავთანდილ, საკანდელიძე ანზორ, სალუქვაძე მინდია, სანიკიძე გუბაზ, სანიკიძე ზურაბ, საყვარელიძე ავთანდილ, საყვარელიძე მერაბ, საჯაია ნუგზარ, სილაგაძე აპოლონ, სიჭინავა ანზორ, სუბელიანი გია, სურმანიძე რამაზ, სალუქვაძე რევაზ, სანებლიძე ნიკოლოზ, ტაბიძე დავით, ტალიაშვილი ირინე, ტურაშვილი ივანე, ტუხაშვილი ლოვარდ, უგრეხელიძე მინდია, ურიათმყოფელი გივი, ურიდია მერაბ, ფაჩუაშვილი ჯეირან, ფაცაცია გერმანე, ფიდანიანი მამიკონ, ფიროსმანაშვილი დალი, ფირცხალავა კონსტანტინე, ფირცხალაიშვილი გია, ფრანგიშვილი ივერი, ფუტკარაძე ტარიელ, ფხალაძე ვიქტორ, ქავთარაძე გიორგი, ქაშაკაშვილი გურამ, ქებურია დიმიტრი, ქიტიაშვილი შოთა, ქობალია ზაურ, ქობულაშვილი ალექსანდრე, ქორიძე თეიმურაზ, ქუთათელაძე ბესიკ, ქუთელია ნათელა, ღონღაძე რუსლან, ყაველაშვილი ეთერ, ყრუაშვილი ანრი, ყურაშვილი თამაზ, შავთვალაძე ნუგზარ, შაიშმელაშვილი გიორგი, შანიძე მზექალა, შარიქაძე ვალერიან, შაშიაშვილი თეიმურაზ, შენგელაია ელდარ, შონია ჯემალ, შურღაია ვალტერ, შუშანაშვილი ალექსანდრე, ჩაფიჩაძე კუკური, ჩაჩავა თენგიზ, ჩეჩელაშვილი გიორგი, ჩიტლოვი ფოტი, ჩიქავა გოგი, ჩიქავა ლეო, ჩოლოყაშვილი ბიძინა, ჩორგოლაშვილი გელა, ჩხეიძე ირაკლი, ჩხეიძე პაატა, ცაგარეიშვილი ვახტანგ, ცომაია შალვა, ცოფურაშვილი ვლადიმერ, ცხომელიძე რომან, ძიძიგური აკაკი, ძიძიგური ზვიად, ძოძუაშვილი მანანა, ძოწენიძე ზურაბ, წითლანაძე გიორგი, წიკლაური მირიან, წიკლაური შალვა, წანწალაშვილი შალვა, წიქარიძე ზურაბ,

წულეისკირი ნოდარ, ჭითავა ვახტანგ, ჭითანავა ნოდარ, ჭილაშვილი ლევან, ხაბულიანი დილარ, ხავთასი გია, ხანიშვილი ტრისტან, ხარატიშვილი გურამ, ხარაძე ევგენი, ხაჭაპურიძე ნიკოლოზ, ხახვა თენგიზ, ხონელიძე გიორგი, ხოშტარია გიორგი, ხუციშვილი მალხაზ, ჯავახია ბეჟან, ჯავახიშვილი ნინო, ჯანბერიძე ნოდარ, ჯანელიძე ედუარდ, ჯანელიძე თამაზ, ჯანელიძე თეიმურაზ, ჯანჯულია ედიშერ, ჯაფარიძე ბადრი, ჯაფარიძე ბუხულა, ჯაში ვიტალი, ჯიქია ბონდო, ჯოლოგუა ვლადიმერ, ჯორჯიაშვილი მიხეილ.[21]

ამრიგად, 1990 წლის 28 ოქტომბერს, კომუნისტური რეჟიმის პირობებში, ქართული ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის ძალისხმევით და მოსახლეობის ფართო მასების აქტიური მხარდაჭერით, ჩატარდა მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები.

არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართველი ერის სწრაფვა, ეცხოვრა დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში. ქართველმა ერმა ქვეყნის მართვის მანდატი ანდო საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალ საქართველოს“. ქართველი ერის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო.

[21] 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები. იხ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავი, თბილისი, 2016, გვ. 61-62.

თავი II

1991 წლის რეფერენდუმი საქართველოში და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა

1985 წელს საკავშირო კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობა მიხეილ გორბაჩოვმა დაიკავა, რომელმაც საბჭოთა კავშირის ღრმა კრიზისიდან გამოყვანა ახალი იდეოლოგიური პროგრამით, ე. წ. „გარდაქმნით“ სცადა. აღნიშნული მიზნის მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. საბჭოთა კავშირში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკებსა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ეროვნული მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა და მოკავშირე რესპუბლიკებმა ერთი მეორეს მიყოლებით დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. საბჭოთა კავშირი მხოლოდ „დე იურედ“ არსებობდა.

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ ფორმალურად რჩებოდა ქვეყნის სათავეში, რეალურ ძალაუფლებას ეროვნული მოძრაობის ლიდერები ფლობდნენ.

მიხეილ გორბაჩოვმა სცადა, საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესი როგორმე შეეჩერებინა. საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 16 იანვრის N1910-1[22] დადგენილებით, 1991 წლის 17 მარტს, კვირას, ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში უნდა ჩატარებულიყო საერთო-საკავშირო რეფერენდუმი, რომლის კითხვა ასე იყო ფორმულირებული: „მიგაჩნიათ თუ არა აუცილებლად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, როგორც თანასწორი სუვერენული რესპუბლიკების ისეთი განახლებული ფედერაციის შენარჩუნება, სადაც სრულად იქნება გარანტირებული ნებისმიერი ეროვნების ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი“. სარეფერენდუმო კითხვის ბოლოს მოცემული იყო ორი პასუხი: „დიახ“ და „არა“.

---

[22] Верховный совет СССР. Постановлениеот 16 января 1991 г. N1910-1 об организации и мерах по обеспечению проведения референдума СССР по вопросу о сохранении Союза Советских Социалистических Республик.
http://www.libussr.ru/doc-ussr/usr-18013.htm

ექვსმა მოკავშირე რეპუბლიკამ – საქართველომ, ლიეტუვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, მოლდავეთმა და სომხეთმა უარი განაცხადა რეფერენდუმში მონაწილეობაზე. [23] საქართველოს უზენაესმა საბჭომ წლის 28 თებერვლის დადგენილებით [24] უარი განაცხადა საქართველოს ტერიტორიაზე საკავშირო რეფერენდუმის ჩატარებაზე. 1991 წლის 29 იანვარს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „რეფერენდუმის შესახებ“,[25] რომლის თანახმადაც 1991 წლის 31 მარტს უნდა ჩატარებულიყო საყოველთაო რეფერენდუმი საქართველოში, სადაც ქართველ ერს უნდა დაეფიქსირებინა თავისი დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი საბჭოს 28 თებერვლის დადგენილებაში ვკითხულობთ:

„1. არ გაიმართოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 17 მარტს დანიშნული რეფერენდუმი;

2. „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, 1991 წლის 31 მარტს დაინიშნოს რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე, ერთადერთი კითხვით: „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.“ კანონი შევიდა ძალაში გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 5 მარტის დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საარჩევნო კომისიას დაევალა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ჩატარება. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა არჩილ ჭირაქაძე, მოადგილედ კი – ვახტანგ ხმალაძე.[26]

---

[23]**დ. კობახიძე.** ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 43, 1991, 5 მარტი, გვ. 3.

[24]საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სსრკ-ს შენარჩუნების საკითხზე, სსრკ რეფერენდუმის ჩატარების ორგანიზაციისა და მისი უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ, სსრკ უმაღლესი საბჭოს დადგენილების თაობაზე. 1991 წლის 28 თებერვალი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 2, 1991, გვ. 104-105.

[25]საქართველოს რესპუბლიკის კანონი რეფერენდუმის შესახებ. 1991 წლის 29 იანვარი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 1, 1991, გვ. 75-87.

[26] საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარების შესახებ. 1991 წლის 5 მარტი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 3, 1991, გვ. 17-18.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა შეექმნა საოლქო სარეფერენდუმო კომისიები, ამ უკანასკნელს კი – საუბნო სარეფერენდუმო კომისიები. „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხი მიღებულად ჩაითვლებოდა, თუ მის დადებითად გადაწყვეტას ხმას მისცემდა კენჭისყრაში მონაწილეთა ნახევარზე მეტი.

საქართველოს უზენაესი საბჭოს N240 დადგენილების საფუძველზე ცენტრალურმა სარეფერენდუმო კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა რეფერენდუმში წინასწარ ხმის მიცემის წესი. იმ ამომრჩევლებს, რომლებიც არჩევნების დღეს არ იმყოფებოდნენ საქართველოში, ხმის მიცემა შეეძლოთ წინასწარ განსაზღვრულ საარჩევნო კომისიებში.[27]

1991 წლის 28 თებერვალს, აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ, ვლადისლავ არძინბას ინიციატივით, X სესიაზე დაადგინა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე 17 მარტს ჩატარდებოდა საკავშირო რეფერენდუმი. ამავე დადგენილებით ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის მოვალეობის შესრულება, სსრკ სახალხო დეპუტატის, გარდაცვლილი ბორის ადლეიბას ნაცვლად, სოხუმის N 669 საოლქო საარჩევნო კომისიას დაევალა. იმავდროულად, აფხაზეთის პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით სეპარატისტული ორგანიზაციები ბლოკი „სოიუზი“, „აიდგილარა“, სომხური ორგანიზაცია „კრუნკი“, სოხუმის ინტერნაციონალისტთა საზოგადოება აქტიურ პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწეოდნენ საკავშირო რეფერენდუმში აფხაზეთის მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. მათი ამ ქმედებების გამოსააშკარავებლად 15 მარტს გაზეთ „აფხაზეთის ხმაში“ დაიბეჭდა სტატია, რომელშიც აღწერილი იყო აღნიშნული ორგანიზაციების მიერ გუდაუთის, ტყვარჩელის, ბიჭვინთისა და სხვა რაიონებში ადგილობრივი მოსახლეობის დაშინებისა და მუქარის ფაქტები.

ქართველი და უცხოელი დამკვირვებლების მონაცემებით, სოხუმის ოლქში არჩევნებისათვის მზადება საარჩევნო კანონების უხეში დარღვევებით მიმდინარეობდა: ზოგიერთ რაიონში, დაბასა და სოფელში საარჩევნო უბნები არც შექმნილა, ზოგიერთ უბანში არ იყო გამოკრული ამომრჩეველთა სიები, ოჩამჩირისა და გალის რაიონების

[27] საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება 1991 წლის 31 მარტის საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ. 1991 წლის 20 მარტი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 3, 1991, გვ. 30-31.

ქართული სოფლების მოსახლეობას ნება არ მისცეს, რეფერენდუმში მიეღოთ მონაწილეობა, რითაც 51 ათასი გალელი ამომრჩეველი დარჩა ხმის მიცემის უფლების გარეშე.[28] საარჩევნო უბნების საზღვრების დაუდგენლობის გამო, ბევრი ამომრჩეველი ვერ მოხვდა სიაში. სიებში გარდაცვლილებიც აღმოჩნდნენ. შვეიცარული ყოველკვირეული გაზეთის „Das Goetheanum"-ის რედაქტორი მარტინ ბარკხოფი წერდა: „არჩევნების ახალი ხელმძღვანელის ენვერ კაპბმას გამოცემული ინსტრუქციის მიხედვით, გაუქმდა კონტროლის ყოველგვარი მექანიზმი... ერთსა და იმავე პირს რამდენჯერმე შეეძლო მიეცა ხმა..."[29]

1991 წლის 16 მარტის დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაუქმებულად გამოაცხადა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების N 669 სოხუმის ტერიტორიული საოლქო საარჩევნო კომისია.[30]

რეფერენდუმი უხეში დარღვევებით მიმდინარეობდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზეც. ინგლისის საინფორმაციო სააგენტო „რეიტერის" მოსკოვის განყოფილების ფოტოკორესპონდენტი ვიქტორ კოროტაევი, რომელიც ცხინვალში ჩატარებული საკავშირო რეფერენდუმის ამსახველ კადრებს აფიქსირებდა, წერდა, თუ როგორ ღებულობდნენ რეფერენდუმში მონაწილეობას ჯარისკაცები, როგორ მიმდინარეობდა ზეწოლა ამომრჩევლებზე, რომლებიც სამხედრო მოსამსახურის თანხლებით უნდა შესულიყვნენ ხმის მისაცემად. ე. წ. სამხრეთ ოსეთის ქართულმა მოსახლეობამ რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიიღო.[31] საკავშირო რეფერენდუმი ჩატარდა საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ საჯარისო ნაწილებში, ქ. ცხინვალში, ჯავის რაიონში და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში.

---

[28]**თ. პაჭკორია.** საკავშირო გამოკითხვის ზიგზაგები. გაზ. „ლიტერატურული საქართველო", N 12, 1991, 22 მარტი, გვ. 5.

[29] **მარტინ ბარკხოფი.** რეფერენდუმის დღეს სოხუმში იყო უცხოელ ჟურნალისტთა ჯგუფი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", N 54, 1991, 20 მარტი, გვ. 1.

[30]საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების N 669 სოხუმის ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 16 მარტი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 3, 1991, გვ. 19.

[31]საქინფორმი. რეფერენდუმი ცხინვალში, ანუ რა აღბეჭდა „რეიტერის" რეპორტიორის ფოტოკამერამ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", N 53, 1991, 19 მარტი, გვ. 2.

საქართველოს პროკურატურამ დაიწყო საკავშირო რეფერენდუმზე მომხდარი დარღვევების შესწავლა, თუმცა ამის წინააღმდეგ გამოვიდა სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 22 მარტის დადგენილებაში ვკითხულობთ:

„1. საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 28 თებერვლის დადგენილებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 16 მარტის დადგენილების შესაბამისად, აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე, ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონში 1991 წლის 17 მარტს გამართული სსრ კავშირის რეფერენდუმი და N669 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების შედეგები ჩაითვალოს იურიდიული ძალის არმქონედ.

2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ნაწილებში 1991 წლის 17 მარტს ჩატარებული სსრ კავშირის რეფერენდუმის შედეგები არ ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის რეფერენდუმის შედეგებად, ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას არ აქვს საარჩევნო უფლება.

3. დაისვას საკითხი სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წინაშე, რათა შეისწავლოს საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის რეფერენდუმისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების მიმდინარეობისას კანონით დადგენილი ნორმების უხეში დარღვევის ფაქტები და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები.

4. დაისვას საკითხი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინაშე, რათა ბათილად იქნეს ცნობილი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების N669 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში 1991 წლის 17 მარტს გამართული არჩევნების შედეგები და დაინიშნოს ხელახალი არჩევნები.

5. დაისვას საკითხი სსრ კავშირის ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის წინაშე, რათა ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩატარებული სსრ კავშირის რეფერენდუმის შედეგები.“[32]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით სასტუმრო „მეტეხში“ ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე აცხადებდა: „არაქართველების უმრავლესობა მიიღებს მოქალაქეობას, ვინაიდან უმრავლესობა ხმას დამოუკიდებელ საქართველოს მისცემს,“[33] ხოლო ჯავახეთის სომეხი მოსახლეობის მიმართ გამოთქმულ მიმართვაში ამბობს: „ვინც მონაწილეობას არ მიიღებს 31 მარტის რეფერენდუმში, ამით ეჭვქვეშ აყენებს საქართველოს მოქალაქეობის უფლებას. მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში მოქალაქეობას იღებენ მაშინ, როცა არის ურთიერთვალდებულებებისადმი მზადყოფნა: პოტენციური მოქალაქისა – სახელმწიფოს წინაშე და სახელმწიფოსი – მოქალაქის წინაშე. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში მოქალაქეობის მიღება გულისხმობს ქვეყნის ენისა და სუვერენიტეტისადმი პატივისცემას. ეს ის ბალანსია, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ მოქალაქეობა ფორმალური არ იყოს. თანასწორობა უფლებებში შეუძლებელია მოვალეობებში თანასწორობის გარეშე“[34].

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურმა სარეფერენდუმო კომისიამ საარჩევნო

---

[32] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის რეფერენდუმის ჩატარებისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების N 669 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში დეპუტატის არჩევნების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 22 მარტი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 3, 1991, გვ. 24-26.

[33] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ **ზვიად გამსახურდიას** პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. 1991 წლის 30 მარტი. იხ. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ზვიად გამსახურდია. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1990-1991). ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები. ტ. I, თბილისი, 2013, გვ. 280.

[34]საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ **ზვიად გამსახურდიას** მიმართვა ჯავახეთის სომეხ მოსახლეობას. 1991 წლის 27 მარტი. იხ. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. **ზვიად გამსახურდია.** უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1990-1991). ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები. ტ. I, თბილისი, 2013, გვ. 272.

უბნები შექმნა ქ. მოსკოვში, ქ. ლენინგრადში (ახ. სანკტ-პეტერბურგი), ქ. ვლადიკავკაზში და ქ. ბაქოში.[35]

1991 წლის 5 აპრილს გამოქვეყნდა საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის შემაჯამებელი შედეგები:

„საარჩევნო ადმინისტრაციის (ცესკო) საარქივო მონაცემებით ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 3,672,403-ს. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 3.334.286 ამომრჩეველმა, რაც შეადგენდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 90,79%-ს; რეფერენდუმში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა 3.295.493 ამომრჩეველმა, რაც რეფერენდუმში მონაწილეთა 99,08%-ს შეადგენდა.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი 347.175-ს შეადგენდა. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 61,27%-მა; საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა კენჭისყრის მონაწილეთა 97,73%-მა, რაც შეადგენდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 59,84%-ს. გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფელში ამომრჩეველთა სიაში შეიყვანეს გუდაუთის რაიონის ყველა ამომრჩეველი, ვინც კი რეფერენდუმში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. სიაში აღმოჩნდა 2931 ამომრჩეველი, გაიცა 2931 ბიულეტენი.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა 2928 ამომრჩეველმა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი 224.788 შეადგენდა. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 96,64%-მა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა 97,67%-მა. ქალაქ ცხინვალში, ყორნისისა და ჯავის რაიონებში არჩევნები ჩატარდა მხოლოდ შვიდ სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე, სადაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 11376. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა 10180 ამომრჩეველმა.[36]

---

[35] საქინფორმი. საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიისაგან. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 59, 1991, 27 მარტი, გვ. 1.

[36] **ბაზღაიძე**. საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიისაგან. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 67, 1991, 5 აპრილი, გვ. 1.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის აქტიურობამ და რეფერენდუმში მონაწილეობამ მსოფლიო თანამეგობრობას თვალნათლივ დაანახა, რომ რეფერენდუმის შედეგით ერთნაირად იყვნენ დაინტერესებული საქართველოს მოქალაქე ეთნიკური ქართველებიც და არაქართველებიც. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია აცხადებდა: „ჩვენ მადლიერების გრძნობით აღვნიშნავთ ამ მხარდაჭერას და დიდ მადლობას ვუცხადებთ ჩვენს არაქართველ დებსა და ძმებს, რომ არ მიგვატოვეს ამ გაჭირვებაში და ღირსეულად ამოგვიდგნენ მხარში“[37]. ცესკოს თავმჯდომარის მოადგილემ ვახტანგ ხმალაძემ რეფერენდუმის მნიშვნელობის შეფასებისას განაცხადა: „იმდენად მაღალი იყო საზოგადოების ინტერესი, რომ რეფერენდუმის მიმდინარეობას უამრავი დამკვირვებელი აკვირდებოდა როგორც დასავლეთის ქვეყნებიდან, ასევე საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდანაც.“

გთავაზობთ რეფერენდუმზე უცხოელ დამკვირვებელთა შეფასებებს:
ჯეიმს რიჩარდსონი (აშშ): „რეფერენდუმი ჩატარდა ორგანიზებულად, ყოველგვარი ძალდატანების, დარღვევების გარეშე“. ელიზაბეთ ტაკერი (აშშ): „რეფერენდუმმა გამოხატა საქართველოს მოსახლეობისსურვილი ქვეყნის დამოუკიდებლობის შესახებ“. ანდრე სერვე (ბელგია): „ქართველმა ხალხმა აირჩია თავისი გზა 31 მარტს, როცა გამოხატა თავისი თანხმობა, აღდგენილიყო 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი. არჩევნები ჩატარდა სრულ წესრიგში წესების დარღვევის გარეშე“.

სერგეი ბერეზინსკი (რუსეთი): „სასიამოვნო სანახავია, როგორ უდგას მხარში ქართველი ხალხი თავის კანონიერ ხელისუფლებას. რეფერენდუმი ჩატარდა მაღალ დონეზე ყოველგვარი პროცესუალური დარღვევის გარეშე“.

ინგრე სალიტასმა (ლიეტუვა) გამოხატა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წარმომადგენელთა სახელით სიხარული იმასთან დაკავშირებით, რომ არაქართველი მოსახლეობა თავის ქართველ მეგობრებთან ერთად მონაწილეობას იღებს რეფერენდუმში საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.[38]

რეფერენდუმის დღეს თბილისში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი. მან აღნიშნა,

---

[37] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ **ზვიად გამსახურდიას** გამოსვლა. იხ. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ზვიად გამსახურდია. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1990-1991). ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები. ტ. I, თბილისი, 2013, გვ. 334.
[38]Свидетельствуют наблудатели. газ. „Грузия-Спектр“, N 1, 1991, 6-14 апреля, с. 2.

რომ აშშ-ში გაიზარდა ინტერესი საქართველოს მიმართ, რადგან იგი ჩამოსულია პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დავალებით. რეფერენდუმის დღეს რ. ნიქსონი ესტუმრა დედაქალაქის რამდენიმე საარჩევნო უბანს, აკვირდებოდა მათ მუშაობას. კმაყოფილმა განაცხადა: „უფლება რომ მქონდეს, სიამოვნებით მივცემდი ხმას საქართველოს დამოუკიდებლობასო.“[39]

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საგანგებო სხდომაზე, საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში ვკითხულობთ: „... 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანია და განუყოფელი. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად. საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

---

[39]ქრონიკა. საქართველოს კარდიოგრამა. გაზ. „სამშობლო“, N 9-10, 1991, მაისი, გვ. 3.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას, დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების ერთერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.“[40]

ხელმოწერილია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მთავრობის წევრების მიერ

თბილისი, 1991 წლის 9 აპრილი

ამავე ღირსშესანიშნავ ისტორიულ დღეს გაიმართა უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა, სადაც სიტყვით გამოვიდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია, რომელმაც თავისი გამოსვლა ამ სიტყვებით დაასრულა:

„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახელით ქართველ ერს მიულოცა უზენაესი საბჭოს წევრმა, ქაშუეთის წინამძღვარმა მამა არჩილმა (მინდიაშვილი): „საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება დაემთხვა ივერიის

[40]საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. უზენაესი საბჭოს უწყებებიN 4, 1991, 9 აპრილი, გვ. 26-27.

ღვთისმშობლის ხატის ხსენებას, რომლის პატივსაცემად დღეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლოცვას აღავლენს მცხეთაში. ეს უაღრესად სიმბოლურია, რადგან ივერიის ღვთისმშობელი მფარველობს საქართველოს და სწორედ მან აჩუქა მას დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება."[41]

ასევე გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს ინგუში ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა ისა კოძოევმა [42] და მწერალმა გურამ ბათიაშვილმა.[43] მსოფლიო თანამეგობრობა გულგრილი არ დარჩენილა საქართველოში ჩატარებული არჩევნებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისადმი. 1991 წლის 9 აპრილს ამერიკულმა გაზეთმა „ატლანტა ჯორნელმა" გამოაქვეყნა სტატია სათაურით – „საქართველომ გამოაცხადა თავისუფლება", სადაც აღნიშნულია: „დღეს საქართველოს პარლამენტმა გამოაცხადა, რომ რესპუბლიკა საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებელია. ეს მოვლენა მოჰყვა გასულ თვეში ჩატარებულ რეფერენდუმს, რომლის დროსაც ქართველების დაახლოებით 100%-მა დამოუკიდებლობა მოითხოვა..."

... 1991 წლის 10 აპრილს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" გამოქვეყნდა ფრენსის კლაინის სტატია: „რესპუბლიკის პარლამენტმა ერთსულოვნად გამოაცხადა მოსკოვისაგან დამოუკიდებლობა". მასში ნათქვამია: „გუშინ საქართველოს რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რამაც პრეზიდენტ გორბაჩოვის პრობლემებით აღსავსე მართველობის საბჭოთა ხანაში დამატებითი არეულობა შეიტანა... ქართველთა 98%-მა 9 დღით ადრე მოწყობილ რეფერენდუმში მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას." [44] ლატვიის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ანატოლი გორბუნოვმა მიულოცა საქართველოს უზენაეს საბჭოს დამოუკიდებლობის აქტის მიღება,[45] ხოლო ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვიტაუტას ლანდსბერგისმა პარლამენტის სხდომაზე წაიკითხა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსათვის გამოგზავნილი მილოცვის ტექსტი, რომელშიც ვკითხულობთ: „ვულოცავთ

---

[41] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის საგანგებო სხდომა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", N 70, 1991, 10 აპრილი, გვ. 2.

[42] **მანანა დარჩაშვილი.** 31 მარტიდან 9 აპრილამდე - გზა დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. საქართველოს სახელმწიფოებრივი სამოუკიდებლობის აღდგენა (1991 წლის 31 მარტი - 9 აპრილი), თბილისი, 2008. გვ. 22.

[43] იქვე

[44] ამერიკული პრესა საქართველოს შესახებ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", N 97, 1991, 18 მაისი, გვ. 3.

[45] საქინფორმი. ულოცავენ რესპუბლიკას. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", N 97, 1991, 18 მაისი, გვ.1.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიული მნიშვნელობის აქტს. პირდაპირი გზა ალბათ ძნელი იქნება, მაგრამ ეს არის ღირსების გზა. ლიტვა ხარობს თქვენი გადაწყვეტილებით.“ [46] ინგლისელი პოლიტოლოგი, პრინსტონის უნივერსიტეტის საბჭოთა კავშირ - ამერიკის ურთიერთობის სპეციალისტი რობერტ ინგლიში მეუღლესთან, ელიზაბეთ ტაკერთან ერთად რეფერენდუმის დღეს იმყოფებოდა საქართველოში. ქართველ ჟურნალისტებთან ინტერვიუში მან განაცხადა: „როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთა უმრავლესობამ ხმა მისცა დამოუკიდებლობას და ბუნებრივია, სსრ კავშირიდან გასვლას. ამას ადასტურებენ აგრეთვე საზღვარგარეთის მოქალაქეები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ რეფერენდუმის მიმდინარეობას. ამრიგად, ეროვნულ უმცირესობათა უმრავლესობას სურს იგივე, რაც თქვენ, ქართველებს. ისინი თქვენთან ერთად არიან დარაზმულები თავისუფლებისათვის ბრძოლაში.“ [47] აშშ-ის 102-ე კონგრესის სენატის N94 რეზოლუციაში, რომლის მთავარი ადრესატი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა იყო, ვკითხულობთ:

„ვინაიდან, დღეს, 1991 წლის 9 აპრილს, თბილისში მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევის 2 წლისთავია, ვადგენთ:

1. სენატი ადასტურებს, რომ მხარს უჭერს ქართველი ხალხის მშვიდობიან მცდელობებსა და დემონსტრაციებში გამოხატულ მოთხოვნებს, ეროვნული და ტერიტორიული დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

2. ადასტურებს, რომ მხარს უჭერს ქართველი ხალხის თვითგამორკვევის მოთხოვნას, რომელიც ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის თათბირის მონაწილე ქვეყნების საბოლოო აქტიდან გამომდინარეობს, საბჭოთა კავშირი კი ამ ორგანიზაციის წევრია.

3. ადასტურებს, რომ მხარს უჭერს ქართველი ხალხის სურვილს, ისარგებლოს ღმერთის მიერ ნაბოძები ადამიანთა უფლებებით.

---

[46] ლიტვა ულოცავს საქართველოს. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 70, 1991, 10 აპრილი, გვ. 4.

[47] **თ. ჩხიკვაძე.** საქინფორმი. რობერტ ინგლიში. მწამს საქართველოს დამოუკიდებლობისა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 68, 1991, 6 აპრილი, გვ. 4.

4. პატივს მივაგებთ ქართველთა დიდ მსხვერპლს, რომლებიც დაიღუპნენ 1989 წლის 9 აპრილს თბილისში, რამეთუ ისინი იყვნენ მშვიდობიანი დემონსტრანტები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლები.

5. მოვითხოვთ საბჭოთა კავშირის მთავრობისაგან, აღიაროს ქართველი ხალხის ნება და სცნოს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი.“[48]

1991 წლის აპრილში საქართველოში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა დიდი ბრიტანეთის ელჩი როდვიგ ბრაიტვაიტი. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდიასთან საუბარში მან აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთის ინტერესებში შედის დახმარების გაწევა იმ ქვეყნებისა და ხალხებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, და, ვინაიდან ის საქართველოში მიმდინარე პროცესებს შესაბამისად მიიჩნევს, „შეხვედრის შედეგები განხილული იქნება თავისი ქვეყნის სამთავრობო დონეზე.“[49]

ზვიად გამსახურდიამ მიიღო მოლდავეთის რასპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან წერილი, სადაც ვკითხულობთ: „მისაბაძია თქვენი ხალხის ღირსების გრძნობა, მისი ეროვნული თვითშეგნება, გაბედულება, გამძლეობა და გონიერება.“[50] მილოცვის წერილი მიიღო საქართველომ ესტონეთის სახალხო ფრონტის III ყრილობის დელეგატებისგან. წერილში ნათქვამია: „დიდად გაგვახარა თქვენი რესპუბლიკური რეფერენდუმის ჩინებულმა შედეგებმა და სახელმწიფო დამოუკიდებლობის დეკლარაციის წარმატებით მიღებამ. დარწმუნებული ვართ, რომ ქართველ ერს აქვს თავისუფალი, დემოკრატიული, დოვლათიანი და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს შექმნის წინამძღვრები.“[51] სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ლევონ ტერ-პეტროსიანმა საქართველოს

---

[48]აშშ-ს 102 ეკონგრესის I სესია. სენატის რეზოლუცია N 94. გაზ. „სამშობლო“, N 9-10, 1991, მაისი, გვ. 3.

[49]საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი. შეხვედრა დიდი ბრიტანეთის ელჩთან. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 64, 1991, 2 აპრილი, გვ. 1.

[50]ულოცავენ რესპუბლიკას. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 78, 1991, 23 აპრილი, გვ. 1.

[51]ესტონეთისსახალხო ფრონტის მე-3 ყრილობის მიმართვა საქართველოს დემოკრატიულ ორგანიზაციებს, მთელ ქართველ ერს. 1991 წლის 14 აპრილი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 78, 1991, 23 აპრილი, გვ. 3.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზვიად გამსახურდიას შემდეგი სიტყვებით მიულოცა: „პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ! ვულოცავთ საქართველოს რესპუბლიკის ხალხს დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს აღდგენისათვის 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებს.“[52] მილოცვა მიიღო საქართველომ ლიტვის დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის საბჭოსგან, რომელშიც ვკითხულობთ: „გზა, რომელსაც თქვენ დაადექით, ხელს შეუწყობს საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას, ქართველი ხალხის კეთილდღეობას. გისურვებთ წარმატებებს ბრძოლის ასპარეზზე.“ [53] საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას გამოეხმაურა მოსკოვის ქართული სათვისტომო, რომელიც აცხადებდა: „გვიგულეთ თქვენს გვერდით საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.“ [54] საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა უზენაესმა საბჭომ პრესის მეშვეობით მიულოცა ქართველ ხალხს. მიმართვაში ვკითხულობთ: „1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ აღასრულა ქართველი ხალხის ნება და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადდა.“[55]

უზენაესმა საბჭომ ამ მილოცვაში იმედი გამოთქვა, რომ იურიდიულ გამოცხადებას უნდა მოჰყვეს საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტობრივი აღდგენა, რისთვისაც აუცილებელია ერის გაერთიანება და პოლიტიკური თუ სოციალური ინტერესებზე მაღლა სახელმწიფოს ინტერესების დაყენება.

---

[52] სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ლევონ ტერ-პეტროსიანი.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ **ზვიად გამსახურდიას**. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 72, 1991, 13 აპრილი, გვ. 3.

[53]**მარიონას ვისაკავიჩუსი.** ულოცავენ საქართველოს. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 74, 1991, 17 აპრილი, გვ. 1.

[54]მოსკოვის ქართული სათვისტომო. 1991 წლის 9 აპრილი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ **ზვიად გამსახურდიას.** გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 71, 1991, 11 აპრილი, გვ. 1.

[55]საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. სრულიად საქართველოს. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 71, 1991, 11 აპრილი, გვ. 1.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ქართველ ერსმიუ-ლოცეს: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, [56] პოლიტიკურმა ბლოკმა „თავისუფლებამ“, საქართველოს მწვანეთა პარტიამ, [57] საქართველოს მონარქისტულმა პარტიამ, ბაგრატიონ-მუხრანელთა საგვარეულო სახლმა. [58] საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ ბიძგი მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ:

1991 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარა:

რუმინეთმა და მოლდოვამ – 27.08; აზერბაიჯანმა – 30.08; სომხეთმა – 13.09; უკრაინამ – 12.12; თურქეთმა – 16.12; მონღოლეთმა და ლიეტუვამ – 20.12; ირანმა – 25.12; კანადამ – 25.12; აშშ-მ – 25.12; ბრაზილიამ – 26.12; კუბამ – 26.12; ტაილანდმა – 26.12; ინდოეთმა – 26.12; ვიეტნამმა – 27.12; ბელარუსმა – 27.12; ეგვიპტემ – 27.12; ალჟირმა – 27.12; ჩინეთმა – 27.12; სლოვენიამ – 27.12; იორდანიამ – 28.12; ხორვატიამ – 28.12; ლიბიამ – 30.12; პაკისტანმა – 31.12.

1992 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარეს:

ლაოსმა – 02.01; ერაყმა – 02.01; ეთიოპიამ – 02.01; ბურგუნდიამ – 06.01.[59]

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკას ოფიციალურად არ უცვ-ნია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარებულმა რეფერენდუმმა გამოხატა ქართველი ერის ნება, აღედგინა ძალდატანებით გაუქმებული ეროვნული სახელმწიფოებრიობა. კრემლის სერიოზული მცდელობების მიუხედავად, საქართველოში მცხოვრებმა ეთნიკურმა უმცირესობამ მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ურთულესი გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ, ზვიად გამსახურდიას

---

[56] **ალბერტ თავხელიძე.** ქართველ მეცნიერთა სახელით. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 74, 1991, 17 აპრილი, გვ. 1.

[57] პოლიტიკურ ბლოკ თავისუფლებისაგან. საქართველოს მწვანეთა განცხადება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 75, 1991, 18 აპრილი, გვ. 1.

[58] მონარქისტული პარტიის განცხადება. ბაგრატიონ-მუხრანელთა საგვარეულო სახლის მილოცვა სრულიად საქართველოს. ესპანეთი, ესკურიალი 10 აპრილი, 1991 წ, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 72, 1991, 13 აპრილი, გვ. 3.

[59] დამოუკიდებლობის 20 წელი. http://ai-ia.info/online-arqivi/13-1991-clis-9-aprili.htm

თავმჯდომარეობით, შეძლო რეფერენდუმის უხარვეზოდ ჩატარება. რეფერენდუმის შედეგები აღიარეს როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა დამკვირვებლებმა. რეფერენდუმის შედეგმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს მისცა საფუძველი, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა გამოეცხადებინა, ხოლო მსოფლიო თანამეგობრობას – ეღიარებინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მიუხედავად ამისა, საქართველოს წინ მრავალი განსაცდელი ელოდა...

თავი III

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო პოლიტიკა

დამოუკიდებლობის დეკლარაციის ხელმოწერის დღიდან ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების წინაშე მწვავედ დაისვა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს „დე ფაქტო“ და „დე იურე“ აღიარების საკითხი. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ისეთი საგარეო პოლიტიკის წარმოების აუცილებლობა, რომელიც მიმართული იქნებოდა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის ისეთივე მხარდაჭერის მოსაპოვებლად, როგორიც მათ მიერ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მიმართ იქნა განხორციელებული.

„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ წინასაარჩევნო პროგრამა მთავარ მიზნად ისახავდა ჩვენი ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის მოპოვებას, რისთვისაც განსაზღვრული ჰქონდა სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ შექმნისთანავე დაიწყო.

1990 წლის 14 ნოემბერს, პირველივე სხდომაზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა მიმართვა „ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციისადმი“, რომელშიც დიდი იმედებია გამოთქმული პარიზის კონფერენციისა და ჰელსინკის პროცესში მონაწილე ქვეყნების მიმართ, რომელთა „ვალია, იზრუნონ არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვისათვის, არამედ ერთა თვითგამორკვევისა და თანასწორობისთვისაც“,დაეხმარონ საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ევროინტეგრაციაში, რამეთუ 1921 წელს ანექსირებულმა, ძალით გასაბჭოებულმა საქართველომ მოიპოვა უფლება, დაბრუნდეს „ევროპის ხალხების ოჯახში“, თუ, რა თქმა უნდა, „მონაწილე ქვეყნები ინტეგრაციის ხელოვნური, არასწორი ეტაპებით არ დაამუხრუჭებენ გლობალური ევროინტეგრაციისა

და საბოლოო სტაბილიზაციის პროცესს.“[60] ჯერჯერობით კი საქართველო გარე ძალების დახმარების გარეშე იბრძოდა ცენტრის მიერ შექმნილი წინააღმდეგობების დასაძლევად. 1990 წლის 20 სექტემბერს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ, კრემლის რეაქციული ძალების წაქეზებით, მიიღო გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა სოციალისტურ დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ.“ [61] საპასუხოდ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლისდეკემბერში მიღებულ იქნა კანონები: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებისა,“ [62] და „ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“. [63] რეგიონში შეყვანილ იქნა ქართული მილიციის დამატებითი ძალები.

1991 წლის 7 იანვარს გამოიცა სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. გორბაჩოვის ბრძანებულება – „საქართველოს სს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის გამო,“ [64] რომელშიც არაკონსტიტუციურად არის მიიჩნეული როგორც 1990 წლის 20 სექტემბრის სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს სესიაზე მიღებული გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა სოციალისტურ დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ“, ასევე 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების დადგენილება, ცხინვალში საგანგებო ვითარების წესების გამოცხადება და რეგიონში ქართული მილიციის დამატებითი ძალების შეყვანა.

---

[60]საქართველოს უზენაესი საბჭოს მიმართვა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციისადმი. თბილისი. 1990 წლის 14 ნოემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 11, 1990, გვ. 84-85.

[61]უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ ოლქის სტატუსის შეცვლის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ. თბილისი. 1990 წლის 22 ნოემბერი. იხ. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. I, გვ. 53-54.

[62]უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის კანონი ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. თბილისი. 1990 წლის 11 დეკემბერი. იხ. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. I, გვ. 68-70.

[63]საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ. თბილისი. 1990 წლის 12 დეკემბერი. იხ. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. IV, გვ. 54-58.

[64] Указ Президента СССР от 07.01.1991. №1286. Указ Президента СССР от некоторых законодательных актах, принятых в декабре 1990 года в Грузинской СССР.

https://ru.wikisource.org/wiki/Указ Президента СССР от 07.01.1991 №1286

მ. გორბაჩოვის ბრძანებულების თანახმად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან უნდა გაეყვანათ ყველა შეიარაღებული ფორმირება, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების გარდა.

ამ ბრძანებულების პასუხად, 1991 წლის 9 იანვარს გაიმართა საქართველოსუზენაესი საბჭოს სხდომა, სადაც მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება:

1. დადასტურდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბერს მიღებული „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის იურიდიული ძალა.

2. სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინაშე დაისვას საკითხი სსრ კავშირის კონსტიტუციის 87-ე მუხლში შესაბამის ცვლილებათა შეტანის შესახებ.

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებამ არაკანონიერად აღიარა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ მიღებული აქტები ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

4. არაკანონიერად იქნეს მიჩნეული ბრძანებულების მოთხოვნა რეგიონიდან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის ქვედანაყოფთა გამოყვანის შესახებ, ვინაიდან ისინი მოქმედებენ საქართველოს ტერიტორიაზე და იცავენ საზოგადოებრივ წესრიგს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. მიჩნეულ იქნეს სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად, მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად, რესპუბლიკისა და მისი ხალხის სუვერენულ უფლებათა უგულებელყოფად, რაც ნათლად გამოვლინდა საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური სახელწოდების დამახინჯებაშიც – ბრძანებულებაში გამოყენებულია ძველი დასახელება – საქართველოს სსრ.

7. ხელისუფლების უზენაესობისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეში ხელყოფაა, აუკრძალო დემოკრატიული წესით არჩეულ ხელისუფლების უზენაეს

ორგანოს საკუთარი სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით აკონტროლებდეს ქვეყნის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს.

იმ შემთხვევაში, თუ რეგიონში განლაგებული სსრ კავშირის შინაგანი ჯარები შეეცდებიან, ძალის გამოყენებით დაატოვებინონ საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს აღნიშნული რეგიონი, ეს ქმედება შეფასებული იქნება, როგორც ცენტრის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყება.

ამ აქციის შესაძლო შედეგებისათვის მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საკავშირო უმაღლეს ხელისუფლებას და პირადად სსრ კავშირის პრეზიდენტს.

8. ეს დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.[65]

12 იანვარს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ წერილი გაუგზავნა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვს, რომელშიც საუბარია, თუ როგორი ნეგატიური გავლენა იქონია და როგორ წააქეზა და უფრო გაზარდა დაძაბულობა 7 იანვრის ბრძანებულებამ. ზვიად გამსახურდიას წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში არც ერთი ეროვნული უმცირესობა არ განიცდის შევიწროებას, ეროვნულ ან კულტურულ შეზღუდვას. სამხრეთ ოსეთი – ეს შიდა ქართლია, ძირძველი ქართული მიწა, ბოლშევიკური რუსეთის მიერ შექმნილი საქართველოს ნების საწინააღმდეგოდ.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ახსენებს მ. გორბაჩოვს, რომ, სსრკ კონსტიტუციის თანხმად, იგი ვალდებულია, იცავდეს რესპუბლიკების ტერიტორიულ მთლიანობას და სთავაზობს მას, შეაჩეროს აღნიშნული ბრძანებულება.[66]რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს აქტიური მიმოწერა ჰქონდა გაეროს გენერალურ მდივანთან პერეს დე კუელიართან, რომელიც ხშირად მიმართავდა მსოფლიოს ხალხებსა და მთავრობებს, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს, სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს. საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 28 თებერვლის მიმართვაში „გაეროს,

---

[65]საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** უზენაესი საბჭოს დადგენილება სსრკ პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ. 1991 წლის 9 იანვარი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 6, 1991, 10 იანვარი, გვ. 1.

[66] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** სსრ კავშირის პრეზიდენტს **მ. ს. გორბაჩოვს.** გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 10, 1991,15 იანვარი, გვ. 1.

მსოფლიოს ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს“, განმარტებულია, რომ ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორია ისტორიულად შიდა ქართლის, ანუ ძირძველი ქართული ტერიტორიაა და არა, როგორც ამას რუსული მასმედია აშუქებს, ჩრდილოეთ ოსეთი. ის არ არის დაჩაგრული საქართველოს მთავრობის მიერ და არც ქართველი ხალხის მიერ. ეს პროვოკაცია ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს სახელმწიფომ ხელი მოაწეროს სამოკავშირეო ხელშეკრულებას.[67]

„საქართველოთიმოხიბლული ვარ, თუმც არასოდეს ვყოფილვარ თქვენსქვეყანაში“, – განაცხადა 1991 წლის 15 მარტს მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, ბატონ მეტლოკის რეზიდენციაში, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ბატონმა ჯეიმს ბეიკერმა, სადაც მიწვეულები იყვნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია და საკავშირო დეპუტატები: ა. სობჩაკი, შატალინი და სხვები. ზვიად გამსახურდიამ თავის გამოსვლაში ისაუბრა, თუ როგორ ცდილობს კრემლი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას ყველა რესპუბლიკაში. შეაფასა ე. წ. „სუვერენულ სახელმწიფოთა ფედერაციის“ არსი, როგორც „ნეოკოლონიალიზმისა და იმპერიული სტრუქტურების შენარჩუნების მორიგი ცდა და ლეგალიზაცია“. ზვიად გამსახურდია დიდ იმედებს ამყარებდა ამერიკის შეერთებულ შტატებზე. მისი აზრით, სწორედ აშშ უნდა დახმარებოდა დამონებულ ხალხებს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა დიდი ინტერესი და კეთილგანწყობა გამოხატა საქართველოსადმი. იგი სიამოვნებით დასთანხმდა ზვიად გამსახურდიას მიწვევას საქართველოში.[68]

ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტის მოგვარების მიზნით, 1991 წლის 23 მარტს საქართველოს ტერიტორიაზე, დაბა ყაზბეგში ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ-ის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის ელცინი და საქართველოს რესპუბლიკის

---

[67]საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** მიმართვა გაეროს, მსოფლიოს ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 2, 1991, გვ. 123-125.

[68] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი. **ჯეიმს ბეიკერი:** საქართველოთი მოხიბლული ვარ, თუმც არასოდეს ვყოფილვარ თქვენს ქვეყანაში. 1991 წლის 18 მარტი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 53, 1991, 19 მარტი, გვ. 1.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. დაიგეგმა მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებები. უპირველესი და უმთავრესი მათ შორის იყო გადაწყვეტილება რუსეთ-საქართველოს შორის ახალი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, რომლის ხელმოწერაც დაიგეგმა თბილისში. გაფორმდა შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი, რომელშიც აღინიშნა:

1. 1991 წლის აპრილის მანძილზე ხელმოსაწერად მომზადდეს რუსეთის სფსრ და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის ხელშეკრულების პროექტი, რისთვისაც შეიქმნას სამუშაო ჯგუფები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის. ერთობლივი მოქმედების მიზნით შეთანხმების შედეგად მხარეები მორიგდნენ.

2. რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 დღეში შექმნან ერთობლივი კომისია აღნიშნულ რეგიონში ვითარების შესასწავლად და მიმდინარე წლის 20 აპრილამდე სიტუაციის ობიექტურად შეფასების მიზნით.

3. რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 აპრილამდე შექმნან მილიციის გაერთიანებული რაზმი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირების გასაიარაღებლად. ამ რაზმს დაევალება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მოცემულ ტერიტორიაზე ვითარების სტაბილიზაციამდე.

4. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინადადება მიეცეს, გაიყვანოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან იქ დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები.

5. რუსეთის სფსრ, საქართველოს რესპუბლიკის და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა დაუყოვნებლივ დაიწყონ საიმისო მუშაობა, რომ ლტოლვილებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების საშუალება შეექმნათ, უზრუნველყონ ადგილობრივი ხელისუფლების კანონიერი ორგანოების აღდგენა.

6. რუსეთის სფსრ, საქართველოს რესპუბლიკის და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მთავრობებმა შექმნან ლტოლვილებისათვის მიყენებული ზარალის შემფასებელი კომისია და დამატებითი სახსრები გამოყონ ამ ზარალის ასანაზღაურებლად.

7. შექმნილი კომისიებისა და რაზმების საბოლოო ამოცანად ჩაითვალოს რეგიონში მშვიდობისა და სიმშვიდის აღდგენა.

8. შეიქმნას მუდმივი ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს ამ ოქმის შესრულებას და განიხილავს წამოჭრილ მიმდინარე საკითხებს."[69]

რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ კმაყოფილება გამოთქვა ყაზბეგის შეხვედრაზე მიღწეული შედეგებით და წარმატება უსურვა ქართველ ხალხს მომავალში. ამ შეხვედრას გაზეთმა „ვაშინგტონ ტაიმსმა" სპეციალური სტატია მიუძღვნა, სადაც აღნიშნულია, რომ ბ. ელცინისა და ზ. გამსახურდიას შორის შეხვედრა დასრულდა შეთანხმებით, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ომის დასრულებას.[70]

1991 წლის 25 მარტს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს შეხვედრა ჰქონდა შვედეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან ბატონ კარლ ოტო ერიან ბერნერთან, რომელმაც განაცხადა, რომ „შვედეთი ცნობს საქართველოს ანექსიას და მხარს უჭერს საქართველოს ბრძოლას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის"[71].

შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა. შვედეთის ელჩს ასევე ჰქონდა შეხვედრები ქართულ ოპოზიციასთან და უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან. შვედეთის ელჩთან საუბარში ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ მას არ მიაჩნია ოპოზიციად კრიმინალებთან დაკავშირებული ძალები, რომლებსაც არ სურთ ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა და რომ მათ გარდა ქვეყანაში არსებობს ზომიერი ოპოზიციაც, რომელიც არ ერიდება ხელისუფლებასთან კამათს, მაგრამ, ამასთანავე,

---

[69]23 მარტს ყაზბეგში ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი **ბორის ელცინი** და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი **ზვიად გამსახურდია.** გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", N 58, 1991, 26 მარტი, გვ.1.

[70] „ვაშინგტონტაიმსი" საქართველოს შესახებ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", N 62, 1991, 31 მარტი, გვ. 4.

[71]უზენაესი საბჭოს პრესცენტრი. შეხვედრა შვეციის ელჩთან. გაზ. „სამშობლო", N 6, 1991, მარტი, გვ. 3.

ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მზადაა თანამშრომლობისათვის. მდგომარეობიდან გამოსავალს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის ცენტრისგან გამოთავისუფლებაში, „რსფსრ-სა და საქართველოს ერთობლივ მოქმედებაში ხედავს."

საქართველოში 1991 წლის 29 მარტს სტუმრად (არაოფიციალური ვიზიტით) ჩამოვიდა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი, რომელსაც შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. ექსპრეზიდენტმა საუბრისას აღნიშნა, რომ აშშ-თვის საინტერესოა საქართველოს შესახებ ინფორმაცია, გამოთქვა ამერიკის ხელისუფლების სურვილი, რომ საქართველოსა და აშშ-ს შორის მოხდეს დელეგაციების ხშირი გაცვლა, რაც მხარეებს საშუალებას მისცემს, დაამყარონ უფრო მჭიდრო ურთიერთობა.

ზვიად გამსახურდიამ თავის მხრივ აღნიშნა, რომ აშშ და დემოკრატიული მსოფ-ლიო უნდა დაეხმარონ საქართველოსნაირ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქვეყნებს, რაზეც ბატონმა ნიქსონმა უპასუხა: „ამერიკას ყოველთვის მიაჩნდა, რომ ყოველმა ხალხმა, მის მიერ არჩეულმა მთავრობამ, თვითონ უნდა განაგოს თავისი ბედი."[72]

საქართველოს უზენაესი საბჭო, საგარეო პოლიტიკის წარმოებისას, მიზნად ისახავდა ქვეყნის განვითარებას ეკონომიკური მიმართულებითაც, ეძებდა ახალ სავაჭრო-ეკონომიკურ კონტაქტებს სხვადასხვა ქვეყნებთან, რომ მათი გამოცდილება გამოეყენებინა ხალხის საკეთილდღეოდ, მაგრამ, ამასთანავე, ცდილობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკებთანაც შეენარჩუნებინა და განევითარებინა არსებული ეკონომიკური ურთიერთობები, წარმოქმნილი რეალიების გათვალისწინებით.

---

[72]უზენაესი საბჭოს პრესცენტრი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის **ზვიად გამსახურდიას** შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტთან ბატონ **რიჩარდ ნიქსონთან.** გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", N 61, 1991, 30 მარტი, გვ. 1.

1991 წლის 17 აპრილს თბილისში შედგა შეხვედრა საქართველოს მთავრობის მეთაურსა და თათრეთის რესპუბლიკის დელეგაციას შორის. შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ რესპუბლიკებში არსებული სასაქონლო დეფიციტის შესავსებად გაცვლითი ოპერაციების განხორციელების თაობაზე. შეიქმნა ორმხრივი სამუშაო ჯგუფი სათანადო ხელშეკრულებების მოსამზადებლად.[73]

1991 წლის 10 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე ბევრ ისეთ კითხვას გასცა პასუხი, რომელიც ეხებოდა ქვეყნის როგორც საშინაო, ასევე საგარეო საკითხებს. იგი გულღიად პასუხობდა პრესის წარმომადგენლების შეკითხვებს ქვეყნის მომავალზე. იმედით უყურებდა ურთიერთობას ბორის ელცინთან, რომლის მიმართაც სიმპათიით იყო განწყობილი და არ დაუმალავს უარყოფითი განწყობა მიხეილ გორბაჩოვის მიმართ. შეკითხვაზე, თუ რა შეუძლია საქართველოს, რომ დაუპირისპიროს ცენტრის რეაქციას შიდა ქართლიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის მოთხოვნაზე, ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ მზადაა გამოაცხადოს ეროვნული დაუმორჩილებლობა: გადაკეტოს სარკინიგზო მაგისტრალი, რომლის გაფიცვა „დამბლას დასცემს საბჭოთა კავშირის რკინიგზის დიდ ნაწილს – ადლერიდან დონის როსტოვამდე. ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების გაფიცვასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, სწორედ აქედან გააქვს საბჭოთა კავშირს საექსპორტო ნავთობი და ქვანახშირი.“ ზვიად გამსახურდია სინანულს გამოთქვამდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ გამოხმაურებია მის მრავალრიცხოვან მიმართვებს: „ჩვენთან კონტაქტებს ისე აფასებენ, როგორც საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში ჩარევას“, – განაცხადა მან.[74]

---

[73]მთავრობის მოამბე. ურთიერთხელსაყრელი კონტაქტები. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 75, 1991, 18 აპრილი, გვ. 1.

[74] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ **ზვიად გამსახურდიას** პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. 1991 წლის 10 აპრილი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 72, 1991, 13 აპრილი, გვ. 1.

1991 წლის 27 აპრილის წერილში პერეს დე კუელიარისადმი ასახულია საბჭოთა იმპერიის ქმედება კავკასიაში, განსაკუთრებით ქართველი და ჩეჩენ-ინგუში ხალხის მიმართ. კრემლის მიზანია, ერთმანეთს წაჰკიდოს ქართველი და ოსი, ჩეჩენი და ინგუში ხალხი. ასევე „უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები, 10 ქართული სოფელი საბჭოთა ჯარების მიერ მოქცეულია მძიმე ბლოკადაში, დაწყებულია შიმშილი, არ არის მედიკამენტები... ქართველთა და ოს ლტოლვილთა რიცხვი 30 ათასს აჭარბებს“. რაც შეეხება ჩეჩენ-ინგუშებს, არც იქაა უკეთესი მდგომარეობა: ვითომდა ერებს შორის დაპირისპირების მოსაგვარებლად კრემლმა ჩეჩენ-ინგუშების ტერიტორიაზე სამხედრო ნაწილები შეიყვანა. დეზინფორმაციის საშუალებით ცდილობს სახელი გაუტეხოს ჩეჩენ და ინგუშ ხალხს, რათა არ დაუშვას ნებისმიერი საერთაშორისო მხარდაჭერა ქართველებზე, ჩეჩნებსა და ინგუშებზე. „ამიტომ, გთხოვთ, გამოგზავნოთ ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის ექსპერტები, რომლებიც შეისწავლიან დარღვევის ფაქტებს და დასახავენ ღონისძიებებს მათ აღსაკვეთად“[75] - აცხადებდა ზვიად გამსახურდია.

საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკისსაერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, რატიფიკაციის, დენონსაციისა და შესრულების შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის სახელით ყველა დონისა და სახის საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მიღებისა და შესრულების წესი.[76]

საქართველოში აშშ-ის ექსპრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის სტუმრობის შემდეგ გახშირდა ვიზიტები ამერიკის შეერთებული შტატებიდან. საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრი იტყობინებოდა, რომ მაისის თვეში საქართველოში ჩამოვიდნენ „სი-ენ-ენის“ პრეზიდენტი სტიუარდ ლური და კონგრესის ფონდის პრეზიდენტი პოლ ვაირიგი დელეგაციასთან ერთად. სტუმრები მოიხიბლნენ საქართველოს ბუნებით, ქართველი

---

[75]საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** გაეროს გენერალურ მდივანს **პერეს დე კუელიარს,** მსოფლიო ხალხებსა და პარლამენტებს. თბილისი. 1991 წლის 27 აპრილი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 4, 1991, 27 აპრილი, გვ. 93-96.

[76]საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** კანონი საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, რატიფიკაციის, დენონსაციისა და შესრულების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 14 მაისი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 98, 1991, 21 მაისი, გვ. 2.

ხალხის სულიერებითა და რელიგიურობით და აღნიშნეს, რომ „ბუშის ადმინისტრაციას მეტ აქტიურობას მოსთხოვენ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რესპუბლიკის მიმართ.“ ბატონი სტიუარდი ესაუბრა პრეზიდენტ გამსახურდიას ორივე მხარისთვის საინტერესო საკითხებზე – ჟურნალისტების გაცვლაზე, რაც ხელს შეუწყობდა ორი ქვეყნის ურთიერთგაცნობასა და თანამშრომლობას: „კონტაქტები უფრო გაგვიადვილდება“ - ითქვა შეხვედრაზე.[77] საქართველოში არსებული სიტუაციის აღწერისას ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ, ერთი მხრივ, საქართველოში არსებობს საყოველთაო არჩევნების შედეგად არჩეული ხელისუფლება, რომელიც უზრუნველყოფს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ოპოზიციის სიტყვის თავისუფლებას; მეორე მხრივ, ვინაიდან საქართველო საბჭოთა კავშირის საფინანსო-სამეურნეო სისტემის შემადგენელი ნაწილია, საბაზრო-ეკონომიკური რეფორმების გატარება გაძნელებულია, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ მოამზადა კანონები, რომლებიც ხელს შეუწყობენ რესპუბლიკაში ახალი ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებას და განვითარებას.

1991 წლის 21-23 ივნისს შვეიცარიის ქალაქ კრანს-მონტანაში გაიმართა ფორუმი, რომელსაც ესწრებოდნენ ევროპისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფოთა წარმომადგენლები. სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, რომლებიც ფორუმში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის სახელით, საქართველო წარმოდგენილი იყო დამოუკიდებლად. ფორუმი მიზნად ისახავდა, განეხილა სსრკ-ში არსებული მდგომარეობა და შეემუშავებინა ევროპის სახელმწიფოებისათვის სსრკ-თან მომავალი ურთიერთიერთობის სტრატეგია. ფორუმზე ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ პრემიერმინისტრი თენგიზ სიგუა და საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია, რომელთა გამოსვლებმაც ფორუმის მონაწილეების უდიდესი ინტერესი გამოიწვია.[78]

4 ივლისი ამერიკის შეერთებულ შტატების დამოუკიდებლობის დღეა. საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა მილოცვა გაუგზავნა

---

[77] უზენაესი საბჭოს პრესცენტრი. კონტაქტები უფრო გაგვიადვილდება – ითქვა პრეზიდენტთან შეხვედრაზე. შეხვედრა ამერიკელთა დელეგაციასთან. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 97, 1991, 18 მაისი, გვ. 1.

[78] **ლ. ბასილაია.** ინტერესი საქართველოსადმი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 129, 1991, 3 ივლისი, გვ. 3.

აშშ-ის სენატის წევრებს და გამოთქვა იმედი, რომ აშშ მხარს დაუჭერდა ქართველ ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.[79]

საქართველოს უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო პაატაშვილის და ამავე კომიტეტის ეკონომიკური კავშირების ქვეკომისიის თავმჯდომარის ლევან ასათიანის განცხადებით, პირველი საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა საქართველოსთან დაძმობილებულ საარის მხარეში. ვიზიტი ატარებდა როგორც მეგობრულ, ისე საქმიან ხასიათს.

საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ გერმანიის რესპუბლიკის საარის მხარესთან მეგობრული ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, ქართული მხარის მიერ ინიცირებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის მიერ გერმანიიდან გამოზიდული უნიკალური წიგნების საქართველოში შენახული ნაწილის გადაცემა. ვიზიტისას დაისახა კონკრეტული ღონისძიებები ტურიზმის, ბანკების ურთიერთთანამშრომლობისა და კვების პროდუქტების ერთობლივი დამზადების თაობაზე. საარის მხარეში საქართველოს კულტურის დღეების გამართვა დაიგეგმა სექტემბერისთვის.

საარში ყოფნისას, ევროსაბჭოს ინიციატივით, სტრასბუგში მოხდა შეხვედრა ევროსაბჭოს პოლიტიკურ კონსულტანტთან გერჰარდ შომბგენთან, რომელმაც ქართულ მხარეს შესთავაზა, მონაწილეობა მიეღო რეგიონალურ შეკრებებში, რამაც ჩვენი დელეგაციის პროტესტი გამოიწვია. მათ განუმარტეს ევროსაბჭოს წარმომადგენელს, რომ საქართველო საბჭოთა კავშირის რეგიონს აღარ წარმოადგენდა, რაზეც ევროსაბჭოს წარმომადგენლის პასუხი მიიღეს, რომ რეგიონალურ საბჭოში გამოსვლა უზენაესი საბჭოს ნებისმიერ დეპუტატს შეეძლო.[80]

1992 წლის 12 ივლისს ქ. თბილისში, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის მიღებული ურთიერთმეგობრობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა

---

[79]საქართველოს რესპუბლიკი სუზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** ამერიკის შეერთებული შტატების სენატის წევრებს. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 132, 1991, 6 ივლისი, გვ. 1.

[80]პირველი ოფიციალური ვიზიტი. ესაუბრა **გ. სიხარულიძე.** გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 139, 1991, 18 ივლისი, გვ. 6.

რესპუბლიკების მიერ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს შემდგომი დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით. მხარეები შეთანხმდნენ მჭიდრო სამეცნიერო, კულტურულ და ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. [81] ხელშეკრულება საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა იმავე წლის 25 ივლისს.[82]

პოლონეთში, სეიმის მიწვევით, იმყოფებოდა საქართველოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე. დელეგაცია გაეცნო პოლონეთის ეკონომიკურ და საერთო პოლიტიკურ ცხოვრებას, რომელმაც ეკონომიკური განვითარება და კრიზისიდან გამოსვლა მოახერხა მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტის, პოლონეთის პრემიერის მოადგილის ბალცეროვიჩის ეკონომიკური გეგმის მიხედვით. ვიზიტისას დაისახა ქვეყნებს შორის მჭიდრო ურთიერთობის გზები, მათ მიაღწიეს შეთანხმებას, რომ „პოლონეთი მხარს დაუჭერს საქართველოს და დაეხმარება მას, შევიდეს მსოფლიო გაერთიანებაში.“[83]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 25 ივლისს მიიღო დადგენილება „1968 წლის 1 ივლისის ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების თაობაზე”. [84] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ცდილობდა, ევროპის სახელმწიფოებთან მჭიდრო

---

[81] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი **აიაზ მუთალიბოვი.** აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულება. თბილისი. 1991 წლის 12 ივლისი. იხ. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1991). ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები დაინტერვიუები. ნაწილიII. ტ. V, თბილისი, 2015, გვ. 117-118.

[82] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** საქართველოს რესპუბლიკისა დააზერბაიჯანის რესპუბლიკის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 25 ივლისი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 7, 1991, გვ. 88.

[83]**ალა კოკაია.** საქართველო-პოლონეთი: კონტაქტები მტკიცდება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 143, 1991, 24 ივლისი, გვ. 1.

[84] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 25 ივლისი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 7, 1991, გვ. 88.

კავშირი დაემყარებინა. უზენაესმა საბჭომ მიულოცა სლოვენიელ ხალხს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისათვის მზადყოფნა გამოუცხადა.[85]

საქართველოს უზენაესი საბჭო ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს საბჭოთა კავშირში შემავალი სახელმწიფოების ცხოვრებას და მათ ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის. ქართველი კოლეგები გულწრფელი სიხარულით ულოცავდნენ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ლატვიის, ესტონეთის, უკრაინის,[86] უზბეკეთის[87] უზენაეს საბჭოებს, ცნობდნენ მათ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, გამოხატავდნენ მზადყოფნას მათთან დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად. 1991 წლის 26 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიულოცა ლატვიის უზენაეს საბჭოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, ოფიციალურად ცნო ლატვიის რესპუბლიკა დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ და გამოთქვა მზადყოფნა მასთან მოლაპარაკებების დასაწყებად დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მიზნით.[88]

31 აგვისტოს საქართველოში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მუდმივი საბიუჯეტო კომისიის დელეგაცია, ვაჭრობის ქვეკომისიის თავმჯდომარის სემ გიბონსის მეთაურობით. სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე, მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები და რესპუბლიკის სხვა ოფიციალური პირები. სტუმრები

---

[85] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განცხადება. თბილისი. 1991 წლის 10 აგვისტო. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 8, 1991, გვ. 184.

[86] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. ლატვიის, უკრაინის, ესტონეთის უზენაეს საბჭოებს. თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 167, 1991, 27 აგვისტო, გვ. 1.

[87] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. უზბეკეთის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს. თბილისი. 1991 წლის 9 ოქტომბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 10, 1991, გვ. 64-65.

[88] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. ლატვიის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს. თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 8, 1991, გვ. 188.

დაინტერესებულები იყვნენ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებით, ხელისუფლების მიერ დაგეგმილი რეფორმებით, ახალი ეკონომიკური კურსით, მოსახლეობის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო უფლებების დაცვით, არსებული ხელისუფლების სტაბილურობით.

შეხვედრაზე პასუხი გაეცა სტუმრებისათვის საინტერესო კითხვებს, ისაუბრეს ქვეყანაში დასახულ ეკონომიკურ რეფორმებზე, რომლებიც მოიცავდნენ როგორც მიწისა და საწარმოების პრივატიზაციას, ასევე ქვეყანაში შემოსული უცხოური ინვესტიციების დაცვას, რისთვისაც უზენაესი საბჭოს მიერ შემუშავებულ და მიღებულ იქნა კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“. ასევე საუბარი შეეხო ეროვნული ვალუტის შემოღების საჭიროებას. სტუმრებს ეცნობათ, რომ რესპუბლიკის ხელისუფლება ყველა ღონეს მიმართავდა როგორც უცხოური, ისე ნებისმიერი სახის კერძო კაპიტალის დასაცავად.[89]

1991 წლის სექტემბერში საქართველოში ჩამოვიდნენ აშშ-ის კონგრესის ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის საკითხთა კომისიის დელეგაციის წევრები თავმჯდომარის სტენ ჰოიერისა და ამავე კომისიის თანათავმჯდომარის დენის დე კონსინის მეთაურობით. ქართული მხრიდან სტუმრებს შეხვდნენ ზვიად გამსახურდია, აკაკი ასათიანი, ნემო ბურჭულაძე, მურმან ომანიძე და სხვ.

შეხვედრისას ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ აშშ არ ჩქარობდა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის აღიარებას ბალტიის ქვეყნებისგან განსხვავებით, რომელთა დამოუკიდებლობაც აშშ-მა უკვე ცნო.

მოგვიანებით, ამერიკელი სტუმრები შეხვდნენ და ესაუბრნენ რესპუბლიკის ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს.

ამერიკული მხარის წარმომადგენლებმა დააკონკრეტეს იმ წინაპირობების ჩამონათვალი, რაც აუცილებელია ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებისათვის: „ადამიანისა და

[89] საქინფორმი. ამერიკელ კონგრესმენთა ვიზიტი საქართველოში. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 171-172, 1991, 3 სექტემბერი, გვ. 1.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებები; მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სრული თავისუფლება; სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობა და სხვა.“[90]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 15 სექტემბერს მიიღო დადგენილება: ჰელსინკის „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტთან“ და ვენის „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შემაჯამებელ დოკუმენტებთან“ საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ.[91] ასევე საქართველო შეუერთდა გაეროს მიერ მიღებულ ადამიანის უფლებათა დეკლარაციას[92].

რესპუბლიკის აქტიურ საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკაზე მიუთითებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომისიის წევრის ბორის მხეიძის ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში,რის შედეგადაც, პოლიტიკური კონტაქტების გარდა, თურქეთის მთავრობასა და პარლამენტთან მიღწეულ იქნა მთელი რიგი ეკონომიკური ხასიათის შეთანხმებები.

თურქეთის პარლამენტის წევრი, „ნატოს“ ბლოკის თურქეთის წარმომადგენლობის მეთაური და რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის წარმომადგენელი ზეგი იასუზმის განცხადებით, ბანკი დააფინანსებდა საქართველოს ეკონომიკას 200 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, თურქეთ-საქართველოს ერთობლივი, თავისუფალი ფირმის მეშვეობით.

წარმატებული გამოდგა ბორის მხეიძის შეხვედრა თურქეთის მთავრობის წარმო-მადგენლებთან. თურქულმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის ევროპის ბანკიდან მისცემოდა სესხი 400 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. ასევე, თურქეთის რესპუბლიკა საქართველოს კრედიტის სახით

---

[90] საქინფორმი. ამერიკელ კონგრესმენთა ვიზიტი საქართველოში. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 175, 1991, 10 სექტემბერი, გვ. 1.

[91] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** დადგენილება ჰელსინკის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტთან და ვენის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შემაჯამებელ დოკუმენტებთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 15 სექტემბერი. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, საქმე 2955, აღწერა 8, გვ. 18.

[92] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** უზენაესი საბჭოს დადგენილება ადამიანის უფლებათა დეკლარაციასთან შეერთების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 15 სექტემბერი. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, საქმე 2955, აღწერა 8, გვ. 14.

გამოუყოფდა 50 მლნ დოლარს. ამას გარდა, საქართველო ორი წლის განმავლობაში პროცენტის გარეშე მიიღებდა 50 მლნ დოლარის ღირებულების სურსათ-სანოვაგეს. თურქეთი მზადყოფნას გამოთქვამდა, ხელი შეეწყო საქართველოსთან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობის დამყარებისათვის - მოწონებულ იქნა შავი ზღვის ქვეყნების ასოციაციის შექმნის იდეა.[93]

დოქტორ ისაი გოლდშტეინის განცხადებით, დასავლეთში ვრცელდებოდა დეზინფორმაცია საქართველოს შესახებ, რომელიც ქვეყნის იმიჯს ძალიან დიდ ზიანს აყენებდა. გაზეთ „სვობოდნაია გრუზიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ მთავარია სწორად იქნეს გამოყენებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ქვეყანაში არსებული მდგომარეობის აღწერისას, რაც კრემლს, რომელიც დაინტერესებულია საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციით, მრავლად აქვს. ამის საწინაღმდეგოდ, თავის მხრივ, სწორი ინფორმაციის მისაწოდებლად არაერთხელ მიუმართავს როგორც პრეზიდენტ ბუშისათვის, ასევე აშშ-ის სენატისათვის. [94] სამწუხაროდ, რუსეთის იმპერია საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებდა ფარულსაინფორმაციო ომს, ევროპის ქვეყნებს არ მიეწოდებოდათ ობიექტური ინფორმაციის ნაკლებობა ჩვენი ქვეყნის შესახებ. ამის დასტურია თუნდაც საქართველოს უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარის მედეა თუშმალიშვილისა და ამავე კომისიის წევრის ნიკოლოზ კილასონიას საფრანგეთში ვიზიტისას ის ინფორმაცია, რომელიც მათ იქ დახვდათ საქართველოსა და მისი მეთაურის შესახებ. მედეა თუშმალიშვილი დელიკატურად არ მიუთითებდა, რომ ფრანგი ჟურნალისტები კრემლის დაკვეთით მოქმედებდნენ, მაგრამ ამბობდა: „მით უფრო ნათელი ხდებოდა ჩემთვის, რომ ის „ცუდი იმიჯი“, რომელიც საქართველოს აქვს დასავლეთის პრესაში, ხშირ შემთხვევაში, ანგაჟირებული ჟურნალისტების სტილი უფროა, ვიდრე პოლიტიკაში მართლაც ღრმად ჩახედული პროფესიონალების.“ [95] საქართველო თვალყურს ადევნებდა მეგობარ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ

---

[93] საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი გვატყობინებს. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 186, 1991, 25 სექტემბერი, გვ. 3.

[94] **მ. ალადაშვილი, რ. სიროვატკინა.ისაი გოლდშტეინი:** ჩემი მიზანია გავფანტო ის დეზინფორმაცია, რომელიც დასავლეთში ვრცელდება საქართველოს შესახებ... გაზ. „რესპუბლიკა“, N 36, 1991, 17 ოქტომბერი, გვ. 3.

[95] საჭიროა მიზანდასახული საგარეო პოლიტიკა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 228, 1991, 22 ნოემბერი, გვ. 4.

პროცესებს. ასე მაგალითად, ჩეჩნეთისა და ყირგიზეთის რესპუბლიკების საპრეზიდენტო არჩევნებზე საქართველოდან მივლინებულ იქნენ მეთვალყურეები.[96]

არა მარტო „შორეული“ ევროპის სახელმწიფოებმა, არამედ ჩვენმა ბალტიისპირელმა მეგობრებმაც კი დააყოვნეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ამ ფაქტისადმი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გულისტკივილი ნათლად გამოხატა უზენაესი საბჭოს წევრმა ამირან კალაძემ. 1991 წლის 4 ნოემბერს იგი ღია წერილით მიმართავდა ესტონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ლენარტ მერის, რომელშიც გაკვირვებას გამოთქვამდა, რომ ესტონეთმა დააყოვნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება, სთხოვდა ამ საკითხის დაჩქარებას და იწვევდა მას სტუმრად საქართველოში.[97]

საქართველოს უზენაესი საბჭოს პოზიცია სსრ კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის (დსთ 1991 წლის 8 დეკემბერს შეიქმნა) შესახებ გამოხატულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ნემო ბურჭულაძის 1991 წლის 10 დეკემბრის წერილით: „ბელორუსიის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოს, უკრაინის უზენაეს საბჭოს.“ აღნიშნულ წერილში ნემო ბურჭულაძე საქართველოს უზენაესი საბჭოს სახელით მიესალმა აღნიშნული რესპუბლიკების ხელმძღვანელთა მიერ საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას და მოუწოდებდა მათ, რომ დაეხმარონ სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს თავისუფლების მოპოვებასა და დემოკრატიული პრინციპების განვითარებაში. ნემო ბურჭულაძე იმედოვნებდა, რომ აღნიშნული შეთანხმება ხელს შეუწყობდა რესპუბლიკებს შორის ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების დამყარებას.[98] საქართველოს უზენაესმა საბჭომ ასევე მიმართა თურქეთის რესპუბლიკის უზენაეს ეროვნულ კრებას (პარლამენტს), რომ ცნოს

---

[96] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** ჩეჩნეთის რესპუბლიკისა და ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტების არჩევნებზე მეთვალყურეების მივლინების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 8 ოქტომბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 10, 1991, გვ. 12.

[97]**ამირან კალაძე.** ღია წერილი ესტონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ **ლენარტ მერის.** თბილისი. 1991 წლის 4 ნოემბერი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 220, 1991, 9 ნოემბერი, გვ. 2.

[98] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნემო ბურჭულაძე.** ბელორუსიის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოს, უკრაინის უზენაეს საბჭოს. თბილისი. 1991 წლის 10 დეკემბერი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 242, 1991, 11 დეკემბერი, გვ. 1.

საქართველოს რესპუბლიკა, გაიხსნას საელჩოები თბილისსა და ანკარაში, „რაც ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის მეგობრული კავშირების განმტკიცებას და ეს რეგიონალური მშვიდობის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი გახდება“[99], – აღნიშნული იყო მიმართვაში. პასუხად, 1991 წლის 16 დეკემბერს, ზვიად გამსახურდიამ, თურქეთის რესპუბლიკიდან სასიხარულო წერილი მიიღო: „დღეს, თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა სცნოს ყოფილი საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელი რესპუბლიკები. ჩვენდა სასიხარულოდ, თურქეთის რესპუბლიკა და მისი მოსახლეობა აპირებს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობასაც. მსურს მოგილოცოთ, ბატონო პრეზიდენტო, ეს ფაქტი თქვენ და მთელ ქართველ ხალხს, რომელიც მოგყვებოდათ თქვენ დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე.“[100]

1991 წლის 18 დეკემბერს უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროდან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო შეთავაზება დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად მოლაპარაკების გამართვის თაობაზე, რაც იმის დამადასტურებელი იყო, რომ უკრაინის რესპუბლიკა აღიარებდა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს.[101]

კომუნისტური რეჟიმის გავლენიდან ახლად გამოსული ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის რთული იყო ეწარმოებინა წარმატებული საგარეო პოლიტიკა, ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში უწევდა მოღვაწეობა. ჯერ კიდევ დიდი იყო საბჭოთა იმპერიის გავლენა მსოფლიოზე, არ იყო გარკვეული საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური მისწრაფებები. ამავდროულად, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნებისთვის პრიორიტეტს ევროპის ტერიტორიაზე მდებარე საბჭოთა ბანაკის ქვეყნები წარმოადგენდნენ, სადაც განთავსებული იყო საბჭოთა და შემდგომ რუსეთის არმიის დანაყოფები. ეს ის პერიოდი

---

[99] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნემო ბურჭულაძე.** თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 12, 1991, გვ. 40.

[100] **სულეიმან ილდიმირი. ზვიად გამსახურდიას.** გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 247, 1991, 18 დეკემბერი, გვ. 1.

[101] დოკუმენტი, რომელსაც ელოდა ყველა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 248, 1991, 19 დეკემბერი, გვ. 1.

იყო, როდესაც დასავლეთის ქვეყნებსა და კრემლს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ვარშავის ხელშეკრულების წევრ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან საბჭოთა, შემდგომში, რუსეთის უზარმაზარი სამხედრო კონტინგენტის გამოყვანის შესახებ. რა თქმა უნდა, დასავლეთს, რუსეთის ხელთ არსებული უდიდესი სამხედრო პოტენციალის პირობებში, არ შეეძლო გაერისკა მიღწეული შეთანხმებებით. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას კი შეეძლო გამოეწვია რუსეთის გაღიზიანება და შეეფერხებინა ჯარების გაყვანის პროცესი, რომელიც 1994 წლამდე გაგრძელდა. გარდა ამისა, არსებობდა კიდევ ერთი ასპექტი – დასავლეთს აშინებდა საბჭოთა კავშირის სწრაფი რღვევის შედეგად მოსალოდნელი ქაოსი. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1991 წლის 21 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა „ამერიკის ხმის“ 1990 წლის 10 ნოემბრის სარედაქციო წერილი, რომელიც აშშ-ის მთავრობის პოზიციას გამოხატავდა. მასში საუბარია, ერთი მხრივ, საქართველოში დემოკრატიული პრინციპების დაცვით, წარმატებულად ჩატარებული უზენაესი საბჭოს არჩევნებზე და აქვე გადმოცემულია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის სიტყვები: „არის იმის საშიშროება, რომ ძველი სტალინური სისტემის რღვევა უფრო ადრე მოხდება, ვიდრე საყოველთაო საკაცობრიო ფასეულობებსა და კანონის უზენაესობაზე დამყარებული ახალი სისტემის აღმოცენება. ვიმედოვნებთ, რომ პოლიტიკური სისტემის ცვლა და ეკონომიკის დეცენტრალიზაცია სძლევს ქაოსსა და რღვევას.“[102] აღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით, გასაკვირიც არაა, თუ რატომ უჭირდათ დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებს სწრაფად, მოკლე დროში ეღიარებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა.

[102] ამერიკის ხმა. ამერიკის მთავრობის თვალსაზრისი საქართველოზე. 1990 წლის 10 ნოემბერი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 35, 1991, 21 თებერვალი, გვ. 1.

თავი IV

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საშინაო პოლიტიკა

მრავალპარტიული არჩევნების წარმატებით ჩატარების შემდეგ, უზენაეს საბჭოს წინაშე, ქვეყნის ეკონომიკის ასაღორძინებლად, ძირეული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის საკითხი დადგა. რეფერენდუმმა ხელისუფლებას განუსაზღვრა მკაფიო კურსი – საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს დაუყოვნებლივ გამოსვლა.

დამოუკიდებლობისათვის ქვეყანას, უპირველეს ყოვლისა, გამართული ეკონომიკა და საფინანსო სისტემა ესაჭიროებოდა. საბჭოთა კავშირში არსებული გეგმიური ეკონომიკა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა და იმპერიის რღვევის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენდა.

საქართველოც, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა რესპუბლიკები, განიცდიდა სოციალისტური, გეგმიურად მართული ეკონომიკის ნაკლოვანებებს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს საზოგადოებაში იმ პერიოდში საკმაოდ ზედაპირული წარმოდგენა არსებობდა დამოუკიდებელი ეკონომიკის მშენებლობაზე. ასე მაგალითად, გაბატონებული იყო აზრი, რომ საქართველოს მხოლოდ ჩაის, ღვინისა და ციტრუსის ექსპორტით შეეძლო წარმატებული ეკონომიკა ჰქონოდა. ეკონომისტი მერაბ კაკულია აღნიშნავს, რომ „... აკადემიური წრეების წარმომადგენლები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ცალსახად ამბობდნენ, რომ ჩვენ ყველა წინაპირობა გვაქვს იმისათვის, რომ ეკონომიკურად დამოუკიდებლად ვიარსებოთ. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ჩვენ მხოლოდ ჩვენი ჩაის, ციტრუსის, ღვინისა და ბორჯომის ექსპორტიც კი გვეყოფა იმისათვის, რომ საკუთარი თავი შევინახოთ. სამწუხაროდ, ეს ასე არ იყო და ამის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი იყო ის, რომ საქართველოს ეკონომიკა საბჭოთა სისტემაშიც კი არ იყო თვითკმარი. ჩვენ ვიმყოფებოდით სერიოზულ დოტაციაზე ფინანსური თვალსაზრისითაც, ანუ საქართველოს ბიუჯეტს ჰქონდა დეფიციტი და ამ დეფიციტის დაფარვა ხდებოდა საკავშირო ბიუჯეტიდან მიღებული

სახსრებით.“[103] ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილება ძალიან მნიშვნელოვან სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 14 ნოემბერს მიიღო კანონი „რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“.[104] შესაბამისად, საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები და მასში ჩაიწერა: „ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს არსებული კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით იმოქმედებს გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი.“[105] რომ გავერკვიოთ, რატომ იყო საჭირო გარდამავალი პერიოდის გამოცხადება, განვიხილოთ მისი არსი: იგი ნიშნავს დროის მონაკვეთს, პერიოდს, რა დროშიც უნდა მოხდეს ცვლილებები ქვეყანაში – გატარდეს სამართლებრივი რეფორმები, საქართველო სოციალისტური საერთო საკუთრებიდან და გეგმიური ეკონომიკიდან უნდა გადავიდეს კერძო საკუთრებაზე, კონკურენტულ საბაზრო ეკონომიკაზე. გარდამავალი პერიოდი მოიაზრებს ქვეყანაში ფართომასშტაბიან რეფორმებს: მიწის და საწარმოთა პრივატიზაციის ჩატარებას, მონაწილეებისათვის თანაბარი უფლებების სამართლებრივ უზრუნველყოფას, საბანკო-საფინანსო სისტემის ჩამოყალიბებას, საკუთარი ეროვნული ვალუტის შექმნას, ფასების გათავისუფლებას, ახალი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას, კონკურენციის შესანარჩუნებლად ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შექმნას და სხვა უამრავ ღონისძიებას.

კანონში „რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“ გადმო-ცემულია საქართველოს სსრ კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები. წინათქმაში მოთხრობილია საქართველოს მოკლე ისტორია 19-ე საუკუნიდან – რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობიდან. ასევე აღნიშნულია, რომ გარდამავალ პერიოდში უნდა მომზადდეს ყველა პირობა, რომ საქართველომ შეძლოს, მიაღწიოს დასახულ

---

[103] **ვალერი ჩეჩელაშვილი,** ინტერვიუ **მერაბ კაკულიასთან.** 2018.02.08. საქართველოს ზეპირსიტყვიერი ისტორია. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. https://www.gfsis.org/ge/oral-history/view/907

[104] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ. თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი. გაზ. „ახალი საქართველო”, N 2-3, 1990, 15 ნოემბერი, გვ. 2.

[105] **ლევან ჯიქია, ზვიად გამსახურდიას** ხელისუფლება და კონსტიტუციური პრობლემები საქართველოში. ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები. http://dl.sangu.edu.ge/pdf/qapvols/qav_v8_7.pdf, გვ. 114.

მიზანს – სრულ დამოუკიდებლობას. კანონის საფუძველზე საქართველოს სსრ კონსტიტუციის მუხლებიდან ამოღებულ იქნა სიტყვები: „საბჭოთა“, „სოციალისტური“, „კომუნისტური პარტია“, „კომუნისტური მშენებლობა“, „საბჭოთა მოქალაქე“ და სხვა. ასევე შეიცვალა სახელმწიფოს გერბი, დროშა და ჰიმნი. [106] საქართველოში გამოცხადებული გარდამავალი პერიოდის მოთხოვნების შესრულება იძლეოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საჭირო ეკონომიკური ფუნდამენტის შექმნის შესაძლებლობას.

საქართველოს ხელისუფლება თანახმა იყო ეკონომიკური ურთიერთობებისთვის მსოფლიოს ნებისმიერ სახელმწიფოსთან, მაგრამ მხოლოდ როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორი, ამასთანავე, ნებისმიერი დათმობის წინააღმდეგი იყო რუსეთთან ურთიერთობაში. მიუხედავად მოსალოდნელი ეკონომიკური კოლაფსისა, საქართველოს ხელისუფლებამ გაწყვიტა ეკონომიკური კავშირები საბჭოთა კავშირთან – 1991 წლის 18 ოქტომბერს მოსკოვში საქართველომ (და აზერბაიჯანმა, ლ. ზ.) ხელი არ მოაწერა ახალ ეკონომიკურ შეთანხმებას, [107] რომელსაც სსრ კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი ხელმძღვანელობდა, რითაც მან საბოლოო და უკომპრომისო უარი განაცხადა რაიმე კავშირზე ყოფილ ცენტრთან. შეთანხმების ძირითადი მოთხოვნა იყო გაერთიანებული საბანკო სისტემა, ერთი ვალუტა და ერთიანი სავაჭრო სივრცე. აღნიშნული ეკონომიკური კავშირით მ. გორბაჩოვი იმედოვნებდა საერთაშორისო ფინანსური დახმარების მიღებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დასავლეთიდან დახმარებას ვერ მიიღებდა.[108] ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორ მიხეილ ჯიბუტს მიაჩნდა, რომ ხელშეკრულების „დოკუმენტი გამსჭვალულია ძველი საჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ერთიანი ბაზრის შექმნის იდეით, რომელშიც შენარჩუნებულ იქნება რუსეთის ჰეგემონია“,[109] რაც საქართველოსთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო, რადგან ქვეყანა ვერ განვითარდებოდა საკუთარი, ეროვნული,

---

[106] საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ. იხ. საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელები. ტ. IV, ნაწილი II, თბილისი, 2015, გვ. 19-22.

[107] საქინფორმი. დელეგაცია მოსკოვში არ წავიდა... გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, N 118/119/120, 1991, 19 ოქტომბერი, გვ. 1.

[108] საერთაშორისო ცხოვრება. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, N 118/119/120, 1991, 19 ოქტომბერი, გვ. 1.

[109] **მიხეილ ჯიბუტი.** ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულება და საქართველო. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, N 132/133/134, 1991, 21 ნოემბერი, გვ. 2.

დამოუკიდებელი ეკონომიკური და პოლიტიკური გზის გარეშე. რესპუბლიკის პრემიერმინისტრი ბესარიონ გუგუშვილი ეჭვის თვალით უყურებდა ამ ეკონომიკურ ხელშეკრულებას, რომლის წევრი ქვეყნები არ არიან დამოუკიდებელი სახელმწიფოები: „პარალელურად მიდის საუბარი ახალი პოლიტიკური კავშირის შექმნაზე და ეს ორი პრობლემა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ამიტომ, სანამ არ გაირკვევა პოლიტიკური საკითხები, ლაპარაკიც ზედმეტია ეკონომიკური ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარებაზე“ [110], – ამბობს იგი ერთ-ერთ ინტერვიუში. პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: რსფსრ-მა, ბელორუსიამ, ყაზახეთმა, სომხეთმა, ყირგიზეთმა, ტაჯიკეთმა, თურქმენეთმა, უზბეკეთმა. უკრაინა და მოლდოვა ხელშეკრულებას მოგვიანებით შეუერთდნენ. მიუხედავად ამისა, საქართველო არ აპირებდა, გაეწყვიტა ურთიერთობები ხელშეკრულებაზე ხელმომწერ რესპუბლიკებთან. პირიქით, მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ორმხრივი ხელშეკრულებების დადებაზე, რათა პირდაპირი კავშირი გვქონოდა ცალკეულ რესპუბლიკებთან.

§1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური პოლიტიკა

1990 წლის 14 ნოემბერს, უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველ სესიაზე არჩეული უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია გამოვიდა სიტყვით, რომლის შინაარსის მნიშვნელოვან ნაწილს ეკონომიკა წარმოადგენდა. მან ისაუბრა ქვეყნის ეკონომიკის მძიმე მდგომარეობაზე, საყოველთაოდ გამეფებულ კრიზისსა და დეფიციტზე. წარმოადგინა სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვით სურსათის, აგროსამრეწველო თუ მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის მარაგი წინა წელთან შედარებით

[110] **დ. კიზირია, ე. ფიჩხაძე.** სანამ არ გაირკვევა პოლიტიკური საკითხები, ლაპარაკიც ზედმეტია ეკონომიკური ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარებაზე. რადიოსადგური „ამერიკის ხმა“. გაზ. „რესპუბლიკა“, N 40, 1991, 21 ნოემბერი, გვ. 3.

გაცილებით ნაკლები იყო. ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა: „ქვეყანაში ფინანსური კრიზისია, ვინაიდან გადასახადების გადაუხდელობის გამო სახელმწიფო ბიუჯეტში თანხა არ შედის. მან აგრეთვე ხაზი გაუსვა სამშენებლო სფეროს ჩამორჩენილობას, კონტროლის აუცილებლობაზე საექსპორტო პროდუქციაზე, რათა არ დაზიანდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგია. ეს ყველაფერი გამოიწვია კოლონიურმა პოლიტიკამ, ცენტრალიზებულმა გეგმიურმა ეკონომიკამ, რომლის დროსაც გამეფებულია კორუფცია, სპეკულაცია. ამიტომ უნდა მოხდეს საბაზრო ეკონომიკაზე ნელ-ნელა გადასვლა, რასაც სჭირდება კერძო საკუთრება, ფასების გათავისუფლება, სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის მოხსნა. მიწის პრივატიზება უნდა მოხდეს, ოღონდ გლეხს მიწის გასხვისების უფლება არ უნდა ჰქონდეს. მანამდე კი აუცილებელია კანონი მოქალაქეობის შესახებ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ტრადიციების აღდგენა სოფლის მეურნეობაში – მევენახეობაში, მეცხოველეობაში, მარცვლეული კულტურების აღორძინებაში“. მან, ასევე, მწუხარებით აღნიშნა საბოტაჟის ფაქტები ქვეყანაში. [111] საქართველოს ხელისუფლებას ესმოდა, რომ საჭირო იყო სასწრაფოდ გაეტარებინა ეკონომიკური რეფორმები, დაენერგა ახალი და პროგრესული ეკონომიკური ურთიერთობები, მაგრამ რთული იყო ახალ სისტემაზე უცებ, ერთბაშად გადასვლა: მსოფლიოში არ არსებობდა გეგმიური, საბჭოურიდან, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე უეცარი გადასვლის მეთოდი, მეცნიერ-ეკონომისტები ამჯერად ქვეყანას სწორ რჩევას ვერ მისცემდნენ. ასეთ საკითხებზე მათ ჯერ არ ჰქონდათ ნამუშევარი და ისტორიული გამოცდილებაც არ არსებობდა. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დასავლეთ ევროპის საფინანსო და პოლიტიკური სტრუქტურები არ ელოდნენ საბჭოთა კავშირის უეცარ დაშლას და საქართველოს, ისევე როგორც სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს (ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გარდა) რუსული ფინანსური ბაზრის შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ. ასე მაგალითად, საქართველოს

[111] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის **ზვიად გამსახურდიას** გამოსვლა 1990 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე. იხ. საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელები. ტ. IV, ნაწილი II, გვ. 23-40.

ხელისუფლებამ თხოვნაზე ფულის ნიშნების დაბეჭდვის შესახებ მიიღო რეკომენდაცია, რომ დარჩენილიყო რუბლის ზონაში. მათთვის გაუგებარი აღმოჩნდა ქართველი ხალხის სწრაფვა დაუყოვნებლივი ეკონომიკური და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევისა. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში არსებული მსხვილი სამრეწველო საწარმოები იყო საკავშირო, ნედლეული შემოდიოდა სსრკ-ის რომელიმე რესპუბლიკიდან, ნაწარმი კი გადიოდა სხვადასხვა რესპუბლიკაში. რესპუბლიკებს შორის არსებული საბანკო ანგარიშსწორების სისტემა მთლიანად მოშლილი აღმოჩნდა, ახალი საბანკო სისტემა კი ჯერ კიდევ გაუმართავი იყო და ამასთან, საკუთარი ვალუტის არქონის გამო ქართული სახელმწიფო რუსეთზე პირდაპირ იყო დამოკიდებული. მეორე მხრივ, საწარმოებში უამრავი ადამიანი იყო დასაქმებული, ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ურბანიზაციის პროცესი, უმუშევრობის კატასტროფული ზრდის თავიდან ასაცილებლად საწარმოები არ უნდა გაჩერებულიყო. საჭირო იყო სამრეწველო საწარმოებში დასაქმებული კადრების შენარჩუნება ან გადაკვალიფიცირება სხვადასხვა მიმართულებით, პრივატიზაციის შემდეგ ეს უნდა გაეკეთებინა ახალ მეპატრონეს ან სახელმწიფოს. ამიტომ ხელაღებით პრივატიზება არ შეიძლებოდა. სწორედ ამიტომ იყო საჭირო გარდამავალი პერიოდი.

ასე, მაგალითად, ხელისუფლებამ იცოდა, რომ მიწის რეფორმა აუცილებელი იყო, მაგრამ ისიც კარგად მოეხსენებოდა, მისი მიღებისას თუ რაოდენ სიფრთხილე იყო საჭირო: არ არსებობდა ფერმერული მეურნეობების გაძღოლის გამოცდილება, იყო საბრუნავი სახსრების, მცირე და დიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნაკლებობა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად მომზადდა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა კიდეც შემუშავებული „მიწის რეფორმის“ კანონპროექტი.[112] მიწის რეფორმის გატარება ფერხდებოდა ასევე იმითაც, რომ მის გასატარებლად აუცილებელი იყო კანონი მოქალაქეობის შესახებ. საქართველოს უზენაესმა საბჭომ ერთი მოსმენით მიიღო „კანონი მოქალაქეობის შესახებ“, რომლითაცგანისაზღვრა, თუ ვის და როგორ შეეძლო საქართველოს მოქალაქეობის მიღება, მოქალაქის უფლება-მოვალეობები,

[112] კანონპროექტი მიწის შესახებ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 182, 1991, 19 სექტემბერი, გვ. 1.

მოქალაქეობის დაკარგვა, აღდგენის წესი.[113] მიწის რეფორმის მოუმზადებლად გატარებას ასევე შეეძლო გამოეწვია ფასების ზრდა, რასაც ხელისუფლება იმ მომენტში ვერ დაუშვებდა. ასეთი რეფორმა ხელს შეუწყობდა სპეკულაციის წარმოქმნას, სპეკულაცია კი თავისთავად ნიშნავდა ხელოვნური დეფიციტის შექმნასა და ფასების ზრდას. გლეხს შეიძლებოდა ხელოვნურად გაეზარდა ფასები ან არ ეწარმოებია იმდენი, რომ ჭარბი პროდუქცია ყოფილიყო ბაზარზე და ამით კონკურენცია წარმოშობილიყო, სახელმწიფოს კი ბერკეტი არ ექნებოდა, პროცესებზე რაიმე ზეგავლენა მოეხდინა. ამიტომ ყველაზე კარგი გამოსავალი იყო გრძელვადიანი იჯარა. ასევე მიწის პრივატიზება უნდა მომხდარიყო ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში არსებული ვითარების გათვალისწინებით.

1991 წლის 30 აგვისტოს მინისტრთა კაბინეტმა ჩაატარა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის მიზანი იყო 25 ივლისს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების – „საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის, მისი სტაბილიზაციისა და საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის საგანგებო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების უზრუნველსაყოფად გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“[114] შესრულება. კონფერენციას ესწრებოდნენ უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები და წევრები, მეცნიერები, წარმოების ხელმძღვანელები, მთავრობისა და სამინისტროების მუშაკები როგორც სახელმწიფო, ასევე კომერციული ბანკების წარმომადგენლები, კოოპერატივების, ასოციაციების და ბირჟების ხელმძღვანელები, ის ადამიანები და სპეციალისტები, რომლებიც პასუხისმგებლები უნდა ყოფილიყვნენ ეკონომიკური რეფორმების შემუშავება-განხორციელებაზე. შედეგად, შეიქმნა და 1991 წლის 14 ნოემბერს უზენაესი საბჭოს ბეჭდვით ორგანოში, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, დაიბეჭდა კანონპროექტი: „1991-1992 წლებში

---

[113] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 28 ივნისი. გაზ. „სოფლის ცხოვრება“, N 42, 1991, 23 ივნისი, გვ. 1

[114] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის, მისი სტაბილიზაციისა და საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის საგანგებო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების უზრუნველსაყოფად გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ. თბილისი. 1991 წლის 25 ივლისი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 7, 1991, 25 ივლისი, გვ. 23-24.

საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და ვითარების სტაბილიზების ღონისძიებათა პროგრამა“. [115] კანონპროექტში საუბარია ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ქვეყანამ ვერ შეძლო დამოუკიდებლად მართვა საწარმოებისა, რომლებიც ადრე მთელი კავშირის მიერ იმართებოდა, ამიტომ დაეცა წარმოების დონე; ეროვნული მეურნეობა კრიზისული გახდა; იმატა უმუშევრობამ და აქედან გამომდინარე, კრიმინოგენულმა ვითარებამ; სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი დაახლოებით 2 მლდ მანეთს შეადგენდა. თუმცა, ასეთ მდგომარეობას აქვს თავისი მიზეზი, აღნიშნულია კანონპროექტში: ათეული წლების განმავლობაში არსებულმა გეგმიურმა და მბრძანებლურმა ეკონომიკამ ჩაკლა ეროვნული მეურნეობა; ერთიანი, ცენტრალიზებულად მართული სამრეწველო გიგანტის დაშლამ გამოავლინა, რომ ერთ რესპუბლიკას არ შეეძლო უცბად, ერთბაშად გადაწყობილიყო ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე; სტიქიურიუბედურებების შედეგების სალიკვიდაციოდსაჭირო გახდა ფინანსური მანიპულაციები – რესურსები ერთი სფეროდან უნდა გადართულიყო მეორე, უფრო სასწრაფო სფეროში. ამ მიზეზებს დაემატა: კვალიფიციური სპეციალისტების არასაკმარისი ოდენობა სამეურნეო დარგში; აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების არასაკმარისი გამიჯვნა; ქვეყანაში უკიდურესად დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია; მოშლილი დისციპლინა საწარმოებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში; პრობლემები ფინანსურ სფეროში და ა. შ.

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით კანონპროექტი ქმნიდა ახალ კონცეფციას:[116]

„1. მეურნეობის ორგანიზაციული მართვისა და საკანონმდებლო რეგულირების სახით – ახალი მიდგომების ჩამოყალიბება ეროვნული მეურნეობის ხელმძღვანელობის სფეროში, მეურნეობის ახალი მექანიზმის შემუშავება, მართვის ორგანიზაციების ფუნქციების, მუშაობის სტილისა და მეთოდების არსებითი შეცვლა.

2. სამეურნეო ურთიერთობათა რეგულირების ახალი გზების და საშუალებების დასახვა.

---

[115] 1991-1992 წლებში საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და ვითარების სტაბილიზების ღონისძიებათა პროგრამა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 223-224, 1991, 14 ნოემბერი, გვ. 3-4.

[116] ახალი პროგრამა – ახალი კონცეფცია. გაზ. „რესპუბლიკა“, N 40, 1991, 21 ნოემბერი, გვ. 1.

3. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ძირეულ ცვლილებათა განხორციელება საქართველოს რესპუბლიკის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ინტერესთა შესაბამისად.

4. საქართველოს რესპუბლიკის რესურსული უზრუნველყოფის პრობლემათა გადაწყვეტა.

5. სახელმწიფო ბიუჯეტისა და საგადასახადო სისტემის რადიკალურად შეცვლარეგულირება, ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლა.

6. ფასებისა და ფულის მიმოქცევის რეგულირება, ფასებისა და ტარიფების რეფორმების განხორციელება.

7. ქონების განსახელმწიფოებრიობა, პრივატიზება და საბაზრო სტრუქტურების ფორმირება.

8. ეკონომიკური საქმიანობისა და პრივატიზების პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფა“.

კანონპროექტი გამოქვეყნდა სახალხო განხილვისთვის.

ხელისუფლებას პარალელურად უნდა აემუშავებინა ქვეყნის ბუნებრივი რესურსები, მიეღო სწორად გათვლილი კანონები, ჩაეტარებინა მიწისა და საწარმოების პრივატიზაცია. ასე ქვეყანა ნელ-ნელა გადავიდოდა საბაზრო ეკონომიკაზე და თავის ადგილს დაიკავებდა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს შორის. მაგრამ საქართველოში აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას მთელი რიგი გარემოებები უშლიდა ხელს. მივყვეთ ამ მიმართულებით ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯების განხილვას:კანონით – „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ“ [117] განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა – საბჭოთა ეკონომიკიდან გარდამავალი პერიოდის საბაზრო-სახელმწიფო ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ, სადაც სახელმწიფო, ერთი მხრივ, უშვებდა კერძო საკუთრებას და მისი განვითარებისათვის საჭირო საბაზრო პრინციპებს, მაგრამ, იმავდროულად,

[117] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 6, 1991, გვ. 75-81.

სოციალური გარანტიების შენარჩუნების მიზნით, განსაზღვრავდა ფასწარმოქმნას და სოციალური ანარიცხების ოდენობას, აწესებდა შრომის ანაზღაურების ქვედა ზღვარს.
ამ კანონით გამოიკვეთა დამოუკიდებელი, ქართული ფულად-საკრედიტო სისტემის საფუძვლები, რომელიც განხორციელდებოდა ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით, ეროვნული ვალუტის მეშვეობით.
ამავე კანონით განისაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემა.

გარდამავალი პერიოდის მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“[118]. აღნიშნული აქტით საქართველოს ხელისუფლებამ სამართლებრივი საფუძველი დაუდო საბაზრო ეკონომიკის დასაწყისს, კერძო სამეწარმეო და კომერციული სტრუქტურების წარმოშობას. კანონი განსაზღვრავდა მეწარმეთა იურიდიულ სტატუსს, ურთიერთობის სამართლებრივ საფუძვლებს როგორც სახელმწიფოს, ისე ერთმანეთის მიმართ. მასში განსაზღვრული იყო მეწარმეთა უფლებები, მათი პასუხისმგებლობა და გარანტიები. კანონში აღწერილია სხვადასხვა ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმის და სტატუსის საწარმოთა უფლება-მოვალეობა და პასუხისმგებლობა. ასევე საუბარია ფასწარმოქმნისა და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობებზე.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისათვის, საწარმოების ეკონომიკური ურთიერთობებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო კანონი „საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ“,[119] რომელიც არეგულირებდა საწარმო და კერძო ეკონომიკურ ურთიერთობებს და მოწოდებული იყო, შეექმნა სტიმული ცალკეული დარგებისა და რეგიონების განვითარებისთვის.
ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი უზარმაზარ დეფიციტს განიცდიდა და ასეთ პირობებში აღნიშნული კანონის შემოღებით ხელისუფლება

---

[118] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ. თბილისი, 1991, 25 ივლისი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 7, 1991, გვ. 24-45.
[119] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის კანონი საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ. თბილისი, 1991 წლის 25 ივლისი უზენაესი საბჭოს უწყებები, N 7, 1991, გვ. 59-69.

ცდილობდა, დაეძლია საგადასახადო სისტემაში არსებული მექრთამეობისა და კორუფციული გარიგებების კომუნისტური ეპოქის მავნე გადმონაშთი, რაც ხელს უშლიდა საქართველოში ნორმალური ეკონომიკური პროცესების განვითარებას.

იმისათვის, რომ ქვეყანას საშუალება მისცემოდა, ეწარმოებინა უცხოელ პარტნიორებთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა, აუცილებელი იყო საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნა. გავიხსენოთ, რომ საქართველოში წარმოებული საქონელი განკუთვნილი იყო სსრკ-ის ბაზრისათვის. იგი არ შეესაბამებოდა დასავლეთის მაღალკონკურენტული ბაზრის მოთხოვნებს. ამიტომ ხელისუფლების მცდელობა, დაემყარებინა სავაჭრო კავშირები დასავლეთის ქვეყნებთან, ნაკლებად შედეგიანი აღმოჩნდა. თუმცა, ამ მიზნით, ვაჭრობის სამინისტროში შეიქმნა სამმართველო, რომელიც საგარეო ეკონომიკური კავშირების შექმნაზე იმუშავებდა. მათ დაამყარეს ურთიერთობები თურქეთთან, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, გერმანიასთან, ავსტრიასთან, იაპონიასთან. მაგრამ საზღვარგარეთის ქვეყნებთან ვაჭრობას გარკვეული პრობლემები ახლდა – ევროპაში არსებული ფასები გაცილებით მაღალი იყო საქართველოში არსებულ ფასებთან შედარებით. მაგალითად, 1 კგ. ხორცი დაახლოებით 1.5 დოლარი ღირდა ევროპაში, რაც ადგილობრივ ფულზე 40 მანეთს უტოლდებოდა. მეორე პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ქართული პროდუქტის სასაქონლო სახე დაბალი იყო, შეფუთული იყო უხარისხოდ და შესაბამისად, ევროპული ბაზრისთვის გამოუსადეგარი (მაგ. ჩაი, რომელიც ინდურ და ცეილონის ჩაის კონკურენციას ვერ გაუწევდა; ღვინო და ა. შ.) ლ. ზ.)). ამიტომ, უცხოელები „ხშირად ითხოვენ მათი ნედლეულის სახით გატანას ან თავიანთი ტექნოლოგიური ხაზების დამონტაჟებას და ადგილზე წარმოებას“[120]. აქედან გამომდინარე, მეტად დროული და საჭირო იყო კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ [121] , რითაც ხელისუფლებამ განსაზღვრა უცხოელი ინვესტორებისათვის საქართველოს მოქალაქეებთან თანაბარი, სამართლებრივი და საგადასახადო უფლებები და მოვალეობები.

---

[120] **ზ. ბახტაძე.** ჭკუა მოვიხმაროთ, ხელი გავანძრიოთ და გვეშველება. ესაუბრა **კახა ჯაყელი.** გაზ. „კაბადონი8“, N 24, 1991, 13 ივნისი, გვ. 3.

[121] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ. თბილისი, 1991 წლის 25 ივლისი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 7, 1991, გვ. 70-80.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმო-დაწესებულებების კერძო საკუთრებაში (მოქალაქეები ან მათი გაერთიანებები) გადაცემის პროცესი, ორგანიზაციული თუ სამართლებრივი საკითხები განისაზღვრა კანონით „სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“[122]. კანონი 3 კარისა და 24 მუხლისაგან შედგება, რომლებშიც დაწვრილებითაა გაწერილი პრივატიზების დებულება, წესი, მხარეთა უფლებები, გარანტიები და მოვალეობები.

აღნიშნული კანონის მიღება ასევე მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ იგი საშუალებას აძლევდა ქვეყანას, კარი გაეღო უცხოელი ინვესტორებისათვის და ამით ხელი შეეწყო ადგილობრივი წარმოების განვითარებისთვის.

„სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზენაესი საბჭოს მიერ შემუშავებული და ფართო საზოგადოებისათვის განსახილველად გამოქვეყნებულ იქნა სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრებაში გადაცემის პროექტის რამდენიმე ვარიანტი: დებულება „სახელმწიფო ქონების აუქციონით გაყიდვის წესის შესახებ“[123]; დებულება „სახელმწიფო ქონების კონკურსით გაყიდვის წესის შესახებ“[124]; დებულება „სახელმწიფო საწარმოთა სახელმწიფო სააქციო საზოგადოებად და ამხანაგობებად გარდაქმნის წესის შესახებ“[125].

კანონპროექტში „საქართველოს წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერაციის შესახებ“[126] გადმოცემულია საწარმოო და მომსახურების სფეროს კოოპერაციის შესახებ – საქმიანობა, ფინანსები, კოოპერატივის წევრების უფლება-მოვალეობები და მრავალი სხვა.

საქართველოს უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების კომისიასა და მეცნიე-

---

[122] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ. თბილისი, 1991 წლის 9 აგვისტო. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 8, 1991, გვ. 85-97.

[123] დებულება სახელმწიფო ქონების აუქციონით გაყიდვის წესის შესახებ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 214-215, 1991, 2 ნოემბერი, გვ. 2.

[124] დებულება სახელმწიფო ქონების კონკურსით გაყიდვის წესის შესახებ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 214-215, 1991, 2 ნოემბერი, გვ. 2.

[125] სახელმწიფო საწარმოთა სახელმწიფო სააქციო საზოგადოებად და ამხანაგობებად გარდაქმნის წესის შესახებ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 214-215, 1991, 2 ნოემბერი, გვ. 2-3.

[126] კანონპროექტი საქართველოს წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერაციის შესახებ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 211, 1991, 30 ოქტომბერი, გვ. 2-3.

რებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტს (პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ვლადიმერ პაპავა) შორის ურთიერთთანამშრომლობა დაიწყო. ინსტიტუტში შემუშავდა „საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია“. ინსტიტუტის დირექტორის ვლ. პაპავას აზრით, სწორედ ეკონომიკური მეცნიერების ვალია, გააცნოს ქვეყანას ახალი, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და ამოცანები. ხელშეკრულების საფუძველზე ინსტიტუტი დაეხმარებოდა ნებისმიერ საწარმოს ან ორგანიზაციას ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლაში. [127] კანონით „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ“ [128] ხელისუფლებამ განსაზღვრა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა დარგსა და სფეროში საინვესტიციო საქმიანობის დაცვა, ფასეულობები, რომლებიც დაბანდდება შემოსავლის და პროგრესის მიზნით, სამსახურს გაუწევდა ქვეყნის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საბჭოთა კავშირში მოკავშირე რესპუბლიკებს საერთო ქონება გააჩნდათ, რომელიც უნდა განაწილებულიყო რესპუბლიკებს შორის. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს რესპუბლიკას უნდა მიეღო თავისი წილი „სსრ კავშირის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებაში – ოქროსა და ალმასის ფონდებში, სავალუტო რეზერვებში, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსებში, თავდაცვის ობიექტებში და სხვა“.[129]

საქართველოს უზენაესმა საბჭომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა საქართველოს საკუთრებაში მყოფი ყველა ორგანიზაცია, წარმოება და დაწესებულება საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოაცხადა.

---

[127]**ვლადიმერ პაპავა.** ეკონომიკური მეცნიერება ერის სამსახურში. ესაუბრა **გ. მარკოზაშვილი.** გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 166, 1991, 24 აგვისტო, გვ. 1.

[128] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის კანონი საინვესტიციო საქმიანობის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 10 აგვისტო. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 8, 1991, გვ. 99-111.

[129] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** უზენაესი საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის სახელმწიფო საკუთრებაში საქართველოს რესპუბლიკის წილის შესახებ თბილისი. 1991 წლის 15 სექტემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 9, 1991, გვ. 20.

მათი მართვა-გამგებლობა დაევალა საქართველოს მინისტრთა საბჭოს, ქართული მხარის მიერ დადებული ხელშეკრულებები კი ძალაში დატოვა[130].

რუსეთის პოზიცია საკავშირო ქონების გაყოფაზე გამოიხატა ე. წ. „ნულოვან ვარიანტში“, რომელიც გულისხმობდა, რომ რუსეთი, როგორც სსრკ-ის სამართალმემკვიდრე, თავის თავზე აიღებდა საბჭოთა კავშირის საგარეო ვალებს, მაგრამ, ამასთანავე, სსრკ-ის აქტივებიც მას უნდა დარჩენოდა. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მხოლოდ საქართველო და უკრაინა არ დაეთანხმა რუსეთის შემოთავაზებას და ხელი არ მოაწერა აღნიშნულ შეთანხმებას (მხოლოდ ათი წლის შემდეგ, 2001 წელს, რუსეთის ზეწოლის შედეგად, საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ამ ხელშეკრულების რატიფიცირება სასაცილო ფასად – რუსეთმა გადაუვადა საქართველოს 155 მლნ დოლარის ვალის გადახდა 4 წლის ვადით, საქართველომ კი უარი თქვა სსრკ-ის კუთვნილი აქტივებიდან 2 მლრდ აშშ დოლარზე, ლ. ზ.).

1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო დადგენილება, გაეერთიანებინა უზენაეს საბჭოში არსებული ეკონომიკური სტანდარტების კომისიები (ენერგეტიკის, ეკონომიკური რეფორმების, კავშირგაბმულობის, მშენებლობის, მრეწველობის, ტრანსპორტის) და შეექმნა ერთიანი ეკონომიკის მუდმივი კომისია.[131] კომისიის თავმჯდომარედ გივი თაქთაქიშვილი დაინიშნა[132]. საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი მირიან მიმინოშვილი ეკონომიკურ რეფორმათა მუდმივმოქმედი კომისიის, საკუთრების საკითხთა და პრივატიზაციის კომისიის თავმჯდომარე მოგვითხრობს, თუ როგორი დემოკრატიული პრინციპების დაცვით მიმდინარეობდა კომისიაში კანონპროექტების შექმნა: ჯერ კომისიის საერთო

---

[130] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტატუსის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 15 სექტემბერი. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, საქმე 2955, აღწერა 8, გვ. 79.

[131] რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიისა და ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის გაერთიანებისა და მათ ნაცვლად ეკონომიკის მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ. თბილისი. 1991, 15 სექტემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 9, 1991, გვ. 19.

[132] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** გ. ჩ. თაქთაქიშვილის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ. თბილისი. 1991, 15 სექტემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 9, 1991, გვ. 19.

კრებაზე ხდებოდა კანონის კონცეფციის განხილვა, რომელიც ხშირად მწვავე დებატების ფორმას იღებდა ხოლმე. კონცეფციის ჩამოყალიბების შემდეგ, კომისია ისევ ამუშავებდა და ხელმეორედ გადასცემდა მუდმივმოქმედ კომისიას განსახილველად. ამის შემდეგ გადაეგზავნებოდა უზენაესი საბჭოს შესაბამის კომისიას, გადამუშავდებოდა და განიხილებოდა შენიშვნები და პროექტის სახით გამოქვეყნდებოდა პრესაში, რომლის განხილვაში ყველა მსურველს შეეძლო მიეღო მონაწილეობა, გამოეთქვა საკუთარი აზრი. ბოლო ეტაპი იყო უზენაესი საბჭო. თუ კანონპროექტს სესია დაამტკიცებდა, კანონი ძალაში შევიდოდა.[133] დემოკრატიული პრინციპების დაცვას და მოსახლეობის აზრის გათვალისწინებას ემსახურებოდა ასევე საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის მიერ გამოცხადებული კონკურსი თემაზე: „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პრობლემები“. საუკეთესო ნაშრომებისთვის დაწესებული იყო ჯილდოები – 1500 მანეთი, 1000 მანეთი და 500 მანეთი.[134]

§ 2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფინანსური პოლიტიკა

1990 წლის ბოლოს საქართველოს უზენაეს საბჭოს უკვე შემუშავებული ჰქონდა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის ბიუჯეტის შესახებ“[135]. კანონი 17 მუხლისგან შედგება და მასში დაწვრილებითაა გაწერილი შემდეგი წლის საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტი, რომლის შესრულებასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გარდამავალი პერიოდისათვის, როცა ქვეყანას უნდა დაეწყო ეკონომიკურ განვითარება

---

[133] **მ. მიმინოშვილი.** ჭკუა და გონება გაიმარჯვებს. ესაუბრა **ე. მაჭავარიანი.** გაზ. „ქომაგი“, N 32, 1991, 8 აგვისტო, გვ. 1.

[134] საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმი. ცხადდება კონკურსი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 181, 1991, 18 სექტემბერი, გვ. 4.

[135] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** კანონი საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. თბილისი. 1990 წლის 27 დეკემბერი უზენაესი საბჭოს უწყებები, N 12, 1991, გვ. 31-39.

– თავი დაეღწია საკავშირო ბიუჯეტისათვის და შეექმნა საკუთარი, დაეძლია ეკონომიკური სიძნელეები.

არსებულ მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ საბჭოთა იმპერიიდან მემკვიდ-რეობით გადმოცემული მოსახლეობის ფინანსური შესაძლებლობა მეტად შეზღუდული იყო, რაც იწვევდა კაპიტალის ნაკლებობას და ზრდიდა კორუფციის ალბათობას. არც გამოცდილ ბიზნესმენთა საჭირო რაოდენობა ჰყავდა ქვეყანას. სწორედ ამიტომ მიაჩნდა საქართველოს უზენაეს საბჭოს აუცილებლად ე. წ. „სახელმწიფო კაპიტალიზმის“ გზა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საწარმოების დაშლისა და ქონების განიავების თავიდან ასაცილებლად დიდი საწარმოების პრივატიზება არ უნდა მომხდარიყო და თუნდაც პირველ ეტაპზე მათზე უნდა შენარჩუნებულიყო სახელმწიფო საკუთრება.

ქვეყანაში გაუმართავი იყო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები, არ არსებობდა კერძო ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო სამართლებრივი ბაზა და მოქნილი საგადასახადო სისტემა. საგადასახადო სისტემის ნაკლოვანებების გამო ვერ ჩამოყალიბდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიც.

საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ დაწესდა, რომ რესპუბლიკის ბიუჯეტში ჩაირიცხებოდა სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებიდან, სხვადასხვა სანქციებიდან, ჯარიმებიდან თუ სხვა შემოსავლებიდან მიღებული მოგების გადასახადი; შეიქმნებოდა ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონდი, რომელშიც ჩაირიცხებოდა თანხები და მოხმარდებოდა ქვეყნის საჭიროებას; ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა თანხა როგორც ტრანსპორტის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კავშირგაბმულობის და ბევრი სხვა დარგების განვითარებისთვის, ასევე სკოლების, ბაგა-ბაღების, კინო-თეატრების, პენსიებისა და სხვა სფეროებისათვის; 1991 წლის ბიუჯეტში ასევე ჩაირიცხებოდა მოგების გადასახადი საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებიდან და საწარმო-დაწესებულებებიდან.

კანონის 1-ლი, მე-9, მე-11 და მე-14 მუხლები ეხება თანხების დამტკიცების სფეროს: ბიუჯეტში შემოსავალი 5.524.731 (ათასი) მანეთი, გასავალი 6.534.118 (ათასი) მანეთი, დეფიციტი 1.009.387 (ათასი) მანეთი; სადაზღვეოებიდან შემოსავალი 1.549.000 (ათასი) მანეთი; დახმარებების, პენსიების და სხვა მიმართულების ხარჯები 2.293.172 (ათასი) მანეთი, სხვაობა 744.172 (ათასი) მანეთი უნდა დაფარულიყო სახელმწიფო

ბიუჯეტიდან. მე-13 მუხლში სრულადაა გაწერილი ქალაქებისა და რაიონების, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები – შემოსავალი, გასავალი, დეფიციტის ოდენობა, დახმარება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

ბოლო, მე-17 მუხლში აღნიშნული იყო, რომ უზენაესი საბჭო, ქვეყნისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან პერიოდში, რესპუბლიკის ყველა წარმოება-დაწესებულებისაგან, მმართველი თუ აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან მოითხოვდა მაქსიმალურად ორგანიზებულ, მომჭირნეობით და დისციპლინირებულ მუშაობას, რათა წარმატებით შესრულებულიყო 1991 წლის ბიუჯეტი.

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების მიხედვით, ბათუმის, ფოთის და თბილისის საბაჟოების ბაზაზე შეიქმნა სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი, რომელიც კონტროლს გაუწევდა საბაჟოების მუშაობას. მასვე დაევალა შეესწავლა, რა მატერიალურ და ტექნიკურ ბაზას ფლობდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საბაჟოები [136]. მოგვიანებით, სექტემბრის თვეში, გამოიცა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ“[137], რომელიც კონტროლს გაუწევდა ნებისმიერი ტვირთისა და ფასეულობების მოძრაობას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ხელისუფლებამ საბაჟო გადასახადი 15% დააწესა, გაჩნდა შემოსავლის კიდევ ერთი წყარო.[138]

ყველა სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს ის საჰაერო სივრცე, რომელი სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიაც მას ეკუთვნის. ამიტომ უზენაესმა საბჭომ დაადგინა, რომ საქართველოს სახელმწიფოს აქვს სრული უფლება, ფლობდეს კუთვნილ საჰაერო სივრცეს და ეს კუთვნილება დაამტკიცა საკანონმდებლო აქტით.[139] აღნიშნული კანონებით ხელისუფლებამ განსაზღვრა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრები.

---

[136] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კონტროლის დეპარტამენტის შექმნის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 2 აპრილი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 4, 1991, გვ. 7.

[137] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** კანონი საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ. თბილისი. 1991 წლის 15 სექტემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 9, 1991, გვ. 21-23.

[138] ინტერვიუ **ბესარიონ გუგუშვილთან:** არ ვიშიმშილებთ, როგორც ინგლისში, მაგრამ არც ისე, როგორც ინდოეთში. ესაუბრა **ნ. ხიდაშელი.** გაზ. „ქომაგი“, N 46, 1991, 14 ნოემბერი, გვ. 2.

[139] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის კანონი საჰაერო სივრცის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 15 სექტემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 9, 1991, გვ. 23.

საბაზრო ეკონომიკის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული საბანკო სისტემასთან. გარდა სახელმწიფო ბანკებისა, აუცილებლობას წარმოადგენს კერძო საფინანსო-საკრედიტო სისტემის განვითარება, რაც, თავის მხრივ. ხელს შეუწყობდა საქართველოში საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვას, რაც კერძო ბიზნესის გააქტიურებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ამიტომ 1991 წელს უზენაესმა საბჭომ პირველივე მოსმენით მიიღო რამდენიმე კანონი:

1. „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“;
2. „საქართველოს რესპუბლიკის ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“;
3. „საქართველოს რესპუბლიკის ფულადი სისტემის შესახებ“;
4. „საქართველოს რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ.“[140]

ქვეყანაში ინვესტიციების მოსაზიდად, პოლიტიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური რეფორმების გარდა, საჭირო იყო ეროვნული ვალუტის არსებობა, ვინაიდან წარმოების დასაწყებად ინვესტორი ვერ დააბანდებდა ინვესტიციას იმ ქვეყანაში, თუ ამ ქვეყანას არ ექნებოდა საკუთარი ფულადი მასა. იმჟამად კი საქართველოს არ გააჩნდა არც დამოუკიდებელი საბანკო სისტემა და არც რაიმე სავალუტო რეზერვი, არც ფულის ნიშნები და არც მათი დაბეჭდვის ტექნიკური საშუალება.

უზენაესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის ეკონომიკური ქვეკომისიის თავმჯ-დომარის მოადგილე ნიკა კილასონია იგონებს მისი და ტარიელ გელანტიას – უზენაესი საბჭოს მუდმივი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის შეხვედრას საქართველოში ჩამოსულ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებთან, რომლებიც დაჰპირდნენ დახმარებას, ოღონდ იმ პირობით, თუ ქვეყანაში იქნებოდა თავისუფალი ფასები, რაც მაშინ შეუძლებელი იყო, რადგან საქართველოს არ ჰქონდა საკუთარი ვალუტა:

„... ჩვენი ვალუტა არ გვქონდა, ფულს გვიბეჭდავდა რუსეთი. არ გვექნებოდა ბანკნოტები იმისათვის, რომ დაგვეკმაყოფილებინა ეს ვეებერთელა მონეტარული მასა,

---

[140] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის, ბანკებისა და საბანკო საქმიანობის, ფულადი სისტემისა და ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონების თაობაზე. თბილისი. 1991 წლის 28 ივნისი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 6, 1991, გვ. 82.

რის უზომო ზრდასაც გამოიწვევდა... ფასების განთავისუფლება... საქართველოში გამოიწვევდა მონეტარულ შოკს.“[141]

„ძალიან ბევრი იყო საუბარი იმაზე, თუ როდის შეიქმნებოდა ეროვნული ვალუტა, რომ ჩვენ შეგვეძლო დამოუკიდებელი ფულადი სისტემა გვქონოდა და ასე შემდეგ. მაგრამ, სამწუხაროდ, პირველ წლებში ეს ვერ მოხერხდა. ვერ მოხერხდა იმიტომ, რომ ე. წ. სამანეთო სისტემა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ინერციით კიდევ არსებობდა 2-3 წელიწადი და გამომდინარე აქედან, რომ რუსეთის ცენტრალური ბანკი პრაქტიკულად გახდა სამართალმემკვიდრე საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის, მთელი ოქროს სავალუტო რეზერვები გადავიდა მის განკარგულებაში.“[142]

1991 წლის 9 აპრილს მიღებულმა დამოუკიდებლობის აქტმა ქვეყანას საშუალება მისცა, დაეწყო საბანკო სექტორის განვითარება: დაარსდა ეროვნული ბანკი, შეიქმნა შესაბამისი კანონები, მაგრამ ძველი, საბჭოთა ეკონომიკიდან უმტკივნეულოდ გადასვლა ახალ საბაზრო ურთიერთობებზე ურთულესი იყო, საჭირო იყო ამ პროცესის მართვის მცოდნე კადრები. არ არსებობდა სახელმწიფოს ასეთი მასშტაბური ტრანსფორმირების თეორია. მანამდე საქართველოში ფუნქციონირებდა საბჭოთა სახელმწიფო ბანკები საბჭოთა კანონმდებლობით, რომელიც არ ითვალისწინებდა საფონდო-სასაქონლო ბირჟების ფუნქციონირებისათვის კერძო ინვესტორებთან და უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობისათვის საჭირო მექანიზმებს. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პროგრამა კი მიზნად ისახავდა საბანკო რეფორმას, მაგრამ საამისო გამოცდილება ქვეყანას არ გააჩნდა. უზენაესმა საბჭომ აგვისტოს დასაწყისში აღნიშნული მიმართულების გასავითარებლად შემდეგი კანონები მიიღო:

ა) „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“;

ბ) „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“;

---

[141] **ნათელა ვაჩნაძე, ნინო თომაძე,** ინტერვიუ **ნიკა კილასონიასთან.** 2007 წლის 10 აპრილი. იხ. დამარცხებული საქართველო, ნაწილი I, თბილისი, 2018. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/278922/1/Damarcxebuli_Saqartvelo.pdf, გვ. 144.

[142] **ვალერი ჩეჩელაშვილი,** ინტერვიუ **მერაბ კაკულიასთან.** 2018.02.08. საქართველოს ზეპირსიტყვიერი ისტორია. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. https://www.gfsis.org/ge/oral-history/view/907

გ) „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“.[143]

დადგენილებაში ვკითხულობთ: რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდეს სსრ კავშირის საკუთრებაში მყოფი საქართველოს ბანკები; სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ბაზაზე შეიქმნას ეროვნული ბანკი და მის დაქვემდებარებაში გადავიდეს სსრ კავშირის გამოთვლითი ცენტრი და ამ ცენტრს დაქვემდებარებული წარმოება-დაწესებულებანი. ეროვნული ბანკი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად წარუდგენს წესდებას, დაქვემდებარებული ორგანიზაციების რაოდენობას და მათი შენახვის ხარჯებს; ყოფილი სსრ კავშირის აგრომრეწვბანკი, მრეწვმშენბანკი, ბინსოცბანკი გარდაიქმნას საქართველოს სახელმწიფო-კომერციულ ბანკებად; აუცილებელია რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული კომერციული ბანკების და მათი ფილიალების რეგისტრაცია, ლიცენზიის წესისა და აუდიტორული ორგანიზაციების შექმნა; რეგისტრაციის გადასახადი დაწესდა 10.000 მანეთი, ლიცენზია სავალუტო ოპერაციებისთვის – 5.000 მანეთი. შემოსავალი ჩაირიცხებოდა ეროვნულ ბანკში; მთავრობას დაევალა საბანკო სისტემის კომპიუტერიზაცია, საინვესტიციო, სადაზღვევო და სხვა ფონდების უზრუნველყოფა ნორმატიული აქტებით; გაუქმდა ყველა ის ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ამ კანონს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისთვის ერთ-ერთ საჭიროებას წარმოადგენდა ფინანსების – კრედიტებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზარი. საწარმოებს მიეცათ უფლება, გამოეშვათ აქციები და დამოუკიდებელი ფინანსური მეურნეობა ეწარმოებინათ. მიენიჭათ თავისუფლება, რომ თვითონ მოეძებნათ ფინანსები, მომარაგება-გასაღების ბაზრები. ფულად-საკრედიტო ბაზის საფუძველს წარმოადგენდა მოსახლეობაში და საწარმოებში არსებული თავისუფალი ფული, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა საბანკო სექტორის განვითარებისთვის, მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების გაცემისთვის, საფონდო ბირჟების შექმნისათვის. ვინაიდან ქვეყანას არ ჰქონდა

---

[143] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** უზენაესი საბჭოს დადგენილებები საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ და ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 2 აგვისტო. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 155-156, 1991, 8 აგვისტო, გვ. 1

თავისი საბანკო სისტემა და ეროვნული ვალუტა, საწარმო მიზნებისათვის პირველადი კაპიტალის მოსაზიდად სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობაში დაგროვებული ანაბრების გამოყენებას. მეორე ვარიანტი პრობლემის მოგვარებისა იყო სასაქონლოსაფონდო ბირჟების შექმნა. მაგალითად, სახელმწიფოს დაეტოვებინა საწარმოს აქციების საკონტროლო პაკეტის 51% ან გადაეცა კოლექტივის მოქმედი მოსამსახურეებისთვის, დანარჩენი 49% კი გაეყიდა ბირჟის მეშვეობით. ადამიანს თუ ჰქონდა სურვილი შეეძინა აქცია, შეეძლო მიეღო დივიდენდი, როცა საწარმო მიიღებდა მოგებას. ვისაც რამდენი პროცენტი ჰქონდა, იმდენს მიიღებდა. თავის დროზე სწორედ ამ პრინციპით აშენდა აშშ-ში უზარმაზარი მშენებლობები (მაგალითად, ორი ოკეანის დამაკავშირებელი რკინიგზის მშენებლობა), იქმნებოდა სააქციო საზოგადოებები და აქციების გაყიდვით გროვდებოდა საჭირო კაპიტალი.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნას ესაჭიროება არა მარტო მოსახლეობაში არსებული დანაზოგი, არამედ ისეთი მნიშვნელოვანი საფუძვლები, როგორებიცაა: საკუთარი ვალუტის არსებობა (ამ დროისათვის საქართველოში საბჭოთა მანეთი იყო), მოქნილი საბანკო სისტემა, ახალი საგარეო ეკონომიკური კავშირები და, რაც მთავარია, ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური გარემო. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, საქართველოში მაინც იწყებდა განვითარებას ფულად-საკრედიტო ბაზარი. მაგრამ საფონდო სექტორმა და ფასიანი ქაღალდების ბირჟამ საქართველოში ვერ მოასწრო განვითარება.

სსრ კავშირში, 90-იან წლების დასაწყისში, კერძო ბიზნესი გააქტიურდა. იქმნებოდა კოოპერატივები და მცირე საწარმოები, გაიზარდა ფულის ნიშნების მიმოქცევა, მაგრამ ბრუნვაში იგრძნობოდა 50 და 100 მანეთიანი კუპიურების ნაკლებობა, მოსახლეობა ძირითადად ამ კუპიურებით ცდილობდა, შეენახა დანაზოგი. აღნიშნული კუპიურების ემისია არ გამოდგებოდა, რადგან ზედმეტი ფული ინფლაციის ზრდას გამოიწვევდა. ამიტომ, მიხეილ გორბაჩოვის ბრძანებით, 1961 წელს გამოშვებული 50 და 100 მანეთიანების კუპიურები შეიცვალა 1991 წელს გამოშვებულით. ვინაიდან მიმოქცევაში იყო სსრ კავშირის ფულის ნიშნები და ხალხში დაგროვებულიც, უმართავი ფულის გაცვლის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომ ფინანსთა სამინისტრომ და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა გააკონტროლონ გაუქმებული კუპიურების მიმოქცევიდან ამოღების და გადაცვლის პროცესი;

გათავისუფლდნენ სამსახურიდან ის მუშაკები, რომლებიც ხელი არ შეუწყობენ ამ ღონისძიებას.[144]

მიუხედავად ეკონომიკური და ფინანსური სიტუაციის გამოსასწორებლად ხელი-სუფლების მიერ გადადგმული პირველი სწორი ნაბიჯებისა, არსებობდა კიდევ რამდენიმე სადავო საკითხი, რომლებსაც ერთმნიშვნელოვანი შეფასება დღევანდელი გადასახედიდან კიდევ შეიძლება მიეცეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ-დროინდელ სიტუაციას, განსაკუთრებით იმ ბობოქარ ვნებათაღელვას, რითაც აღსავსე იყო ქართული პოლიტიკური ცხოვრება და როგორი ცაიტნოტის პირობებში უწევდა მოქმედება ჯერ კიდევ გამოუცდელ ხელისუფლებას, გასაგები გახდება, რომ გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური შეცდომები, რა თქმა უნდა, დაშვებული იქნებოდა. მოვიყვან ორიოდ მაგალითს:

„ხელისუფლებამ 1991 წლის ივნის-ივლისში უარი განაცხადა დასავლეთის მიერ შემოთავაზებულ პროექტზე, რომელიც დღეს ცნობილია, ე. წ. „ტრასეკას პროექტი“. იგი ითვალისწინებდა მილიარდ-ნახევარ დოლარიან ინვესტიციას ქვეყნის საკომუნიკაციო სივრცეში. ეკოლოგიის კომისიის სხდომაზე ზვიად გამსახურდიამ უარი თქვა აღნიშნულ პროექტზე იმ მოტივით, რომ „საქართველო არ უნდა გადაიქცეს უცხოური მანქანების საჯირითოდ“[145].

„შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების, აგრეთვე, ირანისა და ავღანეთის ეკონომიკური კავშირების გზა გაივლის საქართველოზე, კერძოდ, ფოთის ნავსადგურზე, მაგრამ ასეთი გაზრდილი მოთხოვნილებების და დიდი რაოდენობით ტვირთის მიღება ფოთის ნავსადგურს არ შეუძლია საკმაო რაოდენობის საწყობების უქონლობის გამო“, – ამბობდა ქ. ფოთის პრეფექტი თენგიზ ბარამიძე[146].

---

[144] **ზვიად გამსახურდია. თენგიზ სიგუა,** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 1961 წლის ნიმუშის 50 და 100 მანეთიანი ფულის ნიშნების გაცვლის მიმდინარეობის შესახებ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 19, 1991, 29 იანვარი, გვ. 1.

[145] **ნათელა ვაჩნაძე, ნინო თომაძე,** ინტერვიუ **ირაკლი მელაშვილთან.** 2007 წლის 28 მარტი. იხ. დამარცხებული საქართველო, ნაწილი I.

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/278922/1/Damarcxebuli_Saqartvelo.pdf, გვ. 122.

[146] **თ. ბარამიძე,** შეიძლება წავიბორძიკოთ კიდეც. ესაუბრა **მ. ანასაშვილი.** გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 46, 1991, 8 მარტი, გვ. 4.

ირაკლი მენაღარიშვილის თქმით: „პენტაგონმა შემოგვთავაზა, გვეწარმოებინა სასმელი წყლის ექსპორტი. ეს სარფიანი საქმე იქნებოდა ჩვენთვის, მაგრამ ჩვენს პირობებში, ძირითადად, პლასტმასის პაკეტების უქონლობის გამო, უარი ვთქვით ესოდენ სასარგებლო წინადადებაზე“[147].

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შემოთავაზება საქართველოსთვის უაღრესი სტრატეგიული მნიშვნელობის იყო. პროექტები, განხორციელების შემთხვევაში, რუსეთთან მოლაპარაკებებში ჩვენს ქვეყანას იმთავითვე ჩააყენებდა მომგებიან პოზიციაში როგორც გეოპოლიტიკური, ასევე ფინანსური კუთხით.

„ტრასეკას“ პროექტის ინვესტირება აიძულებდა დასავლეთს, აქტიურად დაეჭირა მხარი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, მისი საგარეო აღიარებისათვის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იძულებულს გახდიდა, რუსეთის აგრესიისგან დაეცვა სატრანსპორტო დერეფნის შექმნაში ჩადებული საკუთარი ინვესტიცია. პროექტი მნიშვნელოვანია იმით, რომ როგორც საქართველო, ასევე ევროპის ქვეყნები თავს დააღწევდნენ რუსეთის გავლენისაგან, რასაც ეს უკანასკნელი აქტიურად იყენებს დღესაც.

პენტაგონის მიერ შემოთავაზებული პროექტის მნიშვნელობა დღევანდელი გადასახედიდან უფრო ადვილი შესაფასებელია, ვიდრე მაშინდელ რთულ ეკონომიკურ ვითარებაში, როდესაც ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, რა შედეგები მოჰყვებოდა ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ დაპირისპირებას.

§ 3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აგრარული პოლიტიკა

საქართველოში 1990 წლის უზენაესი საბჭოს არჩევნებში კომუნისტური პარტიის დამარცხების შედეგად მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა გამოიწვია ხელისუფლების კრიზისი, ვინაიდან ქვეყანაში ადგილობრივი მმართველობის

[147] **ირაკლი მენაღარიშვილი,** ჩვენ ყველაფერი თავიდან დავიწყეთ. ესაუბრა **ენძელა მაჭავარიანი.** გაზ. „კაბადონი-8“, N 8, 1991, 21 თებერვალი, გვ. 4.

ორგანოები, სამეურნეო გაერთიანებების ხელმძღვანელები და მათი მაკონტროლებლებიც კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ, რომელთაც კარგად მოეხსენებოდათ, რომ უახლოეს მომავალში თანამდებობების დატოვება მოუწევდათ. ამას დაემატა ხალხის მოლოდინი, რომ „მრგვალი მაგიდა“ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, დაუყოვნებლივ შეუდგებოდა მიწების დარიგებას. ყველაფერმა ამან ქვეყანაში ერთგვარი უკონტროლობა და განუკითხაობა გამოიწვია. განსაკუთრებით უარყოფითად ეს პროცესი რეგიონებზე აისახა, კერძოდ, აგრარულ სექტორზე. მოსახლეობის ნაწილმა სახელმწიფო თუ საკოლმეურნეო ქონების, ტექნიკის, მიწის, პირუტყვის და ა. შ. თვითნებური მიტაცება დაიწყო, ხოლო ნაწილმა კი მიწის განაწილების მოლოდინში სახნავ-სათესი სამუშაოების შესრულება მიატოვა. ამიტომ სავარგული მიწების დიდი ნაწილი დაუმუშავებელი დარჩა. შედეგად წარმოიშვა მოსახლეობის სურსათით მომარაგების შეფერხების და სასურსათო დეფიციტის წარმოშობის საშიშროება. ხელისუფლების მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა, მიწის კანონის მიღებამდე უპირატესობა მიწის გადაცემის საიჯარო ფორმებისთვის მიენიჭებინა. ამ და სხვა პრობლემურ საკითხებზე „საიჯარო ურთიერთობათა სრულყოფის შესახებ“[148]ისაუბრა თავის გამოსვლაში 1991 წლის 30 იანვარს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დავალებით, საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებულ და მიღებულ იქნა „საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულება“ [149], რომელიც, ხელისუფლების აზრით, უნდა გამხდარიყო სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაზე გადასვლის პირველი ეტაპი. კოლმეურნეობათა ქონების დატაცებისგან დასაცავად და ასევე სტიქიური მოვლენების შედეგად გამოწვეული ზარალის თავიდან ასაცილებლად საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დადგენილება კოლმეურნეობათა ქონების სავალდებულო დაზღვევის შესახებ:

---

[148] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, **ზვიად გამსახურდიას** გამოსვლა საიჯარო ურთიერთობათა სრულყოფის შესახებ 1991 წლის 30 იანვარს. იხ. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტ. IV, გვ. 118-120.

[149] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების თაობაზე. თბილისი. 1991 წლის 30 იანვარი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 8, 1991, გვ. 104.

„ვინაიდან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა ყოველწლიურად განიცდის ბუნებრივი და სხვა სტიქიური მოვლენებით გამოწვეულ ზარალს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რესპუბლიკის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. შეჩერდეს „სსრ კავშირში კოოპერაციების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე კოლმეურნეობათა ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევის ნაწილში.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო დაზღვევის გამგეობისა და რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტი „კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევისშესახებ“[150].

გარდა ამ ოფიციალური მიზეზისა, კოლმეურნეობათა ქონების სავალდებულო დაზღვევა დაიცავდა აღნიშნულ ქონებას მოსახლეობის მიერ გახშირებული დატაცების შემთხვევებისაგან.

§ 4. სასამართლო რეფორმა

საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ,[151] რომელიც ეკონომიკური, ქონებრივი ხასიათის დავას განიხილავდა. საბჭოეთის დროს საარბიტრაჟო სასამართლო არ არსებობდა, იყვნენ საუწყებო არბიტრები, რომლებიც არსებობდნენ სამინისტროებში ან სხვადასხვა უწყებებში. ახალი კანონი შედგებოდა 5 თავისა და 27 მუხლისაგან, რომლებშიც მოცემულია ახლად შექმნილი საარბიტრაჟო სასამართლოს სისტემის შესახებ: ამოცანები, საქმიანობის პრინციპი;

---

[150] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სსრ კავშირში კოოპერაციების შესახებ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედების საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჩერების თაობაზე. თბილისი. 1991 წლის 30 იანვარი. იხ. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტ. IV, გვ. 115-116.

[151] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ. თბილისი. 1991 წლის 23 აპრილი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 4, 1991, გვ. 68.

თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების უფლებამოსილებანი; საწარმოთა შორის დავების გადაწყვეტის საკითხები. შეიქმნა „რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების საარბიტრაჟო სასამართლოები, ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოები“. უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოს წევრებს ჰქონდათ უფლება, საკანონმდებლო ინიციატივით გამოსულიყვნენ უზენაეს საბჭოში. ცვლილებები შევიდა კონსტიტუციაში: „მთავარი სახელმწიფო არბიტრი“ შეიცვალა სიტყვებით „უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე“; უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეს დანიშნავს გენერალური პროკურორი; უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“[152].

კანონი შვიდი კარისგან და 22 მუხლისგან შედგება, აქვს ძირითადი და დასკვნითი დებულებანი. კანონში საუბარია მოსამართლისა და მსაჯულის უფლება-მოვალეობებზე, მათ დისციპლინურ პასუხისმგებლობაზე, ვადამდე გათავისუფლებაზე, სასამართლოს საქმეებში ჩარევის აკრძალვაზე და სხვა მრავალ საკითხზე. მხოლოდ გენერალურ პროკურორს შეეძლო სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოსამართლისა და მსაჯულის მიმართ, რომელიც განიხილებოდა უზენაესი სასამართლოს მიერ.

კანონში სრულად არის გაწერილი მსაჯულისა და მოსამართლის არჩევის წესი. მოსამართლეობის კანდიდატებს, იქნება ეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, თუ რაიონის, ქალაქის ან ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოების მოსამართლეები, ჩაბარებული უნდა ჰქონოდათ საკვალიფიკაციო გამოცდები, საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე კანდიდატს შეარჩევდა იუსტიციის სამინისტრო. საკვალიფიკაციო კოლეგიების საქმიანობას და მოწყობის წესს უზენაესი საბჭო განსაზღვრავდა (მეხუთე კარი, მუხლი 15).

დასკვნითი დებულებანი (კარი მეშვიდე, მუხლები 18-22) შეეხება მოსამართლეთა ატესტაციას, მათ მატერიალურ უზრუნველყოფას, უფლებას შეთავსებით სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა.

---

[152] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** კანონი საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ. თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 12, 1991, გვ. 62-70.

რადგან რესპუბლიკაში უკვე შემუშავდა და ძალაში შევიდა კანონები: „საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“[153] და „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ,“ [154] უზენაესმა საბჭომ მიზანშეწონილად ცნო, 1991 წლის თებერვალ-მარტში, რესპუბლიკის მასშტაბით, ჩატარებულიყო რაიონების, ქალაქების, თბილისის საქალაქო, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მოსამართლეებისა და მსაჯულების არჩევნები და ამის ორგანიზება დაავალა შესაბამის ორგანოებს[155].

უზენაესი საბჭოს 1991 წლის 20 მარტის დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოს მოსამართლის (მსაჯულის) ფიცი“ [156] , დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოს მოსამართლეების საკვალიფიკაციო ატესტაციის შესახებ“ [157] , და „მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევისა და საქმიანობის ორგანიზაციის წესის შესახებ“;[158] დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კლასების დაწესების შესახებ.“ [159] საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებით სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით. გაუქმდა ის მუხლები, რომლებიც საბჭოეთის დროს სასჯელის უმაღლეს

---

[153] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** კანონი საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ. თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 12, 1991, გვ. 62-70.

[154] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** კანონი საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ. თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 12, 1991, გვ. 71-99.

[155] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** კანონი საქართველოს რესპუბლიკაში რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა და მსაჯულთა დანიშვნის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 1, 1991, გვ. 99 -100.

[156] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** უზენაესი საბჭოს დადგენილება სასამართლოს მოსამართლის (მსაჯულის) ფიცი. თბილისი. 1991 წლის 20 მარტი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 3, 1991, გვ. 36.

[157] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციის დებულება. თბილისი. 1991 წლის 20 მარტი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 3, 1991, გვ. 37-40.

[158] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევისა და საქმიანობის ორგანიზაციის წესის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 20 მარტი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 3, 1991, გვ. 42-46.

[159] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კლასების დაწესების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 20 მარტი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 3, 1991, გვ. 52.

ზომას – დახვრეტას ითვალისწინებდა: ყალბი ფულის მოჭრა, სახელმწიფო ფულის გაფლანგვა ან გატაცება და სხვა. სასჯელი შეიცვალა 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. სასჯელის უმაღლესი ფორმა ძალაში დარჩა გამონაკლის შემთხვევებისთვის: დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობისთვის, დანაშაულისთვის სახელმწიფოს წინააღმდეგ[160].

მოგვიანებით, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდეგ, „სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით საშიში დანაშაული“, (სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა, ტერორისტული აქტი, დივერსია, ბანდიტიზმი) მაინც ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას ქონების კონფისკაციით[161].

არჩევნებში გამარჯვებისთანავე, 1990 წლის 22 ნოემბრისთვის, უზენაესი საბჭო ქმნის კანონს ამნისტიის შესახებ[162]. იგი ჰუმანური და ლოიალურია მსჯავრდებულების მიმართ. მაგალითად, გათავისუფლდნენ არანასამართლევი 5 წლამდე ვადით მსჯავრდებულები; სასჯელი გაუნახევრდათ მათ, ვინც ადრე არ იყვნენ ნასამართლევი; ადრე არანასამართლევ არასრულწლოვნებს; ასევე გაუნახევრდათ სასჯელი მათ, ვინც გაუფრთხილებლობით ჩაიდინა დანაშაული და მისჯილი ჰქონდათ 8 წელზე ნაკლები; გათავისუფლდნენ ქალები, I და II ჯგუფის ინვალიდები და 60 წელს ზევით მამაკაცები. კანონი მიღებისთანავე შევიდა ძალაში. იგი ექვსი თვის განმავლობაში უნდა შესრულებულიყო.

1991 წლის დეკემბერში შემუშავდა კანონპროექტი „ინტელექტუალური საკუთრების შესახებ.“ [163] კანონი გამიზნული იყო ქვეყანაში საავტორო უფლებების დასაცავად როგორც კომერციული საქმიანობის განხორციელებისას შემუშავებული მეთოდებისა და მოპოვებული ინფორმაციის კუთხით, ასევე მეცნიერული გამოგონებებისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორების მიმართ. ეს ყველაფერი კი

---

[160] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** კანონი ზოგიერთი დანაშაულისათვის სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 20 მარტი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 3, 1991, გვ. 55.

[161] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** კანონი სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე. თბილისი. 1991 წლის 2 აგვისტო. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 8, 1991, გვ. 69-76.

[162] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** კანონი ამნისტიის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 22 ნოემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 11, 1991, გვ. 59-61.

[163] კანონპროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 248, 1991, 19 დეკემბერი, გვ. 2-4.

თავისთავად ხელს უწყობდა კერძო მეწარმეობის განვითარებას, მეცნიერებისა და ხელოვნების აღმასვლას.

§ 5. ადმინისტრაციული მმართველობის და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ, დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად, მიიღო დადგენილება პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების თაობაზე [164]. 14 აპრილის საგანგებო სხდომაზე კი დაამტკიცა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის და წესების და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ," [165] რომელშიც მოცემულია პრეზიდენტის უფლებამოსილებისა და მოვალეობების შესახებ, მისი, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციების და ასევე საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესატანი შესაბამისი ცვლილებების თაობაზე:

პრეზიდენტი, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, ანიჭებდა წოდებებს (საპატიო, სამხედრო); ყოველწლიურ ანგარიშს აბარებდა უზენაეს საბჭოს; წარუდგენდა უზენაეს საბჭოს მთავრობისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეების, მთავრობის წევრების, გენერალური პროკურორის კანდიდატურებს; წყვეტდა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ მიღების, მოქალაქეობიდან გასვლის და მოქალაქეობის ჩამორთმევის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს; ახორციელებდა პატიმართა შეწყალებას; აცხადებდა საგანგებო და საომარ მდგომარეობას; მობილიზაციას; გამოსცემდა განკარგულებებს, ბრძანებულებებს. იგი ხელშეუხებელი

---

[164] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 9 აპრილი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 4, 1991, გვ. 28.

[165] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის დაწესებისა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 14 აპრილი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 4, 1991, გვ. 29-35.

იყო, გარდა სამშობლოს ღალატის ბრალდებისა. საყოველთაო არჩევნებამდე პირველი პრეზიდენტის არჩევის უფლება ჰქონდა უზენაეს საბჭოს.

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელების შემდეგ, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე აკაკი ასათიანი[166].

მოგვიანებით, 1991 წლის აგვისტოში, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის“ შესახებ[167]. მინისტრთა კაბინეტი პასუხისმგებელი იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს წინაშე. კანონი შედგება 6 თავისა და 32 მუხლისაგან. ჩამოთვლილია სამინისტროები: განათლების, არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა, ეკონომიკისა და ფინანსთა, ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის, იუსტიციის, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, სოფლის, სატყეო მეურნეობისა და კვების მრეწველობის, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის, ელექტროენერგეტიკის, მატერიალური რესურსების, ტრანსპორტის, სპორტისა და ტურიზმის, მრეწველობის, კავშირგაბმულობის.

პრეზიდენტის დაქვემდებარებაში იყო შემდეგი სამინისტროები: საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები, თავდაცვის და უშიშროების კომიტეტები. მინისტრთა კაბინეტს მეთაურობდა პრემიერ-მინისტრი. სხდომებს წარმართავდა პრეზიდენტი ან მისი თანხმობით პრემიერ-მინისტრი.

უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 29 იანვარს მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების – საკრებულოების არჩევნების შესახებ“[168] (საბჭოთა კავშირის დროს – საბჭოები). კანონი შედგება 11 თავისა და 65

---

[166] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნემო ბურჭულაძე.** უზენაესი საბჭოს დადგენილება ა. თ. ასათიანის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 18 აპრილი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 4, 1991, გვ. 38.

[167] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** კანონი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ. თბილისი. 1991 წელი 26 აგვისტო. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 8, 1991, გვ. 168-180.

[168] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** კანონი საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების – საკრებულოების არჩევნების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 31 იანვარი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 1, 1991, გვ. 33-74.

მუხლისაგან, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი არჩევნების მომზადების, ჩატარების და მიმდინარეობის შესახებ; ცენტრალური, ტერიტორიული, ადგილობრივი და საუბნო-საარჩევნო კომისიების სამუშაოების და უფლებამოსილების, საჭიროების შემთხვევაში ხელახალი არჩევნების ჩატარების შესახებ; დეპუტატობის კანდიდატად დარეგისტრირება, საარჩევნო სიების ფორმირების წესი, კომისიის წევრების წარდგენა საარჩევნო კომისიებში, საარჩევნო ბიულეტენები, ხმის მიცემა და სხვა.

1991 წლის დასაწყისში ასევე მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონი „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“[169], რომელიც შედგება 2 თავისა და 19 მუხლისაგან. პირველი თავი ეხება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შექმნას სოფლის, დაბის, ქალაქის, რაიონის, რესპუბლიკური (ასევე ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების რაიონებისა და ქალაქების შესაბამის ან არსებულ ტერიტორიაზე. აღნიშნულ თითოეულ ტერიტორიაზე მოსახლეობა ირჩევდა წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს, რომელიც თავის მხრივ ირჩევდა აღმასრულებელ ორგანოს – გამგეობას. საკრებულოს სხდომაზე წყდებოდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხები, გამგებლის დამტკიცება, სხვადასხვა დროებითი კომისიების შექმნა, მაგალითად, სარევიზიო კომისიის, რომელიც გააკონტროლებდა საკრებულოს მუშაობას და ფინანსურ საქმიანობას. სოფლის საკრებულოს ჰყავდა გამგეობა. გამგეობის უფლება-მოვალეობა იყო, ხელი შეეწყო მისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული საწარმოო დაწესებულებებისთვის.

მეორე თავი ეძღვნება ადგილობრივი მმართველობის ეკონომიკურ საკითხებს. თითოეული საკრებულოს ეკონომიკურ საფუძველს, ანუ შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა ამავე საკრებულოს ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსი, რომელიც შეეძლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში იჯარით გაეცა, გაესხვისებინა და ა. შ. საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ ტელევიზიით გამოსვლისას აღნიშნა: „… საკრებულოებსაც ყოველგვარი უფლებამოსილება ექნებათ... იგი მაკონტროლებელი ორგანო იქნება... და, თუ, ვთქვათ,

[169] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის კანონი გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 1, 1991, გვ. 15-27.

დანიშნული პრეფექტი ვერ გაამართლებს ნდობას, საკრებულო აღძრავს პრეფექტის შეცვლის საკითხს. თავის მხრივ, პრეფექტსაც ექნება საკრებულოს კონტროლის უფლება, ანუ შეიქმნება ურთიერთმაკონტროლებელი სისტემა".[170]

23 აპრილის სხდომაზე საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი პრეფექტურის შესახებ. [171] კანონი შედგება 5 კარისა და 21 მუხლისაგან. მასში გადმოცემული იყო გარდამავალ პერიოდში პრეფექტურის, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს, ფუნქციების შესახებ. პრეფექტის უფლება-მოვალეობაში შედიოდა: თავის ტერიტორიაზე სოციალური, კულტურული, საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის წარმოება; ბიუჯეტის შედგენა-შესრულება; ბუნების დაცვის უზრუნველყოფა, დაქვემდებარებული ორგანოების, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ერთეულის მუშაობის ხელშეწყობა. პრეფექტის მიერ გამოცემული განკარგულებები ძალაში იყო მხოლოდ მის მიერ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, ხოლო გაუქმება შეეძლო მინისტრთა საბჭოს. პრეფექტს ნიშნავდა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი 4 წლით.

რაც შეეხება ავტონომიურ რესპუბლიკებს, იქ პრეფექტები ინიშნებოდნენ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებითა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობით (4 წლით). ამ ცვლილების შესახებ წერია კანონში: „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ" მეხუთე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-5 ნაწილის განმარტების თაობაზე"[172].

საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, საკრებულოების არჩევ-ნები 1991 წლის 3 მარტის ნაცვლად 31 მარტს, რეფერენდუმთან ერთად ჩატარებულიყო.[173]

---

[170] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის **ზვიად გამსახურდიას** გამოსვლა ტელევიზიით 1991 წლის 5 მარტს. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", N 47, 1991, 9 მარტი, გვ. 1.

[171] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრეფექტურის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 23 აპრილი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 4, 1991, გვ. 52-60.

[172] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ მეხუთე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-5 ნაწილის განმარტების თაობაზე. 1991 წლის 27 თებერვალი. იხ. საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელები. ტ. IV, ნაწილი II, გვ. 214.

[173] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** უზენაესი საბჭოს დადგენილება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების – საკრებულოების არჩევნების შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება: „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივ მმართველობაზე გადასვლის პირველი ეტაპის შესახებ,“ [174] რომელშიც გადმოცემულია პირველ რიგში ჩასატარებელი რეფორმები: უნდა შეიქმნას მმართველობის პირველადი და მეორადი დონის სტრუქტურები (სოფლის, რაიონების, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების); შეიქმნას პრეფექტურები და დაინიშნონ პრეფექტები. მანამდე მათ ფუნქციებს შეასრულებდნენ „შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებიც განთავისუფლდებიან პრეფექტების დანიშვნისთანავე; სოფლებისა და რაიონების კომიტეტები კი იარსებებენ იქამდე, ვიდრე არ ჩატარდება საკრებულოს არჩევნები და აირჩევა მმართველობის ორგანოები; კანონში აგრეთვე გადმოცემულია უზენაესი საბჭოს დავალებები რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ეკონომიკური რეფორმისა და ადგილობრივი მმართველობის სახელმწიფო კომისიის, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კავშირის, ფინანსთა სამინისტროს და უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის მიმართ, რათა მოამზადონ გარდამავალი პერიოდის საფუძვლები (პროგრამა, საკანონმდებლო ბაზა და სხვა), რომ ქვეყანა თანდათანობით, თანმიმდევრობით გადავიდეს ადგილობრივ მმართველობაზე.

1991 წლის 10 აგვისტოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის – თბილისის მმართველობის შესახებ“, [175] რომელიც 24 მუხლისაგან შედგება. აღნიშნულ კანონში საქართველოს დედაქალაქი – თბილისი, წარმოდგენილია დამოუკიდებელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სახით, რომელშიც შედიოდა 10 რაიონი და 1 დაბა: დიდუბის რაიონი, გლდანის რაიონი, ისნის რაიონი, ვაკის რაიონი, მთაწმინდის რაიონი, კრწანისის რაიონი, სამგორის რაიონი, საბურთალოს რაიონი, ჩუღურეთის რაიონი, ღრმაღელის რაიონი, დაბა წყნეთი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღებისა და საკრებულოების არჩევნების დანიშვნის თაობაზე. თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 1, 1991, გვ. 75.

[174] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება გარდამავალ პერიოდში ადგილობრივ მმართველობაზე გადასვლის პირველი ეტაპის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 4 თებერვალი. იხ. საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელები. ტ. IV, ნაწილი II, გვ. 140-142.

[175] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** კანონი საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის – თბილისის მმართველობის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 10 აგვისტო. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 8, 1991, გვ. 151-162.

კანონის მიხედვით, ქ. თბილისის მმართველობის ორგანო იყო მერია, რაიონების – პრეფექტურა, ზემდგომი ორგანოები: ქალაქის საკრებულო და ქალაქის რაიონების საკრებულო. კანონში განსაზღვრულია საკრებულოს, მერის და პრეფექტების უფლება-მოვალეობები, კომპეტენციები, საფინანსო სისტემა. თბილისის მერიას შეუძლია ჰქონოდა საკუთარი შემოსავალი, მაგალითად, შემოწირულობები, ფასიანი ქაღალდები, ჰქონოდა მეურნეობები, რომლებიც გადასახადს გადაიხდიან. მიღებული შემოსავალი მოხმარდებოდა ქალაქის საჭიროებას. საკრებულოს დეპუტატი ირჩეოდა 3 წლის ვადით, მერი კი – 4 წლით.

ეს კანონი ხელისუფლების დეცენტრალიზაციისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იყო. ხელისუფლება ცდილობდა ქ. თბილისის ზრდა-განვითარებაში აქტიური მონაწილეობა მიეღო როგორც საზოგადოებას, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებსა და შესაბამისი დარგის სამინისტროებს.

უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქსა თუ რაიონს დაუბრუნდა ძველი სახელი. მაგალითად, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონს ეწოდა ჩუღურეთის რაიონი,[176] ლენინის რაიონს – ღრმაღელის რაიონი,[177] ბოგდანოვკას რაიონს – ნინოწმინდის რაიონი; ზნაურის რაიონს – ყორნისის რაიონი; წითელწყაროს რაიონს – დედოფლისწყაროს რაიონი.[178]

უზენაესმა საბჭომ დადგენილებით მიიღო „საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესი“ [179], რომელშიც განსაზღვრულია: ა) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები (სოფელი, თემი, დაბა, რაიონული და რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონი და ქალაქი); ბ) ტერიტორიული ერთეულების შექმნა, გაუქმება, საზღვრების დადგენა; გ)

---

[176] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** უზენაესი საბჭოს დადგენილება ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონისათვის სახელის გადარქმევის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 18 აპრილი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 4, 1991, გვ. 49.

[177] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** უზენაესი საბჭოს დადგენილება ქ. თბილისის ლენინის რაიონისათვის სახელის გადარქმევის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 14 მაისი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 5, 1991, გვ. 52.

[178] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის, ქალაქისა და დაბისათვის სახელის გადარქმევის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 27 თებერვალი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 2, 1991, გვ. 95.

[179] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესი. თბილისი. 1991 წლის 23 მაისი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 5, 1991, გვ. 60-74.

დასახლებული პუნქტების კლასიფიკაცია, აღრიცხვა და რეგისტრაცია; დ) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობაში ცვლილებების და სხვა საკითხების შესახებ.

როგორც ვხედავთ, ხელისუფლების მიერ გარდამავალ პერიოდში გადადგმული იქნა პირველი ნაბიჯები ხელისუფლების დეცენტრალიზაციის მიმართულებით. პრეფექტის ინსტიტუტი უცხო იყო ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ იგი საჭირო იყო რეგიონებში ადგილობრივი მმართველობის ხალხთან დასაახლოვებლად. ამ კანონებით საბჭოთა ეპოქისეული პარტიული მმართველობა შეიცვალა ხალხის მიერ არჩეული აღმასრულებელი ხელისუფლებით.

§ 6. სოციალური საკითხები

XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ქვეყანაში მეტად რთული სოციალური მდგომარეობა იყო. შეფერხდა ან შეჩერდა საწარმოების ეკონომიკური საქმიანობა, გაიზარდა უმუშევრობა, საწარმოებსა და დაწესებულებებში უმრავლეს შემთხვევაში სუფევდა უდისციპლინობა, დაიძაბა კრიმინოგენული ვითარება, მომრავლდა ძარცვის, ადამიანების გატაცების, დაყაჩაღების შემთხვევები. სამართალდამცავი სისტემის მოშლამ დაუსჯელობის სინდრომი შექმნა. ამიტომ, უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ“[180], რომლის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა სპეციალური დანაყოფის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყანაში მართლწესრიგის დაცვას.

მიუხედავად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, ქვეყანაში პურის ფასი არ გაზრ-დილა. ცნობილია, რომ დაბალი ფასის და დიდი რაოდენობით ცხობის გამო, მოსახლეობა პურს შინაური ცხოველების საკვებადაც იყენებდა და მეზობელ ქვეყნებშიც გაჰქონდათ. პრემიერ-მინისტრის, ბესარიონ გუგუშვილის თქმით, ხორბლის შემოტანის მიზნით, ხელშეკრულება გააფორმეს სხვა რესპუბლიკებთან, თუმცა ხორბალი უფრო

[180] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** დადგენილება ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ. თბილისი. 1990 წ. 15 ნოემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 11, 1990, გვ. 36-37.

ძვირი იყო, ვიდრე პური და ის დოტაციით იფარებოდა.[181] ეს იყო ხელისუფლების ნაბიჯი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით. პრეზიდენტის ბრძანებულებით „რესპუბლიკაში პურის საცალო ფასების მოწესრიგების შესახებ“[182] აიკრძალა პურზე ფასების მომატება. ფინანსთა სამინისტროს დაევალა იმ ზარალის დაფარვა, რომელიც პურის ფასის შენარჩუნებით მიადგა ბიუჯეტს და ეთხოვა, მკაცრად ეკონტროლებინა რესპუბლიკაში პურის ფასები. ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს კი უნდა დაეწესებინათ კონტროლი, რომ პურის გამოყენება არ მომხდარიყო პირუტყვის გამოსაკვებად. ზვიად გამსახურდიას მიაჩნდა, რომ გარდამავალ პერიოდში, ძნელბედობის ხანაში, ხელისუფლებას საგანგებო რეჟიმში უნდა ემუშავა და მოსახლეობა მოემარაგებინა სურსათით, სათბობით, პირველი საჭიროების ნივთებით. „არაფერი არ უთხრის ძირს ახალი ხელისუფლებისადმი ხალხის რწმენას ისე, როგორც მერყევი ეკონომიკური მდგომარეობა, მომარაგების შეფერხება, რძის, ხორცისა და სხვა გასტრონომიული კრიზისები“ – ამბობდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ერთ-ერთ ინტერვიუში[183].

1991 წლის ზაფხულიდან ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა: შემცირდა აუცილებელი პროდუქტების წარმოება, მინიმუმამდე დავიდა მომუშავე ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობა, გაიზარდა სასაქონლო დეფიციტი – ცარიელი დახლები, ქვეყანაში გახშირდა საბოტაჟის ფაქტები, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 4 მლრდ მანეთზე მეტი გახდა. ხელისუფლება ცდილობდა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გზები დაესახა: განეხორციელებინა რეფორმა საცალო ფასებთან დაკავშირებით, ასევე, დაეგეგმა სოციალური დაცვის პროგრამა. უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფოს (მთავრობას, მუდმივმოქმედ კომისიებს) უნდა შეემუშავებინა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის, პროდუქციის წარმოების, ბიუჯეტის

---

[181]**ბესარიონ გუგუშვილის** ინტერვიუ **ნ. ხიდაშელთან.** არ ვიშიმშილებთ, როგორც ინგლისში, მაგრამ არც ისე, როგორც ინდოეთში. გაზ. „ქომაგი“, N 46, 1991, 14 ნოემბერი, გვ. 2.

[182] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** პრეზიდენტის ბრძანებულება რესპუბლიკაში პურის საცალო ფასების მოწესრიგების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 3 მაისი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 87, 1991, 4 მაისი, გვ. 1.

[183] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის **ზვიად გამსახურდიას** ინტერვიუ „ოგონიოკის” კორესპონდენტ **გევორქ მარტიროსიანთან:** ჩვენ უღმერთობის, რბევისა და ტერორის გზას ვერ დავადგებით. თბილისი. „ოგონიოკი“, N 9, 1991, თებერვალი. იხ. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტ. I, გვ. 193.

შევსების კონკრეტული პროგრამა.[184] საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია წარმოება-დაწესებულებების მუშაობის გაჩერება, რასაც მათი ფიზიკური განადგურება მოჰყვა. სამუშაო ადგილების მასობრივმა შემცირებამ დასაქმების პრობლემა გამოიწვია. უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა კანონი „დასაქმების შესახებ“ [185], რომელიც არეგულირებდა მოქალაქეთა დასაქმების პოლიტიკას, ფორმებს, უფლებებს, უმუშევრობასთან დაკავშირებულ პრობლემებს – სოციალურ დაცვას, მატერიალურ დახმარებას, შემწეობის მიღებას, შრომის ბირჟაზე დარეგისტრირებას, რათა ყველა მსურველს შეძლებოდა სამსახურის პოვნა. აღსანიშნავია, რომ დასაქმებაში უპირატესობა საქართველოს მოქალაქეს ენიჭებოდა.

1991 წლის აგვისტოში საქართველოში შეიქმნა თავისუფალი პროფესიული კავშირები.[186]მისი ამოცანა იყო დაეცვა ადამიანის უფლებები მასობრივი უმუშევრობის პირობებში, განსაკუთრებით ინვალიდები, პენსიონერები, მარტოხელა ჩვილბავშვიანი დედები. აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დონის უწყებებს დაევალათ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროფკავშირების უფლებების დაცვას და მათი საქმიანობის უზრუნველყოფას. [187] თავისუფალი პროფკავშირების თავმჯდომარედ ზურაბ ხონელიძე აირჩიეს.

იმისათვის, რომ ხელისუფლებას უფრო მჭიდრო კონტაქტი ჰქონოდა ხალხთან, პირდაპირ და უშუალოდ მოსახლეობისაგან მოესმინა ის საჭირბოროტო საკითხები, რაც აწუხებდა საქართველოს მოსახლეობას, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, კვირაში ერთი დღე – ორშაბათი, 15.00 საათიდან 19.00 საათამდე გამოეცხადებინა

---

[184] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის, მისი სტაბილიზაციისა და საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის საგანგებო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების უზრუნველსაყოფად გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ. თბილისი. 1991 წლის 25 ივლისი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 7, 1991, გვ. 23-24.

[185] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** კანონი დასაქმების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 25 ივლისი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 7, 1991, გვ. 45- 56.

[186]**რ. შელია.** საქართველოს პროფკავშირების საგანგებო ყრილობა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 167, 1991, 27 აგვისტო, გვ. 3.

[187] პრეზიდენტის ბრძანებულება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში პროფესიული კავშირების უფლებების უზრუნველყოფის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 22 ნოემბერი. იხ. საქართველოს სახელმწიფო ხელმძღვანელები. ტ.V, გვ. 305-307.

მოქალაქეთა მიღების დღედ.[188] ქვეყანაში მკვეთრად გაუარესებული სოციალური მდგომარეობის გამო, მრავალშვილიანი და მცირეწლოვანი ბავშვების ოჯახებს, პენსიონერებს, 18 წლამდე სტუდენტ-მოსწავლეებს გამოეყოთ დამატებითი ასიგნებები პირველადი მოთხოვნილების პროდუქტებზე ფასების გაზრდის გამო.[189] ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, პრეზიდენტის ბრძანებულებით, მოსწავლეები და სტუდენტები საქალაქო, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობისას მთელი წლით ისარგებლებდნენ შეღავათიანი ტარიფით.[190]

საქართველოს ხელისუფლება ზრუნავდა არა მხოლოდ მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფაზე, არამედ ქვეყანაში წარმოებული თუ შემოტანილი პროდუქტების ვარგისიანობაზე, მომსახურების სფეროს ობიექტების მიერ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. ამ მიზნით შემუშავებულ იქნა კანონპროექტი „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის შესახებ“.[191] კანონი განსაზღვრავდა მოსახლეობის სანიტარულ-ჰიგიენურ უზრუნველყოფას და სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის როლს ამ საქმეში.

იგეგმებოდა მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ახალი ფორმები დაზღვევის სახით. შემუშავდა კანონპროექტი „საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კონცეფცია.“[192] კონცეფციის მიზანი იყო, საკუთრების ახალი ეკონომიკური გარემოს პირობებში, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემა მორგებოდა დამოუკიდებელი საქართველოს თითოეული მოქალაქის საჭიროებას.

---

[188] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეთა მიღების ერთიანი დღის დაწესების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 2 აპრილი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 4, 1991, გვ. 8.

[189] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის კანონი საცალო ფასების რეფორმასთან დაკავშირებით ბავშვებიანი ოჯახებისათვის კომპენსაციის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 27 აპრილი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 4, 1991, გვ. 84.

[190] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** პრეზიდენტის ბრძანებულება რკინიგზითა და საჰაერო ტრანსპორტით სტუდენტი და მოსწავლე-ახალგაზრდობის მგზავრობაზე შეღავათების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 15 მაისი. იხ. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტ. V, ნაწილი II, გვ. 61.

[191] კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის შესახებ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 219, 1991, 7 ნოემბერი, გვ. 2-3.

[192] კანონპროექტი. საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კონცეფცია. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 189, 1991, 28 სექტემბერი, გვ. 3.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან შეიქმნა სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი რესპუბლიკური ფონდი, რომელშიც ყველა გადამხდელი ორგანიზაცია და საწარმო-დაწესებულება გადარიცხავდა, როგორც აუცილებელ სადაზღვევო გადასახადს. მკაცრად გაკონტროლდებოდა ფინანსების დროულად და სწორად გადანაწილება. სახსრები მოხმარდებოდა მოსახლეობის მოწყვლად ფენებს. ფონდის ხელმძღვანელობა დაევალა ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს მანანა ძოძუაშვილს.[193]

§ 7. ბუნების დაცვა, განათლება და კულტურა

საქართველოს მდიდარი ბუნების დასაცავად ხელისუფლებამ შეიმუშავა კანონპროექტი „ბუნების დაცვის შესახებ,“ [194] რომელშიც გათვალისწინებული იყო გარემოს დაცვის მექანიზმები. საფუძველი ჩაეყარა ფასიან ბუნებათსარგებლობას, რითაც შეიზღუდა ბუნებრივი რესურსების უკონტროლო მოპოვება. ამ მიზნით, 1991 წლის ნოემბრის თვეში უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიას საქმიანი ვიზიტით ესტუმრნენ ამერიკელი სტუმრები – ჰიუსტონის უნივერსიტეტის პროფესორი, ჰიდროლოგი ირენ ჩექსი, ენერგეტიკოსი ივან ჩექსი და ბიზნესმენი ვაცლავ როზენბლიტი. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ქართველი სპეციალისტები სტაჟირებას გაივლიდნენ ჰიუსტონის უნივერსიტეტში ეკოლოგიის ცალკეული დარგების მიხედვით: „განვითარებულ ქვეყნებში გარემოს დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის მექანიზმი ეფექტიანად მოქმედებს, ამიტომაც ძალზე მნიშვმელოვანია ჩვენთვის ისეთ სპეციალისტებთან ურთიერთობა, რომლებიც დაგვეხმარებიან შევქმნათ ერთობლივი ცენტრი გარემოზე დაკვირვებისათვის, რაც

[193] საქინფორმი. შეიქმნა სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი ფონდი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ N 71, 1991, 11 აპრილი, გვ. 3.

[194] საქართველოს რესპუბლიკის კანონი ბუნების დაცვის შესახებ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 208-209, 1991, 26 ოქტომბერი, გვ. 3.

მოამზადებს რეალურ წინაპირობას შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.“[195]

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კომუნისტური მმართველობის ბოლო პერიოდში, საქართველოს როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სასწავლებლებში გამეფებული იყო კორუფცია, რომელიც განათლების სისტემის მნიშვნელოვან ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა და მისი დამარცხება სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენდა.

განათლების სფეროში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად მიღებულ ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანი იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება კერძო სასწავლებლების დაარსების შესახებ. ისინი იფუნქციონირებდნენ სახელმწიფო სასწავლებლების პარალელურად, მაგრამ იქ განათლების მიღება იქნებოდა ფასიანი. მათ უფლება ეძლეოდათ, ჰქონოდათ საკუთარი პროგრამა, სასწავლო გეგმა, დამოუკიდებლად დაედგინათ სწავლის საფასური, ჰქონოდათ ურთიერთობები საზღვარგარეთ არსებულ სასწავლებლებთან. აღნიშნული დადგენილების მიხედვით, „ფასიანი სასწავლებლის მსმენელები და თანამშრომლები სარგებლობენ სახელმწიფო სასწავლებლებისათვის დადგენილი ყველა შეღავათით.“[196] განათლების რეფორმირების მიმართულებით ხელისუფლებას სწორი და შორს მიმავალი გეზი ჰქონდა აღებული – კერძო სასწავლებლების შემოღებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში განათლების დონის ამაღლების საქმეში.

ასევე სიახლეს წარმოადგენდა სკოლებში, ტექნიკურ და პროფესიულ სასწავლებ-ლებში ოქროსა და ვერცხლის მედლების გაუქმება, რომლის საშუალებით უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდების გარეშე ხვდებოდნენ (პროფსასწავლებლების ან ტექსასწავლებლების „წარჩინებით“ დამთავრება უფრო ადვილი იყო) ცალკეული მოსწავლეები.[197] ერთ-ერთი ბრალდება, რომელსაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას

---

[195] **მ. კეიდია.** ამერიკელი სტუმრები პარლამენტში. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 221, 1991, 12 ნოემბერი, გვ. 3.

[196] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 120, 1991, 21 ივნისი, გვ.1.

[197] საქინფორმი. ოქროსა და ვერცხლის მედლები აღარ გაიცემა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 46, 1991, 8 მარტი, გვ.1.

უყენებდა ოპოზიცია, იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის დანიშვნის საკითხი. ადრე რექტორს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო ირჩევდა. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გაუქმებულ იქნა ეს ბრძანება და ამიერიდან უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს დანიშნავდა და გაათავისუფლებდა პრეზიდენტი.[198] ავტონომიური რესპუბლიკების უნივერსიტეტებში რექტორს წარადგენდა ადგილობრივი მთავრობა. უზენაესი საბჭოს წევრის, ნიკა კილასონიას ვარაუდით, რთულ, დამოუკიდებლად არსებობის გამოცდილების არმქონე საკადრო პერიოდში, „გამსახურდია ფრთხილად ეკიდებოდა ესოდენ მნიშვნელოვან საკითხს."[199]

გარდამავალ პერიოდში ხელისუფლების საზრუნავი მომავალი თაობებისათვის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება იყო. შეუძლებელი იყო მომავლის შენება ჩვენი უმდიდრესი ისტორიის დავიწყებით, ჩვენამდე მოღწეული ისტორიული ძეგლების დაზიანება-განადგურებით, რაც იმ პერიოდში ხდებოდა. დაფიქსირდა კულტურული ფასეულობების ქვეყნიდან გატანის ფაქტები. ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის ძვირფასი ძეგლების დიდს ნაწილს სჭირდებოდა რესტავრაცია. ამიტომ გამოიცა პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც „მინისტრთა კაბინეტთან შექმნილ ისტორიისა და ძეგლთა დაცვის მუდმივმოქმედ საკოორდინაციო საბჭოს",[200] ადგილობრივი მმართველობის, ადმინისტრაციულ და სამართალდამცავ ორგანოებს დაევალათ კულტურული ძეგლების მოვლა-პატრონობაზე ყურადღების გამახვილება და დაცვა. უზენაეს საბჭოს მიეცა რეკომენდაცია, მოემზადებინა კანონი „კულტურის შესახებ".

ხელისუფლებას უყურადღებოდ არც ბიბლიოთეკები დაუტოვებია. მომზადდა კანონ-პროექტი „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ",[201]

---

[198] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა თანამდებობების დაკავების წესის შეცვლის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 8 ივლისი. იხ. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტ. IV, ნაწილი II, გვ. 99.

[199] **ნათელა ვაჩნაძე, ნინო თომაძე,** ინტერვიუ **ნიკა კილასონიასთან.** 2007 წლის 10 აპრილი. იხ. დამარცხებული საქართველო. http://dspace.nplg.gov.ge /bitstream/ 1234/278922/1/ Damarcxebuli_Saqa rtvelo. pdf, გვ. 156.

[200] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** პრეზიდენტის ბრძანებულება ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის, დაცვის და გამოყენების ღონისძიებათა შესახებ. თბილისი. 1991 წლის 9 დეკემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 12, 1991, გვ. 8-11.

[201] კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", N 186, 1991, 25 სექტემბერი, გვ. 4.

რომელიც 4 თავისა და 18 მუხლისაგან შედგება. კანონპროექტი მოიცავს ზოგად დებულებას, ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობას, მართვას და დაფინანსებას.

ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მიზნით, სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის მიიღეს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ.“ [202] ხელისუფლებამ დაარეგულირა დებულებები საინფორმაციო საშუალებების თაობაზე, სახელმწიფო ენის შესახებ, ჟურნალისტის უფლება-მოვალეობებისა და საქმიანობის თავისუფლების თაობაზე, ჟურნალისტებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით და პრეზიდენტის ბრძანებულებით კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შენობა გადაეცა მწერალთა კავშირს,[203] ხოლო ყოფილი „იმელის“ შენობა – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს. [204] საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივმა კომისიამ მოამზადა კანონპროექტები „საქართველოს რესპუბლიკის ჯილდოების დაწესების შესახებ“. გაუქმდა სსრკ-ისა და საქართველოს სსრ ჯილდოები და დამტკიცდა „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორდენებისა და მედლების, საქართველოს რესპუბლიკის საპატიო წოდებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელის სტატუსი.“[205]

---

[202] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 10 აგვისტო. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 8, 1991, გვ. 122-132.

[203] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი შენობის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 25 მარტი. იხ. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტ. IV, ნაწილი II, გვ. 274.

[204] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტისა და საქართველოს ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის შენობის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 23 ივლისი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 7, 1991, გვ. 18.

[205] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება და კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 26, 1991, 8 თებერვალი, გვ. 1.

§ 8. სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ურთიერთობა

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა გაუმჯობესდა. ათეისტური სახელმწიფოდან საქართველოს გამოყოფა უკვე საშუალებას აძლევდა ახალ ხელისუფლებას, დაბრუნებოდა ქვეყნის ტრადიციულ სარწმუნოებას. უზენაესი საბჭოს დადგენილების საფუძველზე კომუნისტურ პერიოდში არსებული სახელმწიფო დღესასწაულები შეიცვალა მართლმადიდებლური, ტრადიციული საეკლესიო დღესასწაულებით და გამოცხადდა უქმე დღეებად: 7 იანვარი – შობა უფლისა ღვთისა, 19 იანვარი – განცხადება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (ნათლისღება), ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ღვთისა – გარდამავალი თარიღი, მიცვალებულთა მოხსენიების დღე (აღდგომის მომდევნო დღე) – ორშაბათი, 26 მაისი – საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, 28 აგვისტო – მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა (მარიამობა), 14 ოქტომბერი – სვეტიცხოვლობა, მცხეთობა, 23 ნოემბერი – გიორგობა.[206] საქართველოს საპატრიარქომ მტკიცე პოზიცია გამოხატა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ გამოსცა საგანგებო ბრძანება, რაც ნაკარნახევი იყო ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარების მკვეთრი გაუარესებით და საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე მძაფრი დაპირისპირებებით: „... დღეიდან ყოველი ქართველი ადამიანის მკვლელი, მიუხედავად მსხვერპლის (მოკლულის) დანაშაულისა ან უდანაშაულობისა, გამოცხადდეს ქართველი ერის მტრად.

მკვლელის სახელი და გვარი შეტანილ იქნეს საპატრიარქოს სპეციალურ წიგნში და გადაეცეს თაობიდან თაობას, როგორც სამარცხვინო და დასაგმობი.

---

[206] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის კანონი არსებული უქმე დღეებისა და ტრადიციულთა აღდგენის შესახებ. თბილისი. 1990 წლის 22 ნოემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 11, 1990, გვ. 65.

საგანგებო ბრძანება ესე მიღებულია, რათა საქართველოში სამუდამოდ თავიდან აცილებულ იქნეს უმძიმესი ცოდვა და დანაშაული ღვთისა და ერის წინაშე – ძმათა კვლა.“ [207] უწმინდესმა და უნეტარესმა არაერთხელ მიმართა ხალხს, ოპოზიციას და ხელისუფლებას: „უმძიმესია დღევანდელი მდგომარეობა, საქართველო მისულია დაღუპვის პირამდე... გამოიჩინეთ სიბრძნე და გონიერება, იგრძენით პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე და ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადავწყვიტოთ სადავო საკითხები...“[208]

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია 1991 წლის 30 იანვარს თავის გამოსვლაში შეეხო საეკლესიო მიწის საკითხს. მისი თქმით, ეკლესიისთვის მიწის დაბრუნების საკითხის მოგვარება თითქმის დასრულებული იყო.[209]

კანონი „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ [210] საქართველოში რწმენის თავისუფლებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია. კანონში აღნიშნულია, რომ იგი მიღებულია „ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დეკლარაციასთან“ საქართველოს რესპუბლიკის თანხვედრაში და განიხილავს „არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს, როგორც „აზრის..., სინდისის და რწმენის უფლების თავისუფლად გამოხატვასა და სამხედრო მოვალეობას შორის გონივრული გადაწყვეტის“ საშუალებას. ამავე დროს, იგი „საზოგადოებრივად სასარგებლო სამოქალაქო სამსახურია, რომელიც ცვლის საყოველთაო სამხედრო სამსახურს“...

უზენაესი საბჭოს პირველივე სხდომაზე, ზვიად გამსახურდიამ თავის გამოსვლაში

---

[207] სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საგანგებო ბრძანება. 1990 წლის 28 ოქტომბერი. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, N 120, 1990, 1 ნოემბერი, გვ. 1.

[208]**ლაშა დეისაძე-შერვაშიძე,** საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე გამოწვევები (XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე). დისერტაცია. თბილისი, 2019, გვ. 169.

[209] საიჯარო ურთიერთობათა სრულყოფის შესახებ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის **ზვიად გამსახურდიას** გამოსვლა უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველ სესიაზე 1991 წლის 30 იანვარს. იხ. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტ. IV, ნაწილი II, გვ. 119.

[210] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** საქართველოს რესპუბლიკის კანონი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 6, 1991, გვ. 61-66.

აღნიშნა: „ჩვენი მოძრაობა, უწინარეს ყოვლისა, რელიგიური მოძრაობაა, რამეთუ რელიგიის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი ეროვნული აღორძინება. ამიტომაც არის დღეს ერთად ჩვენი ერი და ჩვენი ეკლესია...“[211]

უზენაესი საბჭოს ასეთმა მიდგომამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის ათეისტური დიქტატისაგან განთავისუფლებას.

§ 9. ენერგეტიკული პრობლემები

საბჭოთა პერიოდში მოკავშირე რესპუბლიკები გაერთიანებული იყვნენ ერთიან ენერგოქსელში, რაც შესაძლებლობას აძლევდათ, მიეღოთ საჭირო რაოდენობის ელექტროენერგია, მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიუხედავად. საბჭოთა კავშირის დაშლამ თავისთავად გამოიწვია ენერგოდეფიციტი იმ რესპუბლიკებში, რომლებშიც ენერგოწარმოება მოთხოვნილებაზე დაბალი იყო. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება: „1990-1991 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ენერგოსისტემაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობისა და წყალდიდობებისას ჰიდროელექტროსადგურების სამუშაოდ მზადყოფნისა და 1991-1992 წლების შემოდგომაზამთრის სეზონისათვის მოსამზადებელ სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.“ [212] აღნიშნული დადგენილებით, საქართველოს მთავრობას დაევალა, დაეჩქარებინა ახლად შექმნილი ელექტროენერგეტიკის სამინისტროს მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბება და მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება.

---

[211] საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ **ზვიად გამსახურდიას** გამოსვლა 1990 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე. თბილისი. 1990 წლის 14 ნოემბერი. იხ. საქართველოს სახელმწიფო ხელმძღვანელები. ტ. I, გვ. 39.

[212] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება 1990-1991 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ენერგოსისტემაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობისა და წყალდიდობებისას ჰიდროელექტროსადგურების სამუშაოდ მზადყოფნისა და 1991-1992 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის მოსამზადებელ სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 28 მაისი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 5, 1991, გვ. 24-25.

ელექტროენერგეტიკის მინისტრის, თამაზ გოგავას აზრით, შემოდგომა-ზამთრის პერიოდის გადასატანად აუცილებელი იყო საქართველოს ენერგომომხმარებლებს შეძლებისდაგვარად ეკონომიურად, მინიმალური რაოდენობით მოეხმარათ ელექტროენერგია, რათა, ჩვენი თბოელექტროსადგურებისთვის საწვავის მიწოდების სირთულეების გამო, რესპუბლიკას ზამთრის პერიოდში ენერგოკრიზისი არ დამუქრებოდა.[213]

1991 წლის მარტში საქართველოში ვიზიტით ჩამოსულმა აზერბაიჯანის, სომხეთის, ესტონეთის, ლიეტუვის, ლატვიისა და ტაჯიკეთის ენერგეტიკოსებმა თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმეს, რომელთა მიზანი გამოცდილების გაზიარება და არსებული ენერგოკრიზისების დაძლევის მცდელობა იყო.[214] უზენაესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის ეკონომიკური ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილის, ნიკა კილასონიას თქმით: „ენერგომატარებლებზე… ბენზინზე, დიზელზე, გაზზე, ელექტროენერგიაზე... გარკვეული დროით... სანამ ქვეყანა ფეხზე არ დადგებოდა... უნდა დარჩენილიყო სახელმწიფო კონტროლის ქვეშ და ფასების გამოთავისუფლება არ უნდა ყოფილიყო... ზვიადს ჰქონდა ძალიან მკაფიო ხედვა იმისი, რომ ენერგომატარებლებზე სახელმწიფო კონტროლის მოშორება ნიშნავს ქვეყანაში წარმოების პრაქტიკულად გაჩერებას.“ [215] მართლაც, საქართველოს 1991 წლის 1 თებერვლის დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის კომისიის მონაცემებით, „ენერგეტიკის კრიზისის გამო მშენებლობის სისტემაში გაჩერებულია 30 ორგანიზაცია, სამუშაოდან დროებით დათხოვნილია 65 ათასი მუშა-მოსამსახურე, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში – 55 ათასი ადამიანი, მეტალურგიაში – 2 ათასი, ქიმიის მრეწველობაში 3 წარმოება (4 ათასი კაცი), ხე-ტყის დამუშავების მრეწველობაში 11

---

[213] **ლ. კოშკაძე.** ენერგეტიკა: გუშინ, დღეს, ხვალ... გაზ. „სოფლის ცხოვრება“, N 71-72, 7 ნოემბერი, 1991, გვ. 1.

[214] საქინფორმი. ენერგეტიკოსებო, გაერთიანდით! გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 42, 1991, 2 მარტი, გვ.3

[215] **ნათელა ვაჩნაძე, ნინო თომაძე,** ინტერვიუ **ნიკა კილასონიასთან.** 2007 წლის 10 აპრილი. იხ. დამარცხებული საქართველო. ნაწილი I. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/278922/1/Damarcxebuli_Saqartvelo.pdf, გვ. 148, 151.

წარმოება... გაჩერებულია ავტოშემკეთებელი ქარხანა, მანქანათმშენებლობის, რადიოელექტრო მრეწველობის, ელექტროსადგურების, სასოფლო მანქანათ-მშენებლობის მთელი რიგი ორგანიზაციები. დროებით უმუშევარია 300 ათასი კაცი."[216]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის (ერთიანი ენერგოსისტემის) რღვევამ გავლენა იქონია საქართველოს ენერგომომარაგებაზე. ენერგოკრიზისის დაძლევა კიდევ უფრო გაართულა ერთიანი საბანკო სისტემის მოშლამ. ამ ყველაფერმა კი უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში ეკონომიკური და, შედეგად, სოციალური პრობლემების შექმნაში.

წარმოდგენილი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა თითქმის ყველა საკითხი, რომლებიც გათვალისწინებული იყო საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" მიერ ჯერ კიდევ წინასაარჩევნოდ მიღებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პლატფორმაში; მიღებულ იქნა კანონი გარდამავალი პერიოდის შესახებ, რომლითაც უზენაესმა საბჭომ შეაჩერა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე; დაშალა კომუნისტური მმართველობის სტრუქტურა და ის ჩაანაცვლა მმართველობის ეროვნული ინსტიტუტებით; შემოღებულ იქნა პრეზიდენტის ინსტიტუტი; მიღებულ იქნა კანონი მოქალაქეობის შესახებ,[217] რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა მიწის რეფორმას; ჩატარდა სასამართლო რეფორმა; ჩამოყალიბდა ეროვნული ბანკი და შეიქმნა ქართული კომერციული ბანკების ინსტიტუტი; მიღებულ იქნა კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ; კანონები საბაჟოსა და საჰაერო სივრცის შესახებ; ადამიანის უფლებების დაცვისა და მართლწესრიგის შესახებ; ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ; მანამდე არსებული სისხლის სამართლის კანონები შეიცვალა უფრო ჰუმანური, კაცთმოყვარე კანონებით; მიღებულ იქნა კანონი ამნისტიის შესახებ და სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ; პრესა და მედიის საშუალებები განთავისუფლდა იდეოლოგიური წნეხისაგან, შესაძლებელი

---

[216] დროებით უმუშევარია 300 ათასი კაცი, ამის შემდეგ შიმშილია. გაზ. „კაბადონი-8", N 6, 1991, 7 თებერვალი, გვ. 3.

[217] კანონი მოქალაქეობის შესახებ. გაზ. „სოფლის ცხოვრება", N 42, 1991, 23 ივნისი, გვ. 1.

გახდა ხელისუფლების კრიტიკა და აზრის თავისუფლად გამოხატვა; განათლების რეფორმაში მნიშვნელოვანია კერძო უმაღლესი სასწავლებლების შემოღება.

აღსანიშნავია, რომ უზენაესმა საბჭომ შეძლო მთელი ეს საკანონმდებლო საქმიანობა ეწარმოებინა წელიწადზე ნაკლებ დროში, რთულ საშინაო და საგარეო ვითარებაში, უკიდურესად დაძაბულ პოლიტიკურ გარემოში და მძიმე ბუნებრივი კატაკლიზმების პირობებში.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების დიდი ძალისხმევა, რომ ქვეყნისათვის აერიდებინა ეკონომიკური კრიზისი და შედეგად სოციალური კატასტროფა, მიმდინარეობდა მარტოდმარტო, მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, მოქცეული მტრულ გარემოცვაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

თავი V

სამხედრო გადატრიალების მცდელობა კრემლში და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. სამხედრო გადატრიალება საქართველოში

1990-1991 წლებში სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალმა რესპუბლიკებმა დაიწყეს კავშირიდან გასვლისკენ მიმართული აქტიური ქმედებები. განვითარებულმა მოვლენებმა აიძულა კომუნისტური პარტია და ხელისუფლების ზედა ეშელონები, დაეწყოთ გამოსავლის ძიება. ამავდროულად, ნათლად გამოიკვეთა რუსეთის ხელისუფლების მისწრაფება, ჩამოშორებოდა სსრ კავშირის მმართველობას და ამით, ფაქტობრივად, სსრ კავშირის კომუნისტური პარტია რჩებოდა გავლენის გარეშე. პარტიისა და ხელისუფლების მაღალჩინოსნები ხედავდნენ, რომ მიხეილ გორბაჩოვს მართვის სადავეები ხელიდან გაექცა და საბჭოთა კავშირის შესანარჩუნებლად შეეცადნენ, სამხედრო გადატრიალების გზით, მ. გორბაჩოვის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას.

1991 წლის 19 აგვისტოს მიხეილ გორბაჩოვი მეუღლესთან ერთად დასასვენებლად იმყოფებოდა საკუთარ აგარაკზე ყირიმში, დაბა ფოროსში. ამით ისარგებლეს უმაღლესი თანამდებობის პირებმა, რომლებსაც არ მოსწონდათ მიხეილ გორბაჩოვის მმართველობა, პრეზიდენტი ოჯახთან ერთად შინაპატიმრობაში აიყვანეს და გამოაცხადეს, თითქოს მიხეილ გორბაჩოვს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, არ ძალუძდა ქვეყნის მართვა და რომ ვიცე-პრეზიდენტი გენადი იანაევი შეასრულებდა მის მოვალეობას.

შეიქმნა „საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი“ (ГКЧП). მასშიშედიოდნენ სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესი პირები: გ. იანაევი – სსრკ-ის ვიცე-

პრეზიდენტი, დ. იაზოვი – სსრკ-ის თავდაცვის მინისტრი, ვ. პავლოვი – სსრკ-ის პრემიერ-მინისტრი, ვ. კრიუჩკოვი – სუკ-ის თავმჯდომარე, ა. ლუკიანოვი – სსრკ-ის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ო. ბაკლანოვი – სსრკ-ის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სკკპ ცკ-ს წევრი, ბ. პუგო – სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრი, ვ. ვარენნიკოვი – სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი, ა. ტიზიაკოვი– მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის ასოციაციის პრეზიდენტი, ვ. სტაროდუბცევი – სსრკ-ის გლეხთა კავშირის თავმჯდომარე, ცკ-ს წევრი.

სსრ კავშირის დაშლის პროცესის შესაჩერებლად საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა (არ მიუთითებიათ რესპუბლიკები, მაგრამ, ცხადია, გულისხმობდნენ იმ ექვს რესპუბლიკასაც – ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, საქართველო, სომხეთი, მოლდოვა. მათ არ სურდათ ხელის მოწერა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, რომელიც უნდა შემდგარიყო 20 აგვისტოს ნოვო-ოგარიოვოში). პუტჩისტების მიერ გამოცემულ იქნა რეზოლუცია N1, რომელშიც ვკითხულობთ: სსრ კავშირის საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის ხალხებისა და მოქალაქეების სასიცოცხლო ინტერესების, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით, კანონისა და წესრიგის აღსადგენად, სიტუაციის სტაბილიზაციისათვის, ყველაზე რთული კრიზისის დასაძლევად, ქაოსისა და ანარქიის პრევენციის მიზნით და ძმათამკვლელი სამოქალაქო ომის აღსაკვეთად სსრ კავშირში საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი ადგენს:

1. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, სამხარეო, საოლქო, ქალაქების, რაიონებისა და სოფლების ხელისუფლების ყველა ორგანომ უზრუნველყოს საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის მკაცრი დაცვა სსრ კავშირის კანონის „საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმის შესახებ“ და სსრ კავშირის საგანგებო კომიტეტის დებულების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოახერხებენ რეჟიმის მოთხოვნების შესრულებას, შესაბამის ორგანოებს შეუჩერდეთ უფლებამოსილება და მათი ფუნქციების განხორციელება

მიენიჭოს სსრ კავშირის საგანგებო კომიტეტის მიერ სპეციალურად უფლებამოსილ პირებს.

2. დაუყოვნებლივ დაიშალოს ძალაუფლებისა და ადმინისტრაციის სტრუქტურები, გასამხედროებული ჯგუფები, რომელთა მოქმედება ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას და სსრ კავშირის კანონებს.

3. ამიერიდან გაუქმებულად ჩაითვალოს ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული კანონები და გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას და სსრ კავშირის კანონებს.

4. შეჩერდეს პოლიტიკური პარტიების, საჯარო ორგანიზაციების და მასობრივი მოძრაობების საქმიანობა, რომლებიც ხელს უშლიან სიტუაციის ნორმალიზაციას.

5. იმის გამო, რომ სსრ კავშირის საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი დროებით იღებს სსრ კავშირის უშიშროების საბჭოს ფუნქციებს, ამ უკანასკნელის საქმიანობა შეჩერებულია.

6. მოქალაქეებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ ჩააბარონ ყველა სახის უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ასაფეთქებელი ნივთიერებები, სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა. სსრ კავშირის შსს-მ, სუკ-მა და თავდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს ამ მოთხოვნის შესრულების მკაცრი დაცვა, საჭიროების შემთხვევაში, ამოიღონ იძულებით. დამნაშავეებს მთელი სიმკაცრით დაეკისროთ სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.[218]

19 აგვისტოს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის დ. იაზოვის განკარგულებით, მოსკოვში შეიყვანეს სამხედრო ნაწილები და ტექნიკა შემდეგი შემადგენლობით: ოთხი ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, 279 ბრონემანქანა, 148 ბრონეტრანსპორტიორი, კანტემიროვის დივიზიის 362 ტანკი.

---

[218] Постановление комитета по чрезвычайному положению в СССР. Газ. «Правда», №199, вторник, 1991, 20 августа, с. 1.

სსრ კავშირის სუკ-ის თავმჯდომარის ვ. კრიუჩკოვის განკარგულებით, სპეც-დანიშნულების ქვედანაყოფმა „ალფამ“ ალყა შემოარტყა რსფსრ-ის პრეზიდენტის ბორის ელცინის აგარაკს. ამ დროს ელცინი იღებს გადაწყვეტილებას, გაემართოს „თეთრ სახლში“ - რსფსრ-ის უმაღლესი საბჭოს შენობაში. პუტჩისტები მას გაატარებენ. „თეთრ სახლში“ რსფსრ-ის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვით ე. წ. პუტჩის წევრები გამოცხადდნენ სახელმწიფო დამნაშავეებად, ხოლო მათი ქმედება – უკანონოდ: „ყველა გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება ეგრეთ წოდებული კომიტეტის სახელით, ჩაითვალოს უკანონოდ და რსფსრ-ის ტერიტორიაზე ძალის არმქონედ.“[219] იმავე დღეს პუტჩისტები რსფსრ-ის უმაღლესი საბჭოს შენობას ალყას შემოარტყამენ და მოსკოვის ქუჩების სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებს დაიკავებენ. პუტჩისტების მხრიდან იყო მცდელობა, დაესაჯათ ის მოკავშირე რესპუბლიკები, რომლებიც დამოუკიდებლობისკენ მიილტვოდნენ და სსრ კავშირის დაშლის საშიშროებას ქმნიდნენ. ამიტომ ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის გენერალ კუზმინის ბრძანებით, დაიკავეს ლატვიის ტელევიზიის შენობა, კავშირგაბმულობა, დაემუქრნენ მთავრობის სახლს. ესტონეთში ტელეცენტრზე მიიტანეს შტურმი.

საქართველოსგან განსხვავებით, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს გვერდით დასავლეთი ედგა: „ჩვენ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში ძალის გამოყენების წინააღმდეგნი ვართ, აგრეთვე ნებისმიერ რესპუბლიკებში მათი დამხობის ან დემოკრატიულად არჩეული მთავრობების შეცვლის“ – განუცხადა 20 აგვისტოს გკჩპ-ს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა.[220] ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის როგორც დასავლეთის, ასევე კრემლის მიერ უპირობო მხარდაჭერა გამოიხატა იმაშიც, რომ ჯერ კიდევ 1991 წლის 6 სექტემბერს სსრ კავშირის სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა მათი დამოუკიდებლობა, ხოლო სულ რაღაც 10 დღეში ეს ქვეყნები გაეროს წევრები გახდნენ. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ სხვა რესპუბლიკებს, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად

---

[219] რსფსრ-ის პრეზიდენტი **ბ. ელცინი.** რსფსრ-ის პრეზიდენტის ბრძანებულება. გაზ. „ერი“, N 34, 1991, 21 აგვისტო, გვ. 1.

[220]**დიმიტრი შველიძე,** დასახ. ნაშრო., გვ. 285.

მიეღოთ საბჭოთა კავშირის სრული დაშლის ფაქტი და ე. წ. „15-3“ პოზიცია ეჭირათ. ამ მოცემულობის გათვალისწინებით იყო განპირობებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართვა დასავლეთისადმი: „მთავარზე უმთავრესია დასავლეთმა მხარი დაუჭიროს საბჭოთა კავშირში მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას, დემოკრატიის, პლურალიზმის დამკვიდრებას... მე მოვუწოდებ დასავლეთის მთავრობებს, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, სასწრაფოდ და გადაუდებლად დე ფაქტო და დე იურე ცნონ ამ რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს დამოუკიდებლობა და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარონ მათთან, რათა დაიცვან ჭეშმარიტად დემოკრატიული რეფორმების მონაპოვარი ამ ქვეყნებში“.[221] რთული წარმოსადგენი არაა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ საქართველოში იმ დროს, როდესაც ქვეყანაში საბჭოთა არმია იდგა, რომელსაც იოლად შეეძლო დაეძლია ჩვენი წინააღმდეგობა და გამოეწვია დიდი მსხვერპლი. ამავე დროს საქართველოში ჩამოდის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის წარმომადგენელი გენერალი ჟურავლიოვი და აცხადებს გკჩპ-ს იმ ბრძანებულების აღსრულების აუცილებლობის შესახებ, რომელიც ეხებოდა „არაკონსტიტუციურ“ და „უკანონო“ შეიარაღებულ ფორმირებებს,[222] ე. ი. გენერალს მხედველობაში ჰქონდა ქართული ეროვნული გვარდია. ჟურავლიოვმა ასევე სამხედროების კონტროლი დაუწესა თბილისის აეროპორტს და რკინიგზის სადგურს[223].

1991 წლის 19-21 აგვისტოს მოსკოვში განვითარებულმა მოვლენებმა სერიოზული პრობლემები შეუქმნეს საქართველოს ხელისუფლებას. პუტჩისტების განკარგულებაში აღმოჩნდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი (შტაბი თბილისში მდებარეობდა). სსრ კავშირის საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო

---

[221] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** მიმართვა დასავლეთის ქვეყნების ხალხებისა და მთავრობებისადმი. თბილისი. 1991 წლის 20 აგვისტო. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 163, 1991, 21 აგვისტო, გვ. 1.

[222]**ალექსანდრე ქობულაშვილი.** საქართველო და სსრკ-ში სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალების ცდა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 174, 1991, 5 სექტემბერი, გვ. 2.

[223] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი. მოსკოვი. პრეზიდენტ **ბ. ელცინს.** რსფსრ სახალხო დეპუტატთა საგანგებო სესიას. თბილისი. 1991 წლის 22 აგვისტო. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 165, 1991, 23 აგვისტო, გვ. 1.

კომიტეტმა 4 დღე მისცა საქართველოს ხელისუფლებას ჯარის განიარაღებისთვის. საქართველოს პრეზიდენტი, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მთავრობა არსებული სიტუაციის განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „გკჩპ-ს“ ულტიმატუმი საქართველოსთვის კარგს არაფერს მოასწავებდა. მოსალოდნელი იყო, რომ პუტჩისტები საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო შენაერთებს გამოიყენებდნენ, რაც უდიდეს მსხვერპლს გამოიწვევდა. ამიტომ უზენაესმა საბჭომ, გვარდიის გადარჩენის მიზნით, მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება – ეროვნული გვარდიისთვის შეეცვალა სტატუსი და გადაეყვანა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში. ამით ეროვნული გვარდია აღმოჩნდებოდა სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში. ეს ცვლილება იქნებოდა ფორმალური. ეროვნული გვარდია ისევ ისე იარსებებდა და იმავე როლს შეასრულებდა.

იმავე დღეს, 1991 წლის 19 აგვისტოს, გამოიცა პრეზიდენტის ბრძანებულება: „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ“. ეროვნული გვარდია გადავიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში და მიენიჭა განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვედანაყოფის სტატუსი.[224] მანამდე კი, საქართველოს პრეზიდენტმა მოწოდებით მიმართა ხალხს, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელობას, ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს: „მოგიწოდებთ ყველას, ვიყოთ სამუშაო ადგილებზე, შევასრულოთ სამსახურებრივი მოვალეობა, არ ავყვეთ პროვოკაციებს ... შექმნილ ვითარებაში მთავარია, შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა.“[225]

---

[224] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 19 აგვისტო. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 163, 1991, 21 აგვისტო, გვ. 1.

[225] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი. საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი. საქართველოს მთავრობა. მიმართვა. თბილისი. 1991 წლის 19 აგვისტო. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, N 96, 1991, 20 აგვისტო, გვ. 1.

უზენაესი საბჭო მიესალმა ამ უდავოდ პოლიტიკურად და ტაქტიკურად სწორ გადაწყვეტილებას.

დავუბრუნდეთ მოსკოვში განვითარებულ მოვლენებს. 19 აგვისტოს პუტჩისტებმა მხოლოდ მოსკოვის ქუჩები დაიკავეს. მიტინგებზე გამოსული იყო ხალხი, პრეზიდენტ ელცინის მომხრეები. მათ გკჩპ-ს გაუბედავი მოქმედებით ისარგებლეს და ჯარისკაცებს „დაუძმობილდნენ". შედეგად ტამანის დივიზიის 10 ტანკი შემობრუნდა და „თეთრი სახლის" დასაცავად დადგა. ამის შემდეგ ელცინი გამოვიდა შენობიდან და მიმართა რუსეთის მოქალაქეებს.[226]

20 აგვისტოს ელცინის მხარდამჭერ მომიტინგეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, საბჭოთა არმიაში განხეთქილება დაიწყო: სამხედრო შენაერთების დიდმა ნაწილმა უარი განაცხადა გკჩპ-ს მიერ გაცემული ბრძანებების შესრულებაზე. „თეთრ სახლზე" მოსალოდნელი შტურმი არ შედგა, 21 აგვისტოს კი თავდაცვის მინისტრის დ. იაზოვის ბრძანებით მოსკოვში შეყვანილი სამხედრო შენაერთები დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდა. გკჩპ დამარცხდა.

საქართველოს პრეზიდენტმა გკჩპ-ზე გამარჯვება მიულოცა პრეზიდენტ ბორის ელცინს, რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა საგანგებო სესიას და მხარდაჭერა გამოხატა რუსეთის პრეზიდენტისა და პარლამენტის მიმართ.[227] საქართველოს უზენაესმა საბჭომ გამოხატა თავისი დამოკიდებულება მოსკოვში განვითარებული მოვლენების მიმართ დადგენილებით „1991 წლის 19-20 აგვისტოს მოვლენათა პოლიტიკური შეფასების შესახებ"[228] საქართველოს რესპუბლიკა „მიესალმება რუსეთში დემოკრატიული ძალების შთამბეჭდავ გამარჯვებას, რამაც მომავალში უნდა დააჩქაროს კომუნისტური რეჟიმის დემონტაჟი და საბჭოთა იმპერიის რღვევა" და ასევე თანაგრძნობა გამოხატა

---

[226]СССР. Крушение. 7 серия. Документальный фильм. https://www.youtube.com/watch?v=3SORXfxx9nI&list=PLecKn8HbCzGuxWtW3BOdLnyNAE7hMsSWn&index=

[227] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** მოსკოვი. პრეზიდენტ **ბ. ელცინს.** რსფსრ სახალხო დეპუტატთა საგანგებო სესიას. თბილისი. 1991 წლის 22 აგვისტო. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 8, 1991, გვ. 280.

[228] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** უზენაესი საბჭოს დადგენილება 1991 წლის 19-20 აგვისტოს მოვლენათა პოლიტიკური შეფასების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, საქმე 2954, აღწერა 8, გვ. 4.

დაღუპულთა ოჯახებისადმი და დაგმო ნებისმიერი შეიარაღებული ძალადობა საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ოპოზიცია, პოლიტიკური პარტიები, ეროვნული კონგრესის წევრები ბრალს სდებდნენ პრეზიდენტს, რომ მან მაშინვე არ დაგმო პუტჩი, ისევე როგორც ეს სხვა დამოუკიდებელმა რესპუბლიკებმა გააკეთეს. ხოლო როდესაც შექმნილი საშიშროების გამო ხელისუფლებამ ეროვნულ გვარდიას სახელი შეუცვალა, ოპოზიციამ ეს ქმედება „უსიტყვო მორჩილებად“, დამონებად და თავისდახრად ჩაუთვალა, რასაც მოჰყვა მთელი რიგი უსიამოვნებები და ბრალდებები. ასე, მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გვარდიის ნაწილებში გაავრცელა პროკლამაცია: „მიმართვა საქართველოს ეროვნული გვარდიის წევრებისადმი“, რომელშიც ხელისუფლების საწინააღმდეგო მიმართვა იყო... რომ გამსახურდია ატყუებდა გვარდიელებს და მათი გამოყენება უნდოდა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ...რომ იგი შენიღბული კრემლის აგენტია... ხოლო უზენაესი საბჭო შედგება „გუშინდელი კომუნისტებისაგან, მაამებლებისა და მექრთამეებისაგან“ და მოუწოდებდნენ გვარდიას, „დღესვე გამიჯნოდნენ ბოროტს“.[229]

უზენაესი საბჭოს დეპუტატის, გურამ მაქაცარიას განმარტებით, აღნიშნულ პერიოდში თენგიზ კიტოვანს გვარდია სწავლებაზე ჰყავდა გაყვანილი რკონის ხეობაში. ზვიად გამსახურდიამ აცნობა კიტოვანს გკჩპ-ს მოთხოვნის შესახებ და მოითხოვა მისგან რკონის ხეობის დატოვება და გვარდიის პირადი შემადგენლობის ყაზარმებში დაბრუნება, მაგრამ თ. კიტოვანი პრეზიდენტს არ დაემორჩილა: „მოვიდნენ აქ და ვნახოთ, რა ბიჭებიც არიან“-ო [230] . თენგიზ კიტოვანი „ბიჭებში“ საბჭოთა არმიას გულისხმობდა და რკონის ხეობა მიაჩნდა ისეთ ადგილად, საიდანაც პარტიზანული ბრძოლის გამართვა შეიძლებოდა(?). ყოველ შემთხვევაში ასე აღნიშნავს თავის წერილში თენგიზ კიტოვანი, როდესაც ამ მოვლენებს იხსენებს.[231] თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ

---

[229]**დიმიტრი შველიძე,** დასახ. ნაშრ., გვ. 295-296.

[230]**გულიკო ბალაძე.** როგორ დაიწყო თბილისის ომი. გაზ. „საზოგადოება“, N 303, 2013, 23 დეკემბერი, გვ. 7.

[231]**თენგიზ კიტოვანი.** გვარდია რკონში. რკონი. 25 აგვისტო 1991 წელი. გაზ. „საქართველოს გვარდიელი“, N 6, 1991, 26 აგვისტო, გვ. 3.

დროს კიტოვანის დაქვემდებარებაში მხოლოდ რამდენიმე ასეული გვარდიელი იყო, მისი პასუხი საკმაოდ გაუაზრებელია. იგი დარწმუნებულია თავის დაუსჯელობაში. მისი ქმედებები ან პირდაპირ იმართებოდა მოსკოვიდან, ან მოსკოვის ინტერესებთან საეჭვო თანხვედრაში იყო.

მეორე წყარო, რომელიც ადასტურებს თენგიზ კიტოვანის დაუმორჩილებლობას, გახლავთ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი. მისი განცხადებით, „აშკარა არა, მაგრამ შენიღბული მტრობა უკვე არსებობდა კიტოვანსა და გამსახურდიას შორის.“ [232] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით, [233] თენგიზ კალისტრატეს ძე კიტოვანი, რომელიც იყო თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე, გაათავისუფლეს ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობიდან და თანამდებობა გააუქმეს. გვარდიის ხელმძღვანელობა დაევალა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს. ეს პოსტი კიტოვანს შესთავაზეს, მაგრამ მან უარი განაცხადა[234].

90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა, რამაც საქართველოს მომავალზე უდიდესი გავლენა მოახდინა. ჯერ კიდევ მოუმწიფებელი დემოკრატიული ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნდა მართვის ეფექტური მექანიზმები, არ ჰქონდა მჭიდრო საერთაშორისო კავშირები და მხარდაჭერა, შიდაპოლიტიკური სტაბილური გარემო, მოსკოვში მომხდარი პუტჩის მსხვერპლი გახდა, ვინაიდან სისხლისღვრის და ახლად შექმნილი დემოკრატიული ქვეყნის განადგურების თავიდან ასაცილებლად საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, ტაქტიკური უკანდახევის მეთოდი გამოეყენებინა. ამ ქმედებამ და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ ქვეყნის შემდგომ ბედზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. ამ

---

[232]**აკაკი ასათიანის** სკანდალური **„ინტერვიუ ვანიჩკასთან“**.
https://www.youtube.com/watch?v=zx9oblCMP1M&list=PLpUZOWMIm4rdbhzd31EbDQvKz7VUpYthn&index=

[233] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** ბრძანებულება თ. კ. კიტოვანის შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. თბილისი. 1991 წ. 23 აგვისტო. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის არქივი. ფონდი 1165, არქივი 2914, აღწერა 8, გვ. 67.

[234]**თამარ ჩიქოვანი, გიორგი ჩოჩიშვილი.** ჯერ ხალხი, მერე პრეზიდენტი... გაზ. „დრონი“, N 34, 1991, 6 სექტემბერი, გვ. 3.

ყველაფრის გამომწვევ მიზეზებსა და განმსაზღვრელ ფაქტორებს ისევ დავუბრუნდებით, ახლა კი მივყვეთ მოვლენების მსვლელობას.

უზენაესი საბჭოს წევრი ვიქტორ დომუხოვსკი მოგვითხრობს: „90-იან წლებში სსრ კავშირის სპეცსამსახურებს „ანალიტიკოსთა და ექსპერტთა რეკომენდაციების“ უამრავი სცენარი გააჩნდათ იმ მოკავშირე რესპუბლიკების წინააღმდეგ, რომლებიც სსრ კავშირის დატოვებას გადაწყვეტდნენ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი სცენარი გამოიყენეს საქართველოს დასასჯელად“. ინტერვიუში, დომუხოვსკის განცხადებით, თენგიზ კიტოვანმა მას პირდაპირ უთხრა, რომ „1991 წლის სექტემბერში ედპ, სტუდენტებისა და ინტელიგენციის ნაწილი დაიწყებდა აქტიურ მოქმედებას ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ. იგივე ინფორმაცია დაუდასტურა თენგიზ სიგუამ, მართალია, დაუმატა, რომ ჩვენ, ე. ი. ხელისუფლება, ამას მომზადებული შევხვდებითო“. დომუხოვსკი ინტერვიუში ამბობს, რომ აგვისტოში პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ მიიღო მოსკოვიდან დირექტივა, მინისტრთა კაბინეტთან ერთად გადამდგარიყო და ამით მოეწყო ე. წ. „სამთავრობო კრიზისი“, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან მინისტრების უმრავლესობა ვერ დაიყოლია. პრეზიდენტის თხოვნაზე, არ გადამდგარიყო, სანამ სხვა კანდიდატურას არ შეარჩევდა, თენგიზ სიგუა არ დათანხმდა (თენგიზ სიგუა 1991 წლის 17 აგვისტოს პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. **ლ.ზ.**). ვიქტორ დომუხოვსკი მიიჩნევს, რომ თენგიზ სიგუამ შეასრულა მოსკოვის მითითება – გადამდგარიყო, რადგან ამით ქვეყნის პრეზიდენტს დაასუსტებდა[235].

ხელისუფლება შეეცადა განემუხტა დაძაბული სიტუაცია ეროვნული გვარდიის გარშემო, რასაც ოპოზიცია შესაშური თანმიმდევრობით ახორციელებდა. ამ მიზნით, გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება: „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის – ეროვნული გვარდიის სტატუსის შესახებ“:[236]

---

[235] **ზაირა მიქატაძე. ვიქტორ დომუხოვსკი**: საქართველოს ოკუპაციას მაშინ ხელი მოაწერეს: ჯაბა იოსელიანმა, თენგიზ კიტოვანმა და თენგიზ სიგუამ. გაზ. „რეზონანსი“, N 355, 1997, 26 დეკემბერი, გვ. 3.

[236] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის – ეროვნული გვარდიის სტატუსის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 8. 1991, გვ. 32.

1. „მოეხსნას შინაგან ჯარებს – ეროვნულ გვარდიას განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვედანაყოფის სტატუსი.

2. დღეიდან რკონის ხეობაში მყოფი ყველა გვარდიელი დაუბრუნდეს ყაზარმებს თავისი რაიონებისა და ქალაქების მიხედვით.“

ამ ბრძანებულებით ხელისუფლებამ ოპოზიციის ერთ-ერთი ბრალდება გააბათილა.

უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, შეექმნა თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომლის დაქვემდებარებაშიც იქნებოდა ეროვნული გვარდია.[237] მალევე შეიქმნა თავდაცვის სამინისტრო. მას დაევალა ეროვნული არმიის შექმნა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა. ეროვნული გვარდია დაექვემდებარა პრეზიდენტს.[238] თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად ნოდარ გიორგაძე დაინიშნა.[239] ამავე წლის 15 სექტემბრის ბრძანებულებით რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დაევალა, რომ „დაამტკიცოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს დებულება, მისი ცენტრალური აპარატის სტრუქტურა, რიცხოვნობა და შესანახი ასიგნების ოდენობა.“[240] ყოველივე ზემოაღნიშნული მიანიშნებს, რომ ეროვნული გვარდიის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაყვანა იყო ხელისუფლების დროებითი, იძულებითი ნაბიჯი და მიზნად ისახავდა ეროვნული გვარდიის და საერთოდ, საქართველოს მოსახლეობის მოსკოველი პუტჩისტების აგრესიისაგან დაცვას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ სიმპათია და მხარდაჭერა გამოუცხადა საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტს. ამიტომ

---

[237] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, საქმე 2954, აღწერა 8, გვ. 117.

[238] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 9 სექტემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 9, 1991, გვ. 7-8.

[239] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** ბრძანებულება ნ. ქ. გიორგაძის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 9 სექტემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 9, 1991, გვ. 8.

[240] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 9, 1991, 15 სექტემბერი, გვ. 24.

საქართველოს პრეზიდენტის ზვიდ გამსახურდიას ბრძანებულებით,[241] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებით[242]და უზენაესი საბჭოს დადგენილებით: „1991 წლის 19-21 აგვისტოს სსრ კავშირში მიმდინარე მოვლენების დროს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, აფხაზეთის კპ რესპუბლიკური კომიტეტის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის კპ საოლქო კომიტეტისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა გაუქმებული საბჭოს თვითმარქვია აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედებათა შესახებ.“ [243] რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე აიკრძალა და შეწყდა კომუნისტური პარტიის საქმიანობა, ნაციონალიზებულ იქნა ამ გაერთიანების რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ქონება, საბანკო ანგარიშები, კომპარტიის სიით არჩეულ დეპუტატებს შეუჩერდათ უფლებამოსილება. ამასთანავე, აიკრძალა მოქალაქეთა დევნა ან დისკრიმინაცია მათი კომუნისტური პარტიის წევრობის გამო.

შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ დაიწყო უკომპრომისო ბრძოლა ქვეყანაში არსებულ მეხუთე კოლონასთან, თუმცა მომავალმა გვიჩვენა, რომ მოწინააღმდეგის რეალური ძალა არასათანადოდ იქნა შეფასებული.

2 სექტემბერს სახელმწიფო რეზიდენციაში პრეზიდენტი ხვდებოდა საქართველოში სტუმრად მყოფ ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაციას. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მუდმივი საბიუჯეტო კომისიის ვაჭრობის ქვეკომისიის თავმჯდომარე სემ გიბონსი. სტუმრები დაინტერესებული იყვნენ რესპუბლიკის ცხოვრებით, პოლიტიკით და ეკონომიკით, შეხვდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს,

---

[241] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** ბრძანებულება კომუნისტური პარტიის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 8, 1991, გვ. 283.

[242] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე **გ. ბახტაძე;** მსაჯულები: **ნ. მუჩაიძე, დ. ბერიაშვილი;** გენ. პროკურორის მოადგილე **რ. გილიგაშვილი.** გადაწყვეტილება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 167, 1991, 27 აგვისტო, გვ. 2.

[243] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** დადგენილება 1991 წლის 19-21 აგვისტოს სსრ კავშირში მიმდინარე მოვლენების დროს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, აფხაზეთის კპ რესპუბლიკური კომიტეტის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის კპ საოლქო კომიტეტისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა გაუქმებული საბჭოს თვითმარქვია აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედებათა შესახებ. თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, საქმე 2954, აღწერა 8, გვ. 11-13.

დაესწრნენ წირვას სიონის ტაძარში.[244] ამერიკელ კონგრესმენთა ეს ვიზიტი შანსი იყო ხელისუფლებისათვის, გაეცნო მსოფლიოსთვის ქვეყანაში არსებული რეალური ვითარება და ამით მაინც მოეპოვებინა დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერა, ვინაიდან ხელისუფლებას საინფორმაციო ომი უკვე წაგებული ჰქონდა და დასავლეთს საქართველოს ხელისუფლება ტოტალიტარულ მმართველობად მიაჩნდა. შედეგად კი საქართველო იმპერიულ მონსტრთან საბრძოლველად პირისპირ ყოველგვარი დახმარების გარეშე რჩებოდა.

ამავე დღეს, კინოს სახლთან, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აპირებდა მიტინგის ჩატარებას. ხელისუფლების მხრიდან აღნიშნული ტერიტორია მილიციის სპეცრაზმის მიერ წინასწარ იქნა დაკავებული. მხარეებს შორის მომხდარი შეხლა-შემოხლისას გაისმა გასროლა. არავინ იცის, ზუსტად ვინ ისროლა, ოპოზიცია ხელისუფლებას ადანაშაულებდა, ხოლო ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ სროლის ბრძანება არ გაუცია. შეშინებულმა ხალხმა ერთმანეთი გადათელა.

ჯანდაცვის მინისტრის თქმით: „2 სექტემბერს, კინოს სახლთან, დაზარალდა 34, სტაციონარში მკურნალობდა 23, ამბულატორიულად – 11. ცეცხლსასროლი იარაღით იყო დაჭრილი 4, სტაციონარში – 3 და 1 ამბულატორიულად მკურნალობდა. გარდაცვლილები არ იყვნენ. მაქვს სია თავისივე დიაგნოზებით. თუ გნებავთ გაგაცნობთ ყველას, თუ არა და, გადავცემ კომისიას“, – განაცხადა მანანა ძოძუაშვილმა.[245]მიტინგი ცოტა მოშორებით, მაგრამ მაინც ჩატარდა. ოღონდ ახლა უფრო ფართოდ, ბევრად უფრო მეტი პარტიებისა და მათი მომხრეების მეტი აქტიურობით.

ვიქტორ დომუხოვსკი წლების შემდეგ ინტერვიუში შოკისმომგვრელ განცხადებას აკეთებს: „2 სექტემბერს საქმეში ჩაერთო შეთქმულების კიდევ ერთი აქტიური მონაწილე, მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი, რომელმაც სპეციალურად გაითამაშა მიტინგის დარბევის სცენა. აი, აქ უკვე ჩაერთვნენ საქმეში

---

[244] ამერიკელ კონგრესმენთა ვიზიტი საქართველოში. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 171-172, 1991, 3 სექტემბერი, გვ. 1.

[245] საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. საოქმო განყოფილება. უზენაესი საბჭოს 1991 წლის 11 ოქტომბრის სესიის სტენოგრაფიული ანგარიში. ფონდი 1165, საქმე 2930, აღწერა 8, გვ. 18.

რუსეთის სცენარის დანარჩენი პირები: აკაკი ასათიანი, ვაჟა ადამია, ირაკლი წერეთელი, მთელი ეროვნული კონგრესი, „მხედრიონი“, რეზო შავიშვილი, ირაკლი შენგელაია, ნოდარ ნათაძე, ირაკლი ბათიაშვილი, თედო პაატაშვილი, წითელი ინტელიგენცია და ა. შ. რუსეთის მძლავრი ინფორმაციული მანქანა მუშაობდა მთელი დატვირთვით, რომ შეექმნა შთაბეჭდილება, ვითომ საქართველოს ხელისუფლება ანტიდემოკრატიულია.“[246] ალეკო მიქაბერიძე, იმ დროს ქ. თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი, დიდი სიზუსტით აღწერს იმ დღეს: „... გადმოდიოდნენ სავალ ნაწილზე და აფერხებდნენ მოძრაობას... მანქანების სიგნალი... ხალხის ყვირილი და სახელმწიფო, რომელიც ცდილობს ეს ნორმალურ ჩარჩოებში მოაქციოს. ამის გამო შევხვდი ბატონ გიორგი ჭანტურიას, მივედი მასთან ოფისში წინა დღეს და ვთხოვე, რომ მიტინგი გადაეტანა სხვა ადგილას ან სხვა დროს... მაგრამ უარი მივიღე ... ჩვენ მაინც მივალთ იქ და სისხლი დაიღვრებაო...“ ა. მიქაბერიძის განცხადებით, სპეცრაზმს იარაღი არ გამოუყენებია, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ დაზარალებული ფეხში იქნა დაჭრილი იმ დროს, როდესაც მასსა და სპეცრაზმს შორის მომიტინგეები იმყოფებოდნენ.

ჩვენ, ალბათ, უნდა დავეთანხმოთ ალეკო მიქაბერიძის ამ განცხადებას, ვინაიდან „მაშინდელმა ოპოზიციამ, გამსახურდიას დამხობის შემდეგ მაისის თვეში ჩაატარა გამოძიება და დაადგინა, რომ პოლიციელების ბრალეულობა არ იკვეთება და არ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.“ [247] აღნიშნული ინტერვიუდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს ოპოზიციის მიერ მოწყობილ პროვოკაციასთან და მიუხედავად იმისა, რას მოიმოქმედებდა ხელისუფლება, შედეგად მაინც დაზარალდებოდა ქვეყნის ინტერესები. გავიხსენოთ ამ მოვლენის შემდეგ რა განცხადებები იქნა გაკეთებული ოპოზიციური პარტიების მხრიდან: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის განცხადებით, ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა პოლიციის სპეცრაზმმა, მათი აქციები კი ყოველთვის იყო და იქნება მშვიდობიანი, ადგილი არ ექნება ძალადობას და ასევე გააგრძელებენ ბოლომდე პრეზიდენტის გადადგომის

---

[246]**ზაირა მიქატაძე. ვიქტორ დომუხოვსკი:** საქართველოს ოკუპაციას მაშინ ხელი მოაწერეს: ჯაბა იოსელიანმა, თენგიზ კიტოვანმა და თენგიზ სიგუამ. გაზ. „რეზონანსი“, N 355, 1997, 26 დეკემბერი, გვ. 3.

[247]**ნათელა ვაჩნაძე, ნინო თომაძე,** ინტერვიუ **ალეკო მიქაბერიძესთან.** 2007 წლის 3 ივნისი. იხ. დამარცხებული საქართველო. ნაწილი I. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/278922/1/Damarcxebuli_Saqartvelo.pdf, გვ. 242-244.

მოთხოვნით.[248] სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება (თავმჯდომარე თენგიზ. სიგუა) აღშფოთებული გამოეხმაურა ამ ფაქტს და აღნიშნა, რომ სპეცრაზმმა დაარბია მშვიდობიანი მიტინგი, არიან დაჭრილები. ამიტომ საჭიროდ მიიჩნევს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის მოწვევას და სპეციალური კომისიის შექმნას, რომელიც გამოიძიებს 2 სექტემბერს მომხდარს.[249] საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი აცხადებს, რომ 2 სექტემბრის და სხვა მოვლენები ჩვენს ქვეყანაში გამოიწვია არა არსებული ხელისუფლების პოლიტიკამ, არამედ მსოფლიო მმართველი წრეების სურვილმა ან შიშმა, არ დაეშვათ ცალკეული ქვეყნების აღმოცენება ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე[250] (სავარაუდოდ, იგულისხმება ე. წ. შეთქმულების თეორია.**ლ. ზ.**).

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებამ დაგმო 2 სექტემბერს მომხდარი ინცინდენტი, როგორც „უღირსი და დამჩრდილავი თავისუფალი, დემოკრატიული პრინციპების მატარებელი სახელმწიფოსათვის“.[251] 3 სექტემბერს გამოქვეყნდა „ოპოზიციური პარტიების განცხადება“, რომელშიც ვკითხულობთ: „1991 წლის აგვისტოს პუტჩის დღეებში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა სრული და გაუმართლებელი კაპიტულაცია მოახდინა ე. წ. „საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის“ წინაშე, რითაც ჩვენი ქვეყნის რეპუტაცია მკვეთრად დასცა მსოფლიოს საზოგადოებრიობის თვალში.“ განცხადებას ხელს აწერდნენ ექვსი ოპოზიციური პარტიის ლიდერები: „დას“-ის სახელით რევაზ შავიშვილი, „თავისუფალ დემოკრატთა კავშირის“ სახელით – გურამ ბერიშვილი, „ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, ბლოკ „თავისუფლების“ სახელით – მიხეილ ნანეიშვილი, რესპუბლიკური პარტია – ვახტანგ ძაბირაძე, სახალხო ფრონტის სახელით – ნოდარ

---

[248] ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის განცხადება. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, N 113-114, 1991, 5 ოქტომბერი, გვ. 7.

[249] სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების განცხადება. გაზ. „მამული“, N 16, 1991, სექტემბერი, გვ. 1.

[250] საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირის განცხადება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 174, 1991, 5 სექტემბერი, გვ. 3.

[251] სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების განცხადება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 173, 1991, 4 სექტემბერი, გვ. 4.

ნათაძე, „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი – ბლოკი „თავისუფლება“ – ირაკლი შენგელაია.“[252]

4 სექტემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის (თედო პაატაშვილი, გელა ჩორგოლაშვილი, მერაბ ურიდია, მალხაზ კვანჭილაშვილი, ირაკლი მელაშვილი, გელა კობერიძე) განცხადება. ისინი უარყოფითად აფასებდნენ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის პოზიციას დამოქმედებას 1921 აგვისტოს მოვლენების დროს. დეპუტატები ასევე აკრიტიკებენ არსებულ სახელმწიფო „მკაცრ“ კურსს, რამაც, მათი აზრით, გარკვეულწილად მოამზადა 2 სექტემბრის მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ აქციის ჩატარების ფორმა და დრო ედპ-ს მიერ პროვოკაციულად იქნა შერჩეული.[253] მომდევნო დღეს გამოქვეყნდა 50 დეპუტატის ხელმოწერილი განცხადება, რომლებიც სწორად, მიზანშეწონილად მიიჩნევენ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 19-21 აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას, ვინაიდან იგი ნაკარნახევი იყო ქართველი ხალხის სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ. დეპუტატები დადებითად აფასებენ საქართველოს პრეზიდენტის მიმართვას დასავლეთის ქვეყნების ხალხებისა და მთავრობებისადმი: „ხედავს რა რეაქციული ძალების შესაძლო გამარჯვებისა და სამხედრო აგრესიის საფრთხეს“, საქართველოს პრეზიდენტი დახმარების თხოვნით მიმართავს დასავლეთის სახელმწიფოებს და განსაკუთრებით აშშ-ს: „მთავარზე უმთავრესია დასავლეთმა მხარი დაუჭიროს საბჭოთა კავშირში მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას, დემოკრატიის, პლურალიზმის დამკვიდრებას... უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, სასწრაფოდ და გადაუდებლად დე ფაქტო და დე იურე სცნონ ამ რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს დამოუკიდებლობა და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარონ მათთან, რათა დაიცვან ჭეშმარიტად დემოკრატიული რეფორმების მონაპოვარი ამ ქვეყნებში.“[254] უზენაესმა საბჭომ 15 სექტემბერს მიიღო

---

[252]**დიმიტრი შველიძე,** დასახ. ნაშრ., გვ. 288.

[253] საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის განცხადება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 173, 1991, გვ. 4.

[254] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** მიმართვა დასავლეთის ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებისადმი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 163, 1991, 21 აგვისტო, გვ. 1.

დადგენილება „1991 წლის 2 სექტემბერს ქ. თბილისის მიტინგის დროს მომხდარი ფაქტის შესახებ“:[255]

1. დაიგმოს ამა წლის 2 სექტემბერს ქ. თბილისში რუსთაველის მოედანზე მიტინგის დროს ძალის გამოყენების ფაქტი.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ამ ფაქტის გამო ქ. თბილისის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და აწარმოებს გამოძიებას.

3. მომხდარი ფაქტის გარემოებათა ყოველმხრივი შესწავლისა და სათანადო დასკვნების გამოტანის მიზნით, შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისია ყველა რეგისტრირებული პარტიის, აგრეთვე საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

4. კომისიამ თავისი დასკვნები წარუდგინოს უზენაეს საბჭოს.

15 სექტემბრის სესიაზე განიხილეს 2 სექტემბრის მოვლენების შემსწავლელი კომისიის საკითხი. განხილვის ტელეტრანსლაციის პირდაპირ ეთერში გადაცემის საკითხზე ჩატარდა კენჭისყრა. 72 დეპუტატმა მხარი დაუჭირა, 78 წინააღმდეგი გამოვიდა, 18-მა თავი შეიკავა. განაწყენებულმა ფრაქცია „დემოკრატიული საქართველოს“ დეპუტატებმა სხდომა დატოვეს, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებამ შიმშილობა გამოაცხადა. აქცია მერაბ კოსტავას ეზოში მოაწყვეს, გვერდით „ბეტეერიც“ მოიყენეს. აქციის მონაწილეებს ჰქონდათ სხვა მოთხოვნებიც:

1. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გადადგომა 2. პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვა. 3. პოლიტიკური და ეკონომიკური ლიბერალიზაციის ღონისძიებების გატარება. განცხადებას ხელს აწერდნენ: ვ. ადამია, გ. ხავთასი, მ. ხუციშვილი, დ. კუპრეიშვილი, თ. ობგაძე, ა. ვარძელაშვილი, გ. სუბელიანი, ზ. გიგოლაშვილი, ჯ. საჯაია, გ. ურიათმყოფელი, ე. ყაველაშვილი, რ. ქემულარია, გ. გოლეთიანი, ა. მაჭავარიანი, ნ.

[255] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** უზენაესი საბჭოს დადგენილება 1991 წლის 2 სექტემბერს ქ. თბილისის მიტინგის დროს მომხდარი ფაქტის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 15 სექტემბერი. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, საქმე 2955, აღწერა 8, გვ. 146.

კვაჭაძე, ს. ზვიადაძე და ა. საკანდელიძე.[256] დიდი იყო სესიის მნიშვნელობა. დაიგმო 2 სექტემბრის მიტინგის დარბევის აქტი. პრეზიდენტმა ბრალი პროვოკატორებს და მილიციის რიგებში „შემოპარულ... მტრულად განწყობილ ძალებს“ დასდო.[257] შედეგად ხელისუფლებამ ფაქტობრივად თავიდან აირიდა პასუხისმგებლობა მომხდარზე, გამოძიებამ ვერ დაადგინა პროვოკაციის მომწყობი პირების ვინაობა, ოპოზიციამ კი მთელი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დააკისრა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლებამ ვერ გააცნობიერა მომხდარი მოვლენის მნიშვნელობა და ვერ მიიღო გადამჭრელი ზომები სიტუაციაზე კონტროლის დასაწესებლად, რისი შესაძლებლობაც აშკარა იყო - დაკავებული თანამდებობიდან დაუყოვნებლივ უნდა გაენთავისუფლებინა შინაგან საქმეთა მინისტრი; მსგავსი პროვოკაციების თავიდან აცილების მოტივით, ხელისუფლებას გამოძიების დასრულებამდე შესაძლებლობა ეძლეოდა, გამოეცხადებინა მორატორიუმი ქუჩის გამოსვლებისა და მიტინგების ჩატარებაზე.

მაგრამ ხელისუფლებამ ეს შესაძლებლობაც ხელიდან გაუშვა. შედეგად დაიწყო ახალ-ახალი აქციები, გამოსვლები, ჩაერთვნენ ახალი ოპოზიციური პარტიები. ქალაქი დემონსტრაციებმა მოიცვა, ზოგან მჯდომარე აქციები იმართებოდა: „დამოუკიდებლობის პარტია“ ირაკლი წერეთლის მეთაურობით „იმელის“ შენობის წინ მჯდომარე აქციას მართავდა და „ერთა ლიგის მიერ დე ფაქტოდ და დე იურედ ცნობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას“ მოითხოვდა; „ედპ“ თავისი შტაბ-ბინის წინ ატარებდა აქციებს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით; „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ ოპერის ბაღში ატარებდა მჯდომარე აქციას, ოპერის წინ კი „დემოგრაფიული საზოგადოების“ ეროვნული პარტია; პირველი საშუალო სკოლის წინ „მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის“ აქციის მონაწილენი პიროვნებისა და ინფორმაციის თავისუფლებას მოითხოვდნენ; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში და კიბეებზეც პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტური ორგანიზაციის წევრების აქციები იმართებოდა; საპროტესტო აქციებს მართავდნენ აგრეთვე: „ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია“, „დასი“, ბლოკი

---

[256]**ვ. ადამია, გ. ხავთასი.** დეპუტატებიც შიმშილობენ. გაზ. „დრონი“, N 36, 1991, 20 სექტემბერი, გვ. 3.
[257]**დიმიტრი შველიძე,** დასახ. ნაშრ., გვ. 339.

„თავისუფლება“ და სხვები.[258] მომიტინგეებს უერთდებოდნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული ადამიანები, სტუდენტები. „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე შემდეგი სიტყვებით გამოეხმაურა 2 სექტემბრის მოვლენებს: „დიდი ხანია მომწიფდა, რომ საქართველო თავის პრეზიდენტს გაემიჯნოს. ახლა, ამ სროლით, თვითონ პრეზიდენტი გაემიჯნა საქართველოს. მისი მორალური მოვალეობაა, გადადგეს.“ თუმცა, ნოდარი ნათაძე წლების შემდეგ სინანულს გამოთქვამს წამოსროლილი სიტყვებისთვის.[259]

სექტემბრის შუა რიცხვებში თბილისში თითქმის ყოველდღე ტარდებოდა როგორც ხელისუფლების მომხრეების, ასევე ოპოზიციის მიტინგები, მონაწილეები ჩამოდიოდნენ რაიონებიდან, რუსთაველზე ააგეს ბარიკადები. 25 სექტემბერს გაზეთ „რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა პრემიერ-მინისტრის ბესარიონ გუგუშვილის განცხადება, რომელიც ტელევიზიით გადაიცა 22 სექტემბერს. იგი აღნიშნავდა, თუ როგორ გაემართნენ ხელისუფლების მომხრეები რუსთაველის პროსპექტზე ოპოზიციის მიერ მოწყობილი ბარიკადების ასაღებად. „შეხლა-შემოხლაში ბარიკადების დამცველებმა გამოიყენეს რკინის კეტები და ქვები, რის შედეგადაც რამდენიმე მოქალაქე საავადმყოფოში აღმოჩნდა.“ პრემიერ-მინისტრი თხოვნით მიმართავდა გვარდიის მეთაურს, თენგიზ კიტოვანს, რომ გადაედგა ვაჟკაცური ნაბიჯი და დაეშალა მისი გვარდია, რომელიც სინამდვილეში უკანონო ფორმირებას წარმოადგენდა და საშიშროებას უქმნიდა ქალაქს.[260] უსიამოვნო მოვლენათა წყებას დაემატა 29 სექტემბერს თელასთან მომხდარი სისხლიანი დაპირისპირება, რომელსაც მილიციის თანამშრომლები შეეწირნენ.[261]

---

[258]**დიმიტრი შველიძე,** დასახ. ნაშრ., გვ. 321-322.

[259]**ხვიჩია იაგო,** საქართველოს დაბადება. ნოდარ ნათაძის ისტორია. https://www.youtube.com/watch?v=6PNcNSif_LM

[260] პრემიერ-მინისტრის **ბესარიონ გუგუშვილის** განცხადება ტელევიზიით 22 სექტემბერს. გაზ. „რესპუბლიკა“, N 33, 1991, 25 სექტემბერი, გვ. 1.

[261] **მ. ალუდაური, ნ. თათრულაიძე,** სრულიად საქართველო ეთხოვება. გაზ. „აჭარა“, N 181, 1991, 3 ოქტომბერი, გვ. 1.

რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის უკიდურესად დაძაბვის გამო უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიმართა ქვეყნის მოსახლეობას.[262]

„ძვირფასო თანამემამულენო!

ჩვენი ქვეყნისათვის ურთულეს დროს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მიმართავს საქართველოს მოსახლეობას და ყველა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გამოვიჩინოთ პასუხისმგებლობის გრძნობა ჩვენი სამშობლოსათვის ამ ურთულეს დროს და ვეცადოთ მის გადარჩენას საუკუნო სირცხვილისაგან. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს, რომ იგი მთლიანად ეთანხმება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სამშვიდობო წინადადებას და მოუხმობს ყველას ყურად ვიღოთ ერის სულიერი მოძღვრის მოწოდება. თავის მხრივ, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ყველა ღონეს იხმარს ამ მოწოდების განსახორციელებლად.

ღმერთი იყოს ჩვენი სამშობლოს მფარველი!“

1991 წლის 24 სექტემბერს გამოიცა პრეზიდენტის ბრძანებულება: „ქ. თბილისში 1991 წლის 25 სექტემბრიდან საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“,[263] რომელშიც ვკითხულობთ: „იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში მიმდინარეობს სამხედრო და სამოქალაქო პუტჩი, შექმნილია ხუნტა, რომელსაც აქვს სამხედრო ძალა, ქ. თბილისში გააქტიურდნენ დესტრუქციული ძალები, რაც გამოიხატა უსანქციო მიტინგების მოწყობასა და კანონიერი ხელისუფლების ძალადური დამხობისათვის მოწოდებებში, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ბლოკირებასა და სახელმწიფო დაწესებულებათა შენობების დაკავებაში, საბრძოლო იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით შინაგან საქმეთა ორგანოებზე თავდასხმასა და სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებების გატაცებაში, სავაჭრო და

---

[262] უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა საქართველოს მოსახლეობას, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. თბილისი. 1991 წლის 22 სექტემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 9, 1991, გვ. 31.

[263] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** ბრძანებულება ქ. თბილისში 1991 წლის 25 სექტემბრიდან საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, არქივი 2957, აღწერა 8, გვ. 113.

საზკვების ობიექტების ძარცვაში, მოქალაქეთა და მათი ავტომანქანების თვითნებურ დაკავებაში, ჩხრეკასა და ნივთების დათვალიერებაში.

1. გამოცხადდეს ქ. თბილისში საგანგებო წესები ა/წლის 25 სექტემბრიდან.

2. დაინიშნოს ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტად პოლკოვნიკი ჯემალ ალექსანდრეს ძე ქუთათელაძე.

3. გამოცხადდეს საერთო მობილიზაცია საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

4. დაევალოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შექმნან სამობილიზაციო პუნქტები, ჩამოაყალიბონ სახალხო რაზმები.

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლებები ქ. თბილისში სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.“

აღნიშნული ბრძანებულების მიღება დაგვიანებული ჩანს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების ფონზე. საქართველოში უკვე მყარად ფეხმოკიდებული მეხუთე კოლონა პოზიციებს ადვილად უკვე აღარ დათმობდა და ჰიდრასავით ერთი მოკვეთილის ნაცვლად უამრავი ახალი თავი გამოებმებოდა. მით უფრო, რომ მეზობელი სახელმწიფოს სპეცსამსახურები ამ პროცესებს სკურპულოზურად ამზადებდნენ და ატარებდნენ.

„ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების“ თავმჯდომარის, სოსო ჯაჯანიძის, განცხადებით, „შეთქმულება მზადდებოდა გამიზნულად და მიზნად ისახავდა საქართველოს ხელისუფლების დამხობას. პირველ პერიოდში – 1991 წლის ივნისში იკრიბებოდნენ შეთქმულები ზურაბ წერეთლის ბინაზე ბაგებში. იქ იკრიბებოდნენ თენგიზ კიტოვანი, გოგი ხოშტარია. მოდიოდნენ აგრეთვე სხვადასხვა პირები.“ [264] თვითონ სოსო ჯაჯანიძე იმ დროს იყო გოგი ხოშტარიას თანაშემწე და დაცვის უფროსი

[264] ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების თავმჯდომარის **სოსო ჯაჯანიძის** გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 246, 1991, 17 დეკემბერი, გვ. 1.

და თან ახლდა შეხვედრებზე. მისი მტკიცებით, თენგიზ კიტოვანი ჯერ კიდევ 17 აგვისტოს მზად იყო მთავრობის სახლზე თავდასხმისათვის.

1991 წლის 28 სექტემბერს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა სტატია „ვინ რას გვთავაზობს“, რომელშიც მოცემულია, ერთი მხრივ, უზენაესი საბჭოს, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის, მეორე მხრივ კი, უზენაესი საბჭოს ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატების (26 დეპუტატი) შემოთავაზებები ქვეყანაში არსებული სიტუაციის მოსაგვარებლად. ხელისუფლების პოზიცია ასეთი იყო:

ა. უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება ხელშეუხებლობის გარანტიით;

ბ. დიალოგი პოლიტიკურ დაჯგუფებებთან;

გ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თაობაზე საქართველოს კანონის ამოქ-მედება და დაცვა.

უზენაესი საბჭოს ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატების (26 დეპუტატი) შეთავაზება კი ასეთი იყო:

ა. უახლოეს მომავალში გაიმართოს უზენაესი საბჭოს სხდომა და გადაიცეს ტელევიზიით;

ბ. სხდომაზე განიხილონ ოპოზიციური პარტიების მოთხოვნები;

გ. ხელისუფლებამ უზრუნველყოს დედაქალაქში ჩამოსული ადამიანების დაბრუ-ნება თავიანთ რაიონებში;

დ. პოლიტპატიმართა განთავისუფლება;

ე. თავისუფალი სატელევიზიო ეთერი ყველა პოლიტიკური პარტიებისათვის.[265] პრეზიდენტმა 1991 წლის 30 სექტემბერს გამოსცა ბრძანება, გაათავისუფლონ ყველა ის პირი, რომელიც მონაწილეობდა ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ აქციებში. იმ შემთხვევაში, თუ 3 ოქტომბრის დღის 12 საათამდე უარს იტყოდნენ მსგავსი საქმიანობის გაგრძელებაზე და ჩააბარებდნენ ხელისუფლებას იარაღს და საბრძოლო მასალას.[266]

---

[265] **ა. იმნაძე, ე. შენგელია,** ვინ რას გვთავაზობს. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, N 110-111, 1991, 28 სექტემბერი, გვ. 1.

[266] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.** ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აქციების მონაწილეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 30 სექტემბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N 9, 1991, გვ. 15.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა წერილობით მიმართა უზენაეს საბჭოს, გენერალურ პროკურორსა და რესპუბლიკის პრეზიდენტს გიორგი ხაინდრავასა და გიორგი ჭანტურიას პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ, რომლებიც 1991 წლის 30 სექტემბრის პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით განთავისუფლებულები უნდა ყოფილიყვნენ. [267] საშინელი ამბები დატრიალდა მთავრობის სასახლესთან 4-5 ოქტომბერს, გამთენიისას. ოპოზიციამ ქვები და ბოთლები დაუშინა მთავრობის მხარდამჭერ მომიტინგეებს. მომწამვლელმა გაზმა და ცეცხლსასროლმა იარაღმა ბევრი იმსხვერპლა. სასიკვდილოდ დაიჭრა გია ტეტელაშვილი, წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი. შეტევა რამდენჯერმე განმეორდა. სამთავრობო ძალებმა მდგომარეობა დაარეგულირეს.

ის ფაქტი, რომ ოპოზიციამ ამ მოვლენას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ მოწყობილი მშვიდობიანი მიტინგის დარბევა უწოდა და მომიტინგეების დაღუპვა გვარდიასა და ომონს დააბრალა, რომ ოპოზიციურმა ინტელიგენციამ, რომელსაც შეეძლო სამშვიდობო მისია ეკისრა, მაგრამ ხელიც არ გაანძრია სიტუაციის განმუხტვისათვის, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ამ ღამის მოვლენების ასეთი განვითარება წინასწარ იყო დაგეგმილი და მიმართული ხელისუფლების წინააღმდეგ.

ქალაქ თბილისის სამხედრო კომენდანტის პრესცენტრის ინფორმაციით, 4 ოქტომბერს თენგიზ კიტოვანის შეიარაღებული ჯარისკაცები, რომლებიც თბილისის ზღვაზე, პროფკავშირების სასწავლო ცენტრში იყვნენ დაბანაკებული, თავს დაესხნენ გვარდიელებს. ორივე მხრიდან დაიჭრა ოთხი გვარდიელი და ერთი მოქალაქე. [268] ვიქტორ დომუხოვსკი იგონებს: „... თბილისის ზღვაზე მათი ალაგმვის ოპერაციას 10-15 წუთი სჭირდებოდა. ძალაც იყო და საშუალებაც, მაგრამ პრეზიდენტმა გამსახურდიამ შეგნებულად არ გასცა ბრძანება მათი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების

---

[267] **მ. გიორგაძე, ვ. ხუხუნაიშვილი,** ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს. 3 ოქტომბერი, 1991 წელი, 12.00. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, N 113-114, 1991, 5 ოქტომბერი, გვ. 7.

[268] ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტის პრესცენტრის ცნობა. 4 ოქტომბერი. 1991 წელი. გაზ. „აჭარა“, N 183, 1991, 5 ოქტომბერი. გვ. 1.

აღსაკვეთად. არ გაიმეტა ის ვაი-ქათველები...“[269] აქაც ურთიერთბრალდებასთან გვაქვს საქმე. თენგიზ კიტოვანის მომხრეები ხელისუფლებას ადანაშაულებენ თავდასხმაში, ეს უკანასკნელნი კი – პირიქით. სინამდვილეში, სახელისუფლო ძალებმა – გვარდიამ, პოლიციელებმა და „ომონმა“ ალყა კი შემოარტყეს თ. კიტოვანის გვარდიას, მაგრამ ბრძოლის ან თუნდაც სროლის ბრძანება პრეზიდენტს არ გაუცია. მიუხედავად ამისა, გაისროლა მაინც მოხდა, რასაც მსხვერპლიც მოჰყვა. ოპოზიციამ ახალი ბრალდებები წამოაყენა: რომ ხელისუფლება ვერ აკონტროლებს ქვეყანაში ვითარებას „ვერც იდეოლოგიურად, ვერც სამხედრო თვალსაზრისით და ვერც საერთაშორისო არენაზე.“[270] დღესაც კი, როდესაც აღწერილი მოვლენებიდან საკმაოდ დიდი დროა გასული, იმისათვის, რომ ცივი გონებით შევძლოთ მომხდარის გაანალიზება, 4-5 ოქტომბერს მომხდარ მოვლენებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძალიან ძნელია. რა მოხდა სინამდვილეში? პრეზიდენტმა გადამწყვეტ მომენტში ვერ გაიმეტა სასიკვდილოდ, დომუხოვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ის ვაი- ქართველები“? მაგრამ, მეორე მხრივ, იქნებ ამ „ვერგამეტებამ“ ქვეყნის მომავალს უდიდესი დაღი დააჩინა? იქნებ პრეზიდენტს რუბიკონის ზღვარზე მეტი სითამამე და სიმკაცრე მართებდა? ან იქნებ ეს ყველაფერი არ ღირდა იმად, რომ ქართველების ხელით ქართველები დაეხოცა? შეიძლება მათ განადგურებას (ამბოხებულების) არც არაფერი არ შეეცვალა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მძიმე ტვირთია, პატარა ქვეყნის ხელისუფალი ხომ მაკიაველისეულად უნდა მოქმედებდეს, განსაკუთრებით კი ისეთი მეზობლებით გარემოცული, როგორებიც საქართველოს არგუნა ბედმა. მაგრამ, სწორი დასკვნისათვის, ალბათ უნდა გავითვალისწინოთ მსოფლიო დონის იმდროინდელი გეოპოლიტიკური ძვრებიც – შეთანხმება ჯორჯ ბუშსა და მიხეილ გორბაჩოვს შორის. რა ძალები იდგა ამ შეთანხმების უკან? რამ აიძულა გორბაჩოვი დაეთმო აღმოსავლეთ ევროპა და საბჭოთა კავშირის დაშლასაც დათანხმებოდა? რომელმა ძალებმა აიძულეს პუტჩისტები იარაღი დაეყარათ

---

[269]**ხაირა მიქატაძე. ვიქტორ დომუხოვსკი:** საქართველოს ოკუპაციას მაშინ ხელი მოაწერეს: ჯაბა იოსელიანმა, თენგიზ კიტოვანმა და თენგიზ სიგუამ. გაზეთი „რეზონანსი“, N 355, 1991, 26 დეკემბერი, გვ.A3.

[270]**დიმიტრი შველიძე,** დასახ. ნაშრ., გვ. 418.

და მათ მიერვე დაპატიმრებული გორბაჩოვისთვის მიღება ეთხოვათ (ეს უკანასკნელი კი, მათ მიღებას არც დათანხმდა)? რა გეგმები ჰქონდათ ამ ძალებს საქართველოს მიმართ? რატომ ურჩევდნენ პრეზიდენტ გამსახურდიას რიჩარდ ნიქსონი და ბორის ელცინი დსთ-ში გაწევრიანებას? უამრავი კითხვა ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია და სრული ინფორმაციის გარეშე, იმ ინფორმაციისა, რომელსაც, სავარაუდოდ, მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების სპეცსამსახურების მიერ გრიფი „საიდუმლო“ ადევს, შეუძლებელია სწორი შეფასების გაკეთება, მაგრამ მივყვეთ მოვლენების განვითარებას:

5 ოქტომბერს უზენაესმა საბჭომ საგანგებო სხდომა მოიწვია. ყველა ფრაქცია და დეპუტატი ცდილობდა გამოენახა ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანის მშვიდობიანი გზები. სხდომამ მოამზადა მიმართვა მოსახლეობისადმი:

„... უზენაესი საბჭო მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, გამოიჩინონ პასუხისმგებლობის გრძნობა და თავი შეიკავონ ყოველგვარი ძალისმიერი მოქმედებისაგან... განიმსჭვალონ ერთიანობისა და მშვიდობის ინტერესებით. ეროვნული თანხმობის მიღწევა დღეს მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით არის შესაძლებელი.“[271]უზენაესი საბჭო კვლავ მშვიდობიანი, ყველასათვის მისაღები ფორმით შეეცადა 45 ოქტომბრის მოვლენებში დამნაშავე პირების დამუნათებას. ამ მიზნით უზენაესი საბჭოს მიერ შეიქმნა საპარლამენტო კომისია (მათ შორის ოპოზიციონერი დეპუტატების მონაწილეობით), მიღებულ იქნა რეზოლუცია, მომზადდა სპეციალური დეკლარაცია და არ მოეთხოვა გენერალურ პროკურატურას უმოკლეს ვადაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და დამნაშავე პირების დაპატიმრება.

[271] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. თბილისი. 1991 წლის 5 ოქტომბერი. ფონდი საქმე 2957, აღწერა 8, გვ. 120.

უზენაესი საბჭოს რეზოლუცია[272]

(მოკლე ანამნეზი)

უზენაესმა საბჭომ განიხილა საქართველოში შექმნილი მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და არსებული დაპირისპირების მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის 1991 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულებით დადასტურებულ გარანტიებს. ამასთანავე, უზენაესი საბჭო მიღებულ რეზოლუციაში კატეგორიულად გმობს არსებული კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის მცდელობებს. არსებული დაპირისპირების მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით, უზენაესი საბჭო საჭიროდ მიიჩნევს საპარლამენტო კომისიის შექმნას.

უზენაესი საბჭოს დეკლარაცია[273]

... უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ:

1. სრულად განახორციელებს თავის უფლებამოსილებას ყოველმხრივ დაიცვას ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება პრესისა და სიტყვის თავისუფლების დამკვიდრება.

2. უზრუნველყოფს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებასა და კერძო საკუთრების დამკვიდრებას.

3. დააჩქარებს აგრარული რეფორმის გატარებასა და მატერიალური ფასეულობების პრივატიზების პროცესს, რაც თავის მხრივ ცხოვრების თავისუფალი წესის დამკვიდრების საფუძველი გახდება. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი

---

[272] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რეზოლუცია. 1991 წლის 8 ოქტომბერი. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, არქივი 2957, აღწერა 8, გვ. 78-79.

[273] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეკლარაცია. 1991 წლის 8 ოქტომბერი. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, საქმე 2957, აღწერა 8, გვ. 84-85.

საბჭო მუდამ მზად იქნება ფართოდ გაუხსნას კარი ოპოზიციურ აზრს და ესა თუ ის გადაწყვეტილება მასთან შეჯერების საფუძველზე მიიღოს.

4. მხარს უჭერს რა რესპუბლიკის პრეზიდენტს, მასთან ერთად განუხრელად დაიცავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, მოქმედ კანონმდებლობასა და მათ უზენაესობას.

უზენაესი საბჭოს დადგენილება „ქ. თბილისსა და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში 1991 წლის 4-5 ოქტომბერს მომხდარი მოვლენების შესწავლის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ“:

„ქ. თბილისსა და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში 1991 წლის 4-5 ოქტომბერს მომხდარი მოვლენების შესწავლის მიზნით შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ნოდარ ნათაძე, დავით კუპრეიშვილი, ავთანდილ იმნაძე, ვალტერ შურღაია, მირიან მირიანაშვილი, კონსტანტინე ფირცხალავა, ვიქტორ დომუხოვსკი, მაია მაჭავარიანი, ბესიკ ქუთათელაძე, ზურაბ წიქარაძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი.“[274]

ქვეყანაში არსებულმა განხეთქილებამ თავი იჩინა არა მარტო პოლიტიკურ პარ-ტიებსა და დაჯგუფებებს შორის, არამედ ინტელიგენციის წარმომადგენლებს შორისაც. მაგალითად, მწერალთა დაყოფა არსებული ხელისუფლების მომხრე და მოწინააღმდეგე ბანაკებად. ოპოზიციურად განწყობილი ინტელიგენცია აცხადებდა, რომ ხელისუფლების მომხრეებს ენიჭებოდათ სხვადასხვა პრივილეგიები და უპირატესობები, მაშინ, როდესაც ხელისუფლების კურსით უკმაყოფილოები განიცდიდნენ სხვადასხვა სახის შევიწროებას.

ქართველ მწერალთა ნაწილი ამბობდა, რომ მათ იძულებულს ხდიდნენ, ყოფილი-ყვნენ მხოლოდ ხელისუფლების „გუნდრუკის კმევაში“, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გაატარებდნენ კრიტიკის ქარცეცხლში ან, მეტიც, დააბრალებდნენ კრემლის ჯაშუშობას.

---

[274] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** დადგენილება ქ. თბილისსა და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში 1991 წლის 4-5 ოქტომბერს მომხდარი მოვლენების შესწავლის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ. თბილისი. 1991 წლის 8 ოქტომბერი. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, საქმე აღწერა 8, გვ. 94.

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ქართველ მწერალთა (49 ხელმოწერა) განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ 1991 წლის 2 ოქტომბერს მწერალთა კავშირის შენობაში უნდა შეკრებილიყვნენ ახალგაზრდა მწერლები, სადაც ისაუბრებდნენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და არსებულ მდგომარეობაზე. მაგრამ მისული ახალგაზრდები შენობაში არ შეუშვეს. მწერალთა კავშირის წევრები გამოთქვამდნენ შეშფოთებას, რომ მათ არ აძლევენ საშუალებას, გამოვიდნენ ტელევიზიით, დაამყარონ ურთიერთობა ხალხთან ან გამოაქვეყნონ პერიოდული პრესის მეშვეობით თავიანთი მოსაზრებები, რომ მსგავსი ქმედებისათვის მათ შეიძლება დასწამონ ცილი და დააბრალონ სუკის აგენტობა, თუმცა ეს არ ეხება იმ პრივილეგირებულ მწერალთა ნაწილს, რომელიც ხელისუფლების ქება-დიდებით არის დაკავებულიო.[275] ამავე მოსაზრებას გამოთქვამდა მწერალი გურამ ფანჯიკიძე თავის სტატიაში: „დაგიფასდებათ, უეჭველად დაგიფასდებათ!“,[276] რომელშიც იგი აღშფოთებით წერს იმ ცილისწამებაზე (პრეზიდენტის „განადგურება“, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მუხრან მაჭავარიანის გადაყენება, ახალგაზრდების წაქეზება და სხვ.) მის მიმართ, რაც გამოიწვია მისმა სტატიამ გაზეთ „დრონში“, რომელშიც გამოთქვამდა კრიტიკულ შენიშვნებს პრეზიდენტისა და მთავრობის მისამართით.

1991 წლის 19 ოქტომბერს ოპოზიციურად განწყობილმა ქართველი მწერლების ნაწილმა (ჭ. ამირეჯიბი, გ. აბაშიძე, დ. მაღრაძე, მ. ფოცხიშვილი, გ. სულაკაური, ვ. გიგაშვილი, ი. სამსონაძე, ა. სულაკაური, ნ. შატაიძე, თ. კვაჭანტირაძე, ა. ვასაძე, ჯ. ქარჩხაძე, ლ. თაბუკაძვილი, გ. გეგეშიძე, გ. დოჩანაშვილი, ი. აბაშიძე, თ. ბუაჩიძე, თ. წივწივაძე, გ. ფანჯიკიძე, კ. იმედაშვილი, რ. ამაშუკელი, რ. მიმინოშვილი და სხვები) წერილი გაუგზავნა ლონდონში მწერალთა საერთაშორისო პენ-კლუბის პრეზიდენტ დ. კონრადს. აღნიშნული წერილის ავტორები პრეზიდენტ გამსახურდიას ადანაშაულებდნენ დიქტატორობაში, დემოკრატიული ფასეულობებისადმი

---

[275] ქართველ მწერალთა მიმართვა ხალხისადმი, საქართველოს ხელისუფლებისადმი, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობისადმი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, N 40, 1991, 4 ოქტომბერი, გვ. 2.

[276] **გურამ ფანჯიკიძე,** დაგიფასდებათ, უეჭველად დაგიფასდებათ! გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, N 48, 1991, 29 ნოემბერი, გვ. 8-9.

გულგრილობასა და მათი შემოქმედების დევნა-შევიწროვებაში.[277] ამ ფონზე სავსებით გაურკვეველია უზენაესი საბჭოს დათმობა ინტელიგენციის იმ მცირე ძალების მიმართ, რომლებიც, საბჭოთა კავშირზე ნოსტალგიით აღტყინებულნი, სსრ კავშირის ჟურნალ-გაზეთებისა და სატელევიზიო გადაცემების ტრანსლაციის აღდგენას მოითხოვდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დათმობით რადიკალურ ოპოზიციურ ძალებთან დაპირისპირება კიდევ უფრო გაიზრდებოდა და ეროვნული თანხმობის მიღწევა კიდევ უფრო გაძნელდებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის ჟურნალ-გაზეთების გავრცელებისა და ცენტრალური ტელევიზიის გადაცემების აღდგენის შესახებ.“[278]საქართველოში, კომუნისტური პარტიის მმართველობის პერიოდში, ყვაოდა კორუფცია. ნომენკლატურული მაფიის ხელში იყო რესპუბლიკის ყველა ეკონომიკური აქტივები – ფაბრიკები, ქარხნები, სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ა. შ. პარტიულ ელიტას მჭიდროდ ჰქონდა ფესვები გადგმული სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში. ძველი ნომენკლატურა მყისიერად ვერ შეიცვლებოდა არჩევნების შემდეგაც, ვინაიდან ქვეყანა ახლა იწყებდა ეკონომიკური რეფორმების გატარებას. მიეტმასნენ რა ეროვნულ მოძრაობას, ეს ადამიანები ისევ განაგრძობდნენ სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრებას. მათთვის დამახასიათებელი მართვის ძველი სტილი, რომელიც საბჭოთა გეგმიურ ეკონომიკაზე იყო ადაპტირებული, ხელს უშლიდა ეკონომიკურ წინსვლას, ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩენილი ეკონომიკა ვეღარ სწვდებოდა ხალხის ყოველდღიურ მოთხოვნებს, რამაც გამოიწვია სოციალური მდგომარეობის გაუარესება. უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ზაურ ქობალია ინტერვიუში აცხადებს: „ჩვენ ვიმყოფებით პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბლოკადაში... ჯერ კიდევ გრძელდება ძველი მექანიზმებითა და ძველი მეთოდებით

---

[277]**კონსტანტინე გამსახურდია,** მწერლები ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. artinfo.ge/2020/01/mtserlebi-zviad-gamsakhurdias-tsinaaghmdeg/

[278] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.** დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის ჟურნალ-გაზეთების გავრცელებისა და ცენტრალური ტელევიზიის გადაცემების აღდგენის შესახებ. თბილისი 1991 წლის 9 ოქტომბერი. უზენაესი საბჭოს უწყებები, N10, 1991, გვ. 34.

მუშაობა... ადგილებზე ვერ აღწევს ცხოვრების ახალი წესი, პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს დადგენილებები ან ვერ მიდის, ან არასწორად აღწევს კონკრეტულ მოქალაქემდე, ბევრი აღმასრულებელი კვლავაც ბიუროკრატიულ მართვას განაგრძობს, ბევრი ორ სკამზე ზის, ბევრი კიდევ წარსულის ნოსტალგიით ცხოვრობს."[279] სოციალურ საკითხთა მოუგვარებლობამ საშუალება მისცა ოპოზიციურ პარტიებს, მასის უკმაყოფილება მიემართა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ საქმიანობაში ოპოზიცია არ ერიდებოდა არც ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის შელახვას, არც აშკარა პროვოკაციულ ქმედებებს და არც კრიმინალურ ბანდ-ფორმირებებთან კავშირს.

1991 წლის დეკემბრის დასაწყისში უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ," რომელშიც ხელისუფლებამ თბილისის ზღვაზე დაბანაკებულ ეროვნული გვარდიის ნაწილებს მოსთხოვა, დამორჩილებოდნენ პრეზიდენტს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი გამოცხადდებოდნენ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებად. მათ მიეცათ ვადა 10 დეკემბრამდე იარაღის და საბრძოლო მასალის თავდაცვის სამინისტროსთვის ჩასაბარებლად. ასეთ შემთხვევაში ისინი თავისუფლდებოდნენ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ვინც არ დაემორჩილებოდა აღნიშნული დადგენილების მოთხოვნებს, მთელი სიმკაცრით აგებდა პასუხს კანონის წინაშე.[280] ამ დადგენილების მიღებამ დააჩქარა მოვლენების განვითარება. კიტოვანი და მისი მომხრეები, მათ განკარგულებაში მყოფი სამხედრო შენაერთებით, გადავიდნენ აქტიური მოქმედების ფაზაში. ამ დროისათვის მათ შემადგენლობაში უკვე ჰყავდათ რუსი სამხედრო სპეციალისტები. ვიქტორ დომუხოვსკი ინტერვიუში იხსენებს: „25 დეკემბერს პუტჩისტების ჯავშანტექნიკის ყველა ერთეული განადგურებულ იქნა. მეორე დღეს რუსებმა თავისი ეკიპაჟებით გადასცეს მათ 8

---

[279] **ნ. გოძიაშვილი, ზაურ ქობალია:** ჩვენმა საზოგადოებამ გამოიარა მონათმფლობელობა... გაზ. „განათლება", N 14, 1991, 11 დეკემბერი, გვ. 1.

[280] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნემო ბურჭულაძე.** დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ. თბილისი. 1991 წლის 3 დეკემბერი. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, საქმე 2960, აღწერა 8, გვ. 14-15.

ერთეული „ბეტეერი“. მაშინ მე და ჯონი ფირცხალაიშვილი (მაშინდელი თავდაცვის მინისტრი) მივედით რუსების შტაბში. მაშინ სარდლის მოვალეობას ასრულებდა ბეპაევი, რომელმაც პირდაპირ გვითხრა: „მე ვიცი, რომ ესენი ბანდიტები არიან, ამ წუთში დაჭრეს ჩემი ერთ-ერთი დივიზიის მეთაური, მაგრამ მოსკოვიდან მაქვს ბრძანება, მათ დავეხმარო. წადით მოსკოვში და იქ ელცინთან მოაგვარეთ ეს საკითხი. მე დიდი სიმოვნებით მოგეხმარებით თქვენ, კანონიერ ეროვნულ ხელისუფლებას, მაგრამ ჯარისკაცი ვარ და ბრძანებას უნდა დავემორჩილო. ისედაც ბევრი გითხარით, კარგად იყავითო“... როცა ჩვენ ვუთხარით, რომ პუტჩისტები აპირებდნენ მთავრობის სახლის დაბომბვას „გრადით“ და ეს მოსახლეობაში გამოიწვევდა დიდ მსხვერპლს, ბეპაევმა მოგვცა პატიოსანი სიტყვა, რომ ამას არ დაუშვებდა და შეასრულა კიდეც.“[281] წლების შემდეგ, როდესაც ბეპაევი თავის სამშობლოში, ყაბარდოში დაბრუნდა, ერთ-ერთი ინტერვიუს დროს აღნიშნა რუსეთის სამხედრო ძალის უდიდესი როლი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობაში.

საქართველოში სამხედრო გადატრიალებისთვის დეკემბერი შემთხვევით არ იყო შერჩეული. 1991 წლის 8 დეკემბერს არსებობა დაასრულა საბჭოთა იმპერიამ. სსრ კავშირის სამართალმემკვიდრე რსფსრ ცდილობდა საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებზე გავლენის შენარჩუნებას (ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გარდა). 21 დეკემბერს, ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ათაში, სამიტს 11 მოკავშირე რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ესწრებოდა. საქართველოდან არაოფიციალურ დელეგატებად იმყოფებოდნენ ნემო ბურჭულაძე და გურამ აბსნაძე. ნემო ბურჭულაძე იგონებს: „გამოსვლისას ბორის ელცინმა მითხრა: „ხვალ, დილით, 8.00 საათამდე ველოდები გამსახურდიას თანხმობას დსთ-ში შესვლაზე, თუ არა და პრობლემები გექნებათ-ო.“ [282] აღსანიშნავია, რომ დსთ-ში გაწევრიანება საქართველოს პრეზიდენტს რიჩარდ ნიქსონმაც ურჩია, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, საქართველომ უარი თქვა დსთ-ში

---

[281] **ზაირა მიქატაძე. ვიქტორ დომუხოვსკი:** საქართველოს ოკუპაციას მაშინ ხელი მოაწერეს: ჯაბა იოსელიანმა, თენგიზ კიტოვანმა და თენგიზ სიგუამ. გაზ. „რეზონანსი“, N 355, 1991, 26 დეკემბერი, გვ. 3.

[282] შავი ლაქა საქართველოს ისტორიაში. 22.12.1991 – 06.01.1992. https://sokhumi.wordpress.com/2016/12/22/tbilisis_samoqalaqo_omi/

შესვლაზე და ამით მოსკოვის რისხვა დაიმსახურა – სასჯელს წუთითაც არ დაუგვიანებია, 8 საათისათვის დაიწყო რუსთაველზე საომარი მოქმედებები.

მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა:

20 დეკემბერს, პარასკევს, რესპუბლიკის მოედანზე მიმდინარეობდა ოპოზიციის მიტინგი, ხოლო რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სახლის წინ, ხელისუფლების მომხრეთა მიტინგი. ოპოზიციის მხრიდან მოყვანილმა მძიმეწონიანმა „კრაზმა“ გაწმინდა ბარიკადებად ჩახერგილი მანქანები. რესპუბლიკის მოედნიდან წამოსული მომიტინგეები შეუერთდნენ ხელისუფლების მომხრეებს. ერთმანეთთან იკამათეს, ისაუბრეს და დაიშალნენ. რუსთაველის გამზირზე გამორჩეულად პოლიტაქტიურები დარჩნენ.[283]

22 დეკემბერს, დილით, მხარეებმა დაიწყეს აქტიური საომარი მოქმედებები. სროლები მიმდინარეობდა მთავრობის სახლთან, ქაშუეთის ეკლესიის ეზოში, კავშირგაბმულობის სამინისტროსთან, სასტუმრო „თბილისთან,“ მხატვრის სახლთან. დაინგრა უზენაესი საბჭოს შენობასთან ახლომდებარე შენობები, დაიწვა პირველი საშუალო სკოლა, მხატვრის სახლი.

თბილისის ზღვაზე დაბანაკებული კიტოვანის „გვარდია“ დედაქალაქის ცენტრში ჩამოვიდა და მთავრობის სასახლის წინ დაბანაკდა.

უზენაესი საბჭოს წევრი, დეპუტატი გურამ მაქაცარია იხსენებს: „უზენაესი საბჭოს დაცვა ევალებოდა ომონის უფროს ჭელიძეს, რომელიც მოწინააღმდეგის მხარეს გადავიდა.“[284] 27 დეკემბერს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბესიკ ქუთათელაძემ დაიკავა ტელეანძა და ამბოხებულებს ჩააბარა. ჯაბა იოსელიანი იხსენებს: „ტელევიზია ჩვენია. საღამოს გამოვიდა ბესიკ ქუთათელაძე. კარგად ილაპარაკა, თავისი პოზიცია გამოხატა, ძმათამკვლელ ომში მონაწილეობას ვერ მივიღებო... ფორმულა: „ყველა – მინუს ერთი“ ძალაშია...“[285]

---

[283]**სოსო სიმონიშვილი,** სისხლიანი დასაწყისის დასასრული. გაზ. „დრონი“, N 1, 1992, 11 იანვარი, გვ. 8.

[284]**გულიკო ბალაძე,** როგორ დაიწყო თბილისის ომი. გაზ. „საზოგადოება“, N 303, 2013, 23 დეკემბერი, გვ. 7.

[285]**ჯაბა იოსელიანი,** სამი განზომილება, თბილისი, 2013, გვ. 51.

27 დეკემბერს კიტოვანის მომხრე გვარდიელებმა ციხიდან გაათავისუფლეს ჯაბა იოსელიანი, გიორგი ხაინდრავა, გიორგი ჭანტურია და სხვები.

უზენაესი საბჭოს წევრი ლია ანდღულაძე თავის წიგნში „რაც არ მავიწყდება“ აღნიშნავს: „ჯაბა იოსელიანისა და 400 კრიმინალის ციხიდან გამოშვებამ განსაკუთრებით დაძაბა სიტუაცია“.[286] რადიოსადგურმა „თავისუფლებამ“ გადმოსცა, რომ უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა განაცხადა, რომ ჩაერთვებოდა თბილისში დაპირისპირებულ მხარეთა შორის მოლაპარაკებების პროცესში. ასევე რადიოსადგური იუწყებოდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის შეშფოთებას საქართველოს დედაქალაქში მომხდარი ამბების გამო.[287]

საქართველოს პოლიტიკურ დაპირისპირებასთან ერთად „ფეოდალური“ დაშლაც დაემუქრა: სამაჩაბლოსა და აფხაზეთში არსებულ კრიზისს აჭარაც დაემატა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი აღნიშნავდა, რომ ქართველი მოსახლეობისა და მოქალაქეების მხრიდან საბჭოთა ჯარისკაცები განიცდიან პროვოკაციულ ქმედებას, არის თავდასხმის ფაქტებიცო. 14-15 დეკემბერს თბილისში, 16 დეკემბერს კი ბათუმში აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს შეხვედრები ჰქონდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობასთან. ასლან აბაშიძის თქმით, მთავარია, ავტონომიურ რესპუბლიკაში იყოს მშვიდობა და სტაბილურობა: „დღეს მნიშვნელოვანია განისაზღვროს სამხედროების ბედი საქართველოში. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ისინი თავს მშვიდად გრძნობდნენ“[288] – აღნიშნა მან. დარბაზიდან დასმულ შეკითხვებზე (სამხედრო მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინებისა და კომუნალური პირობების შესახებ, ხელშეკრულებების არსებობა ავტონომიის საზღვრების დაცვის თაობაზე და სხვ.) ასლან აბაშიძის მიერ გაცემული დაპირებების პასუხად მქუხარე ტაშმა ცხადყო, რომ შეთანხმება მიღწეული იყო. ე. ი. ამიერიდან აჭარის „უსაფრთხოებას“ უზრუნველყოფდა მის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა ჯარები. მიღებული გარანტიით მოხდა აჭარის აცილება იმ პოლიტიკური პროცესებისაგან, რაც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

---

[286]**ლია ანდღულაძე,** რაც არ მავიწყდება, თბილისი, 2010, გვ. 80.

[287] უცხოეთის რადიოსადგურები გადმოსცემენ. გაზ. „სოფლის ცხოვრება“, N 84, 1991, 27 დეკემბერი, გვ. 2.

[288] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი. ურთიერთგაგების ატმოსფეროში. გაზ, „აჭარა“, N 243, 1991, 19 დეკემბერი, გვ. 1.

1991 წლის 25 დეკემბერს საქართველოში ჩეჩნების დელეგაცია ჩამოვიდა. დელეგაციას ჯოხარ დუდაევის მიერ გამოგზავნილი საგარეო საქმეთა მინისტრი შამილ ბენო ხელმძღვანელობდა. მათ მიზანს წარმოადგენდა მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მიეღწიათ სადავო საკითხების მოგვარება. სტუმრის შეკითხვაზე: „შეიძლება თუ არა შეიარაღების გზით დაამყარო დემოკრატიული წყობილება?“, სიგუა პასუხობს: „ანტიდემოკრატიული ხელისუფლების ჩამოგდება, რა თქმა უნდა, შეიძლებაო!“ [289] დეკემბერის ბოლო დღეებში (29-30) ხელისუფლების მომხრე გვარდიამ წამოიწყოკონტრშეტევა და რუსთაველის გამზირი თითქმის სულ გაწმინდა თენგიზ კიტოვანის გვარდიელებისგან, მაგრამ აქ უკვე ჩაერთო რუსული ჯარი ტ-72 ტიპის ტანკებითა და რუსი სპეციალისტებით...

2 იანვრიდან ქვეყნის მეთაურია „სამხედრო საბჭო“ – თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის მეთაურობით. უზენაესი საბჭო დათხოვილია. იგი მუშაობას დევნილობაში განაგრძობს.

1992 წლის 6 იანვარს, გამთენიისას, საქართველოს პრეზიდენტმა დატოვა უზენაესი საბჭოს შენობა. მას „სამხედრო საბჭომ“ ქალაქის უვნებლად დატოვების პირობა მისცა. მიუხედავად პირობისა, პრეზიდენტს არა, მაგრამ მისი მომხრეებით სავსე ავტობუსს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც უამრავი ადამიანი დაიღუპა.

„მთავრობის სასახლიდან რომ გამოვედით, ჯერ გათენებულიც არ იყო. ისევ ბნელოდა. ავტობუსში ჩავსხედით, რომელიც ხალხით ისე იყო გაჭედილი, განძრევაც არ შეიძლებოდა. ჩემს გვერდით დეპუტატი ირინა ტალიაშვილი იჯდა. სოლოლაკიდან მეტეხის ხიდზე რომ ჩავედით, იქ ჩასაფრებული „პუტჩისტები“ დაგვხვდნენ და რამდენიმე მხრიდან ერთდროულად ცეცხლი გაგვიხსნეს. ავტობუსი ინერციით ნათურის ქვეშ გაჩერდა, წამოიდგინეთ – წითელი იკარუსი ნათურის ქვეშ დგას და ყველა მხრიდან ავტომატს და ტყვიამფრქვევს ესვრიან. ხალხი იხოცებოდა, იყვნენ დაჭრილებიც, კვნესა ისმოდა გარშემო. ყველაფერი სისხლით იყო მოსვრილი...“ – იხსენებს ნემო ბურჭულაძე. უზენაესი საბჭოს დეპუტატ ირინა ტალიაშვილის მოგონებიდან: „დაცხრილულ ავტობუსში თითზე ჩამოსათვლელნი გადავრჩით.

[289] **ხასო ხანგოშვილი,** ქისტები და აფხაზეთის კონფლიქტი. ქისტები. pankisi.ge

როგორც იყო, იქიდან ჩამოვედით და იქვე ახლოს, სარდაფს შევაფარეთ თავი. ალბათ 6-7-ის ნახევარი იქნებოდა, რომ შეიარაღებული ახალგაზრდები შემოიჭრნენ. მე, ნემო ბურჭულაძე, ტარიელ გელანტია და ბორის კალანდია დაგვაპატიმრეს და წაგვიყვანეს მეცნიერებათა აკადემიის შენობაში, სადაც „პუტჩის“ მოთავენი იყვნენ.“ იმავე დღეს სამხედრო საბჭომ განაცხადა, რომ უკვე დევნილი ხელისუფლების წევრების ჩაცხრილვა ავტობუსში მის ინტერესებში არ შედიოდა. მეტიც, ჯაბა იოსელიანმა მოგვიანებით აღიარა, რომ ყოფილი პრეზიდენტისა და მისი მომხრეებისთვის ცეცხლის გახსნა დიდი შეცდომა იყო: „ეს იყო შეცდომა, რადგან როცა კაცს ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევ და კაცურად ჰპირდები, უსაფრთხოდ დატოვებ ქვეყანასო, უნდა შეასრულო! იმ ავტობუსში ქალები და ბავშვები იყვნენ, პრეზიდენტს თავი რომ დავანებოთ.“ [290] დევნილი პრეზიდენტი თავშესაფრის იმედით აზერბაიჯანში გადავიდა, თუმცა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა აიაზ მუთალიბოვმა, „მეზობლების“ განაწყენების შიშით, მას ტერიტორიის დატოვება მოსთხოვა. ზვიად ამსახურდია იძულებული გახდა, ჯერ სომხეთში, ხოლო შემდეგ ჩეჩნეთში გადასულიყო.

1992 წლის 7 იანვარს შეიარაღებული ოპოზიცია უზენაესი საბჭოს შენობაში შევიდა და „ტირანზე“ გამარჯვება იზეიმა. სწორედ ამ დღეს დამთავრდა თბილისის ომიც, რომელმაც დასაბამი დაუდო უფრო სისხლიან შეტაკებას – სამოქალაქო ომს. იმავე დღეს, 7 იანვარს, მთავრობის სასახლიდან გასული გამსახურდიას 30-მდე გვარდიელი ზუგდიდში, შინ ბრუნდებოდა. ნატახტართან მათ ავტობუსს თენგიზ კიტოვანის „ბიჭებმა“ ცეცხლი გაუხსნეს. ავტობუსში მყოფთაგან მხოლოდ რამდენიმე გადარჩა ცოცხალი.

მეორე დღეს, თბილისში, საბურთალოზე შეკრებილ რამდენიმე ათას მშვიდობიან მომიტინგეს, „სამხედრო საბჭოს“ ბრძანებით, ცეცხლი გაუხსნეს. გამოიყენეს მხუთავი გაზიც, დაიღუპა სამი და დაიჭრა რამდენიმე ადამიანი. ზვიად გამსახურდიას მომხრეთა დარბევა-დახვრეტა მთელი თვე გრძელდებოდა.

---

[290] „სისხლიანი კლოუნადა“. გაზ. „კვირის პალიტრა“. 2 იანვარი, 2012. https://www.kvirispalitra.ge /versia/10697-qsiskhliani-klounadaq.html

პოლიტიკური პარტიის ლიდერები „სამხედრო საბჭოს“ ზვიად გამსახურდიას დაპატიმრებას სთხოვდნენ, გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა დევნილი პრეზიდენტის წინააღმდეგ.[291]შემდეგში დატრიალებულმა მოვლენებმა ბევრს გაახსენა გამსახურდიას სიტყვები:

„ჩემი პოსტიდან წასვლის შემდეგ მე დაგიხატავთ თბილისს, თუ ეს ამბავი მართლაც მოხდა: ასეთ შემთხვევაში თბილისი გადაიქცევა რამდენიმე უბნად დანაწევრებულ ქალაქად, სადაც იქნება თითო შეიარაღებული ხელისუფლება, შეიარაღებული ბანდები და მათი ხელმძღვანელები, მათ შორის იქნება მუდმივი ბრძოლა ძალაუფლებისა და ზეგავლენისთვის, იქნება მოსახლეობის არნახული ძარცვა, არნახული დარბევა, მოიშლება ყველაფერი – ელექტროენერგია, გაზი, კომუნიკაციები. საქართველოსაც მოედება ეს ტენდენცია და საქართველოშიც დაიწყება ლიბანიზაცია, საქართველო გახდება მსხვერპლი ტოტალური ანარქიისა და საერთოდ საქართველოს არსებობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ.“[292]

თბილისის ომს, რომელიც 15 დღე გრძელდებოდა და 300-მდე კაცის სიცოცხლე შეეწირა, დასავლურმა მედიამ „სისხლიანი კლოუნადა“ უწოდა, ხოლო რუსული მედია წერდა: „მსოფლიო ისტორიამ მიიღო უიშვიათესი ფენომენი – სამოქალაქო ომი ერთი იდეალისთვის.“[293]

უზენაესი საბჭოს ბევრი დეპუტატი იმყოფებოდა პოლიტიკურ დევნილობაში... ბევრი გროზნოსა (1992-1993 წწ.) და ზუგდიდში (1993 წ.) გამართული უზენაესი საბჭოს სესიის მონაწილეები არიან... ბევრი ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2006 წელს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად

---

[291] დანაშაული „სიმართლის“ სახელით – იგი ხელმძღვანელობდა ანგარებით და პირადი მოტივით“. 15 ივლისი, 2013. https://medialinege.wordpress.com/2013/07/15/

[292] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას** გამოსვლა საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე. თბილისი. 1991 წლის 8 ოქტომბერი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 198, 1991, 12 ოქტომბერი, გვ. 2.

[293]**ნინო ბურჭულაძე,** გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა,“ 1992 წლის 8 იანვარი. https://www.kvirispalitra.ge/versia/10697-qsiskhliani-klounadaq.html

აღიარა... ბევრმა დეპუტატმა, კანონიერი ხელისუფლების ლეგიტიმურობის შენარჩუნების მიზნით, უარი თქვა სადეპუტატო პენსიაზე…

საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ გაკეთებული პოლიტიკური შეფასება: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 13 მარტის დადგენილება:

1. „1991 წლის დეკემბრისა და 1992 წლის იანვრის მოვლენები, რომლებიც მოხდა საქართველოში, კვალიფიცირებულ იქნეს როგორც სახელმწიფო გადატრიალება;

2. არაკანონიერი ხელისუფლების სტრუქტურების – „სამხედრო საბჭო“ და ა. შ. შექმნა კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ხელისუფლების უზურპაცია;

3. ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის, პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ;

4. სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორების მოქმედება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც სამშობლოს ღალატი;

5. საქართველოს მოსახლეობას მოვუწოდებთ უკანონო ხელისუფლების დაუმორჩილებლობას.“[294]

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა 1992 წლის ივნისში, ტრადიციონალისტთა კავშირის II ყრილობაზე, დეკემბერ-იანვრის მოვლენები „სახელმწიფო გადატრიალებად შეაფასა, ხოლო ფორმით – ბურჟუაზიულ რევოლუციად. როცა ერთმა მაფიამ (თუ შეიძლება, „მრგვალ მაგიდას“ მაფია ეწოდოს, – დაამატა ა. ასათიანმა) აჯობა მეორეს.“[295]

2004 წლის 2 თებერვალს ვახტანგ ხმალაძემ და მანანა არჩვაძემ ტარიელ ფუტკარაძის დახმარებით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. პასუხად, მიხეილ სააკაშვილის მიერ შეიქმნა: „1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის,

---

[294] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 13 მარტის დადგენილება. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N 2, 2007, 6 იანვარი, გვ. 3.

[295] **ლალი შალვაშვილი,** ტრადიციონალისტები ტრადიციას არ ღალატობენ. გაზ. „დრონი“, N 23, 1992, 12 ივნისი, გვ. 2.

საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე, ხელისუფლების შეცვლის მიზნით, ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შემსწავლელი სახელმწიფო კომისია.“ [296] მაგრამ ისე, რომ კომისიას მუშაობა არ დაუსრულებია, იგი მოულოდნელად შეწყდა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი კომისიები ორჯერ იყო მანამდე შექმნილი და შემდეგაც, 2009 წელს, შეიქმნა კიდევ ერთი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია. მოგვიანებით, ბიძინა ივანიშვილი და სალომე ზურაბიშვილიც მიესალმნენ პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელი კომისიის მუშაობის გაგრძელებას,[297] მაგრამ შედეგი არ ჩანს, არც დამნაშავეები დასჯილან...

[296] **ბესარიონ გუგუშვილი,** ზ. გამსახურდიას სიკვდილის გარემოებები და საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება. გაზ. „რეზონანსი“, N 90, ორშაბათი, 5 აპრილი, 2004 წელი. https://besarion.wordpress.com/2012/01/06/gamsahurdia_search_parliament/

[297] ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებები. https://zg1993.wordpress.com/2016/09/09/ivan-saak/

დასკვნა

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ საქართველოში, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობა ჩამოყალიბდა, საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებდა ქვეყანაში არსებულ ვითარებას. რეალური ძალაუფლება ეროვნული ძალების ხელში აღმოჩნდა. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება დათანხმდა 1990 წლის 25 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარებულიყო არსებული საარჩევნო კანონმდებლობით, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ დეპუტატობის ყველა კანდიდატი წარდგენილი იქნებოდა კომუნისტური პარტიიდან. საქართველოს ეროვნული მოძრაობის მიერ ორგანიზებული იყო არაერთი საპროტესტო მიტინგი, რომლებიც ერთპარტიული არჩევნების ჩაშლისკენ იყო მიმართული. ხელისუფლება იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და 1990 წლის 23 აგვისტოს გამოსცა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საარჩევნო კანონი“. კანონის თანახმად, კომუნისტურ პარტიასთან ერთად, სხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც მიეცათ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენის უფლება. კანონი უზრუნველყოფდა დეპუტატთა არჩევის საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ, ფარულ საარჩევნო უფლებას. საარჩევნო კანონით, არჩევნებში მონაწილე პარტიებს, საარჩევნო ბლოკებად გაერთიანების უფლება მიეცათ. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო არჩევნებში მონაწილე დამოუკიდებელი კანდიდატების, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების საარჩევნო ხარჯების დაფინანსება. ამასთან ერთად, საარჩევნო სუბიექტებს მიეცათ დაფინანსების

საკუთარი წყაროების მოძიებისა და საარჩევნო ფონდის შექმნის უფლება, რომლის მოცულობაც არ უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის ოთხმაგ ოდენობაზე მეტი. ამავე კანონის საფუძველზე შეიქმნა ახალი ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც იყო არა ერთპარტიულ-კომუნისტური, არამედ პარიტეტული, სხვადასხვა პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარი ორგანო, რომელიც უხელმძღვანელებდა საქართველოში არჩევნების ჩატარებას.

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები 1990 წლის 28 ოქტომბერს დაინიშნა. საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგად მივიღეთ:

„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ – 155 დეპუტატი;

საქართველოს კომუნისტური პარტია - 64 დეპუტატი;

სახალხო ფრონტი – 12 დეპუტატი;

დამოუკიდებელი კანდიდატი – 9 დეპუტატი;

დემოკრატიული საქართველო – 4 დეპუტატი;

რუსთაველის საზოგადოება – 1 დეპუტატი;

განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება – 1 დეპუტატი;

არჩეულ დეპუტატთაგან 16 ქალი იყო.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ზვიად გამსახურდია, პირველ მოადგილედ – აკაკი ასათიანი, მოადგილედ – ნემო ბურჭულაძე.

საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომა აკურთხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

ამრიგად, 1990 წლის 28 ოქტომბერს, კომუნისტური რეჟიმის პირობებში, ქართული ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის ძალისხმევით და მოსახლეობის ფართო მასების აქტიური მხარდაჭერით, ჩატარდა მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები. არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართველი ერის სწრაფვა, ეცხოვრა დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში. ქართველმა ერმა ქვეყნის მართვის მანდატი ანდო საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალ საქართველოს“. ქართველი ერის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ სცადა საბჭოთა კავშირის

რღვევის პროცესი როგორმე შეეჩერებინა. საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილებით (1991 წლის 16 იანვრის N1910-1), 1991 წლის 17 მარტს ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში უნდა ჩატარებულიყო საერთო-საკავშირო რეფერენდუმი, რომლის კითხვა ასე იყო ფორმულირებული: „მიგაჩნიათ თუ არა აუცილებლად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, როგორც თანასწორი სუვერენული რესპუბლიკების ისეთი განახლებული ფედერაციის შენარჩუნება, სადაც სრულად იქნება გარანტირებული ნებისმიერი ეროვნების ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი.“ სარეფერენდუმო კითხვის ბოლოს მოცემული იყო ორი პასუხი: „დიახ“ და „არა“. ექვსმა მოკავშირე რესპუბლიკამ – საქართველომ, ლიეტუვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, მოლდავეთმა და სომხეთმა უარი განაცხადა რეფერენდუმში მონაწილეობაზე. საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 28 თებერვლის N188 დადგენილებით, უარი განაცხადა საქართველოს ტერიტორიაზე საკავშირო რეფერენდუმის ჩატარებაზე. 1991 წლის 29 იანვარს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „რეფერენდუმის შესახებ“, რომლის თანახმადაც 1991 წლის 31 მარტს უნდა ჩატარებულიყო საყოველთაო რეფერენდუმი საქართველოში. ქართველ ერს უნდა დაეფიქსირებინა თავისი დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი საბჭოს 28 თებერვლის დადგენილებაში ვკითხულობთ:

„1. არ გაიმართოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 17 მარტს დანიშნული რეფერენდუმი;

2. „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, 1991 წლის 31 მარტს დაინიშნოს რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე, ერთადერთი კითხვით: „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“.

1991 წლის 5 აპრილს გამოქვეყნდა საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის შემაჯამებელი შედეგები. საარჩევნო ადმინისტრაციის (ცესკო) საარქივო მონაცემებით ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 3,672,403 ადამიანს. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 3.334.286 ამომრჩეველმა, ამომრჩეველთა საერთო

რაოდენობის 90,79%-ს. რეფერენდუმში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა 3.295.493 ამომრჩეველმა, რეფერენდუმში მონაწილეთა 99,08%-მა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის აქტიურობამ და რეფერენდუმში მონაწილეობამ მსოფლიო თანამეგობრობას თვალნათლივ დაანახა, რომ რეფერენდუმის შედეგით ერთნაირად იყვნენ დაინტერესებული საქართველოს მოქალაქე ეთნიკური ქართველებიც და არაქართველებიც.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საგანგებო სხდომაზე, საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ ბიძგი მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ. 1991 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარა: რუმინეთმა, მოლდოვამ, აზერბაიჯანმა, სომხეთმა, უკრაინამ, თურქეთმა, მონღოლეთმა, ლიეტუვამ, ირანმა, კანადამ, აშშ-მა, ბრაზილიამ, კუბამ, ტაილანდმა, ინდოეთმა, ვიეტნამმა, ბელარუსმა, ეგვიპტემ, ალჟირმა, ჩინეთმა, სლოვენიამ, იორდანიამ, ხორვატიამ, ლიბიამ, პაკისტანმა. 1992 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარეს: ლაოსმა, ერაყმა, ეთიოპიამ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკას ოფიციალურად არ უცვ-ნია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

1991 წლის აგვისტოში რუსეთში მომხდარმა სამხედრო გადატრიალებამ ნეგატიური გავლენა იქონია საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე. რუსეთში გადატრიალების შედეგად შეიქმნა „საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი“ (ГКЧП). მასში შედიოდნენ სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესი პირები: გ. იანაევი – სსრ კავშირის ვიცე-პრეზიდენტი; დ. იაზოვი – სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი; ვ. პავლოვი – სსრ კავშირის პრემიერ-მინისტრი; ვ. კრიუჩკოვი - სუკის თავმჯდომარე; ა. ლუკიანოვი – სსრ კავშირის ცკ-ის გენერალური მდივანი; ო.

ბაკლანოვი – სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სკკპ ცკ-ს წევრი; ბ. პუგო - სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი; ვ. ვარენნიკოვი – სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი; ა. ტიზიაკოვი – მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის ასოციაციის პრეზიდენტი; ვ. სტაროდუბცევი – სსრ კავშირის გლეხთა კავშირის თავმჯდომარე, ცკ-ის წევრი.

სსრ კავშირის საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის ხალხებისა და მოქალაქეების სასიცოცხლო ინტერესების, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით, კანონისა და წესრიგის აღსადგენად, სიტუაციის სტაბილიზაციისათვის, ყველაზე რთული კრიზისის დასაძლევად, ქაოსისა და ანარქიის პრევენციის მიზნით და ძმათამკვლელი სამოქალაქო ომის აღსაკვეთად სსრ კავშირში საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი ადგენს:

1. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, სამხარეო, საოლქო, ქალაქების, რაიონებისა და სოფლების ხელისუფლების ყველა ორგანომ უზრუნველყოს საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის მკაცრი დაცვა სსრ კავშირის კანონის „საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმის შესახებ“ და სსრ კავშირის საგანგებო კომიტეტის დებულების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოახერხებენ რეჟიმის მოთხოვნების შესრულებას, შესაბამის ორგანოებს შეუჩერდეთ უფლებამოსილება და მათი ფუნქციების განხორციელება მიენიჭოს სსრ კავშირის საგანგებო კომიტეტის მიერ სპეციალურად უფლებამოსილ პირებს.

2. დაუყოვნებლივ დაიშალოს ძალაუფლებისა და ადმინისტრაციის სტრუქტურები, გასამხედროებული ჯგუფები, რომელთა მოქმედება ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას და სსრ კავშირის კანონებს.

3. ამიერიდან გაუქმებულად ჩაითვალოს ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული კანონები და გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას და სსრ კავშირის კანონებს.

4. შეჩერდეს პოლიტიკური პარტიების, საჯარო ორგანიზაციების და მასობრივი მოძრაობების საქმიანობა, რომლებიც ხელს უშლიან სიტუაციის ნორმალიზაციას.

5. იმის გამო, რომ სსრ კავშირის საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი დროებით იღებს სსრ კავშირის უშიშროების საბჭოს ფუნქციებს, ამ უკანასკნელის საქმიანობა შეჩერებულია.

6. მოქალაქეებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ ჩააბარონ ყველა სახის უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ასაფეთქებელი ნივთიერებები, სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სუკ-მა და თავდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს ამ მოთხოვნის შესრულების მკაცრი დაცვა. საჭიროების შემთხვევაში – ამოიღონ იძულებით. დამნაშავეებს მთელი სიმკაცრით დაეკისროთ სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

1991 წლის 19-21 აგვისტოს მოსკოვში განვითარებულმა მოვლენებმა სერიოზული პრობლემები შეუქმნეს საქართველოს ხელისუფლებას. პუტჩისტების განკარგულებაში აღმოჩნდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი (შტაბი მდებარეობდა თბილისში). სსრ კავშირის საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტმა ოთხი დღე მისცა საქართველოს ხელისუფლებას ჯარის განიარაღებისთვის. საქართველოს პრეზიდენტი, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მთავრობა არსებული სიტუაციის განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „გკჩპ-ს“ ულტიმატუმი საქართველოსთვის კარგს არაფერს მოასწავებდა, რომ მოსალოდნელი იქნებოდა პუტჩისტების მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო შენაერთების აქტიური გამოყენება, რაც უდიდესი მსხვერპლის ფასად დაჯდებოდა. ამიტომ უზენაესმა საბჭომ, გვარდიის გადარჩენის მიზნით, მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება – ეროვნული გვარდიისთვის შეეცვალა სტატუსი და გადაეყვანა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

დაქვემდებარებაში. ამით ეროვნული გვარდია აღმოჩნდებოდა სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში. ეს ცვლილება იქნებოდა ფორმალური. ეროვნული გვარდია ისევ ისე იარსებებდა და იმავე როლს შეასრულებდა.

1991 წლის 19 აგვისტოს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება: „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ“. ეროვნული გვარდია გადავიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში და მიენიჭა განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვედანაყოფის სტატუსი. მანამდე კი, საქართველოს პრეზიდენტმა მოწოდებით მიმართა ხალხს, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელობას, ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს: „მოგიწოდებთ ყველას, ვიყოთ სამუშაო ადგილებზე, შევასრულოთ სამსახურებრივი მოვალეობა, არ ავყვეთ პროვოკაციებს ... შექმნილ ვითარებაში მთავარია, შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა.“ საქართველოს უზენაესი საბჭო მიესალმა ამ უდავოდ სწორ გადაწყვეტილებას. მოსკოვში მომხდარიგადატიალების მცდელობა პუტჩისტების მარცხით დასრულდა.

ქართული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, ეროვნული კონგრესის წევრები ბრალს სდებდნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, რომ იგი მაშინვე არ გამოეპასუხა და არ დაგმო პუტჩი ისევე, როგორც ეს სხვა დამოუკიდებელმა რესპუბლიკებმა გააკეთეს. ხოლო, როდესაც, შექმნილი საშიშროების გამო ხელისუფლებამ ეროვნულ გვარდიას სახელი შეუცვალა, ოპოზიციამ ეს ქმედება „უსიტყვო მორჩილებად“, დამონებად და თავის დახრად ჩაუთვალა, რასაც მოჰყვა მთელი რიგი უსიამოვნებები და ბრალდებები ოპოზიციის მხრიდან. ასე, მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გვარდიის ნაწილებში გაავრცელა პროკლამაცია – „მიმართვა საქართველოს ეროვნული გვარდიის წევრებისადმი“, რომელშიც საუბარი იყო იმაზე, რომ ზვიად გამსახურდია ატყუებდა გვარდიელებს და მათი გამოყენება უნდოდა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ... რომ იგი შენიღბული კრემლის აგენტი იყო...

ხოლო უზენაესი საბჭო შედგებოდა „გუშინდელი კომუნისტებისაგან, მაამებლებისა და მექრთამეებისაგან“. პროკლამაციის ავტორები მოუწოდებდნენ გვარდიას, რომ „დღესვე გამიჯნოდნენ ბოროტს“.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაუპირისპირდა ეროვნული გვარდიის სარდალი თენგიზ კიტოვანი. ხელისუფლება შეეცადა, განემუხტა დაძაბული სიტუაცია ეროვნული გვარდიის გარშემო. ამ მიზნით გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება: „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის – ეროვნული გვარდიის სტატუსის შესახებ“. ამ ბრძანებულებით შინაგან ჯარებს – ეროვნულ გვარდიას განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვედანაყოფის სტატუსი მოეხსნა. მიუხედავად ამისა, თენგიზ კიტოვანი ხელისუფლებისადმი დამორჩილებას არ აპირებდა. უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, შეექმნა თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომლის დაქვემდებარებაშიც იქნებოდა ეროვნული გვარდია. მალევე შეიქმნა თავდაცვის სამინისტრო. მას დაევალა ეროვნული არმიის შექმნა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა. ეროვნული გვარდია პრეზიდენტს დაექვემდებარა. თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად ნოდარ გიორგაძე დაინიშნა.

1991 წლის 2 სექტემბერს საქართველოში სტუმრად ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაცია იმყოფებოდა. ეს ვიზიტი იყო ერთგვარი შანსი საქართველოს ხელისუფლებისათვის, მოეპოვებინა დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერა, თუმცა პირიქით მოხდა. იმავე დღეს,ედპ-ს მიერ ჩატარებულარასანქცირებულმიტინგზე,ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით, მოხდა პროვოკაცია – დაიჭრა მოქალაქე.

მალე საქართველოს ხელისუფლება ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირის ნაცვლად შეიქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინისგან მიიღო ულტიმატუმი – საქართველო უნდა გაწევრიანებულიყო ახალ კავშირში, წინააღმდეგ შემთხვევაში შეექმნებოდა სერიოზული პრობლემები. ზვიად

გამსახურდიას ხელისუფლება დილემის წინაშე აღმოჩნდა – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს გაწევრიანების შემთხვევაში ოპოზიცია მას კრემლის მოკავშირედ გამოაცხადებდა; გაწევრიანებაზე უარის თქმის შემთხვევაში ბორის ელცინი მუქარას შეასრულებდა. საქართველომ უარი თქვა დსთ-ში გაწევრიანებაზე. 22 დეკემბერს, თბილისში, ოპოზიცია ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ შეტევაზე გადავიდა. მართალია, ეს მოვლენა დღემდე სამოქალაქო დაპირისპირებად არის მიჩნეული, თუმცა მასში მონაწილეობდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალები, რომლებიც იარაღით ამარაგებდნენ ოპოზიციას და ცალკეულ საბრძოლო ეპიზოდებშიც მონაწილეობდნენ. აქედან გამომდინარე, ეს მოვლენა რუსეთ-საქართველოს ომად უნდა ჩაითვალოს. ოპოზიციამ, თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით, მოახერხა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა. რუსეთმა ამ ომში საქართველო დაამარცხა. 1992 წლის 6 იანვარს ზვიად გამსახურდიამ თანამებრძოლებთან ერთად საქართველო დატოვა. ქართველი ერის ცხოვრებაში უმძიმესი ხანა დაიწყო.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

I. საარქივო მასალები

1. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, საქმე 2914, აღწერა 8.
2. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, საქმე 2930, აღწერა 8.
3. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, საქმე 2934, აღწერა 8.
4. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, საქმე 2954, აღწერა 8.
5. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, საქმე 2955, აღწერა 8.
6. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, საქმე 2957, აღწერა 8.
7. საქართველოს პარლამენტის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 1165, საქმე 2960, აღწერა 8.

II. უზენაესი საბჭოს უწყებები

8. უზენაესი საბჭოს უწყებები, N11, 1990, ნოემბერი.
9. უზენაესი საბჭოს უწყებები, N12, 1990, დეკემბერი.
10. უზენაესი საბჭოს უწყებები, N1, 1991, იანვარი.
11. უზენაესი საბჭოს უწყებები, N2, 1991, თებერვალი.
12. უზენაესი საბჭოს უწყებები, N3, 1991, მარტი.

13. უზენაესი საბჭოს უწყებები, N4, 1991, აპრილი.
14. უზენაესი საბჭოს უწყებები, N5, 1991, მაისი.
15. უზენაესი საბჭოს უწყებები, N6, 1991, ივნისი.
16. უზენაესი საბჭოს უწყებები, N7, 1991, ივლისი.
17. უზენაესი საბჭოს უწყებები, N8, 1991, აგვისტო.
18. უზენაესი საბჭოს უწყებები, N9, 1991, სექტემბერი.
19. უზენაესი საბჭოს უწყებები, N10, 1991, ოქტომბერი.
20. უზენაესი საბჭოს უწყებები, N11, 1991, ნოემბერი.
21. უზენაესი საბჭოს უწყებები, N12, 1991, დეკემბერი.

III. პრესის მასალები (გაზეთები)

22. „აჭარა“, N181, 1991, 3 ოქტომბერი.
23. „აჭარა“, N183, 1991, 5 ოქტომბერი.
24. „აჭარა“, N243, 1991, 19 დეკემბერი.
25. „ახალგაზრდა ივერიელი“, N54, 1990, 19 მაისი.
26. „ახალგაზრდა ივერიელი“, N90, 1990, 23 აგვისტო.
27. „ახალგაზრდა ივერიელი“, N120, 1990, 1 ნოემბერი.
28. „ახალგაზრდა ივერიელი“, N126, 1990, 15 ნოემბერი.
29. „ახალგაზრდა ივერიელი“, N96, 1991, 20 აგვისტო.
30. „ახალგაზრდა ივერიელი“, N110/111, 1991, 28 სექტემბერი.
31. „ახალგაზრდა ივერიელი“, N113/114, 1991, 5 ოქტომბერი.
32. „ახალგაზრდა ივერიელი“, N115/116/117, 1991, 12 ოქტომბერი.
33. „ახალგაზრდა ივერიელი“, N118/119/120, 1991, 19 ოქტომბერი.
34. „ახალგაზრდა ივერიელი“, N132/133/134, 1991, 21 ნოემბერი.
35. „ახალგაზრდა კომუნისტი“, N24, 1990, 27 თებერვალი.

36. „ახალგაზრდა კომუნისტი“, N30, 1990, 17 მარტი.

37. „ახალი საქართველო“, N2-3, 1990, 5 ნოემბერი.

38. „განათლება“, N14, 1991, 11 დეკემბერი.

39. „დრონი“, N1, 1992, 11 იანვარი. 40. „დრონი“, N23, 1992, 12 ივნისი.

41. „დრონი“, N34, 1991, 6 სექტემბერი.

42. „დრონი“, N36, 1991, 20 სექტემბერი.
43. „ერი“, N34, 1991, 21 აგვისტო.

44. „კაბადონი-8“, N6, 1991, 7 თებერვალი,

45. „კაბადონი-8“, N8, 1991, 21 თებერვალი.

46. „კაბადონი-8“, N24, 1991, 13 ივნისი.

47. „ლიტერატურული საქართველო“, N42, 1990, 19 ოქტომბერი.

48. „ლიტერატურული საქართველო“, N12, 1991, 22 მარტი.

49. „ლიტერატურული საქართველო“, N40, 1991, 4 ოქტომბერი.

50. „ლიტერატურული საქართველო“, N48, 1991, 29 ნოემბერი.

51. „მამული“, N16, 1991, სექტემბერი.

52. „რეზონანსი“, N355, 1997, 26 დეკემბერი.

53. „რესპუბლიკა“, N33, 1991, 25 სექტემბერი.54.„რესპუბლიკა“, N36, 1991, 17 ოქტომბერი.

55. „რესპუბლიკა“, N40, 1991, 21 ნოემბერი.

56. „საზოგადოება“, N303, 2013, 23 დეკემბერი.

57. „სამშობლო“, N6, 1991, მარტი.

58. „სამშობლო“, N9/10, 1991, მაისი.

59. „საქართველოს გვარდიელი“, N6, 1991, 26 აგვისტო.

60. „საქართველოს რესპუბლიკა“, N6, 1991, 10 იანვარი.

61. „საქართველოს რესპუბლიკა“, N10, 1991, 15 იანვარი.

62. „საქართველოს რესპუბლიკა“, N19, 1991, 29 იანვარი.

63. „საქართველოს რესპუბლიკა“, N26, 1991, 8 თებერვალი.

64. „საქართველოს რესპუბლიკა“, N35, 1991, 21 თებერვალი.

65. „საქართველოს რესპუბლიკა“, N42, 1991, 2 მარტი.

66. „საქართველოს რესპუბლიკა“, N43, 1991, 5 მარტი.

67. „საქართველოს რესპუბლიკა“, N46, 1991, 8 მარტი.

68. „საქართველოს რესპუბლიკა“, N47, 1991, 9 მარტი.

69. „საქართველოს რესპუბლიკა“, N53, 1991, 19 მარტი. 70. „საქართველოს რესპუბლიკა“, N54, 1991, 20 მარტი.

71. „საქართველოს რესპუბლიკა“, N58, 1991, 26 მარტი.

72. „საქართველოს რესპუბლიკა“, N59, 1991, 27 მარტი.

73. „საქართველოს რესპუბლიკა“, N61, 1991, 30 მარტი.

74. „საქართველოს რესპუბლიკა“, N62, 1991, 31 მარტი.

75. „საქართველოს რესპუბლიკა“, N64, 1991, 2 აპრილი.

76. „საქართველოს რესპუბლიკა“, N67, 1991, 5 აპრილი.

77. „საქართველოს რესპუბლიკა“, N68, 1991, 6 აპრილი.

78. „საქართველოს რესპუბლიკა“, N70, 1991, 10 აპრილი.

79. „საქართველოს რესპუბლიკა“, N72, 1991, 13 აპრილი.

80. „საქართველის რესპუბლიკა“, N71, 1991, 11 აპრილი.

81. „საქართველოს რესპუბლიკა“, N74, 1991, 17 აპრილი.

82. „საქართველოს რესპუბლიკა“, N75, 1991, 18 აპრილი.

83. „საქართველოს რესპუბლიკა“, N78, 1991, 23 აპრილი.

84. „საქართველოს რესპუბლიკა“, N97, 1991, 18 მაისი.

85. „საქართველოს რესპუბლიკა“, N98, 1991, 21 მაისი.

86. „საქართველოს რესპუბლიკა“, N120, 1991, 21 ივნისი.

87. „საქართველოს რესპუბლიკა“, N129, 1991, 3 ივლისი.

88. „საქართველოს რესპუბლიკა“, N132, 1991, 6 ივლისი.

89. „საქართველოს რესპუბლიკა“, N139, 1991, 18 ივლისი.

90. „საქართველოს რესპუბლიკა“, N143, 1991, 24 ივლისი.
91. „საქართველოს რესპუბლიკა“, N155-156, 1991, 8 აგვისტო.
92. „საქართველოს რესპუბლიკა“, N163, 1991, 21 აგვისტო.
93. „საქართველოს რესპუბლიკა“, N165, 1991, 23 აგვისტო.
94. „საქართველოს რესპუბლიკა“, N166, 1991, 24 აგვისტო.
95. „საქართველოს რესპუბლიკა“, N167, 1991, 27 აგვისტო.
96. „საქართველოს რესპუბლიკა“, N171/172, 1991, 3 სექტემბერი.
97. „საქართველოს რესპუბლიკა“, N173, 1991, 4 სექტემბერი.
98. „საქართველოს რესპუბლიკა“, N174, 1991, 5 სექტემბერი.
99. „საქართველოს რესპუბლიკა“, N175, 1991, 10 სექტემბერი.
100. საქართველოს რესპუბლიკა“, N181, 1991, 18 სექტემბერი.
101. „საქართველოს რესპუბლიკა“, N186, 1991, 25 სექტემბერი.
102. „საქართველოს რესპუბლიკა“, N208/209, 1991, 26 ოქტომბერი.
103. „საქართველოს რესპუბლიკა“, N211, 1991, 30 ოქტომბერი.
104. „საქართველოს რესპუბლიკა“, N214/215, 1991, 2 ნოემბერი.
105. „საქართველოს რესპუბლიკა“, N219, 1991, 7 ნოემბერი.
106. „საქართველოს რესპუბლიკა“, N220, 1991, 9 ნოემბერი.
107. „საქართველოს რესპუბლიკა“, N221, 1991, 12 ნოემბერი.
108. „საქართველოს რესპუბლიკა“, N223/224, 1991, 14 ნოემბერი.
109. „საქართველოს რესპუბლიკა“, N242, 1991, 11 დეკემბერი.
110. „საქართველოს რესპუბლიკა“, N246, 1991, 17 დეკემბერი.
111. „საქართველოს რესპუბლიკა“, N247, 1991, 18 დეკემბერი.
112. „საქართველოს რესპუბლიკა“, N248, 1991, 19 დეკემბერი.
113. „საქართველოს რესპუბლიკა“, N2, 2007, 6 იანვარი.
114. „სოფლის ცხოვრება“, N42, 1991, 23 ივნისი.
115. „სოფლის ცხოვრება“, N71/72, 1991, 7 ნოემბერი.
116. „სოფლის ცხოვრება“, N84, 1991, 27 დეკემბერი.

117. „ქომაგი“, N32, 1991, 8 აგვისტო.

118. „ქომაგი“, N46, 1991, 14 ნოემბერი.

119. «Грузия-Спектр», N1, 1991, 6-14 апреля.

120. «Правда», №199, 1991, 20 августа.

IV. სამეცნიერო ლიტერატურა

121. ანდღულაძე ლია, რაც არ მავიწყდება, თბილისი, 2010.

122. დარჩიაშვილი მანანა, 31 მარტიდან 9 აპრილამდე – გზა დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, თბილისი, 2008.

123. დეისაძე-შერვაშიძე ლაშა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე გამოწვევები (XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე). დისერტაცია. თბილისი, 2019 (ხელნაწერის უფლებით).

124. იოსელიანი ჯაბა, სამი განზომილება, თბილისი, 2013.

125. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავი. თბილისი, 2016.

126. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ზვიად გამსახურდია. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1990-1991). ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები. ტ. I, თბილისი, 2013.

127. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ზვიად გამსახურდია. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1990 წლის ნოემბერი – 1991 წლის აპრილი). ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები (ნაწილი II). ტ. IV, თბილისი, 2015.

128. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ზვიად გამსახურდია. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1991). ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები (ნაწილი II). ტ. V, თბილისი, 2015.

129. შველიძე დიმიტრი, პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წ.წ.), თბილისი, 2008.

130. ჯანელიძე ოთარ, 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნები. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. (1991 წლის 31 მარტი - 9 აპრილი).თბილისი, 2008.

V. ინტერნეტრესურსები

131. 1990 წლის 14 ნოემბერი. ირაკლი ჟორდანიას გამოსვლა უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე. https://www.youtube.com/watch?v=R8tEvvDWzLQ

132. აკაკი ასათიანის სკანდალური „ინტერვიუ ვანიჩკასთან“. https://www.youtube.com/watch?v=zx9oblCMP1M&list=PLpUZOWMIm4rdbhzd31EbDQvKz7VUpYthn&index=7

133. არჩევნების ისტორია: ზვიად ძიძიგური. რადიო „თავისუფლება“. ვიდეოინტერვიუ. 27 ოქტომბერი, 2020. https://www.radiotavisupleba.ge/a/არჩევნების-ისტორია-ინტერვიუ-ზვიადძიძიგური//30915803.html

134. ბურჭულაძე ნინო, გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა,“ 1992 წლის 8 იანვარი. https://www.kvirispalitra.ge/versia/10697-qsiskhliani-klounadaq.html

135. გამსახურდია კონსტანტინე, მწერლები ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. artinfo.ge/2020/01/mtserlebi-zviad-gamsakhurdias-tsinaaghmdeg/

136. გუგუშვილი ბესარიონ, ზ. გამსახურდიას სიკვდილის გარემოებები და საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება. გაზ. „რეზონანსი“, N90, ორშაბათი, 5 აპრილი, 2004 წელი.

https://besarion.wordpress.com/2012/01/06/gamsahurdia_search_parliament/ 137. დამოუკიდებლობის 20 წელი. 4 იანვარი, 2012. http://ai-ia.info/online-arqivi/13-1991-clis-9-aprili.htm

138. დანაშაული „სიმართლის“ სახელით – იგი ხელმძღვანელობდა ანგარებით და პირადი მოტივით“. 15 ივლისი, 2013. https://medialinege.wordpress.com/2013/07/15/ 139. ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებები. https://zg1993.wordpress.com/2013/04/14/31/

140.ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებები. https://zg1993.wordpress.com/2016/09/09/ivan-saak/

141.ხვიჩია იაგო, საქართველოს დაბადება. ვახტანგ ხმალაძის ისტორია. https://www.youtube.com/watch?v=6v9ebCJF94k&t=889s

142.ხვიჩია იაგო, საქართველოს დაბადება. ნოდარ ნათაძის ისტორია. https://www.youtube.com/watch?v=6PNcNSif_LM

143.ვაჩნაძე ნათელა, თომაძე ნინო, დამარცხებული საქართველო (თბილისის 19911992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები). ნაწილი I, თბილისი, 2018. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/278922/1/Damarcxebuli_Saqartvelo.pdf

144.ვაჩნაძე ნათელა თომაძე ნინო, დამარცხებული საქართველო (თბილისის 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები). ნაწილი II, თბილისი, 2019.

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/301280/1/Damarcxebuli_Saqartvelo.pdf 145.

„სისხლიანი კლოუნადა“. გაზ. „კვირის პალიტრა“. 2 იანვარი, 2012.

https://www.kvirispalitra.ge /versia/10697-qsiskhliani-klounadaq.html

146.შავი ლაქა საქართველოს ისტორიაში. 22.12.1991 – 06.01.1992. https://sokhumi.wordpress.com/2016/12/22/tbilisis_samoqalaqo_omi/

147.ჩეჩელაშვილი ვალერი, ინტერვიუ მერაბ კაკულიასთან. 2018.02.08. საქართველოს ზეპირსიტყვიერი ისტორია. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. https://www.gfsis.org/ge/oral-history/view/907

148.ჯიქია ლევან, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება და კონსტიტუციური პრობლემები საქართველოში. ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, VIII. http://dl.sangu.edu.ge/pdf/qapvols/qav_v8_7.pdf

149.ხანგოშვილი ხასო, ქისტები და აფხაზეთის კონფლიქტი. ქისტები. pankisi.ge

150.Верховный совет СССР. Постановление от 16 января 1991 г. N1910-1 об организации и мерах по обеспечению проведения референдума СССР по вопросу о сохранении Союза

Советских Социалистических Республик. http://www.libussr.ru/doc-ussr/usr-18013.htm151. СССР. Крушение. 7 серия. Документальный фильм.

https://www.youtube.com/watch?v=3SORXfxx9nI&list=PLecKn8HbCzGuxWtW3BOdLnyNAE

7hMsSWn&index=7

152. Указ Президента СССР от 07.01.1991. №1286. Указ Президента СССР от некоторых законодательных актах, принятых в декабре 1990 года в Грузинской СССР. https://ru.wikisource.org/wiki/Указ Президента СССР от 07.01.1991 №1286